მათე ალბუთაშვილი

პანკისის ხეობა

(ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი
და შენიშვნები დაურთეს პროფესორებმა
გიორგი და *ნიკო ჯავახიშვილებმა*

თბილისი
2005

უაკ 947. 922; 39 (479. 22)
ა 463

წინამდებარე გამოკვლევა პანკისის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. ამ საკითხის კვლევა სოფელ ჯოყოლოს წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა მათე ომანის ძე ალბუთაშვილმა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწყო.

ეს საყურადღებო ნაშრომი წიგნად პირველად გამოდის.

რედაქტორი **ტარიელ გვალია**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რეცენზენტები:
გიორგი გოცირიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ნიკო რეხვიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© გიორგი ჯავახიშვილი, 2005 წ
© ნიკო ჯავახიშვილი, 2005 წ.

ISBN – 99940-0-246-5

შესავალი

XIX საუკუნის მიწურულს ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ფსევდონიმი *"ქისტი ჩობანი"*.

ამ ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილები და ინფორმაციები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე. ეს ფსევდონიმი დღემდე სხვადასხვა სახელით არის ახსნილი (იხ.: "ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", ტომი VI, ნაკვეთი I). კერძოდ, მისი ავტორი ხან მიხეილის (გვ. 658), ხან კი გიორგის (გვ. 577) სახელით არის მოხსენიებული. რეალურად, იგი იყო ერთი და იგივე პიროვნება — *მათე ომანის ძე ალბუთაშვილი.* [1]

მ. ალბუთაშვილი — მწერალი, ფოლკლორისტი და პედაგოგი იყო. არსებობს ცნობა, რომ მისი წინაპრები ღილღოდან ყოფილან, რომლებიც ჯერ სოფელ მითხოში გადმოსახლებულან. მათ სხვადასხვა დროს უცხოვრიათ სოფლებში: ჯარეგოში, ჩაბანოსა და ხორბალოში, ხოლო შემდეგ პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში დასახლებულან. მათი უწინდელი გვარი *აიური* ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ალბუთაშვილების გვარის წარმომადგენელთა შორის არიან, როგორც ქისტები, ასევე ქართველებიც.

მ. ალბუთაშვილი 1863 წლის იანვარში, სოფელ ჯოყოლოში დაიბადა. 1874 წელს იგი მიაბარეს თიანეთის სკოლაში, საიდანაც 1877 წლიდან სწავლა სოფელ ალვანის ოთხკლასიან სკოლაში გააგრძელა. მისი დამთავრების შემდეგ, 1880 წელს იგი თელავის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა.

თავის მემუარებში მ. ალბუთაშვილი შესანიშნავად აღწერს ამ სასწავლებლის გარემოს, მოჰყავს ცნობები მასწავლებლების: ნიკო მთვარელიშვილის ("სმოტრიტელი") და ინსპექტორ პლატონ მთვარელიშვილის, ქრისტეფორე და ილია ზარაფიშვილების, ამბროსი ხელაშვილის, რომან ძამსაშვილ-ცამციევის, სვიმონ (სიკო) რცხილაძის და სხვათა შესახებ.

---

[1] გაზეთი *"მახტრიონი"*, ახმეტა, 1970, № 91.

ეს მასალები ფრიად საინტერესოა, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ მასწავლებელთა უმრავლესობა მანამდე ასწავლიდა ვაჟა-ფშაველას და ის კი მათგან მხოლოდ ერთს — სვიმონ რცხილაძეს ასახელებს თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიულ წერილში "ჩემი წუთისოფელი".

აი, რას წერს დიდი პოეტი: "ექვსი წლის ჩემი ყოფნის დროს სწავლის ნაყოფად ჩაითვლება რამდენიმე რუსულ-ბერძნულ-ლათინური ფრაზა, — ქართულს ვინ გვაღირსებდა, — რუსული "ბილინების"ცოდნა, რასაც გულმოდგინედ ვსწავლობდი და რუსულის მასწავლებელიც, თუ არ ვცდები, სვიმონ რცხილაძე, კარგად გვასწავლიდა." [1]

იმავე პიროვნების შესახებ მ. ალბუთაშვილი შენიშნავდა: "რუსულს ს. რცხილაძე გვასწავლიდა; გადმოცემა კარგი ჰქონდა, ტკბილი კაცი იყო, გემრიელი ლაპარაკი იცოდა, საერთოდ, სანაქებო მასწავლებელი იყო". იქვე იგი ქებით იხსენიებს ნიკო მთვარელიშვილსა და ილია ზარაფიშვილს.

1886 წლიდან მ. ალბუთაშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1893 წელს, იგი მასწავლებლად გაამწესეს პანკისის ხეობაში, სოფელ ჯოყოლოს სკოლაში.

მ. ალბუთაშვილი ერთ-ერთი პირველი განათლებული ქისტი იყო, რომლის სახელთანაა დაკავშირებული პანკისის ხეობაში სკოლის შენობის აგება (1899 წ.) და მრავალი სხვა საჭირბოროტო კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო საკითხის მოგვარება.

ამის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილები ჯოყოლოელებსა და თუშებს შორის მამულებთან დაკავშირებით გაჩენილ დავაზე, გზის უვარგისობაზე, მკითხაობაზე, ხალხის მოტყუებაზე, მკვლელობაზე, ცხვრის დაავადებებზე, ამინდზე, მოსავალზე და სხვ.

---

[1] *ვაჟა-ფშაველა*, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, თბ., 1961, გვ. 138.

მწერლობასა და ეთნოგრაფიაში პირველი ნაბიჯები მ. ალბუთაშვილმა ვაჟა-ფშაველას ხელდასხმით გადადგა. მან გაზეთ "ივერიაში" გამოაქვეყნა ეთნოგრაფიული წერილები შემდეგი სათაურებით "ქისტური დოღი" [1] და "ნიჯუა, სინა და ოოღუაი." [2]

აღნიშნულ წერილებში აღწერილია ქისტების დღესასწაულები: ახალი წელიწადი, წყალკურთხევა და სხვ. იქვე ფოლკლორული ჩანაწერებიც გამოქვეყნდა. [3]

ცნობილია, რომ საქართველოს კუთხეთა ეთნოგრაფიული მასალების შეკრება-შესწავლაში დიდი შრომა აქვთ გაწეული XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს: რაფიელ ერისთავს, დიმიტრი ბაქრაძეს, ნიკო ხიზანაშვილს, ვაჟა-ფშაველას, თედო სახოკიას, ნიკო ჯანაშიას, ბესარიონ ნიჟარაძეს და სხვებს.

პანკისის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული შესწავლა მ. ალბუთაშვილმა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწყო. მან ეს ხეობა ერთ-ერთმა პირველმა აღწერა და მისი საფუძვლიანი დახასიათება შემოგვინახა.

ამ ნაშრომის შინაარსის გაცნობის შემდეგ, ავტორის დამოკიდებულება შესასწავლ ობიექტთან უკვე გასაგები ხდება. გამოკვლევის ავტორისეული სათაურია: *"პანკისის ხეობა (ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა და მცხოვრებთა ეთნოგრაფიული გარჩევა)"*.

გამოკვლევა თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან – XX საუკუნის 30-იან წლებამდე იწერებოდა.

1934 წელს მ. ალბუთაშვილმა ეს აღწერილობა გადაათეთრა ერთ დიდ დავთარში, რომელიც ჩვენთან ინახება. მისი ხელნაწერი 1969 წელს გადმოგვცა ავტორის შვილმა – ნიკოლოზ მათეს ძე ალბუთაშვილმა.

ეს ნარკვევი დაყოფილია შემდეგ ქვეთავებად: "პანკისის ხეობის ტერიტორია და საზღვრები," "ფლორა და ფაუნა," "გზები და

---

[1] გაზეთი *"ივერია"*, 1902, № 255.
[2] გაზეთი *"ივერია"*, 1903, № 27.
[3] გაზეთი *"ივერია"*, 1903, № 27.

ბილიკები", "ხეობის სოფლები და მოსახლეობა 1901 წლის აღწერით", "ჩაცმულობა", "სახლები და მათი არქიტექტურა", "ხასიათი", "ქისტის ზნეობა", "მცხოვრებთა საქმიანობა", "ენა", "მიცვალებულის დამარხვა", "ნიშნობა", "ქალის გათხოვება", "ურბეთი", "ქორწილის წესი", "ქალის გატაცება", "ადმინისტრაციული მხარე", "შვილების აღზრდა", "ფიცი", "სისხლის საზღაური", "შერიგების წესი", "დაძმობილების წეს-რიგი", "სტუმართმოყვარეობა", "ნათესაობა", "ექიმობა", "მკითხაობა", "ოჩხარი", "ლეგენდები და თქმულებები", "სალოცავები და ეკლესიები" და სხვ.

აღნიშნულ ნარკვევში მკითხველი შეხვდება საგულისხმო დაკვირვებებს ქისტურ ენაზე, სიტყვა "ქისტის" ეტიმოლოგიასა და მრავალ საწეს-ჩვეულებო რიტუალზე.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ოჩხარის წესის აღწერილობას: "ქისტი სათხოვნელად ეგრე უბრალოდ არ გამოგიშვერს ხელს, არამედ მოგონილი აქვს ამისათვის სხვა ხერხი და ოსტატობა.

როცა სათხოვარი საქმე ერთ კაცთანა აქვს, მაშინ ერთი ჩარექა სასმელიც საკმარია, ხოლო მეტ ხალხთან, რა თქმა უნდა — მეტი დასჭირდება. ერთ ჩაფს, ან ცოტა მეტ-ნაკლებს ხელადას არაყს, ან ღვინოს წაიღებს — თუ მთაში ცხვარ-ძროხის ბინებში მიდის, პურსაც გაიყოლიებს, თუ სოფელში — მაშინ პური საჭირო არ არი. მივა ერთ ნაცნობის ბინაში, თავის მისვლას შეატყობინებს ყველა ახლომახლო ბინებს, შეიკრიბებიან ვახშმად.

აღა მწყემსები დალევენ სასმელს — იქნებ საკლავიც დაუკლან, თუ კაცის თავზე არა, ბინაზე მაინც ერთი კვერი ყველი, ან ცხვარ-ბატკანი, გადადებულია საჩუქრად. ამ ჩვეულებას ოჩხარს უწოდებენ.

ეს წესი თუშებშიც ძალიან მიღებულია და ბევრს თუშს ამ საშუალებით ცხვარი გაუჩენია. ოჩხარი თუ სოფელში მიიტანა, შეატყობინებენ კომლეურად, ყველანი შეიკრიბებიან ერთ სახლში, დალევენ სასმელს — ზოგი არც კი დალევს, არც წავა, მაგრამ სათხოვარს კი მისცემს, ხოლო გაიგებენ, რას თხოულობს — სიმინდს, პურს თუ სხვა რამეს. თუ მეტი არა, კაცის თავზე ლიტრა პური, ორი ლიტრა სიმინდი აუცილებელია მეოჩხარეს

პატივსაცემად. ზოგი ხუთ ლიტრასაც გაიმეტებს. მაინც არ შეიძლება ითქვას — თხოვნა მარტო სასმელზე არის დამყარებული.

ოჩხარს კი ვერ დაუძახებთ, მაგრამ თხოვნაში კაცის ქუდსა და დედაკაცის მანდილს დიდად აფასებენ და მნიშვნელობას აძლევენ ქისტები და თუშებიც.

დიდი სისხლის ან სხვა სადაო საქმის შერიგებაში, უფროსი 10-12 დარბაისელი კაცი რომ ქუდს მოიხდის, მთხოვნელს წინ დაუწყობს და ეტყვის: აი, ეს ქუდები, ან თავზე დაგვხურე, ან ფეხით დასრისე და გადაყარეო. აქ უარის თქმა შეუძლებელია.

ორ მოწინააღმდეგე ხალხის გახურებულ ჩხუბში რომ სისხლიც მოსალოდნელი იყოს, დედაკაცი რომ მანდილს მოიხდის თავიდან და ხალხის შუა გადააგდებს, როგორც წყალგადაგდებული წისქვილი, ასე დაზავდებიან.

ამ საშუალებამ პანკისში ბევრი სისხლისღვრა შეაჩერა თუშებსა და ქისტებს შორის.

თვით ქისტებში დიდი და ძნელი საქმის მორიგებაში ქუდს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ერთმანეთის ჩხუბსა და ხანჯლების ტრიალში დედაკაცის მანდილს დიდად აფასებენ".

ცნობილია, რომ ოჩხარს საქართველოს ყველა კუთხეში მართავდნენ. ეს უძველესი ჩვეულება, როგორც ჩანს, ქისტებს ადგილობრივ მცხოვრებთაგან შეუძენიათ, თუმცა მ. ალბუთაშვილი წუხს, რომ ამან მათხოვრობის ხასიათი მიიღო.

ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1874 წელს გაზეთი "დროება" წერდა: "წელიწადი ისე როგორ გავა, რომ თითო სოფელში რამდენიმე პირმა ოჩხარი არ გააჩაღოს (ლაპარაკია ლეხურის ხეობაზე. გ. ჯ.) და აი, ახლაც ორი თუ სამი მღვდელი და რამდენიმე აზნაურიც აპირებენ თურმე ამ საქმეს. ჩვენმა მზემ, ესეც კარგი ღონისძიება არის მუქთა მჭამელებისათვის გლეხების გასაძარცვავად". [1]

---

[1] გაზეთი "დროება", 1874, № 442.

რაც შეეხება მ. ალბუთაშვილის მიერ აღწერილი ქუდისა და მანდილის მნიშვნელობას, იგი წმინდა კავკასიური ჩვეულებაა და მთის მოსახლეობაში დღესაც ცოცხალია.

ზემოხსენებულ ნარკვევში, გარდა ქისტების ეთნოგრაფიული ყოფისა, უხვად არის ჩართული ცნობები პანკისის ხეობაში მოსახლე, როგორც ქართველთა (ფშავლების, თუშების), ასევე ოსთა წეს-ჩვეულებების შესახებ. მაგალითად, საყურადღებოა დაკვირვებანი ფშაური ქორწილის, წაწლობის, ბოსლობის, რელიგიური დღესასწაულების და სხვათა შესახებ.

მ. ალბუთაშვილს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ცნობები პანკისის ხეობაში შემორჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების შესახებ. მათ შორისაა: მაისტალის ხატი ანუ წმინდა გიორგის ეკლესია, კუწახტის ღვთიშობლის, კვირაცხოველის (სოფ. კოშკებში), ბალთაგორის ღვთისმშობელი, სპაროზას წმინდა გიორგი და სხვ.

აი, რას ვკითხულობთ მაისტალის ხატის შესახებ: "ალაზნის ნაკალს ჭალაზე, მდინარის პირად, სოფელ დუისის აღმოსავლეთით, რომელსაც ქისტები მაისტალას ხატს ეძახდნენ, რადგან მაისტიდამ იყო გადმოტანილი, როგორც გადმოცემით ვიცი, ამ შენობაში იყო ხისგან გამოქანდაკებული ბავშვის სახე, მთლად ვერცხლში ჩასმული, ხელში ხმლით და ითვლებოდა ომის ღმერთად. ამ ხატს დუისელები, ამ ბოლო ხანამდე, წმინდა გიორგის სახელობით ლოცულობდნენ ყოველ გიორგობას.

წარსული (იგულისხმება XIX. გ. ჯ.) საუკუნის ოთხმოციან წლებში მაისტალა დაიკარგა. ზოგი ამბობდა, ისევ პირიქით ქისტებმა მალვით წაიღესო, ზოგი — ვერცხლის გულისთვის მოიპარესო. თვით შენობას შუბლის ქვაზე ჰქონდა შემდეგი წარწერა: "მე პანკისის მოურავმა... აღვაშენე ნიში ესე... წმ. ნი...ზის სახ... ჩემის და ჩემის მეუღლის... საოხად".

ჯოყოლოს ეკლესიის შესახებ მ. ალბუთაშვილი წერს: "ჯოყოლოს სოფლის დასავლეთით, ჭობიოს მაღლა, ტყეში, ერთი ძველი შენობაა, დანგრეული. აღარ ეტყობა, ეკლესიაა თუ სხვა რაიმე შენობა, ხოლო როგორც გადმოცემიდან ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო წმ. გიორგის ეკლესია.

მოხუცი მედავითნე *ს. ბერძენოვი* იტყოდა: "იმ შენობაში, როცა მთელი იყო, ფარულად ინახებოდა ერთი მოზრდილი თასი ვერცხლისა, ზედ წარწერით: "ვერცხლის თასი ესე შევსწირე მე, მანგლისის მცხოვრებმა სოლომონ ფიცხელაურმა ჭობიოს თაეის წმ. გიორგის ეკლესიას. დიდებით აღმატებულ არს სახელი მისი". ეს თასი შემდეგ დაიკარგა".

ზემოთ მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ პანკისის ხეობის ძეგლების აღწერილობა მანამდე და შემდეგაც არავის მოუცია. ამ მხრივ იგი პირველწყაროების შემცველია.

1891 წელს თედო რაზიკაშვილმა ხევსურეთში ჩაიწერა ქართული წარმართული მითოლოგიის მნიშვნელოვანი ნიმუში "ღვთისშვილთა დაბადება", სადაც წარმოდგენილია ხატ-სალოცავთა უფროს-უმცროსობის პრობლემა.

აქ ბერ ბუქნაი ბაიდურის შემდეგ ასახელებენ თერგვაულს, რომლის შესახებ ჩამწერი მიუთითებს: "ეს თერგვაული აქამდის არა ჩანდა, ანდრეზი კი, რომ უწინ ძლიერი სალოცავი ყოფილა.

"ქუდსაკიდელას" ეტყვიან, გორზე გზა გადის, ამ გორის პირდაპირ ერთი დიდი გორია, იმ გორისკენ თუ ქუდი არ მოიხადე და არ დაიჩოქე გამვლელმა, არ იქნება.

იმ დიდ გორაზე დიდი ნახატარიც არის. იქ ყოფილა ის თერგვაულიც. ხალხსაც მარტო მისი სახელი სცოდნია, რომ თერგვაული მდგარა იქ.

ის ხატი ახლა გამოცხადდა. იმ ხატს ოთხი ქადაგი ჰყავს, ის ქადაგები ისე წმინდობენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ქალისა კალთაც კი არ უნდა მოხვდეთ". [1]

თერგვაულზე ცნობას ვხვდებით მ. ალბუთაშვილის ნაშრომში, სადაც მკვლევარი მიმოიხილავს ქისტი ხალხის წინაპარს, მოჰყავს ისეთი თქმულება: "თვით ქისტი ხალხი პირველად როგორ გავრცელდა კავკასიონის მთებში, ამაზედ არის ერთი საუცხოო მოკლე თქმულება, გავრცელებული ხალხში: "ყოფილა მეკობრეთა ერთი ბელადი *თერგალი*, რომელიც ძალიან აწუხებდა იქაურ მცხოვრებ-

---

[1] ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1972, გვ. 299.

ლებს. შეწუხებულ ხალხს ერთხელ გადაუწყვეტია, როგორმე მოეშორებინა მტერი.

თერგალს სცოდნია ერთი თვით ძილი. ხალხმა მოახელა თერგალი მძინარი, მოკვლა ვერ გაუბედა, მოსისხლეობის შიშით. მძინარე ჩააწვინეს საკაცეში, წამოიღეს დარუბანდისაკენ და იქ, კავკასიონის ერთ შევარდნილ ხეობაში დააწვინეს. თან დაუტოვეს ცოტა საგზალი და თავისი იარაღი. გაანებეს იქ თავი.

თერგალს თავის დროზე გამოელვიძა, ვერ გაარკვია სად იყო. ჭამა პური, ავიდა მაღლა მთაზე, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაიგო თავისი ბედისა.

თერგალმა ერთ მოხერხებულ ადგილს დაიდო ბინა, ნადირობითა ცხოვრობდა, ცოლიც მალე გაიჩინა. ეყოლა ორი ვაჟიშვილი.

უფროსი ვაჟიშვილი რომ დაებადა, მას ხელში ხის პატარა ტოტი მისცა და სახელი ამ ტოტისა უწოდა. ხის ტოტი ქისტურად არის "ღა", აქედან "ღა-ღა" — "ღალღა".

მეორე ვაჟი რომ დაებადა, ყველის ნაჭერი ეკავა, მთლად დათვსა ჰგავდა. სახელად ზოგმა ყველის ნაჭერი უწოდა, ზოგმა დათვის. ქისტურად ყველი არის "ნეჩხ", აქედან — "ნოხჩ". დათვი ქისტურად — "ჩა", აქედან — "ჩაჩანი".

ამ ორი ძმისგან წარმოიშვა კავკასიის მთის ხალხი: ჩაჩანი-ნოხჩი, ღალღა-ინგუში, ქართულად — ღლიღვი, ღლიღვ-ლეკები, ქერისტი-ქისტი და სხვა.

თეგალი სიბერის დროს თერგის წყალში დაიხრჩო და წყალს სახელი უწოდეს "თერგი".

გამრავლდა ხალხი, აქეთ-იქით გაიწ-გამოიწია, ზოგი დაბლა, ველად ჩამოვიდა, ზოგან ადგილმა მიიღო ხალხის სახელი, ზოგმა ხალხმა კი ადგილის სახელი. დაბლა ველად — ჩაჩანი, ნოხჩი, ინგუში. ღალღას მეთაურობით დაფუძნდა სოფლები: ინგუშეთი, ზაუგი, ნაზრანი. პირაქეთ დუისი, ჯოყოლოც ხომ ასეა დაარსებული პანკისის ხეობაში — დუისა და ჯოყოლას მეთაურობით".

მ. ალბუთაშვილი თავის ნარკვევში ქისტი ხალხის წინაპრად ასახელებს თერგალს, რომელიც წარმართულ სამოსელშია გახვეული, თუმცა ნაწილობრივ ეპოსის ნიშნებსაც ატარებს.

პროფ. მიხეილ ჩიქოვანის დასკვნით: "თერგაული წარმართულ სალოცავად ჩანს. მისი ფუნქციების დაწვრილებით შესწავლა მომავლის საქმეა. ჯერჯერობით იმას აღვნიშნავთ, რომ მისი სახელი საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს შორეულ წარსულში ფიქსირებულ ონომასტიკასა და ჰიდრონიმებთან" აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველთა ეთნარქის თარგამოსის და მდინარე თერგის სახელები: თერგვაულ-თერგაულ-თერგ-თარგამოს. შესაძლებელია ეტიმოლოგიურმა ძიებამ ამ სამი სახელის საერთო ძირიდან მიმდინარეობა დაადასტუროს. [1]

მ. ალბუთაშვილი პანკისის ხეობის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე იყო. მასთან საკონსულტაციოდ მიდიოდნენ და წერილებსაც წერდნენ.

ერთ-ერთ წერილში ცნობილი პედაგოგი გიორგი ნათაძე მ. ალბუთაშვილს წერდა: "კაცო, ერთი წოვებზე დამიწერე რაც იცოდე, სხვათა შორის კი აი, აქ სულ კითხვებია ამის შესახებ.

პროფ. ალბროვი ადგენს კავკასიის ხალხთა შედარებით ეთნოგრაფიულ ცნობებს და მთხოვა ეს ცნობები მეშოვნა. შენზე კარგად ვის ეცოდინება. რუსულად იმის დაწერილებია. შრომის ფასს გამოგიგზავნის. მეც იმასთან ვმუშაობ და ქართულს ვასწავლი.

ნუ დაიზარებ, ჩემო მათე, კარგი იქნება ქართულად დასწერო. იყავ ყოჩაღად. შენი ერთგული ძმა გიორგი ნათაძე".

აღნიშნულ წერილში ალბროვის ხელით ჩამოწერილია 8 კითხვა. აი ისინიც: 1. ბავშვის ენა — (ბაბა, კაკა და სხვა), 2. ქალის ენა (ქმრებს როგორ ეძახიან, ან განსაკუთრებული სახელები რაიმე საგნებისა. მაგ. მყეფარი), 3. უბრალო ხალხური ენა. ა) კაცების, ბ) ქალების. 4. მონადირის ენა, 5. მწყემსის ენა, 6. წოვა თუშების ენა, გვარი, სახელი, მამის სახელი და საგვარეულო წარმოშობა ცალკე გვარებისა, 7. აღწერეთ დაწვრილებით წოვების უძველესი ღმერთი (სიგ), მთელი მათი ლოცვა და

[1] ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1972, გვ. 301.

ა.შ. როგორ და როდის წარმოიშვა წარმართული დღესასწაული ცუ. 8. აღწერეთ წოვების ღმერთი ეშტრ (მკვდრების ღმერთი)". [1]

იმავე წერილში ვკითხულობთ: "პროფ. ალბოროვს აინტერესებს პანკისელი ქისტები თუ როდის არიან გადმოსახლებულნი, საიდან, ზნე-ჩვეულება, რამდენნი არიან, გვარები, მღვდლები და ნასწავლები; პანკისელ ქისტებზე ქართული ენის გავლენა".

მ. ალბუთაშვილი ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ფოლკლორული მასალების ჩამწერი. ხელთ გვაქვს მის მიერ ჩაწერილი რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში, რომელთაგან სანიმუშოდ ერთ ლეგენდას მიმოვიხილავთ.

1910 წელს მან პანკისის ხეობაში ჩაიწერა ლეგენდა ქრისტეს შესახებ, სადაც აღწერილია ამირანის თქმულებაში მოხსენებული ტოპონიმი — სპეროზა.

აი, ეს თქმულებაც: "პანკისის ხეობის სათავეში, სადაც მისწყდება საურმე და დაიწყება საცალფეხო გზა, სადაც ორი მდინარე — წიფლოვანის ხევი და მახვილი ერთმანეთს შეაწყდება და გამოსწევს კახეთისაკენ მდინარე ალაზნად წოდებული, სწორედ იმ ადგილას, პირდაპირ აღმართულია ერთი უზარმაზარი, სხლარტი და მაღალი კი არა, უფრო განზე გაწეულ-გაბებღილი, ქანჩახ-ქარაფებიანი მთა, რომელსაც ხალხი სპეროზას ეძახის.

მდინარე ალაზნის მარჯვენა მხრით სპეროზას ქვემოდან შესაქცერის ერთი მთა, რომლის წვერზე მოსჩანს რაღაც ძველი ნანგრევები და ამ ნანგრევებს ხალხი "სპეროზას წმ. გიორგის" სახელით იხსენიებს.

აქ სალოცავად დადიან 10 გიორგობისთვის უფრო კახეთიდან. თვით იქ, ადგილობრივ, ასვლა მონადირეს გარდა სხვა კაცთაგან ძნელია, გზა მდინარე ალაზნის მარცხნივ შეუდის და ამავე მხარეს სალოცავს პირდაპირ ტყიანს პატარა გორაზე სასანთლეა გაკეთებული და მლოცავი იქაჲდგება ღამის სათაევდ.

ვიდრე მლოცავი ამ ადგილს მიაღწევს, ერთი კარგა მაღალი და ტყიანი მთა უნდა გადაიაროს. გზა მიდის იმისთანა ფერდობზე,

---

[1] წერილები ინახება ჩვენთან.

ლილასავით ლურჯს სალ კლდე ტინზე, რომ რაც უნდა შეჩვეული თვალი შეხვდეს, მაინც შეეშინდება. ერთი უცბად რომ ცხენს ან კაცს ფეხი წაუფორხილდეს, ოცი საჟენის სიმაღლიდან ისე დაეცემა ძირს მდინარე ალაზნის რიყეზე, რომ გზად ბალახსაც ვერ მოხვდეს. აი, ამ გზაზე, ამ სალ კლდე — ტინზე ერთ ადგილას ამოჭრილია ვერშოკნახევარი სიგრძე და ვერშოკის სიგანე. რაშიც, მართლა, ჯორის ერთი ფეხი ჩაეტევა.

ამაზე არსებობს ხალხში შემდეგი ლეგენდა: იესო ქრისტე რომ ქვეყნად დაიარებოდა, სხვათაშორის, იმოგზაურა იმ მთებშიც, რომელზეც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი. იქიდან რომ მოდიოდა, ჯორზე იჯდა და ჩონგურს უკრავდა. გზაში აუჩნდა ეშმაკი და ჩამოეკიდა. მაგ დასაკრავის სახელი უნდა მასწავლოო, ქრისტე ყურსაც არ უგდებდა ეშმაკს და ჩონგურის დაკვრას განაგრძობდა. ეშმაკმა რომ თხოვნით ვერაფერი გააწყო, ისევ თავის ხერხს მიმართა: ქრისტეს გზა მოუჭრა, წინ ჩაუსაფრდა და ჯორი დაუფრთხო. ქრისტემ თავის ჯორს შესძახა: "დაიცა, წყეულო, ჩონგური არ გამატეხინოო".

ამნაირად, ეშმაკმა თავის მიზანს მიაღწია და ის ნაფეხურებიც მაშინ დააჩნდა იქ, კლდესა, რომელსაც დღეს ხალხი "ჯორის ნაფეხურს" ეძახის.

მართლაც, ხალხი რაღაც სასოებით უყურებს ამ ამოჩვრეტილ კედლებს. საზოგადოდ ეგრე მგზავრი ფეხს არასოდეს არ ადგამს ამ ადგილას, ხოლო სალოცავად მიმავალი კახეთის ხალხი რომ გაივლის, თვითეული მათგანი აავსებს ამ ამოჭრილს ტინს ღვინით, დაილოცება, დაეწაფება და მოსწრუტავს. მერე ისევ აავსებს, ზედ ერთ შოთ პურს დადებს და ისე წავა". [1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთში, სოფელ დოჭუს თავში არის ძველი სალოცავი ადგილი — სახეო. სალოცავად მიმავალი ხალხი სოფლის ჩრდილოეთისაკენ შეამჩნევს ერთ ქვას, რომელსაც ხალხი ჯორდანალახს ეძახის. სწორედ ამ ადგილზეც ასეთივე ლეგენდა არსებობს, რომელიც 1965 წელს ჩვენ ჩავიწერეთ. სა-

---

[1] გა'სეთი *"ალაზნის განთიადი"*. თელავი, 1967, № 80.

ზოგადოდ, ეს სიუჟეტი მოარულია და მთელს საქართველოშია გავრცელებული.

ამირანის მიჯაჭვის ადგილის — სპეროზას შესახებ ნარკვევში სწერია: "ხალხში დღესაც დარჩენილია თქმულება, მითომ ამ მთებში იყო დაბმული და დამწყვდეული გმირი ამირანი და ისა ქუხდეს ხანდიხან. ალბათ, ამავე თქმულების მიზეზით — მთას წინიდან შუბლში ერთი გამოწეული რუივით სერი ჩამოსდის და ამ სერს ხალხი ამირანის კუჭს ეძახის"

პანკისის ხეობაში მცხოვრები ფშაველების ნიჭიერების შესახებ მ. ალბუთაშვილი წერს: "ბევრს აქვს პოეტური ნიჭი, მაგრამ რჩება დაუწერავი, ლექსი გამოპყავთ რიტმიანი, რვა მარცვლიანი. ხან დიალოგიურიც, მაგრამ უმწერლობით ყველა იკარგება; ამავე მიზეზით იკარგება გამოცანები, ზღაპრები, ანდაზები...

ესენი ყველა რომ შეიკრიბოს მთელი წიგნი გამოვა, მაგრამ ამასაც წერა-კითხვის მცოდნე ხელი სჭირდება" იგი იქვე შენიშნავს, რომ "ფშაური ზღაპრები უფრო რელიგიურ-გმირული ხასიათისაა მაგ. კოპალაზე და სხვა ღვთიურ, წმინდა ხალხზე"

აღსანიშნავია, რომ პანკისელ ქისტთა კულტურულ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობაში მ. ალბუთაშვილი რუსეთის საიმპერიო ადმინისტრაციას ადანაშაულებს. იგი წერს: "მთავრობას რომ ქისტებისთვის, როგორც ნიჭიერი ხალხისთვის, სულ უბრალო, ელემენტარული შეგნებით ხელი შეეწყო, ამით კიდევ მშვიდობიანი კავშირი და ზრდილობიანი მისვლა-მოსვლა ექნებოდათ პირიქით თავის ხალხთან და თუ განათლებას რამეს ვერ შეიტანდნენ, ურიგო ქცევას მაინც დააშლევინებდნენ, ალალ შრომა-მუშაობას მიაჩვევდნენ და მით მოიქცეოდა მთა-ქისტეთს ხალხი.

ეს კარგად იცოდა მეფის რუსეთის მთავრობამ და ამიტომ, ესენი კი არა, ქისტები სადაც იყვნენ, იქაც ეჯავრებოდათ და არც უსვენებდათ მათ. ეს საშუალება თვით ამ ერთი ბეწვა ხალხს ისე გასთქვეფავდა მახლობელი კახეთის ხალხში, რომ ეს არაადამიანური ჩვეულება ამათი — მოსისხლეობა კი არა, თავიანთი მშობლიური ენაც დაავიწყდებოდათ!"



დეკანოზი მათე ალბუთაშვილი
(1940 წ.)



მათე ალბუთაშვილი ცოლ-შვილთან ერთად
(1898 წ.)



მათე ალბუთაშვილი
(1916 წ.)



წმ. გიორგის ეკლესია სოფელ ჯოყოლოში
(აშენდა 1887 წ.)

საეკლესიო სახლი ხიფვილ ჯიეფილეში

ხევსურები

ფშავლები

ხეხენი

პანკისელი ქისტები

პანკისელი ქისტების – ხანგოშვილების ოჯახი
მარცხნიდან და-ძმანი: ძაბაანთ, ალექსი, ომარ და ზაირა ხანგოშვილები.
სხედან: ოჯახის უფროსი მახამღაზ ხანგოშვილი და მისი მეუღლე ძაბა
ბალაკაშვილი. შუაში დგას მათი უმცროსი შვილი ხასო ხანგოშვილი
(სოფელი დუისი, 1949 წ.)



სოფელ ღუისის საერთო ხედი



პირველი მეჩეთი პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში
(აშენდა XIX საუკუნის მიწურულს)



ᲩᲔᲛᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

მე, ნიკოლოზ მათეს ძე ᲐᲚᲑᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, დაბადებული 1862 წ. ფეოდოსიის რაიონის /ყოფ. ფიანდეოს მაზრა/ სოფ. ᲙᲝᲣᲚᲘᲠᲝᲨᲘ. ეროვნებით ᲕᲐᲠ ᲥᲘᲡᲘ.

პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე აღგილობრივ. საშუალო სწავლა მივიღე ფოთის მე-3 ვაჟთა გიმნაზიაში რომელიც დავამთავრე 1916 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ამავე წლის შემოდგომიდან სამხედრო სასწავლებელში და დავამთავრე 1917 წლის 1 თებერვალს სამხედრო სასწავლებლის დამთავრებისას დანიშნული ვიყავი, მაშინ მაზრისაში მიგზავნეს, მე-117. სავალალოგ პოლკში რომელშიაც დავრჩი იმავე წლის აპრილის 23-დე. 1917 წლის 23 აპრილს გადმოვედი ვიყავი ლსმაღლების ფრონტზე მე-7 დივიზიის შეაბის უფროსის განკარგულებაში ქ. აბრუმში. დივიზიის შეაბის მიერ ვიგზავნები მე-27 მსროლელ პოლკში რომელიც მაშინ მოქმედობდა" საიტალიგის" სიმაღლეებში. პოლკში ვირიცხები ასეულის უმცროს ოფიცრის მანამდებობაზე. 1918 წელში დავთავრდი ვიყენ ფალარიგში. 1919 წელში მესამე საველო უნივერსიტეტის საქმიმ ფაკულტეტზე. 1920 წლის მაისში გაწვეული ვიყავი ჯარის რიგებში 1921 წლის დასაწყისში ვიყავი საიაშერ ფალარიგში. 1922 წლის ოქტომბერში დანიშნული ვიყავი სამხედრო კომისარიატის მიერ სამხედრო საყოველთაო სწავლების მე-4 სკოლის ინსტრუქტორად სოფ. ᲙᲝᲣᲚᲘᲠᲝᲨᲘ. 1923 წელში საყოველთაო სწავლების დამთავრების გამო გამოწვეული ვიყავი ფეოდოსიაში. ამავე წლის ივნისიდან ფეოდოსიის ქალაქის მილიციაში ᲣᲤᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲠᲘᲐᲚᲘ. 1924 წელში ᲛᲣᲨᲐᲝᲑ ᲡᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲣᲚᲐᲒᲐᲠᲘᲐᲚᲘ. 1925 წლის ივნისიდან ენისეის გუბერნიის ᲡᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ. 1926 წლიდან 1928 წლამდე ᲛᲣᲨᲐᲝᲑ. ᲤᲔᲝᲓᲝᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲝᲠᲔᲚᲘᲐᲓ 1928 წლიდან 1929 წლის დამდეგამდე ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲡᲙᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲛᲬᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲝᲠᲔᲚᲘᲐᲓ. 1930 წელს ᲛᲣᲨᲐᲝᲑ Ქ. ᲤᲔᲝᲓᲝᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲔ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲝᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲨᲘ. 1934 [illegible]

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲫᲔ ᲐᲚᲑᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
(1936 წლის 21 მაისი)



21/5-36 წ.

ზეიკანის მექანიკუმის სამეცნიერო
აღმზრდელი: [illegible]

ნიკოლოზ მათეს ძე ალბუთაშვილის ავტობიოგრაფია

(მეორე გვერდი)

საქართველოს სსრ
საისტორიო სამეცნიერო საზოგადოება
ГРУЗИНСКАЯ ССР
ИСТОРИЧЕСКОЕ НАУЧНОЕ ОБЩЕСТВО
[illegible] ტელეფონი 11 [illegible]
[illegible] ქ. [illegible]
ტელ. 11 [illegible]
[illegible]
ელფოსტა // 4 ელმ.ფ.ე-41-68
[illegible]

№ 5 4 . თებერვალი 1977 წ.

კომუნისტებლობა "საქართველოს" დირექციის
პატ. ე.ბერაძეს

საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი ეხმიანება ბიბლიოთეკა ასაბეჭდად მიმზადებული ნაშრომი – "პაპუისის ხეობის ისტორიული-ეთნოგრაფიული ნარკვევი", რომელიც XIX-XX საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი. ნაშრომი ორიგინალურია საინტერესო ფაქტებია აღებული. ნაწილების ნაწილი ავტოტექსტებულია ჟურნალში "მოკავშირე".

ე.ალბუთაშვილის ნაშრომი შეიცავს ბევრ უცნობ, მეცნიერულად ღირებულ მასალას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის კარგად ცოდნა, რომ პაპუისის ეისტების ყოფა და კულტურა ბევრმე ფესვგადგმულია. ამ ასრულ ნაშრომი [illegible] მოუკანს ქართველ-კავკასიურ ურთიერთობის შესწავლის საქმესაც.

ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა, წესიერი და კომპეტენტური ეკუთვნის მეცნიერ-მკვლევარს ციორგი ჯაფარიძეს. ნაშრომა 10 მაბ. მოცულობისაა.

საქართველოს საისტორიო საზოგადოების
პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი ბ.ჩიქოვანი

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას წერილი
(1977 წლის 4 თებერვალი)

«КИСТИ ЧОБАНИ»

Первый писатель-кистинец

В конце XIX века в грузинской прессе появился псевдоним «Кисти чобани» (Кистинец-пастух). Автор, под этим псевдонимом, писал о жизни кистинцев, переселившихся из Чечни в Грузию, в Панкисское ущелье. Редактор газеты «Иверия» Илья Чавчавадзе с большим интересом следил за письмами и информациями «Кисти чобани».

Под псевдонимом «Кисти чобани» писал кистинец Матвей Ошаевич Абубуташвили (1863 — 1932). Его первые произведения сначала в Мтиуло, в родном селе проживал в селе Чобани, Джаредо, Хорбало, в потом поселились в Панкисское ущелье в селе Дзиндзиста. Прежней фамилией Абубуташвили было Абдуш.

Первоначальное образование М. Абубуташвили получил в четырехклассных училищах Тианети и Алвани. В 1880 году он был зачислен в Телавское духовное училище. Учителем этого же училища был национальный грузинский поэт Вано Пилавели.

В 1888 году М. Абубуташвили прервал учебу в Телавской духовной семинарии, после окончания которой в 1893 году вернулся в родное Панкисское ущелье учителем школы села Джиоло. 28 лет он верно служил делу образования и культуры этого края.

М. Абубуташвили свои первые шаги в этнографическую науку и литературу сделал с помощью Вано Пилавели. Когда он в 1903 году в газете «Иверия» опубликовал статью о кистинцах, сказал, Вано повлиял его в вопросах этнографическом изучить историю и этнографию кистинцев, что он и выполнил с честью.

Плодотворный труд М. Абубуташвили, который сейчас развернут перед нами, является лучшим образцом, как с любовью и знанием дела надо изучать жизнь родного народа. Труд делится на следующие главы: «Территория и границы Панкисского ущелья» «Фауна и флора», «Горцы и горцы», «Семья и население ущелья по переписи 1901 года», «Одежда», «Дома и их архитектура», «Характер кистинца», «Нравственность», «Занятия населения», «Язык», «Потребление населения», «Почитание», «Замужество», «Уборы», «Обычаи свадьбы», «Похоронные церемонии», «Военные танцы», «Пляска», «Семейные нравы», «Порядок приглашения», «Порядок братания», «Гостеприимство», «Родственность», «Происхождение», «Легенды и сказания» и другие.

В указанном труде М. Абубуташвили читатель найдет интересные наблюдения в кистинском языке и этнолексики кистинцев «Кистинский». Очень интересная занимательная о предке кистинского народа — «Тергали». Несколько одна предыдущая глава рассказывается «Фауна и флора», «Горцы и горцы», «Семья и население ущелья по переписи 1901 года», «Одежда», «Дома и их архитектура», «Характер кистинца», «Нравственность», «Занятия населения», «Язык», «Потребление населения», «Почитание», «Замужество», «Уборы», «Обычаи свадьбы», «Похоронные церемонии», «Военные танцы», «Пляска», «Семейные нравы», «Порядок приглашения», «Порядок братания», «Гостеприимство», «Родственность», «Происхождение», «Легенды и сказания» и другие.

В указанном труде М. Абубуташвили читатель найдет интересные наблюдения в кистинском языке и этнолексики кистинцев «Кистинский». Очень интересная занимательная о предке кистинского народа — «Тергали». Несколько одна предыдущая глава рассказывается — пишет М. Абубуташвили. Народ был в отчаянии и отчаяние решили избавиться от него. Оказывается, когда Тергали сжимал, стал сильной женщиной. Народ звал Тергали слишком, убить не посмели, сжимать положили на носилки, понесли в сторону Дарьяльского и там, в одном из глубоких ущелий бросили, оставив его одного и немного нашел Богда. Тергали прислушался, не смог определить где он находится, пришел домой, подошел на высокую гору но вместе не сомкнул. Поселился в одном удобном месте, замаскировал входной и вскоре нашел себе и жену, которая родила двух сыновей. Когда родился старший сын, Тергали дал ему в руки палку, как метку и дал ребенку имя этой стены. Дитя по кистинским «Гар», отсюда «Гагал» т. е. «Гагал». Второй сын при рождении был белым на медведицу и дал ему в руки сыр. Недолго что звали медведь, которые — кусок сыра. Пастинский сын — «Ничо», медведь — «Ма», отсюда «Чиа». От этих двух братьев произошли горские народы Кавказа: Чиаи — Ингуши, Гагал — Ингуши, по-грузински — Гагаи, Керсини — Инги и др. Тергали в старости утонул в реке и эту реку назвали «Тергали» (Терек). Потомство Тергали и его сыновей потом размножились и разошлись по сторонам, некоторые спустились в долину, где местность пришлась по нраву народу, кое-где народ нашел жестяти В долине Чечены, Ингуши, Гагаи обосновался села Дзаги, Назрань, а в ущелье Панкиси кистинцы обосновали сами Дуиси и Дзиоло в честь своих предшественников Дуи и Дзиоло.

Интересна, что в 1891 году известный писатель и фольклорист Тедо Рачинашвили в Кахетии записал одну сказку, где описывается традиция страшилищ среди мальчиков мест Хельдуати. Именно здесь после Серы Бунаиай Бальура начали Тергали, в ритуальные молитвы, о которой пишет писатель.

Думается здесь не случайно совпадение в фольклорах традиции грузинского «Тергали» в кистинского «Тергали». Может быть этнографические и географические исследования тоже принесут в этом?

Не указывает на все это не объяснить представителя грузинской «Тергали», предка кистинского народа «Тергали», называя реки «Терек» и предка кистинского народа «Тергали». А может быть ключ второго вопроса дан в дальнейшем труде Матвея Абубуташвили.

К Матвею Абубуташвили, как к лучшему знатоку, историю и этнографии населения Панкисского ущелья, часто обращали для консультации и помощи с ним переписку.

В одном из таких кистинский ученый выступает в публикуют Георгий Натадзе писал М. Абубуташвили: «Нашелся что знать о «вовь-пушищем». Профессор Ахворов говорит, что составляет сравнительная этнографическое сравнение народов Кавказа, и просил доехать сразу о нем. Лучше тебя, наверно, никто не будет знать. Заранее будет признателен. Я тоже работаю у нас и учу его грузинскому языку. Лучше, если напишешь по-грузински. Будь здоров. Твой верный брат Георгий Натадзе (Пишет пишется у нас)».

В этом же письме Г. Натадзе пишет: «Проф. Ахворов интересуется, когда пришелцы кистинцы переселились, откуда их обычаи, сколько их, фамилии, образование и др.

М. Абубуташвили записал такие образцы кистинского фольклора и бытовой жизни Ему не принадлежат сведения о язычестве богов пока-пушищем «сам», «пу» и «пиштер».

Таким образом М. Абубуташвили первым изучил историко-географический этно-фольклорный быт населения панкисского ущелья, своим трудом, пусть которого пользуется у нас, оказал заметную услугу людям, интересующимся изучением кавказских народов.

Г. ДЖАВАХИШВИЛИ,
доцент Телавского педагогического института, кандидат филологических наук.

В 1994 (28. X. 1994 ‡.) "СВОБОДА"

მ. ალბუთაშვილმა პირველმა ჩაიწერა ქისტური ფოლკლორის ნიმუშები, მოგვცა ცნობები წოვა თუშების წარმართულ ღვთაებების "სიგ", "ცუ" და "ეშტრის" ირგვლივ.

"ქისტი ჩობანის" ნაშრომიდან რამდენიმე მონაკვეთი გამოქვეყნდა იმდროინდელ ქართულ პერიოდიკაში. მაგალითად, 1904 წელს ჟურნალ "მოგზაურში" დაბეჭდა ვრცელი სტატია სათაურით — "პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა) გეოგრაფიულ-ისტორიული აღწერა და მცხოვრებთა ეთნოგრაფია", რომელსაც ჟურნალის რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა "მშვენიერი აღწერა" უწოდა. [1]

მ. ალბუთაშვილის კალამს ეკუთვნის მხატვრული ნაწარმოებებიც, სადაც აღწერილია ქისტების ცხოვრება. ესენია: "მაგდანი", "გებიშ ჰაჯი", "მცირეწლოვანი მესისხლე", "ყინტურ დეეხინ", "ნათლია სანდრო", "გველის თვალი", "ჭრელი ფარდაგი", "სათევზაოდ", "ნათაგური", საბავშვო შარადები და გამოცანები. [2]

აღნიშნული ნაწარმოებები ყურადღებას იქცევენ საინტერესო სიუჟეტით, ფრაზეოლოგიური და ლექსიკური მრავალფეროვნებით. ჩანს, იგი პირველი ქისტი მწერალი იყო, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ქისტების თემა ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ გააგრძელა და კავკასიელი ხალხების მეგობრობა-ერთიანობა იქადაგა.

ვაჟა-ფშაველასთან მ. ალბუთაშვილს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. მათ ერთმანეთი თიანეთში გაიცნეს. ამის შემდეგ, ისინი ხშირად ხვდებოდნენ თელავში, ახმეტასა და პანკისის ხეობაში.

ვაჟას გარდაცვალების შემდეგ, მ. ალბუთაშვილი თვითონ ჩაუდგა სათავეში პანკისის ხეობის მცხოვრებთა რაზმს და პოეტის დაკრძალვას დაესწრო.[3]

მ. ალბუთაშვილი ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, როგორც პედაგოგი და სასულიერო მოღვაწე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

---

[1] ჟურნალი *"მოგზაური"*, თბ., 1904, №1-2, გვ. 98-110; № 5-6, გვ. 419-445.

[2] მ. ალბუთაშვილის მხატვრული ნაწარმოებები და სხვა მასალები ინახება პროფ. ა. შავხელიშვილთან.

[3] ჟურნალი *"მოგზაური"*, ტფილისი, 1904, №1-2, გვ. 98-110; № 5-6, გვ. 419-445.

იგი 1893 წელს დაინიშნა ჯოყოლოს პირველდაწყებითი სკოლის გამგედ და პანკისის ხეობის მცხოვრებთა განათლებისა და კულტურის საქმეს 30 წლის მანძილზე უძღვებოდა. დიდ ქართველ პედაგოგთან და საზოგადო მოღვაწესთან იაკობ გოგებაშვილთან მას ასევე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა.

1894 წელს მ. ალბუთაშვილი ხელასხმულ იქნა მღვდლად სოფელ ჯოყოლოს წმიდა გიორგის ეკლესიაში. იგი სხვადასხვა დროს მსახურობდა თელავის ფერისცვალების ეკლესიაში და სოფელ შილდის სამრეველოში. იყო ალავერდის საეპარქიო კანცელარიის მდივანი (1924-1929 წწ.).

შემორჩენილია მიმოწერა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატე ცინცაძესა და მ. ალბუთაშვილს შორის.

ერთ-ერთ წერილში მ. ალბუთაშვილი კ. ცინცაძეს აუწყებდა: "1921 წელს საქართველოს გასაბჭოებისას დამატუსაღეს გზაში ყაჩაღებმა. ბევრი მცემეს, კინაღამ მომკლეს... შვიდი თვე ორთაჭალის ციხე მალესინეს".

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი მ. ალბუთაშვილს ატყობინებდა: "მამაო დეკანოზო მათე! სალამი და ლოცვა-კურთხევა ჯალაბით. თქვენი წერილი მივიღე. მაგ მიმართულებით არა გამოვა. მომწერეთ რამდენია ნავარაუდევი თქვენი შემოსავალი და რამდენს მთხოვენ. აღვძრავ შუამდგომლობას და იმედი მაქვს შეგიმცირებენ.

მუდამ თქვენი მლოცველი კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე" (ზემოხსენებული წერილები დაცულია საქართველოს საპატრიარქოს არქივში).

მ. ალბუთაშვილს სხვადასხვა დროს დაუმსახურებია: "ნამენდრიკი" (1901 წ.), "სკუფია" (1910 წ.), "კამილავკა" (1917 წ.), "დეკანოზობა" (1925 წ.), "ენქური" და "მიტრა" (1935 წ.).

1953 წელს მ. ალბუთაშვილი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია თელავის ქართველთა სასაფლაოზე.

თელავში, უწინდელ "მღებრების ქუჩაზე," რომელიც ამჟამად 1989 წლის 9 აპრილს დაღუპული გმირის — ზაირა კიკვიძის სახელს ატარებს, დგას ალბუთაშვილების სახლი, სადაც ცნობილი

ქართველი და კავკასიელი მოღვაწეები ხშირად იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე საუბრობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ზაირა კიკვიძე იყო ასული გამოჩენილი ისტორიკოსის აბელ კიკვიძისა, დისწული სახელოვანი პოეტის ტიციან ტაბიძისა და მეუღლე მათე ალბუთაშვილის შვილიშვილის — ალექსანდრე ალბუთაშვილისა. გ. ჯ.)

ვფიქრობთ, მკითხველმა უნდა იცოდეს მ. ალბუთაშვილის ნაშრომის აღმოჩენის, პუბლიკაციისა და შესწავლის ისტორია.

დიდი ქართველი მწერლის გიორგი ლეონიძის დავალებით, წინამდებარე შესავალი წერილის ერთ-ერთი ავტორი — პროფესორი *გიორგი ჯავახიშვილი* 1960 წლიდან კრებს და მეცნიერულად იკვლევს ცალკეულ საოჯახო არქივებს. სწორედ ამის საფუძველზე დაიწერა მისი გამოკვლევა — "ნამცვრევის" სახელწოდებით, რომელიც 1975 წელს ალმანახ "მეგზურში" (№ 3) გამოქვეყნდა და ასევე რამდენიმე წიგნიც.

1965 წელს გ. ჯავახიშვილმა თელავში მიაკვლია მ. ალბუთაშვილის მდიდარ საარქივო მასალებს. მათი ნაწილი ამჟამად ინახება პროფესორების ლეილა მარგოშვილისა და აბრამ შავხელიშვილის ოჯახში, ხოლო ნაწილი, წინამდებარე გამოკვლევის სახით, ჩვენთან არის დაცული.

მ. ალბუთაშვილის მოღვაწეობისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით დაწერილ გამოკვლევებს გ. ჯავახიშვილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1967 წლიდან აქვეყნებს.

აღნიშნულ თემაზე დაწერილი მოხსენებები მან წარადგინა სამეცნიერო კონფერენციებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტსა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, აგრეთვე მოეწყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების მიერ.

მოგვიანებით, აღნიშნული ნაშრომი გამოსაცემად მომზადდა. მასზე რეცენზია დაწერა პროფესორმა *ნიკო რეხვიაშვილმა.*

ხსენებულ რეცენზიაში (ხელნაწერი დაცულია ჩვენთან), რომელიც მისმა ავტორმა საქართველოს საისტორიო საზოგადოების

პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, აკადემიკოს *გიორგი ჩიტაიას* გაუგზავნა, აღნიშნული იყო: "გავეცანი მ. ალბუთაშვილის ნაშრომს — "პანკისის ხეობა", რომელიც სათანადოდ არის რედაქტირებული და გამოსაცემად მომზადებული მკვლევარ გ. ჯავახიშვილის მიერ.

ნაშრომი უაღრესად საინტერესოა. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვან მასალას ქისტი ხალხის ძველი ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამასთან, დავიწყებული არ არის ახალი ვითარების შედეგად შექმნილი პირობების დადებითი მნიშვნელობა და პროგრესული ხასიათი.

ნაშრომის თემატიკა აქტუალურია. მისი ავტორი, ჩანს, საფუძვლიანად იცნობს ქისტების ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს. იგი ყოველმხრივ და კრიტიკულად აშუქებს მათი ცხოვრების თითოეულ კუნჭულს და თითოეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მოვლენას მართებულ მეცნიერულ ახსნა განმარტებას აძლევს.

უნდა ითქვას, რომ მ. ალბუთაშვილი არ კმაყოფილდება ფაქტების უბრალო აღწერით, იგი საფუძვლიანად აანალიზებს საკითხებს და დიდად საინტერესო დასკვნებს აკეთებს.

ნაშრომი შეიცავს 147 ხელნაწერ გვერდს და გადაწერილია წმინდა და გასაგები ხელით.

მ. ალბუთაშვილის ნაშრომს დართული აქვს მისი მკვლევარის, დოცენტ გ. ჯავახიშვილის საინტერესო ნარკვევი.

აღნიშნული ნაშრომის გამოცემა ნამდვილად საჭიროა და სასარგებლო კავკასიის ხალხთა შესწავლის საკითხისათვის".

1977 წლის 4 თებერვალს, აკადემიკოსმა *გიორგი ჩიტაიამ* გამომცემლობა "საბჭოთა საქართველოს" დირექტორს *ელგუჯა მალრაძეს* გაუგზავნა მიმართვა, რომლის ასლიც წინამდებარე წიგნს თან ერთვის.

ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: "საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი გთხოვთ მიიღოთ დასაბეჭდად მათე ალბუთაშვილის ნაშრომი — "პანკისის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი", რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი. შრომა მრავალმხრივ საინტერესო ფაქტებზეა აგებული. წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია ჟურნალში "მოგზაური".

მ. ალბუთაშვილის ნაშრომი შეიცავს ბევრ უცნობ, მეცნიერულად ღირებულ მასალას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პანკისის ქისტების ყოფა და კულტურა დღემდე შეუსწავლელია. ამ მხრივ ნაშრომი დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ-კავკასიურ ურთიერთობის შესწავლის საქმესაც.

ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და კომენტარები ეკუთვნის მეცნიერ-მუშაკს გიორგი ჯავახიშვილს. შრომა 10 თაბ. მოცულობისაა".

1994 წლის 28 ოქტომბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოში რუსულ ენაზე გამომავალ საერთო-ეროვნულ გაზეთში "Свобода" [№ 43 (222), გვ. 3] გამოქვეყნდა გ. ჯავახიშვილის წერილი სათაურით "Кисти Чобани" – первый писатель-кистинец", რომელსაც საინტერესო გამოხმაურებები მოჰყვა.

მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, თუმცა მ. ალბუთაშვილის გამოკვლევის გამოქვეყნება, სხვადასხვა მიზეზთა გამო, აქამდე ვერ მოხერხდა.

2005 წლის მაისში, თბილისში შეიქმნა "ქართულ-კავკასიური ურთიერთობების ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი" (ხელმძღვანელი – პროფესორი *ნიკო ჯავახიშვილი*), რომლის მიზანია ქართველი და კავკასიელი ხალხების ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლა.

ამ ცენტრში ჩამოყალიბდა სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის შემდეგი საგამომცემლო სერიები: "კავკასიელი ხალხების ისტორია და ეთნოგრაფია"; "ქართველი და კავკასიელი ხალხების სამხედრო-პოლიტიკური და სამეცნიერო-კულტურული თანამშრომლობის ისტორია"; "ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობათა ისტორია"; "ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორია"; "ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორია"; "ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის ისტორია"; "კავკასიის წარჩინებული საგვარეულოების ისტორია" და სხვ.

ეს წიგნი ცენტრის მიერ გამოცემული პირველი სამეცნიერო ნაშრომია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თხოვნით, წინამდებარე ნაშრომს, გარდა მისი რედაქტორისა და რეცენზენტებისა, ხელნაწერში გაეცნენ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ელდარ ბორჩაშვილი,* ქალბატონი *ლეილა იქაიძე* და ბატონი *ხასო ხანგოშვილი* – ავტორი ვრცელი ნაშრომისა ქისტების შესახებ. [1]

თანადგომისა და გაწეული კონსულტაციებისათვის თითოეულ მათგანს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

გიორგი ჯავახიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნიკო ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

---

[1] *ხასო ხანგოშვილი,* ქისტები (ისტორიულ-პოპულარული ნარკვევი), თბ., 2005.

მათე ალბუთაშვილი

ჰანკისის ხეობა

(ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა)

ჰანკისის ხეობა შიგნით კახეთში, ჩრდილო მხარეს, მაღალსა და ტეიანს მთებს შუაა მოთავსებული. იქ, სადაც მდინარე ალაზანი კავკასიონის ვიწრო და ფრიალო ღრე-კლდეებს გამოსცილდება და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ცოტად თუ ბევრად დაიმშვიდებს მჩქეფარე, აქაფებულ დინებას, ხეობა ვიწრო, თოფის ზუმბივით სწორი, უაღმართ-დაღმართოდ გრძელდება.

კახეთში ჩამოსული მდინარე ალაზანი აღმოსაულეთისაკენ დაალმაცერდება და ჰქმნის ხეობას. ამ ხეობას ჰანკისი ჰქვია.

ხეობის სახელი „ჰანკისი“ მე მგონია, წარმოდგება სიტყვიდან — „ჰანტისი“ — ადგილი, ჰანტის ხევი ან კიდევ ჰანტიანი. წინათ ამ ხეობაში ბევრი ჰანტა სცოდნია, გემრიელი, ტკბილი. თვითონ მე მოვესწარი. დუმასტურში იდგა მსხვილი, მაღალი ჰანტის ხეები და ესხა დიდრონი, გემრიელი ჰანტა. ამ სახელს უწოდებდა მახლობელი კახეთის სოფლების მატნის, ახმეტის ხალხი, რომლებიც, ალბათ, მომეტებულად ხშირად სარგებლობდნენ ამ ხილით. საერთოდ ასეა: სადაც ბევრი თხილია, თხილიანს ეძახიან, სადაც ბევრი კაკალია — კაკლიანს და სხვა. ახლა კი ჰანტის ის ძირკვებიც არსად არის ახლომახლო.

ხეობა შიგნით, კახეთის ჩრდილოეთით, მაღალსა და ტეიან მთებს შუაა მოთავსებული. იგი საურმე გზით — კახეთს, საცალფესო

ბილიკებით კი მთა-თუშეთსა და მთა-ქისტეთს უერთდება, როგორც მთა-ბარის შემაერთებელი საუკეთესო გზა და ხიდი. ამ ხეობით მისვლა-მოსვლა ჰქონიათ და ახლაც აქვთ აქ მაცხოვრებელ ხალხს — თუშებს და ქისტებს.

ტერიტორია და საზღვრები. ხეობა, აქეთ-იქეთ მხარეს აუუდებულსა და ცხვირწამოწეულ მაღალ ტეიან მთებს შუაა მოთავსებული. ტეიანივე ჰატარ-ჰატარა ეურეები შესდევს, თორემ ამ ხეობას, საერთოდ, ვერსის სიგანე ძლივს ექნება. მდინარე ალაზანი ერთხელ რომ რიგიანად ადიდდეს, ისე როგორც წისქვილის ღარზე, ჩამოივლის მთელ ხეობაზე.

ხეობის სათავეში, სულ ზემო სოფლებიდან, ასე ექვსი ვერსის სიშორე, სადაც ტეე თავდება და შიშველი ალაგები იწყება, სამი 9-10-კომლიანი სოფელია ერთმანეთის ჰირისპირ, ხოლო ცოტა დაშორებით — ჩხათანა, ხორეჯა და სუბექ-ხადორი. ჰირველი ორი აღმოსავლეთისაკენაა, მეორე — დასავლეთისაკენ. სამივეს ჰანკისისას ეძახიან და ყოველ სასოფლო-საზოგადოებრივ მოვალეობას ხეობის მცხოვრებნი ეწევიან.

ამ სოფლებამდე ხეობა ზომაში მისაღები არ არის, რადგან თავისი სივრცით ის ჰატარა კუდია, რომელიც იმდენად ვიწროა, რომ მდინარე ალაზანი შიგ ძლივს იმართება. ამ სოფლებისაკენ საცალფეხო გზა მიდის, მდინარე ალაზნის ორივე მხარეს, ციცაბო მთა-კლდეებზე. ის კუდი რომ სათვალავში არ მივიღოთ, მთელ ხეობას 17-18 ვერსი სიგრძე ექნება. ხეობის კუდი თავდება ერთს მაღალს, მიუვალს და ციცაბო ქანჩახებიანს მთასთან, რომელსაც „სპეროზას“ ეძახიან.

სპეროზას მთა ჰირდაჰირ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წამოღებულა, თითქოს, უცებ, ვიღაცას შეუჩერებიაო. ტიტველ კლდეებად

ნაქცევი, ამაღლებული და მკვეთრად წინ წამოღებული, როგორც შუბლი ცხვირს, ისე მედიდურად დაჰყურებს სათავიდან მთელს ხეობას და მის მცხოვრებლებს. 4.300 მეტრია სპეროზას აღმოსავლეთით, სვეტად მოადგება სიდიდით და სიმაღლით არანაკლებ სხვა მთა ხორეჯასა. ამათ შორის ჩამოუდით მდინარე მახვალი.

დასავლეთით სპეროზას გვერდიგვერდ ჩამოსდევს რკინის მთა და მათ შუაზე მდინარე ალაზანი ჩამოუდით. ხეობას, ორივე მხარეს, ბოლომდე დაჰყვება აღმოსავლეთისაკენ ხორეჯის მთისა და დასავლეთისაკენ რკინის მთის გაგრძელება, რომლებიც მრავალი ტეით შემოსილი მწვერვალებით თანდათან ქვემოთ დაბლდებიან და მაღალ გორებად ქცეული, ხელის თითებივით მწკრივად ხეობას ჩამოაწყდებიან. ამ მწვერვალებსა და გორებს შუა ჩამოჩანჩქარებს ხევები და წყაროები, რომლებიც ხეობის ხოფლებს ცივი, ანკარა წყლით და გემრიელი კალმახით უმასპინძლდებიან.

საზღვრები აღმოსავლეთისა. ხორეჯის მთას სამხრეთისაკენ ერთი დიდი ტოტი გამოეყოფა, რომელიც ცნობილია „ნაქერალას“ სახელწოდებით. ნაქერალას მთა დასაწყისში ტიტველაა და ვაკე, ქვემოთ დიეიანამდე. ამ მთის საძოვრებით სარგებლობდნენ სეობის მცხოვრები ქისტები. დიეიანიდან ეს ტოტი გრძელდება პირდაპირ სამხრეთისაკენ და ხეობას საზღვრავს აღმოსავლეთით ბოლომდე.

დიეიანიდან ამ მთას განეყოფა ტეით შემოსილი ერთი ტოტი, რომელიც უხვევს დასავლეთისაკენ და იყოფა ტოტებად. თითოეული მათგანი სპეროზას ქვემოთ, შიგ ხეობის თავში, მდინარე ალაზანს ჩამოაწყდება. მათგან უმთავრესს — „ქორთაბუდეს“ უსმობენ. „ქორთაბუდის“ მოსახვევთან იწყება ერთი სხვა ტეიანი გორი და დაჰყვება „ქო-

რთაბუდეს“ გვერდიგვერდ დასავლეთისაკენ, მაგრამ მდინარე ალაზანს ვერ აღწევს. ამას „ბრუდე გორას“ ეძახიან.

დიეიანიდან დაწეებული აღმოსავლეთის მოსაზღვრე მთის გაგრძელება შესდგება მრავალი ტეით შემოსილი მწვერვალებისაგან. ეს მწვერვალები ქვევით და ქვევით დაბლდებიან, იცვლებიან გორებად, ბორცვებად და მწკრივად მდინარე ალაზანს ჩამოაწედებიან.

ეოველ სერსა და სერს შუა შესდეეს მშვენიერი ეღრანი ტეით დაბურული ჭალები, ეურეები, ტაფობები, რომლებიც შემკულია საკმაო ველებითა და სარწეავი წყლებით.

მოზრდილი ველები და ეურეები ან დასახლებულია, ან დაფარულია მტრის თვალით დაუნახავი ნამეშაველით და მწვანე ხასხასა სათიბებით. თითოეული მწვერვალი, გორი, სერი იწოდება საკუთარი სახელით. ესენია: ურთანამეული, დუმასტური, ხალაწანი, ღვიმე ანუ ჰატარა ხალაწანი, წინუბანი, დიდი და ჰატარა ქორეთი, ბარდიანი, უკანა ჭალა და ციხიჯვრის გორი. ამათგან ქორეთამდე თავისი ტოტებით მრუდი გორი, დიეიანი, ხალაწანის სამხრეთი ნაწილი, ღვიმე, უკანაჭალა და ციხიჯვრის გორი სახელმწიფო საკუთრებაა. დანარჩენი — კერძო საკუთრება. ქორეთითა და ბარდიანით სარგებლობენ მატნელები, უკანაჭალით — ხორბალოელები...

საზღვრები დასავლეთისა. რკანის მთა სჰეროზას მეზობლად იეოფა სამ უმთავრეს ტოტად. ერთი მომცრო ტოტი — სუბექა — სჰეროზას ძირში მდინარე ალაზანს ჩამოაწედება, მეორე — მოზრდილი ტბათანა — ასე სამი ვერსის სიგრძისაა, ტიტველი და ვაკეა — წოვა თუშები სააგარაკოდ იეენებენ. შემდეგ ტეით შემოსილია, იეოფა ორ ტოტად: ერთი მოზრდილი ტოტი — ტოლეშა — სუბექას გვერდიგვერდ სჰეროზას ქვემოთ მდინარე ალაზანს ჩამოაწედება, მეორე — მომცრო

წინაგორი — ტოლეშას დაჰყვება, მაგრამ ალაზნამდე ვეღარ აღწევს, სწყდება ალაზნიდან ერთი ვერსის სიშორეზე. ამის შეეოლებით კიდევ სხვა წვრილ-წვრილი სერები ჩამოწოლილა. მაგალითად: კაკლიანა, საფლავების გორი და სხვა. მესამე გრძელი და დიდი ტოტი — რვანი განეეოფა რკანის მთას.

დასავლეთის მხარიდან იწყება ზუროს გორით. შიშველი მთა დაჰყვება მთელ ხეობას დასავლეთით და, როგორც აღმოსავლეთის საზღვარი,ტეით შემოსილი მთა-გორებით, ეურე-ველებით და სერებით, საზღვრავს ხეობას ბოლომდე დასავლეთის მხარეს. ესენია: ძიბახევი, ბირკიანი, ბალთაგორი, დედისფერული, ბაბერა და ეკარელთხევი.

ხეობის დასავლეთის საზღვრები ეკარელთხევამდე სახელმწიფო საკუთრებაა. ამის ქვემოთ კუწახტა და საკობიანო ახლა თუშებს ეკუთვნით და სათუშოს ემახიან — კერძო საკუთრებაა. დასავლეთის მხარეს — ჭალები, ეურეები, ველები სიფართოვით, სივაკით, ნიადაგის სიკეთით და სარწყავით, გზა-წყაროებით უფრო ნაკლებია, ვიდრე აღმოსავლეთისა, თუმცა ზაფხულის გვალვა-სიცივეები აქ არც ძალიან შეაწუხებს ხილმე ნამუშეველს, რადგანაც დაბურული ტეით შემოსილი მთა-გორები სინესტეს არ ილევენ, გრილად ინახავენ მოსავალს...

საზღვრები ჩრდილოეთისა. ჩრდილოეთით ხეობას საზღვრავს მარტო ერთი მთა — სპეროზა. ამ მთის ის ნაწილი, რომელიც ხეობას დაჰეურებს, ისეთი საშიშია, მიუვალი და კლდე-ქანჩახებიანი, რომ კარგი გამოცდილი და უშიშარი მონადირის მეტი სხვა ადამიანი აქ ვერ გაივლის.

ზამთარ-ზაფხულ, როდესაც მეზობელი მთები ან თეთრი თოვლით შემოსილები არიან, ან მწვანედ ღაღანებენ, ეს მუდამ შავბნელად გამოიეურება. ზამთარში მის ციცაბო კლდეებზე თოვლი ვერა დგება

და მაშინვე ზვავად ძირს ხევებში ჩამოდის, ხოლო ზაფხულში ბალახი არ ამოდის, გარდა მაღალი მწვერვალების ზოგიერთი ადგილებისა. კლდეებზე თუ რაიმე ბალახი ამოვა, ჯაგმაგი, ისიც ზვავს ჩამოაქვს.

ზვავი სხვა მთებმაც იცის, მაგრამ სჰეროზას ზვავი სულ სხვაა; ვაკე მთის ფერდობზე რაკი თოვლი მოლხვება, საჭიროა მხოლოდ მაღლა მწვერვალზე მუშტისტოლა თოვლი რაიმე შემთხვევით აისროლოს და გამოაგოროს.

ეს მუშტისტოლა თოვლი სანამ ნახევარ გზას გამოივლიდეს, გორის ტოლი გასდება, მთის მოეინული ნიადაგი აისხლეტავს და გამოქანდება რამოდენიმე საეენ სიგანეზე, თან მოაქვს: ქვა, ხე, ჯაგი, მთის მიწა და სხვა, რაც მოხვდება გზაში, აქვს საშინელი ხმა და ქარი, თუ ადამიანი ან ოთხფეხი ნადირი, ცხოველი კი არა, საკმარისია, მარტო მისი ქარი მოხვდეს და, ისიც თან გამოიყოლოს.

ჩამოწვება დაბლა ღრანტე ხევში. ქვები და ბალახი ასტალასავით არის არეული, გაავსებს და გადალესავს ჰირამდე ხევს, გაიეინება, გამაკრდება შიგ რამდენიმე წელი და ზოგჯერ საუკუნეც. თუ ძალიან ხმელი და ცხელი ზაფხული დადგა, კაცი ვერც კი შეატეობს, რომ იქ თოვლიანი ზვავია. ქვეშ გამოსჩანს ხევის წეალი, ან წეარო და შორიდან ციხის სათოფურებივით გამოსჩანს ის ადგილები.

ზვავი ეველა მთამ იცის, მაგრამ ზამთრის ზვავი ისეთი მძლავრი არ არის, როგორც ზაფხულისა.

ზამთრის ზვავი ახალი თოვლისაა, გაზაფხულისა — ძველი, დამდნარი და გაეინული თოვლისა. ზამთრის ზვავს შეიძლება ნადირიცა და ადამიანიც მოერიდოს, თუ ფრთხილად არის, ან თუ უადგილო ადგილას არ მოუსწრო, ან თუ დროზე შეამჩნია.

გაზაფხულის გრძელ დღეებში ვაკე მთები, ასე დაზვავებული, ჩამოიწმინდება და ამწვანდება, ხოლო სპეროზა კი ამ დროს, როგორც ყოველთვის, შავი ჯოჯოხეთივით გამოიყურება.

სპეროზის ზვავს არც თოვლის ასრიალება სჯირდება, არც გამოგორება და გამოცურება. ერთი უცებ იგრიალებს და თითქოს მთელი მთა ძირს დაეცაო, თოვლი, მთის ნაპრალი, მონაგლეჯი ქვა-ღორღი ერთმანეთში არეული, თვალის დახამხამებაზე ხევში გრიალს ჩამოიტანს. ხმა ისეთი აქვს, თითქოს დაიქუხაო. შეიძლება ზვავის ამნაირი ხმაურის გამო ხალხში დღესაც დარჩენილია თქმულება, ვითომ ამ მთებში იყოს დაბმული და დამწყვდეული გმირი ამირანი და ისა ქუხდეს ხანდახან.

ალბათ, ამავე თქმულების მიზეზით — მთას წინიდან შუბლში ერთი გამოწეული რუივით სერი ჩამოსდევს და ამ სერს ხალხი „ამირანის კუჭს“ ეძახის. ზევიდან რომ ჩამოვიხედოთ, თითქოს ჩაუთლიათო, ხოლო ქვემოდან შეხედვითაც საზარელია. ვეებერთელა გადმოწეული ლოდები სახლის დერეფანივით გადმოიყურება ძირს. მთელ იმოტოლა მთას ორი საცალფეხო გზა აქვს მისავალი, ერთი ქვემოთ, ალაზნის მხრიდან და მეორე ზემოთ — მთებიდან. ქვემოთა გზიდან, მდინარე ალაზნის პირად, ერთი მაღალი ტოტიანი ხე ჩხა არის კლდეზე მიეუდებული. ამ ჩხით იქ წასული მონადირე ავა, შეივლის „ამირანის კუჭს“ და იქიდან გავა სხვადასხვა ადგილებში კლდეებზე სანადიროდ.

გზა მიდის იმდენად სახერხოდ, რაც ერთი წრიაპიანი ფეხი მოეკიდება კლდეს. მარტო ჩვეული და ნაცადი თვალი შეატყობს, რომ ის ადგილი ოდესმე ფეხს დაულახია, სხვა იმას მეტი — ბილიკისა ანუ გზისა — არაფერი ამჩნევია. ნუ იფიქროს ნურც კარგმა და გა-

მოცდილმა მონადირემ, თუ იქ რამე დაეკარგა ან ნადირის მიკვლევა სურს, ადვილად დააღწიოს თავი.

კარგია, სპეროზამ ნისლი და ჯანღი ადვილად არ იცის. როგორც უნდა იყოს, ამ მთაში მონადირემაც გზით უნდა იაროს, თორემ სსვა მოებით, ან კიდევ ტყეებითა და მინდვრებით, საითაც უნდა მოხვდეს, ვერ ივლის, კლდეები იმდენად ჩამოთოვლილი და ციცაბოები აქვს, მაგრამ მაღლიდან ძირს ჩამოხედვით მდინარე ალაზანი კარგად მოჩანს. თუ ცოტა თვალმშიშარამ გადმოხედა ალაზანს მაღლიდან, რომლის უშველებელ ლოდებზე ნაცემი ტალღების ჟინელი წვიმასავით თითქმის იქამდე ამოაქვს და ადამიანს თავ-ჰირში აურის, შეიძლება ადვილად შეშინდეს და კიდეც გადავარდეს.

მონადირისაგან მოკლული ნადირი, ზოგიერთი ადგილების გარდა, ადგილობრივ რჩება, ან ერთ-ერთი კლდის ღრანტეში გრიალს ჩაიტანს. ზოგიერთი მონადირე ვერც კი იპოვის ხოლმე ასე გადავარდნილ ნადირს. თუნდაც იპოვოს, ზარობს ხოლმე იქიდან ამოტანას, ან თუნდაც არ დაიზაროს, ვერც მიუდგება, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს. თუ მაინც და მაინც თავი გამოიდო და ჩავიდა ამოსატანად, ძალიან ბიჯობა უნდა, რომ ტყავი და ორიოდე სამწვადე ამოიტანოს, ან რქები, დანარჩენს თავი უნდა დაანებოს ყვავ-ყორნის საჭმელად.

ბევრია ადგილები, რომლებსაც ერთი გზა აქვთ ჩასასვლელი და ამოსასვლელიც. ამისთანა ადგილებში ჩასვლა უფრო ხათაბალაა, ვიდრე ამოსვლა, რადგანაც ჩასვლისას შეიძლება უფრო აუსხლტეს ფეხი და დაგორდეს. თუ დაგორდა ძვალი და რბილი ერთმანეთში აერევა.

ჰირაღმა ასვლისას მონადირე წრიაჰიან ფეხს მაგრად კიდებს აქეთ-იქით და კლდეების შემწეობით ორჯერ იოლად მიდის. ამის მიზეზით, ზემოთა მისავალი გზით მონადირე ვერა ბედავს სპეროზაში სანადიროდ წასვლას.

სვეროზა შესანიშნავია ნადირით: ბლომად იცის ჯიხვი, შურთხი, ფსიტი. მახლობელ მთებში ამისი ტოლი ნადირი არც ერთ მთას არა ჰყავს შეხიზნული. ადგილ-ადგილ იმ ფრიალო კლდეებში დიდრონი ხვები, დერეფანიეთ ე. ი. ზემოდან წამოწოლილ-წამოუარებული ლოდები და იმათ ქვეშ ასე ჰატარა კალოს ტოლა ტაფობი დაცემული სწორი ადგილია, სადაც ხროვა და ხროვა იცის ნადირმა დგომა.

ცხვრის ფარის სადგომივით ეხი სავსეა ხოლმე ნადირის განავლით. სწორედ რომ კარგი და მარჯვე, თან მკვიდრი საფარიც არის ეს ადგილები ამათთვის. მონადირეებმა იციან, სხვა მთაში რომ დაჭრილი ნადირი გაიქცეს, სვეროზაში დაიმალება. მართალიც არის მონადირე, მაღლიდამ ვერ მიეჰარება, ვერც ესვრის, ვერც დაინახავს, ვერც ადვილად ქვემოდან მიეჰარება, ხოლო თუ გვერდიდან მიეჰარება, ისიც სიფრთხილით.

თუ ნადირმა წინ შენიშნა მტერი, გაფრთხება. მეორე გვერდზე ერთი ფეხის გადაცილებაა საჭირო, რომ ნადირი იქვე სანთელივით გაქრეს თვალიდან. აქ მონადირე უფრო მოტეუებით ხოცავს ნადირს. იქაურმა მონადირემ იცის (ვინც იქ ეოჩაღია და ნადირობს, იმას იქაურს ეძახიან) ის გზები, რომელზედაც გამოიელის ნადირი, რა დროს წელისთვის, რა დროს ბალახისთვის. ჩაჯდება სწორედ იმ ადგილას და ნადირი სწორედ ზედ წამოადგება. ისეც მოხდება ხოლმე, გაღმიდან გამოღმივ შენიშნავს ხოლმე ეხში შეგროვილ ნადირს, ესვრის თოფს, ერთი წაიქცევა, სხვები გაფრთხებიან და მეორე გვერდში გაიქცევიან ეურებდაცქვეტილი, იქიდამ გამოღმით ისევ გამოფრთხიალდება, იქვე მივლენ, სადაც მათი ამხანაგი განისვენებს. ხშირად მონადირეს ამნაირად 2-3 დაუწვენია ერთ ალაგას.

ამ ბოლო დროს, თუმცა 5-6 არის ხეობაზედ, რომლებსაც სვეროზაში ნადირობა ემარჯვებათ, ვიდრე ჩქარა სასროლ თოფს შემოი-

ღებდნენ, მელიქა ქისტის მეტი სპეროზაში ვერავინ ნადირობდა. ჩქარა სასროლი თოფის შემოღების შემდეგ, ამ ბოლო ხანებში, ნადირი აქაც შესამჩნევად შეთხელდა. სანადიროდ თუ არა, სპეროზა სხვა მხრივ უსარგებლო მთაა.

ხეობას ახლომახლო მთა არ მოეპოვება. არა მწყემსს არ შეუძლია ცხვარი, ძროხა, ცხენი გარეკოს ამ მთაზე საძოვრად, თუმცა, არც სათქმელი საძოვრები აქვს. უკან, ჩრდილოეთისაკენ აქვს საძოვარი ადგილები და ეს მთაში შეხიზნულს ნადირსაც ვერა ჰყოფნის საძოვრად მაშინ, როდესაც მთაში მოფანტული ხალხი ბინებში მიიკრიფება, ან ბარად ჩამოვლენ საზამთროდ. სპეროზას მეტს, ჰირაქეთ, არც ერთ მთას არა აქვს ფიჭვნარი, არც შუა კალთებზე. ეს ფიჭვნარი იმდენად უსარგებლოა, რომ იქიდან ადამიანი ხელში დასაჭერ ჯოხსაც ძლივს გამოიტანს.

ამ კლდეებში ბუდობს მსხვილი ნადირი, მტაცებელი და აგრეთვე ფრინველი: არწივი, შურთხი, კაკაბი. ნადირებში გვხვდება ვეფხვი. აქვე იპოვება მადნის ნიმუშებიც: ვერცხლი, რკინა, სპილენძი, კალა, თუთია, ქვანახშირი.

ურიგო არ იქნება, ხეობის ზოგიერთი საზღვრები და მწვერვალები დაწვრილებით განვიხილოთ და დავახასიათოთ.

ხეობიდან დიდგვერდი მთის მარტო ის ნაწილი მოჩანს, რომელიც ხორეჯის მთის უკან, სპეროზასთან, მახვალის წყალს ჩამოაწყდება. როგორც სახელიც უჩვენებს, ეს მთა დიდია, ვაკე და უველა ახლომახლო მთებში საძოვრებით და საბინაოდ შესანიშნავი. აქ შინაურ მსხვილფეხა საქონელსაც არა აქვს არავითარი შიში კლდეზე გადავარდნისა, როგორც სხვა მთებში. ამ მთას საძოვრად ხმარობენ ქისტები და წოვა თუშები, რომლებიც დიდ ფარას ჰატრონობენ ზაფსულობით. აქ მოწველილი რძისგან დამზადებული უველი სანაქებოა.

ხორეჯის მთა სიდიდით და სიმაღლით სპეროზას უთანასწორდება, მაგრამ იმასავით შავბნელ მიუვალი, უსარგებლო და კლდექანჩახებიანი არ არის. ცოტა საშიში კლდიანი ადგილები ხეობის მხარესა აქვს და არც დიდგვერდის მთასავით ვაკე და უშიშარია.

ძნელად იქნება, რომ ეს მთა ჩისლსა და ბურუსში გახვეული არ იყოს, თითქმის მუდამ ნოტიოა და ნიადაგს ლინჯაკი აქვს. ფეხი სხლტება და კაცისა თუ საქონლის კლდეზე დაგორება ადვილია ხოლმე. ფატარი, ნაშალი კლდეები აქვს და ამიტომ დანგრევა ადვილად იცის, რისთვისაც საქონლის ფეხით გამოგორებული ქვისაგან ისევე საქონლისა და კაცის ზარალი არის ხოლმე. თვით კაცის კლდეზე გადავარდნაც არ არის იშვიათი.

ამასთანავე, სხვა მთებთან შედარებით, ცივა და ქარი და წვიმაც მალიმალ იცის, სპეროზასავით ნადირს სადგომი-სამალავები არა აქვს და ამიტომ ნადირი აქ არ არის ხშირად. ეს მთა ხეობის მცხოვრებლებისთვის სამარჯვოა და ზაფხულში საქონლის საბალახოდ, სათიბად, ცხვრისა და ძროხის საძოვარ-საბინაოდ ქისტები უფრო ამ მთით გადიან იოლად. ამ საჭიროებისათვის ხორეჯას მთას აქვს შემდეგი ადგილები: თუნქოს სათიბი, გაბიდას გორი, ხორეჯის ველი, ჩხათანის ველი, ჯიქაურა, ნაქერალი და დიეანი. ხორეჯის ველზე და ჯიქურაში მომეტებულ ნაწილად ცხვრის ბინებია, რადგანაც ეს ადგილები უფრო გვერდელაა, ხოლო ნაქერალასა და დიაეანაში ძროხის ბინებია. ჯიქაურასა და ხორეჯის ველი სიკეთით არ ჩამორჩება დიდგვერდისას, როცა მშრალობაა.

რკინის მთა, როგორც ვთქვით, სპეროზას გვერდიგვერდ, პარალელურად ჩრდილოეთით წამოსული ხეობის კუდამდე ვერ აღწევს, ხოლო მისი ტოტები, სპეროზის ქვემოთ, ხეობის კუდს ჩამოუდგებიან. ამ მთისათვის ხალხს ტეუილად არ დაურქმევია რკინისა. პირა-

ქეთ, ტბათანას თავში, ეს მთა იტოტება თურმე. იქიდან დაწყებული, მანამ გათავდება, ზედ ზურგზე, როგორც დანის ფსაზე, სათუშეთში საცალფეხო გზა გადადის და, ძნელად იქნება, რომ ადამიანის, ან ცხენის ფეხმა დედამიწა იხილოს.

მთლად შიშველა კლდე ცხენის ფეხითაა გაჭრილი, კიბესავით საფეხურებიანია. გზა ადი-ჩადის, მიდის ცხენი ფსაჭიფსუჭით და მისი ფეხებიდან ნალები აქეთ-იქით უფსკრულში გადაბზრიალობს.

ეს გზა, როგორც მოხუცი ხალხი ამბობს, რუსებს გაუკეთიათ ჩეჩნებში აჯანყების დროს. ამ მთას ცხვრისა და ძროხის საბინაოდ არავინ ეტანება. შეიძლება საძოვრად, გავლა-გამოვლისას, მარტო ცხენებისათვის ისარგებლონ მწყემსებმა.

ამ გზით სარგებლობენ წოვა თუშები, ჰირიქით თუშეთში მგზავრობის დროს. ამ გზით სარგებლობენ ჰირიქითა ქისტებიც. ეს მთა სიმაღლით სჰეროზას ეთანასწორება. მდინარეები, ხევები, ფშები და წყაროები მთელ ხეობას ჩამოუდის. ერთი უმთავრესი მდინარეა ალაზანი. ის სათავეს იღებს ჰირიქით დაქუერთოს მთიდამ, ჩამოუვლის საეორნის მთას, მომდინარეობს რვინის მთისა და სჰეროზას შუა წიფლოვნის ჭალაზე და ხეობის კუდში, სჰეროზას დასავლეთში უერთდება მახვალის ხევი. მდინარე ალაზანს მარცხნივ ერთვის: მახვალი, ჩახათანის წყალი, დუმასტურის წყარო, ხალაწნის ხევი, წინუბნის ხევი და ქორეთის ფშა.

მახვალი სათავეს იღებს სჰეროზას ზემოთა მთებიდამ, გზა-გზა ერთვის მას სხვადასხვა წყლები მაგ. ბარდამციხის წყალი და სხვ. მომდინარეობს სჰეროზას ეორებზე და დიდგვერდის ქვემოთ — ხორეჯის მთის დასავალში ეროვის მდინარე ალაზანს.

ჩხათანის წყალი სათავეს იღებს ხორეჯა-ჩახათანისა და ჯიქაურნაქერალას წყაროებიდამ. მომდინარეობს ჰირდაჰირ დასავლეთისაკენ,

ქორთაბუდისა და ხორეჯის მთებს შუა და სპეროზას ქვემოთ, გორასთან, მდინარე ალაზანს ერთვის. არის მუდამ წმინდა, ცივი, მთის წყალი და იცის მსხვილი, მსუქანი და გემრიელი კალმახი. არავისთვის ზიანი არ მოაქვს და არც დიდი სარგებლობა მეთევზეთათვის კალმახის მეტი.

„ბრუდი ხევი“ სათავეს ღებულობს „საქერალას“ მთიდამ. მომდინარეობს „ქორთა-ბუდესა“ და „ბრუდი გორას“ შუა და ომალოს თავში — „ქორთა-ბუდის“ ქვემოთა დასავალთან ალაზანს უერთდება.

ამ ხევს კარგი სარგებლობა მოაქვს ომალოსათვის სასმელი წყლით. თან სოფელზეა გადმოგდებული და რწყავს მინდვრებს, ბაღჩა-ბოსტნებს და აბრუნებს წისქვილებს. სასმელად არის ცივი, ანკარა და საღი, შესანიშნავია მთელ ხეობაზე გემრიელი კალმახით, რომელიც მასში ბლომად ბუდობს. მცხოვრებლები შიგ თევზაობენ.

დუმასტურის წყარო სათავეს ღებულობს იქვე მდებარე დუმასტურის გორიდან. მომდინარეობა აქვს იქვე ჯალაზე, ასე ერთი ვერსის სიგრძედ და მერე მდინარე ალაზანს ერთვის. ეს წყარო იმდენად დიდია, რომ არა მგონია, ამ ხეობაზე კი არა, მთელ კავკასიაში სხვა იპოვებოდეს. გორის ძირში გამოდის ერთი ჰატარა კალოს ტოლი ადგილიდან. სხვა მას არა ფშა, არა წყარო არ ერევა ალაზნის შესართავამდე, მაგრამ იმოტოლაა, რომ ოთხთვლიან წისქვილს თამამად დაატრუნებს. მთელ დუმასტურის ჯალას, როგორც უნდა მორწყავს.

პირველად, მანამ სხვისი საკუთრება იყო, ოსებს ეს ადგილი იჯარითა ჰქონდათ აღებული. შემდეგ ისევ იმათ შეისყიდეს და წისქვილები დამართეს ამ წყაროზე. ცივი, მუდამ წმინდა, ანკარა მოდის, შემრგოა სასმელად. იცის ბლომად გემრიელი და მურა კალმახი. მანამ ეს ადგილი და ტყე ოსებს იჯარითა ჰქონდათ, მესაკუთრე ნებას არ აძლევდა იმ მუხნარის გაკაფვისას, რომელიც ზედ ამ წყაროს თავზე

იყო აურილი. როცა ოსებმა შეისეიდეს, იმ მუხნარსა და სხვა ტეესაც, წეაროს სათავეში ხელი მიჰეევეს და გაკაფეს. შეიძლება ამის გამო ეს წეარო, თუ სრულებით არ დაშრა, მაინც ძალიან იკლო.

მდინარე ალაზანს, როგორც საერთოდ, არც ამ ხეობისათვის მოაქვს დიდი სარგებლობა. თვითონ, სადაც მდინარე მთის კლდე-ქანჩახებიდან თავს გამოჰეობს, მცსოვრებელთაგან ერთი მოზრდილი რუა გადმოგდებული. ერთი ასეთი რუ ხეობას ჩამოუდის დასავლეთით მთა-გორების ბოლოზე და აბრუნებს რამდენსამე ორ-ორ თვალიან წისქვილს. ის რწეავს ეველა მისადგომ ადგილებში ბაღჩებს, სიმინდის ნათესებს და სასმელადაც ხმარობენ.

ქვემოთ, სათუშოში, ისევ ალაზანს ერთვის, თუმცა ალაზანი ისე აქვს ხეობას თავში მოწოლილი, რომ ერთხელ რიგიანად ადიდდეს, მთლად წამოლეკავს ეველაფერს, მაგრამ ამ რუს გარდა, არ შეიძლება სხვა ადგილიდან ერთი ბეწვა წეალი გადმოაცილოს, თუ მანქანებით არა, ადიდებისას ამ რუს სათავესაც ისე გააფუჯებს ხოლმე, რომ ისევ ძლივს გადმოუგდებენ. მოქანაობს ღრმა კალაპოტში ჩავარდნილი, დარუებული. ცოტაც რომ მოდიოდეს, ძნელად მოეპოვება იმისთანა ფონი, რომ ადამიანი, ცხენითაც, გაჯირვებით, უშიშრად გავიდეს. არ გააჩერებს ხიდს, როგორც უნდა ხერხიანად და მაგრად იეოს გაკეთებული, თუ ვერ მოგლეჯს, ხიდი მშრალზე რჩება. ბევრი უტეეი და მეტეველი ჰეავს წეთისოფელს გამოსალმებული. ადვილად არ ეშვება ტოტი, რომ დაწევიტოს თეევზის დასაჯერად, არა აქვს სამალავი ადგილები.

შემოდგომაზე, ღვინობისა და გიორგობის თვეში მართავენ ჩანჩქერებს, აწეობენ ფაცრებს, იჯერენ დიდრონ ორაგულებს, თუმცა ამ დროს ორაგული ნაკრუხალია, არ არის მსუქანი, გემრიელი.

გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომამდე, ალაზანი მუდამ მღვრიეა, თუ ნამეტნავად წვიმაა მთაში. ადიდებისას ორაგულსაც ხოცავს. როცა წმინდა მოდის ალაზანი, ძალიან შემრგო და კარგი წყალია, ქვა-რიყე გამოუსადეგარია, ქვიშა გარეცხილი აქვს, ვარგობს მარტო ცემენტისათვის. მდინარეს თვალი ზომავს სათავემდე. სიგრძე დაახლოებით 70 — 80 კილომეტრი ექნება.

ხალაწნის ხევი, იქვე, მახლობელი ტყიანი გორებიდან ჯალის შუაზედ იღებს სათავეს. მომდინარეობს და დუმასტურის გორის ქვემოდან მდ. ალაზანს ერთვის, მეტისმეტად ღრანტე კალაპოტზე მომდინარეობს და ამისათვის სარწყავად ბევრად გამოსადეგი არ არის. ზოგჯერ, ზაფხულობით თითქმის შრება და ამიტომ არც თევზი იცის, არც თუ სასმელადაა სანუკვარი. მცხოვრებლები სასმელად სარგებლობენ მის აქეთ-იქით გამომდინარე ჰატარ-ჰატარა წყაროებით, რომელთაგან ერთი უფრო დიდია და უკეთესიც. მოებიდან მილით არის გამოყვანილი და ამიტომ „მილის წყალს“ ეძახიან.

წინუბნის ხევი იგივეა, რაც ხალაწნისა, სათქმელად არაფერია.

ქორეთის ფშა. ეს ფშა მოზრდილია. იქვე ჯალიდან, ნაჟურ—ნაწურებიდან შემდგარი მომდინარეობს ჯუანტობ—ეინეღლიან ნიადაგზე. სასმელად ყოვლად უვარგისია. იქვე მახლობლად ალაზანს ერთვის. ხანდახან ალაზნიდამ შერეული თევზი იჭოვება: შხამა, ნაფოტა. სხვა სარგებლობა არაფერი მოაქვს. ფშაში თევზაობენ უფრო ზამთარში, როცა ალაზნიდან შედის თევზი.

მდინარე ალაზანს მარჯვნივ ერთვის: წულები, ხევები, ფშები, წყაროები: ქოჩადალა, ბაწარა, ძიბახევი, ცქვიტაძის ხევი, ჯობიოს ხევი, კაკლიანის წყალი, ყვარელთ ხევი და ბრმა ფშა.

ქოჩადალა სათავეს ღებულობს რვანის მთის ბოლოში ტბათანას მთის ტბიდან. მომდინარეობს აღმოსავლეთისაკენ სუბუქას შუა,

სპეროზის დასავალში მახვალის შესართავთან მდინარე ალაზანს ერთვის. წვიმიანობისას საშინლად ამღღვრევა იცის და სხვა დროსაც, თუმცა წმინდაა ხოლმე წუალი, მაინც შავი ფერი დასცემს, რადგანაც მისი კალაპოტი შავი ქვა-ფიქალითაა სავსე. სასმელად უვარგისია და აქისათვის არც ხმარობენ მას იქაური მცხოვრებლები. ამ წულით სარგებლობენ მარტო სიმინდების სარწუავად. არც თევზი იცის, როგორც მთის წუალმა.

ბაწარა - ეს სასელი ტუუილად არ დაურქმევია ამ წულისათვის ხალსს. ეს სასელი ზედგამოჭრილია. ბაწარა სათავეს იღებს რვანის მთის დასაუალში, ჰირიქით. ბაწარივით წვრილი და გრძელი მომდინარეობს. ჯერ სამხრეთისაკენ, ტბათანის მთისა და ურანს შუა, შემდეგ — ურანისა. უღელტეხილთან ბრუნდება აღმოსავლეთისაკენ, ჩამოივლის ტბათანის გორის წვრილ ტოტებს, რომლებიც ამ ხევზეა ჩამოფანტული მაგ. კაკლიანისა, წინა გორასა და სხვა.

ტოლეშისა და ძიბახევის გორს შუა იგი მდინარე ალაზანს უერთდება. მომდინარეობს ვაკეზე, მაგრამ ისეთ ვიწრო ხევზე, რომ იქ ადამიანს არ ეცხოვრება მისკენ რაიმე სარგებლობის მისაღებად, ხოლო ხევის ნაპირიდან, ჰირიმზის მაღლობზედ, აქა-იქა გაკაფულს ველებზე დროებით ცხოვრობენ ათიოდე კომლი ფშავლები. ესენი ამ წუალს ვერ სწვდებიან და მისით ვერ სარგებლობენ, თუმცა ძლიერ კარგია და საღი. შიგ ბუდობს მსხვილი, გემრიელი კალმახი. წუალს ვაკე მომდინარეობა აქვს.

შემოდგომობით ალაზნიდან კვერცხის სადებლად შედის ორაგული, რომელსაც მცხოვრებნი ბარჯით იჭერენ და ისე ხოცავენ. ამ წუალს ერთვის კალმახიანი ჰატარ-ჰატარა ფშებიც. მაგ. შავხევა, ძიბახევა და სხვა. სიგრძე ექნება დაახლოებით 12 — 14 ვერსი.

ძიბახევი ჰატარა წუალია, მაგრამ სასმელად კარგია და საღი. მის ბოლოში მდებარე სახნავ მინდერებს სარწუავად თითქმის ჰეოფნის და ამისათვის კარგი მორჩილიც არის. სათავეს იღებს იქვე მახლობელი ტეიანი მთა–გორების წუარო–ნაეურებიდან. ჩამომდინარეობს ამავე სახელის რუ და ბოლოში წისქვილების რუებს უერთდება. როცა ხმელი ზაფხული ხვდება, კინაღამ შრება და ამისათვის არც თევზი იცი. ძიბახეველები, ფშაველები, ქისტები, ხევსურები სასმელად ამას ხმარობენ.

ცქვიტაძის ხევი და ჯობიოს ხევი სათქმელი არა არის რა. ეს ჰატარა ხევები შესდგებიან თითო-ოროლა ჰატარა წუაროებისაგან. მთის ნაწვეთი-ნაეურებისგან. გაზაფხულიდან შუა ზაფხულამდე ძლივს მოწანწკარებენ, შემდეგ სასმელადაც აღარ მოჩანან, ქვემოთ ტეის ჰირამდე ძლივს აღწევენ და იქ წვიმის ღვარისაგან ჩამოტანილს ქვაღორღში იკარგებიან უსარგებლოდ. ამათ ნაჰირზე მცხოვრებლები არ არიან და არც სასმელად იეენებენ გარდა დამაშვრალი მიწის მუშისა.

კაკლიანის წულის სათავე, რომელიც იქვე, ერთი ურმის სიშორიდამ იწუება ბალთაგორისა და ბაბურას გორის გასაუარში, სსვა ჰატარა გორებზე ბარაქიანია. ის არასდროს არა შრება და ცოტაოდენი მურა თევზიც იცის. კალაპოტი მეტად ჩავარდნილი აქვს და ამისათვის მის ჰირად მცხოვრები ათიოდე კომლი ფშაველი სარწუავად მისით ვერ სარგებლობს. სასმელად ცივი და გემრიელი წუალია. მცხოვრებნი მისი ნაჰირების წუაროს წულით სარგებლობენ. სოფლის თავში აბრუნებს ერთ ბორბალს და ბალთაგორის ბოლოში წისქვილის ხევს უერთდება.

ეკარელთ ხევი იგივეა, რაც კაკლიანის წუალი, ხოლო იმ გარჩევით, რომ ამას შედარებით მომეტებული სარგებლობა მოაქვს სოფ-

ლისათვის, სახელდობრ, რწყვით ეზოებისა, ბაღჩა-ბოსტნებისა, სიმინდებისა, ფეტვისა და სხვა, რამდენადაც სწვდება და ჰეოფნის.

სოფლის ზემოთ თავში, ბაბურისა და კუწახტის გორის გასავალში ერთი წყაროდან იღებს სათავეს, აქეთ-იქიდან ცოტა ნაჟურებიც ემატება. თითქმის ზედ შუა სოფელზე ჩამომდინარეობს. სათავის წყარო სიშორის გამო სოფლისათვის უსარგებლო რჩება და თვით ხევი — თუმცა სასმელად არ არის კარგი, მაგრამ მაინც სოფლები უჩარაობისაგან მისით სარგებლობენ. ავდრიანობისას ადიდება ძალიან არ იცის, არც საოქმელი ზიანი მოაქვს. სოფლები აქეთ-იქით სარწყავად უგდებენ და კალაპოტში წყალი აღარ რჩება, ამისათვის მასში თევზი ვერა ბუდობს და არც იცის. კუწახტის გორის ბოლოში წისქვილის რუს ერთვის.

ბრმა ფშა მართლაც რომ ბრმა არის. იგი გამოჩნდება ხოლმე ხანდახან კუწახტის მახლობლად და ხან იმისი კალაპოტიც აღარა ჩანს. ვერ გაიგებ, სად იწყება, საით მიდის და რას ერთვის — იკარგება: არც სარგებლობა მოაქვს, არც ზიანი. თევზი არ იცის.

სამკურნალო წყლები. მთელი ხეობის საზღვრებში არ მოიპოვება რაიმე სამკურნალო წყალი, რომლითაც საზოგადოდ მდიდარია კავკასია. არის მხოლოდ მახლობლად ხეობისა, „ნაქერალას მთის" გადასწვრივ, ფშაველის მთებში ერთნაირი სამკურნალო ცხელი წყალი, რომელსაც „თორღვას" აბანოს ეძახიან.

ეს წყალი კაი ხანია, მთისა და მასლობელი კახეთის სოფლების ხალხმაც იცის და სამკურნალოდაც ეტანებიან, ხოლო სპეციალურად გამოკვლეული, არა მგონია, იყოს. ამ წყლის ნიმუში ბოთლებით, სხვა ნივთებთან ერთად, 1901 წელს, თბილისში სამეურნეო გამოფენაზედაც გაგზავნა ჰანკისის სკოლის მასწავლებელმა მათე ალბუთაშ-

ვილმა (ამ გამოკვლევის ავტორმა. *გამომცემელთა შენიშვნა*). მგონი, გამოფენის სხვა ნივთების გვერდით, ისიც გამოუკვლეველი და უყურადღებოდ დარჩა.

ამ წყალზე გზა ერთი ჰანკისის ხეობით მიდის, მეორე — ფშავლიდან და ორივე გზა შეიყრება ისევ ურთნალის მთაზე, მრუდი გორას თავში, დიუანის ბოლოს. იქიდან ნაქერალას მთაზე ავა და ერთი უფრო მოკლე გზით, საცალფეხოთი წავა ფართო კლდეზე, ხოლო მეორე — ცხენის გზა - უელის წყაროვანზე დიდგვერდისაკენ.

ცხენიანმა ცხენი უნდა დატოვოს ცხვრის ბინაში და იქიდან ბარგი ზურგით ატაროს აბანომდე. წყაროვანზე ცოტა შორს უსვევს, მაგრამ მაინც აბანომდე ცხენი ვერ მივა. ასე ვერს-ნახევრამდის სიშორეზე, ძირს, ხევში ჩავა ცხენი, იქიდან ისევ უკან დაბრუნდება და იმ ხევიდან საგზალიცა და ავადმეოფიც ზურგით უნდა ატაროს მაღლა აბანომდე. ცხელი წყალი გამოდის ტეის თავში სამს ადგილას ახლოახლო. ავადმეოფი თვითონ აგუბებს წყალს, რამდენიც სჭირდება და შიგ წვება.

ავადმეოფს იქვე ახლოს ნაბდის ან ფარდაგის ქოხი აქვს გაკეთებული, რომ წყლიდან ამოსული თბილად დაწვეს. ავადმეოფი უნდა იწვეს წყალში, რაც შეიძლება დიდი ხანი, 1—2 კვირის განმავლობაში. მან უნდა ჭამოს მლაშე საჭმელი — თევზეული, ეველი და სხვა. სასმელად იგივე წყალი იხმაროს, ჩაიც იმავე წყლისა იკეთოს. მკურნალობის მხრივ, აბანოს ზოგჯერ ემდურებიან, რომ ეოველმხრივ უხერხულია იქ წასვლა და ეოფნა სამი კაცისათვის, თუ ცუდი ამინდებიც შეხვდათ, მაგრამ იქ ეოველ წლივაა ხალხი მთისა და ბარისა. ქალი და კაცი, ბალღი და მოხუცი მრავლად დაიარება. წყალი იმდენად ცხელია, რომ მანამ არ შეეჩვევა, შიგ დიდხანს ვერ ჩერდება. ცხელი წყალი ბლომად გამოდის და გოგირდის სუნი აქვს.

ტბები. მაღლა, რკინის მთის დასავლეთით, საიდანაც ტბათანას კორი იწყება, ერთი პატარა ტბა არის. იქიდან დაწყებულ მთასაც ტბათანას უხმობენ. ეს ტბა გამოკვლეული არ არის. იმდენად პატარაა, რომ შეიძლება, ვერც გუბე ვუწოდოთ და ვერც ტბა. სიღრმე ერთი მეტრია, ხოლო სიგანე – 10–15 მეტრი. ამ ტბიდან სათავეს იღებს ქოჩადალას წყალი ანუ სევი...

მადნები. სანადიროდ, ან ცხვარში, ან სათევზაოდ ხეებზე მოარულმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ბევრი მადანი იპოვეს და აღმოაჩინეს: იალაღზე, ტყეში, ხევებზე, კლდეზე, ჭალებში და სხვა. ნაირნაირი სამადნო ნიმუშები: ოქროსი, ვერცხლისა, სპილენძისა, ალუმინისა, რკინისა, ვერცხლის წყლისა, ნიკელისა, შაბისა, ცინკისა, მარგანეცისა, ქვანახშირისა მრავალი მოიპოვება.

ბევრმა მცოდნე პირმა სინჯის ნიმუშები წაიღო. მაგალითად, 1901 წელს, ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა მ. ალბუთაშვილმა ასეთი ნიმუშები თბილისის სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა, მაგრამ...

1900 წელს აქაურ ნიმუშებს უურადღება მიაქცია გენერალ-მაიორმა ა. კოროლკოვმა, ინჟინრებმა - ტოლმაჩოვმა და ვასილიევმა. წაიღეს ყოველი ადგილიდან ბლომა ნიმუშები, რომელსაც პეტროგრადში ამუშავებდნენ.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში მათ დაწერეს განცხადება გამოკვლევაზე, რაზედაც მიიღეს ნებართვა. მოიწვიეს „ზემლემერი“ ჩაატარეს კრება და აღნიშნეს უველა ადგილები განცხადების ნიშნებით.

ხსენებული მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ ჩხათანის წულის სათავეში უნდა იყოს ოქროსი და სპილენძის მადანი, ვერცხლისა და თუთიისა...

გორების დასავლეთით (ქორთაბუდის ტოტია), მდინარე ალაზნის პირად, ხოხორას ნაბინავარში (ეადორის გზაზე) და „ბრუდი გორის" დასავალში (ესეც ალაზნის პირად), რვანის ხევში, ტოლეშაში, ბაწარაში და ბევრ სხვაგან იპოვება სამადნო ნიმუშები, ასევე, ხორეჯის მთის სამხრეთ კალთებზე, ტბათანას მთის ტოტებში, ნაქერალაში, სპეროზაში და სხვა. ამათგან საუკეთესოდ ასახელებენ ხორეჯასა და ბრუდიგორას.

სპეროზას სამადნო ნიმუშები ცეცხლში რომ ჩააგდონ, როგორც წმინდა შაბი, ისე გადადუღდება. გაბიდას გორიდან (ხორეჯის მთაში) ნაზიდი ნიმუშებიდამ იქაური ქისტი თურქო მაქვანი ადნობდა ცეცხლში და თოფის ტყვიებს აკეთებდა.

კლდე, რომელშიც მადანი მოიპოვება, ზოგი ლურჯია, ზოგიც თეთრი — თაგვმარილას რომ ეძახიან. შიგ გრძლად, ზოლად გასდევს ფანქრის სიმსხო ხაზი თეთრად, ყვითლად... სპეროზაში და ბრუდი გორში კლდე მთლად ვერცხლისფრად იეურება ან ყვითლად, თითქოს ქვა არც კი ურევიაო. მას ოქროს მადნად ასახელებენ.

ჩხათანას წულის სათავეში მიწა ყვითელია, როგორც საღებავი და შიგ წმინდა, ოდნავ შესამჩნევი ქვიშა ურევია, ოდნავ მობრჯყვიალე. თვით მდინარე ალაზანზე გვხვდება ერთგვარი შავი ლიპა ქვა. რომ გატეხო, შიგნიდან გადმოცვივა ჰურის მარცვალივით გაკეთხული ძლიერ ყვითელი ნაწილები, როგორც მსხვილი, ისე წვრილიც. მათი ამოცვევნით ქვაში ადგილები ფოსოებივით რჩება...

1900 წელს, თვითონ ამ აღწერის შემდგენელმა წაიღო რკინის მთის გადასწვრივ, ღორღიანიდან, ერთი ნიმუში თბილისში გამოსარ-

კვეევად, ანუ ანალიზისათვის. ანალიზის სია რომ გადმოსცეს, ჰატ-რონს ასე უთხრეს: თუ რვანის გზა ასლოა, რომ დაამუშაოთ, ფუთზე ორი კაპეიკი დაგრჩებათო...

ჰავა და ნიადაგი. ხეობა აქეთ-იქიდან მაღალი და ხშირი ტყითაა შემოსილი. მთა-გორები იფარებენ ხეობას ორივე მხარეს აღმოსავ-ლეთ-დასავლეთის ქარებისაგან, რაც მთავარი მიზეზია ჰავის ერთნაი-რობისა და დამახასიათებელი ტემპერატურისა.

აქ ჰავა შედარებით თბილი და ზომიერია, მაგრამ იმდენად კი არა, რომ სარობდეს ზოგიერთი ხეხილი: მაგალითად, ნუში, ჭერამი და სხვა. ვაზიც ძნელად ხარობს.

არც ზამთარში ცივა ძალიან. თოვლი იმდენი იცის, რაც კახეთ-ში. მე მდინარე ალაზანი მთლად გაყინული ერთხელ მეტად არ მინა-ხავს. არც 1911 წელს, იმ დროს, როცა კახეთში მდინარეები და ხევები ყინულით მთლად გავსილები იყო.

გაზაფხულიდან, როცა თოვლი გაშრება, შემოდგომამდე, საღა-მოს 6 საათიდან დაწყებული მთელი ღამე, მეორე დღის 9 საათამდე, ზემოთ მთებიდან, როგორც წისქვილის ღარზე წყალი ასე ერთბაშად გაბმით მოწანწკარებს.

ცივი ნიავის შემდეგ მობრუნდება კახეთის თბილი ნიავი, უმეტე-სად საღამოს 6 საათამდე. ნიავის ასეთი მოძრაობაა მაშინ, როდესაც მახლობელი მთები მხიარულობენ ე. ი. როდესაც ღრუბელი არ აგრი-ლობებს მათ. ამ დროს დილა-საღამოს ისე ცივა, რომ შუა ზაფხულ-შიაც ადამიანს ტანზედ რამის წამოუსხმელად შესცივა — ამას დიდი ზეგავლენა აქვს სალხზე და მცენარეებზედაც.

ამ ნიავზე ჰირდაჰირ მაცხოვრებელ ხალხს ამის ვარაუდი ვერ გაუწევიათ. სახლებს დერეფნები მიბრუნ-მობრუნებითა აქვთ დაეენე-

ბული და ასე ნიავს მოფარებული. მუშა ხალხი — კაცი, დედაკაცი, დამაშვრალი, ნაოფლი, იძინებს ღია დერეფანში, რწყილებისაგან შეწუხებული, ან სხვაფრივ, გადახდილს, დედისშობილას სძინავს, ცივდება და სშირად ფილტვების ანთება და სიკვდილიანობა იცის. წისქვილების რუის ჰირზე წნორები, ბაღჩაში ხეხილი და მინდორში ნათესი რომ ათვალიეროთ, ცხადად შეატეობთ ქვეყეითკენ თავებდახრილს, ნიავის ამნაირი ერთბაში მოძრაობისაგან.

ზამთარში იცის მხოლოდ სამხრეთის ნიავი და თოვლიც ამას მოაქვს, მხოლოდ არა ჰეინავს, არც ძალიან ცივა.

ზაფხულში, თუ ეს ჩვეულებრივი მოძრაობა ნიავისა აირევა, ხეობაში ამინდი უსათუოდ წვიმით შეიცვლება.

ხეობის ქვეშოთ, ახმეტის ბოლოზე რამდენიმე ჰექტარი ჯაობი ადგილია, მაღალი, ჩალით დაფარული, ჭაანტი, ტლაჰი. ეველა კახელმა იცის, როგორ უხვად უგზავნის ახმეტელებს ჯაობის მალარიის კოღოებს ცხელი ნიავი, რომელიც დილიდან საღამომდე უბერავს ჰანკისის ხეობას და უხვად აგროვებს ციებ-ცხელების კოღოებს.

წვრილი ქინქლა კოღო აქაც იცის, მაგრამ ეს კოღო, ნიავს შეშინებული, ტეეში ფოთლებს აფარებს თავს და იქ იკვებება. სახლებში ვერა ბუდობს ბოლისაგან, გარეთ ვერა ჩერდება ნიავისაგან, ხოლო, როცა ზემოთ მთები ჯანღით შეიკვრის და ეს ნიავის მოძრაობას შეაჩერებს, მაშინ მოქმედებს ქინქლა და მალარიის კოღოც.

ზაფხულში, საღამო ხანზე, მგზავრობისას ხამმა ადამიანმა, სჯობია, თავი არ მისცეს გრილი ნიავის სიამოვნებას, თავი დაიცვას მისი სისინისაგან, თორემ, შეიძლება მოულოდნელად გაცივდეს და უბრალოდ გაიტანჯოს.

ქარების მიმართულების მხრივ, როგორც განსაკუთრებული ადგილი, აქ ძლიერი ქარი, ქარიშხალი იშვიათია.

მდინარე ალაზანს ხეობის აღმოსავლეთის მხარე აქვს დაკავებული, თუმცა ეტუობა, ოდესმე მდინარეს მთელ ხეობაზე თავისუფლად უნავარდია. ამას ამტკიცებს კუწახტოდან მოუოლებული, ზემოთ, სათავემდე მინდვრად გაფანტული მსხვილი ქვა-ღორღი, თვითონ ნიადაგიც, რომელიც წმინდა გარეცხილი ქვა-ქვიშაა. გარდა ზოგიერთი ადგილებისა, სადაც ერთ ბარის ჰირზე მიწაა, ისიც შლამისგვარი, დანარჩენი ძირს ისევ გარეცხილი ქვიშაა.

კუწახტას ქვეშოთ ნიადაგი სრულებით სხვაა — თიხნარია. ეს უნდა იყოს წვიმის წყლისა და ნიაღვარს ჩამოტანილი ტუიანი მთა-გორების ნარეცხი თიხნარი მიწისა, ან იქნება აქ მართლდება ძველად ნათქვამი — წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო. ჩანს, მდინარემ სწორედ აქედამ ოდესმე იცვალა მიმდინარეობა და გაბრუნდა აღმოსავლეთის მთა—გორებისაკენ. ამის ქვემოთ ნიადაგი სქელი, მოთეთრო თიხნარია, მდინარის ფსკერი მოშეტებულად დაწეულია, ნიადაგი მეტად ლაფობს, ქვა—ღორღი ნაკლებად არის, ქვიშა სველიც აღარაა. ამ ფარგლებში გვალვა და სიცხე ისე ვერა სტუსავს და სწვავს ნიადაგს, როგორც კუწახტას ზემოთ თავამდე.

გაზაფხულიდან, თითქმის შუა ზაფხულამდე, მთელი ხეობა მწვანე ხავერდივით ღაღანებს სასიამოვნოდ.

შუა ზაფსულიდან მთელი ხეობის არემარე მთლად გადაიტუსება ხოლმე, უფრო თუ ხმელი ზაფხული შეხვდა, მინდვრები თეთრად გამოიეურება. ზაფხულში, როცა ხეობას მზე ჰირდაჰირ დახედავს, ხურდება და გადალესილი ქვიშნარი ნიადაგი ჰირისჰირ გახედვით ლაჰლაჰებს. ჰაერი — როგორც გახურებული თონიდამ ცეცხლის ალი, ისე ცხელია, მაგრამ, მთებისა და მდინარე ალაზნის წყალობით, ისე ბოროტი და სულის შემხუთველი არა, როგორც, მაგალითად, ქვემოთ — კახეთში.

ნიადაგი აქ სრულებით უიმედოა მოურწყავად. ჯალის მაღლა, ფერდობებში ნიადაგი მოუვითალოა. გვალვა და სიცხე ნამუშეველს ვერას აკლებს მახლობელი მთა-ტეისა და მისი ხინესტის შემწეობით. ტეიდან წვიმის წყლისაგან ჩამოტანილი სასუქით საკმარისად განოყიერებულია სახნავი მინდვრები. აქ მოხნულ-დათესილი კლეხებს ორმოში ჩაურილივით ეგულებათ. ფერდობებში მამულები არ ირწყვება და არც მაგდენად სჭირდება.

დაბლა, როგორცა ვთქვით, კიდეც ირწყვება და არც-რა მოდის მოურწყველად, ქვიშრობი ნიადაგების გამო. თუ ვინდა ეოველდღე ზედ წვიმდეს, ნამუშეველს დაბლა არ აწყენს, არ გააყვითლებს, არ აშრეტავს და არც სხვაფრივ ავნებს. მთელი დღე რომ გადაუღებლივ წვიმდეს, უმთავრეს შარაგზაზედაც კი არ გაკეთდება საფლობი ლაფი, კახეთში და სხვაგან რომ იცის.

მთელ ხეობაზე არ იპოვება გუბე, ტბა, ჭაანტ-ჭაობი, რომ შიგ წყალი გაუშრობლად მუდმივად იდგეს, შიგ იზრდებოდეს ბალახ-ბულახი, ჩადიოდეს, ლპებოდეს, იხრწნებოდეს და უშვებდეს ათასგვარ მავნებლებს, რომელიც მიზეზია მრავალი ავადმეოფობისა.

მართალია, პირველ გაზაფხულზე იცის ცოტა-ცოტა გუბეები მინდვრად, სადაც ბაყაყები ეოველ საღამოს კონცერტებს მართავენ, მაგრამ ესენი დროებითია. ერთი ჩემი სტუმარი, უცხო „ინტელიგენტი“ ბაყაყების ამ კონცერტმა შეაშინა. მივაძახე, „შალარიას მაურების“ ნუ გეშინიათ, დროებითი გახლავთ-მეთქი.

ქვიშრობში ნიადაგი თითქმის ორკეცებს ხეობაზე ზაფხულის სიცხეს, რომელიც უთუოდ სწვავს კიდეც, უფრო მოშუადღეობისას, როდესაც მზე ხეობას პირდაპირ დაჰეურებს. ძირიდან ქვიშნარი ნიადაგი ხურდება, უბერავს სამხრეთის თბილი ნიავი და სიცხისაგან ადამიანს სული ეხუთება. ბედნიერებაა უვნებელი ნიავი ალაზნის მეოხე-

ბითაც, თორემ ამ აუუდებულ ტეიან მთებში — სანოვაგის კალა-თასავით — მომწყვდეულს ხალხს ცხოვრება ვაი-ვაგლახისა ექნებოდა.

თუმცა ხეობა სხვადასხვა ავადმეოფობის გაჩენის უმთავრეს მიზეზებს მოკლებულია, მაგრამ მაინც ჩნდება, უფრო ზაფხულის მიწურულში, ცოტა მალარია, წყალმანკი, ციმბირის ჯირი, გადამდები სენები: წითელა, ყვავილი, ეიგანახველა, ქუნთრუშა, იშვიათად — ვენერიული და სხვა. სხვა ავადმეოფობისას ვერას ვიტყვი, ხოლო მალარია კახეთის ველების ბრალია.

ჰაერისა და ნიადაგის სიკეთე ხელს უწყობს აგრეთვე მოსავალსა და ხეხილს — მოჰყავს ყანა, სიმინდი, ფეტვი, მთებში — ვაშლი, მსხალი, ვაზი, ატამი, ნუში, ალუბალი და სხვა ხეხილი ხარობს, ხოლო თუ ცივი გაზაფხული შეხვდა, ფუჭდება ყვავილშივე.

ტეე აქ ძვირფასი, მსხმოიარე, უბრალო და ჯაგნარია. ტეე — ერთ დროს უტესი, მშვენიერი და მდიდარი — ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო საკუთრება ამჟამად მის შენახულობას ვერ დაიკვეხებს. ორიეეს ძალიან ამჩნევია ადამიანის შეუბრალებელი, მმუსრავი ხელის ზეგავლენა. სახელმწიფო ტეეს ხეობის ხალხი ზედ აწვევს: შეშით, ფიჩხით, სახლის მასალით, საქონლისათვის და სხვა წვრილმანი საჭიროებისათვის. კერძო სარგებლობის გულისათვის ან იჯარით აძლევენ რამდენიმე წლობით, ან ცოტა ხნობით სხვადასხვა საჭირო მასალის გულისთვის და შეუბრალებლად ჰირქვე ამხობენ მშვენიერ ტეეს. ასეა მთელი ხეობა.

ტეე დღითიდღე ძირს ემხობა, იმუსრება და ერთ დროს ალაზნის ჰირას ლაზათიანი ხელის თითებივით აერილი უტესი ტეის მაგივრად, მალე, იქნებ ტიტველა, ხრიოკი ფერდობებიღა იეოს.

დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ამ ხეობაზედ ჰირველად ხალხი დასახლებულა. იმ დროის მოხუცებულნი გვიამბობენ, რომ სოფ-

ლების ზეით-ქვეით, სადაც ახლა მომსხო ხის ძირებიც აღარ იბადება და მარტო საკურდღლაო ბუჩქებიღაა კაცისაგან გაუვალი, დაბურული ჭალა იუო. შიგ გარეული ღორი და ირემი ბუდობდა, ახლა ირემი კი არა, კურდღელიც ვეღარ ბუდობს, ციცქნა ჩიტების მეტი არაფერია... ხალხს რომ საქონლის საძოვრად არა სჭირდებოდეს, აქამდე ჯაგებიც აღარ იქნებოდა — გუთნისაგან იქნებოდა გადასწორებული, თითქოს ჯამბარაააო.

სოფლის კაცს მოსწყინდება თუ არა ერთ ადგილას ბინადრობა, აიღებს თავის ფიცრულა საქონლის ქოხს და ტეის ჰირად სადმე გორის ძირში მიადგამს მას მერცხლის ბუდესავით. მიადგება ტეესა და ნელ-ნელა ჰკაფავს დღე და ღამე. ტეის ეარაული თუ ვერ შეისეიდა, ის ოქმს შეუეენებს და სასამართლოში გადაასდევინებს სამიოდე მანეთს, მაგრამ ის გაჯაგული ტეე იმის საკუთრებად რჩება.

სულ ათიოდე წელი იქნება მას აქეთ, რაც ერთ სოფელში — ევარელწყალზე — სოფლის თავში ქვიტკირის სახლი გააკეთეს. ეს სახლი ზედ ტეის მიჯნაზე იუო, რომლის ზევით ეარაულები კაცს უბილეთოდ სახრის მოჭრის ნებასაც არ აძლევდნენ. ეხლა ის სახლი შიგ შუა სოფელშია მოქცეული... იქნებ დრო იუოს, ახლა ბოლოში მოექცეს?

სოფლის მარჯვნივ, დაბალი, ტეიანი გორები გაზაფხულის თხებივით მთლად დაკრეჭილებია ფიჭვის მასალასავით. მუხის ხე ლამის თესლად გააქრონ.

ჯერჯერობით, მანამ კაცის მმუსრავი ხელი ვერ დაეტეო, ან საშიშროების გამო, ან უხერხულობით, ზოგიერთ ადგილებში ცული ვერ მიუტანია, იქ ტეე ისევ შემკულია ძვირფასი და ჯიშიანი ხეებით, რომლებიც ამშვენებენ მიდამოს თავისი სიდიადით, სიმშვენიერით და ტანადობით, მაგალითად, უნაუოფონი: ბზა, უთხოვარი, უნაბი, ფიჭვი, ცაცხვი, თელა, თელამუში, ქორაფი, იფანი, მურეანი და სხვა.

ნაუოფის მომცემნი: წაბლი, კაკალი, წიფელა, მუხა და სხვა. უბრალო ნაუოფიერნი: გარეული ვაშლი — მაყალო; გარეული მსხალი — ჰანტა, გარეული ბალი — ბალმწარა, თხილი, შვინდი, ტყემალი, თრიმლი; წაბლი — მომეტებულია დედისფერულის თავში, ხორეჯაში, ტოლეშაში, ქორთაბუდეში და ურთნალში.[1]

ჯაგნარნი: ნაუოფიერნი და უნაუოფო: ჟონჟოლი, კუნელი, მაყვალი, ზღმარტლი და სხვა. უთხოვარი მსხვილი ბაწარას ხევზე: ფიჭვი — სპერროზაში, თელა, ცაცხვი და მუხა, ურთნალი — დუმასტურში, სალაწანში, ქორთაბუდეში; მუხა — ორივე ქორეთში ცოტა-ცოტა ყველგანაა, მხოლოდ უსარგებლოდაა. კაკალი თითო-ოროლა ტყეებშია, ხოლო ჭალაში — მეტი: ძიბახევის ბოლოში, ბრუდი გორის დაბლა, ალაზნის პირად, ცქვიტაძის ბოლოში; დედისფერულში, კუწასტაში და სხვ. წიფლის ხეს იტყვიან ტბათანას მთაში, მე თვითონ არ მინახავს.

შინაური და გარეული ოთხფეხი ცხოველი და მტაცებელი ნადირი. ხეობის მცხოვრებლები, როგორც საზოგადოდ მთის ხალხი, ნადირობენ. თუმცა კიდეც ხნავენ, თესავენ, მაგრამ უფრო საქონლის მოშენებას მისდევენ.

ამ სამრეწველო დარგს ძალიან აფერხებს ადგილის სივიწროვე. ამიტომ ბარსაც ეწვევიან ხოლმე ზოგიერთები. აშენებენ: ცხვარს, ძროხას, ცხენებს, კამეჩებს. ყველას ცოტ-ცოტას. ცხვარი და ცხენი ჰყავთ ასი — ორასი, ან მეტ-ნაკლები; ძროხა თითქმის ყველას ჰყავს თითო მეწველი მაინც. კამეჩები ჰყავთ ხშირად, ვირი და ჯორი — იშვიათად.

---

[1] ურთნალი — ურთანაულს ეძახიან დღეს.

ცნობილია, რომ კამეჩებს უყვართ ჭუანტი, ჭაობიანი ადგილები, თუმცა ამისთანა ადგილები სულაც არ არის, მაგრამ კამეჩები კარგი იზრდება. მე მგონია, იმისათვის, რომ აქ ქისტები კამეჩს არ სწველიან, მარტო ზაქები სწოვენ. ნაწოვი ზაქი, ალბათ, კარგი კამეჩი დგება, თუმცა არც ძალიან ჯაფაში ჰყავთ.

კამეჩებს არ ამთაბარებენ, არც ცხენებს. ამთაბარებენ მარტო ცხვარსა და მეწველ საქონელს.

თიბათვის დამდეგს დედაკაცები ავლენ საქონლით და აგვისტოს ნახევარში ბრუნდებიან. კამეჩებს შესაბმელად ხმარობენ: გუთანში, ფაცხაში, ურემში, კალოში და სხვა, ცხენებს — საჯდომად, ბარგის საზიდად, კალოში და სხვაგან.

მწყემსი კაცის მარჯვენა ხელი და ჭეშმარიტი დარაჯი ცხვრისა მეეფარი ანუ ძაღლია, რომელსაც ყველა მეცხვარე და თითოეული ოჯახიც ინახავს. ორ-სამ თუ არა, თითოს მაინც უსათუოდ.

შინაური ძაღლი სახლს უარაულობს. დიასახლისი უვასშმოდ დარჩება, მეეფარს კი მშიერს არ დაარჩენს. აგრეთვე მწყემსი. ღამე მეეფარი ცხვრის ახლოს წვება, ჰატრონობს ცხენების ბინას, არც მოშორდება და არც იქ მიუშვებს უცხო კაცს ცოცხალის თავით.

არც კატაა ურიგო გამოსადეგი ცსოველი. ესეცა ჰყავთ, ყოველ კომლზე თითო მაინც.

როგორც ზემოთაც ვთქვით, იეო დრო, როდესაც დაბლა, ჭალებში, სოფლების ახლოს ირემი და გარეული ღორი ბინადრობდა. გამოცდილ მონადირეს უთქვამს, სადაც ირემი ბუდობს, ის ტეე ნადირის ბუდეაო და მართლაც რომ ჰანკისის ხეობა ნადირის ბუდე იეო ერთ დროს, მანამ სასროლი თოფი გაჩნდებოდა.

მთელი ხეობის მცხოვრებნი, ყველა თითქმის იარაღის მოუვარულია და კარგი მსროლელიც. დღესაც ანდაზასავით დარჩენილა ხალხ-

ში: ერთმა ქისტმა თავის კარზე ნადგომი ქართული მუხა თოფის ნიშანში სროლით წააქციაო. მართლაც არის ამისთანა ხალხი, რომლებიც ნადირსაც ბევრს ესვრის და ბევრსაც დახოცავს. მაგრამ საქმე იმაშია — ჯერ ერთი, ქართული თოფი შორს ვერ ისვრის, ვერც საკმაო ძალას მიიტანს. მეორე — ქართული თოფით მოჰკლავ ერთ ნადირს და წამოიღებ შინ. ჩქარა სასროლი თოფით, სადაც თვალი მისწვდება, იქ არის მისი ტეკეიაც და განა ერთს დასჯერდება?

ნადირს თავისებური ხასიათი აქვს: მას უფრო ამხანაგად სხვასთან ერთად ყოფნა-ცხოვრება უყვარს და ჰგონია, სიკვდილის დროსაც თავი იმასვე შესწიროს.

თოფი რომ გავარდება, ნადირი უცებ გაფრთხება და ერთი ხამუში განზე გახტება. აქ შედგება წუთით ყურებდაცქვეტილი, თოფის გამოხმობა უკანვე გამოაფრთხობს და თავის ამხანაგს რომ იქ მტრის თოფისაგან წაქცეულს დაინახავს, თითქოს უნდა უშველოსო, თავს დაადგება. ამ დროს, მონადირეს თოფი მზადა აქვს, ამოიღებს ნიშანში თავისი თოფით და იმასაც იქ მიაწვენს. ამნაირი მონადირე ზოგი, ყველა კი არა, ნადირს არ შეიბრალებს და 5-7-ს დააწვენს ადგილობრივ.

ქართულ თოფს ვერც ესროდნენ მსხვილ ნადირს შიშით: დათვს, ირემს, გარეულ ღორს. თუ ესროდა, ან მოჰკლავდა ან არა, ან ერთი ცოცხალი და ან მეორე...

ბათირამ ერთხელ ირემს ესროლა ქართული თოფით. ირემი წაიქცა, მივარდა ბათირი, გაიძრო ხანჯალი, რადგან იცოდა, მისი თოფი ვერ დაიმორჩილებდა. ირემს ჩაურჭო ყელში, ირემმა გაიქნია ფეხი, გამოსდო გადაგდებულ უაბალახში და ბათირი ხეს მიაწყვიტა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გულშეწუხებული ბათირი წამოდგა, ირემი იქ აღარ დახვდა.

მეორედ, ბათირმა გარეული ღორს თოფი მოარტყა, ღორი წაიქცა. მივიდა ბათირა ღორის დასაკლავად, წამოუხტა ღორი. ბათირამ მოასწრო ერთი წაქცეული ხის გვერდით ჩაწოლა. ღორმა კბილი ვერ მიუყენა, მაგრამ ფეხებით კი დაალურჯა.

ფშაველმა ჰეტრემ დათვს „ვინტოვკა“ მოარტყა, დათვი წაიქცა, თავი მოიმკვდარუნა. მივიდა ჰეტრე დათვის გასატყაყებლად. წამოუხტა დათვი, ჰეტრემ ხეზე აასწრო, სამჯერ კიდევ დაახალა თოფი და იქვე გააცივა. ჰეტრეს რომ ქართული თოფი ჰქონოდა, თვითონ დაიკავებდა დათვის ადგილს.

მე ხშირად მინახავს სოფლის ექიმთან მოსარჩენად მისული მონადირე დათვისა და ღორისაგან დაჯრილი.

გამიგონია, ეხლა მონადირე არ ერიდება „ვინტოვკით“ მოკლულ ნადირს. ბერდენკის თოფით მოუკლავთ ღორი, რომელსაც მუცლის ფარში ქართული თოფის ტყვია აღმოსჩენია ბუდეგაკეთებული.

ეხლა მონადირეები დაიქადნებენ — თოფს რომ ვესვრით ნადირს, ნათოფარში სინათლე გაუვა ხოლმეო. აბა, ნადირი არ შეთხელდება?! ნათქვამია: „ზღვა კოვზის ჰირით დაილიაო“.

ასეა, დღეს ხვალეობით ნადირი შეთხელდა და ზოგიც გაფრთხა, შორს უღრან ტყეს შეაფარა თავი, მაგრამ მაინც ხეობის ახლომახლო მიდამოებში, მთასა და ტყეში გვხვდება მსხვილი და წვრილი ნადირი, მაგალითად: ირემი იშვიათად, ჯიხვი, შუნი (დედალი ჯიხვი), ფსიტი, გარეული ღორი, კურდღელი და სხვა. მტაცებელი: დათვი, მგელი, ტურა, იშვიათად — მაჩვი, მელა, ვეფხვი და ფოცხვერიც. დათვი ხშირად გვსვდება, რადგან აქ მისი საჯმელი — ტეის ხილი — ბლომად მოიპოვება.

შინაური და გარეული მტაცებელი ფრინველები. საერთოდ, მთელი სეობა ფრინველთა მისაშენებლად, მოსამრავლებლად ძალიან კარგია და ხელსაყრელი, მაგრამ შინაური ფრინველების მოშენებას წინათ უფრო არავინ მისდევდა.

აქაური მცხოვრებლები, უფრო ქისტები, რადგან არა ჰქონდათ ვაჭრობის, აღებ-მიცემის გეზი აღებული, თუ იყოლიებდნენ ცოტაოდენ ქათამს სტუმრისათვის, ათასში ერთხელ — თავიანთთვის.

ამ ბოლო დროს, ქისტებმა დაიწყეს თითქმის ყველა ჯურის ფრინველის მოშენება. მაგალითად: ქათმის, ინდაურის, ბატის, იხვის, მტრედის, სისირისა და სხვა.

ქათამი ზაფხულში მინდვრად, მარტო ნამკალებში და ნაფეტვრებში გადის იოლას.

ინდაურები გაუდით ტეეში ზღმარტლზე, კუნელზე, წიფელზე და სხვა. იქ სუქდება.

ბატისა და იხვისათვის ხომ წყალი გულუხვად არის. მტრედს კი ქორი ძალიან ეტანება.

ესლა ჰანკისის ხეობაშიც მიეჩვივნენ კვერცხისა და შინაური ფრინველის გამოყვანას ბაზარზე, მახლობელ ქალაქ თელავში.

ხორცად გამოსადეგი გარეული ფრინველიდან იცის: ქედანი, მტრედი, გვრიტი, მწყერი. ესენიც ერთ დროს, მაგალითად, გაზაფხულზე, როცა კვერცხობს და ზაფხულში, ეანები რომ გაიჯრება. სხვა დროს, აქ ძნელი სანახავია.

მტაცებელი ფრინველებიდან გვხვდება: მთის არწივი, ორბი, სვავი, ძერა, ბუ, ქორი, მიმინო, ყორანი, ჯილყვავი, მწყერიჯერია, ოლოლი, ჯაფარა, ღამურა და სხვა.

არიან მგალობელი ფრინველებიც: შაშვი, ტოროლა, მოლაღური („ბიჯო გოგია“), წიფლის ჩიტი, ნარის ჩიტი, ღობემძვრალა, მელქონია, მწყერჩიტა, ყველგან მოსახლე ბეღურა და სხვა.

მაღლა და მაღლა გვხვდება: შურთხი, გარეული ინდაური, კაკაბი. მძლეავარი ფრინველები: გუგული, მერცხალი, ოფოფი, წყალწყალა. ცოტა ხნობით მოდიან: გარეული იხვი, ბატი, სავათი, მინდვრის ქათამი...

თევზები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მთელ ხეობას მდინარე ალაზანის მეტი სხვა სასმელი წყალი არ ჩამოუდის, გარდა ჰატარ-ჰატარა ფშებისა, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ.

მდინარე ალაზანი, ვიდრე ხეობას დასცილდება, არ მოდის იმდენად გაშლით და დამშვიდებით, რომ თევზები დაიბუდოს. არ მოეჰოვება იმისთანა მორევები, რომ ადიდების დროს თევზი გამაგრდეს და არ გამორიყოს.

მარტო ისეთი ლოდები ურია, რომ კაცი ზედ ვერ გადახტება. ცოტა რომ მოდიოდეს და კაცმა ნაჰირიდამ ყური დაუგდოს, ისეთი გურგური ისმის წყლის ფსკერიდან, თითქოს ქვეყანა ინგრევაო.

წყალდიდობისას მცხოვრებლები ხშირად ჰოულობენ მდინარის ჰირზე დამხრჩვალს დიდ თევზს — ორაგულს. ალბათ, ამ მიზეზით, აქ თევზი შესამჩნევად არ იცის, თუმცა კი ხეობის მცხოვრებნი, განსაკუთრებით მახლობელ სოფელ მატნისა, საკმაოდ ნახულობენ.

შემოდგომობით თევზი ფშაში შედის სათხრელად ე. ი. კვერცხისათვის. იცის: ჯრელი ორაგული, გოჯა, კაჰუეტი, მურწა, სალამურა. კალმახი უფრო ხშირია სვეებში, ბუწუნხევში, ბაწარაში, ჩხათანის წყალში, დუმასტურის წყაროში და სხვ.

თევზი წინათ უფრო ბევრი იყო, სანამ აქ თევზაობას დაეჩვეოდნენ. ახლა, როცა ბალღებმაც კი ისწავლეს თევზაობა და ამასთან, ჰატარა ბადეებიც □მოსმა□ შემოიღეს, თევზი შესამჩნევად შეთხელდა.

მთის კალმახს ბადე ვერ იჭერს, ნემსკავით იტეუებენ ადვილად, მაგრამ მაინც მთის ხვეებში, უშველებელი ლოდების ქვეშ იმხელა სამალავები აქვს, რომ იქ თავს შეინახავს და თესლად მაინც არ გამოილევა თუ საკმარისი არ იქნება. ამის იმედი უნდა გვქონდეს.

ქვეწარმავალნი. ქვეწარმავალი, მცურავი, დიდი და შხამიანი იცის ცხელ ქვეყნებში.

ჰანკისში ჰავა საერთოდ გრილია და უფრო ცივიც. ამიტომ, აქ არ იცის მცურავი, არც დიდი და არც შხამიანი. ყველაზე დიდი იქნება ნახევარი მეტრი სიგრძის, შესაფერი სისქის და ხშირად შავი. ჯერ ადამიანისთვის მცურავს აქ ზიანი არ მიუყენებია ან ჰირში ჩაძრომით, დახვევით, ან კბენით და დაშხამვით.

აქ მცურავს კაცი ადვილად ვერ ნახავს. უფრო ნახავს, როცა ის ბაყაყს დაიჭერს და დააჭყეტებს. ბიჭები ეძებენ ამ დროს, რომ მოკლან და ბაყაყი გამოაშვებინონ. მცურავი უფრო გვხვდება მთების დაბლა, ქვაღორღის ჰირას, მხოლოდ წვრილი.

ერთსელ, სოფელში ხმა გაავრცელეს — ბალთაგორში უნახავთ უშველებელი, შავი, ჯაგრიანი მცურავიო, რაც სიცრუე გამოდგა.

გუბეში ბაყაყები გაზაფხულობით არიან, ზოგი მწვანე, ზოგი მოშაო გომბეშო, ზოგი ჰატარა, მწვანე ფოთლის ფერი, ზოგიც მოყვითალო. ბაყაყებმა იციან ხის ტოტზე, ფოთოლზე ჯდომა და ეიეინი. ეიეინს რომ დაიწყებენ, სოფელში იციან თქმა: „წვიმა მოვაო“.

ხვლიკები გვხვდება მოზრდილი — ჯოჯო და ჰატარა — მთისა, ხშირად კი არა.

თაგვი არ იცის არც სახლებში, არც მინდორში. გვხვდება ორსამნაირი წრუწუნა (ბრუციანი), ვირთხა, კუდალა. თაგვის გამრავლებას აბრალებენ ხოლმე მშრალსა და თბილ ზამთარს, მაგრამ მე არ მახსოვს, თაგვს აქ ნამუშევარი გაეცუდებინოს, ნამუშევარს აქ უფრო მწერი აზიანებს ხოლმე...

მწერები. ჰანკისის ხეობაში ნამუშევარს აზარალებს ეროვვარი მწერი, რომელიც გაზაფხულზე ჩნდება, როცა ეანა გულს ჩაიდებს და აყვავდება. ეს მწერი მოედება და ახლად გამოსახულს ჯულინტა რძიან მარცვალს ფუტკარივით სწოწნის. თითო თავთავს ასვევია 3-6 ცალი, სან გული ეანისა მათგან შავად ჩანს.

მწერი ხარაბუზას წააგავს, იმაზე ცოტა ჰატარაა, ზოგი მოწითალოა, ზოგიც — მოშაო. გარდა იმისა, რომ ფერით განსხვავდებიან, ადამიანმა რომ ხელი შეახოს მოწითალოს, თავს იმკვდარუნებს, შავი — არა. აგებულება ორივესი ერთია. ზევიდან ქერქი მაგარია, როგორც ხარაბუზასი, ფრთები — ნაზი, ორივესა შლის, თავ-ჰირი ხარაბუზას უგავს. იმასავით მსხვილია, ხოლო რქები არა აქვს. დაფრინავს, მაგრამ შორს ვერა.

ორივე ჯიშისა ეანას მწერი ერთნაირად ებრძვის. მათი ნაჯამი ეანის მარცვალი ზოგი მაღლამდე გამოსუტულია, ზოგი ნასევრად შეჯმული. თუ მარცვალი ოდნავ შემაგრდა, ვეღარაფერს აკლებს და მწერი იკარგება.

ამ მწერს ქათამი, ინდაური ძალიან ჯამს, ჰირდაჰირ ულაჰავს. ბალღები და ქალები შინ ეზიდებიან და ქათამ-ინდაურს აჯმევენ. ქისტები — „ზაურგიშ-ს“ — ემახიან.

ზოგჯერ ერთნაირი სხვა მწერი ჩნდება და მრავლდება, რომელსაც კახეთში ზოგი ბოსტანას და ზოგიც მჯრელს ემახის.

1903 წელს შენიშნეს, რომ ამან ძალიან აზარალა სიმინდის ნათესი. სხვა დროს არავის შეუნიშნავს მისგან ასეთი ზარალი.

ხალაწანში, ზოგმა ერთსა და იმავე ადგილზე სამჯერ დათესა სიმინდი.

ეს მწერი, მიწაში, ერთ მტკაველზე, ძირს, ვერშინის სიგანეზე ბუდობს და ჭიანჭველას კვერცხის მაგვარი კვერცხებით ჰირამდე ავსებს ბუდეს. ჩეკავს და იქიდან მწერები ჭიანჭველასავით ბუინა იშლება მიწაში. დედას აქა-იქ გზები აქვს გაკეთებული, რომლის წყალობით ჰატარა მწერები თავისუფლად მიდი-მოდიან მცენარეთა ძირების საღრღნელად. ჰატარები მომსხო ჭიანჭველას წააგავენ, მოშაონი არიან და მარდები. დედა ვერშინის სიგრძისაა, სალოკა თითის სიმსხო. ოთხი ფეხი აქვს. წინ უბებთან აქვს ორი მომსხო თათი და წინ ჰირთან — მარწუსივით აქვს მოკრილი, როცა დადის, იმასაც ფეხებივით სმარობს. ყველა ბოსტნეულზე უფრო მეტად ნორჩი ხახვის მტერია.

1901 წელს გაჩნდა ერთგვარი მწერი, რომელიც აქამდე არ იცოდა. მას აქეთ ჩნდება უფრო, როცა გვალვიანი წელი შეხვდება. ჭინჭრის ფოთოლის ქვეშ, ქსელში გახვეული, წვრილი მოლეგაო კვერცხებიდან გაიშლება უამრავი ნემსის წვერივით წვრილი, მოგრძო ბუსუსებიანი და კუჰრივით შავი მწერი.

ბუზებისგან შეწუხებული ცხენივით თავებს მალ-მალ მაღლა იქნევენ, მისდევენ ჭინჭარს და ზედ ნაცარგადაურილივითა ხდიან შეჯმულს-გამოსუტულს. რაკი დამსხვილდება, მერე მუსრს აკლებს ველის ეკალსა და სხვა ფოთოლ-ბალახს.

მწერი ჩნდება ჰირველად შიგ სოფელში, სოფლის ჰირად შენობაში და იქვე ბალახ-ბულახზე, როცა სოფელს გასცდება, მაშინ ნამუშევარ უანას, სიმინდს არ ერიდება.

მწერი რომ დამსხვილდება, კალმის ტარის სიმსხო ბრუნდება ისევ სოფელში, სახლის დერეფანში, აქა-იქ კუნჭულებში, სადმე სიმშრალეში მიეკვრება, ჩამოეკიდება; ქინთელასავით აქ გადაიცვლება — წინანდელი შავი ფერი ეკარგება, სიგრძე უნახევრდება და კვერცხის შიგნითა ფერფლივით თეთრ კანში ეხვევა. ქათმის ნაღველსავით თავში წვრილია, ბოლოში მომსხოდ რჩება და მოუვითალო ფერს ღებულობს. გაზაფხული თუ დარიანი შეხვდა, იმ ქინთელებიდან ანუ ჰარკებიდან გამოდის ჰეჰელა, რომელიც ისევ იმ რიგად ჯინჯრის ფოთლებზე კვერცხს დებს.

სახლის ბუზი იცის თხლად. ის ჭრელი და მკბენარი არ არის, კახეთში რომ იცის: მატლის მწვანე ბუზი, ბუზალაკი, კოღო, მუმლი, რწყილი, მინდვრის კალია.

ტუეში მცირედ იცის ერთგვარი შავი მოზრდილი მწერი, ერთი ვერშის სიგრძისა, თავის სიგრძე რქები და ფეხები აქვს. მაღლა ხეზე ფოთლებში იცის ჯდომა და ერთი გაბმული ჭრიჭინი. ამას, მგონია, ხოჭოს ეძახიან კახეთში.

გვხვდება კიდევ სხვა და სხვა ჯურა ჰეჰელები. ამათი კვერცხების ჭიები: ბორა, ტკიჰი, ეურბანა, ჭიანჭველა.

ხეობის უმთავრესი გზა და მთებზე ბილიკები. ჰანკისის ხეობა სამსრეთით გახსნილი და ღიაა, სხვა სამივე მხრიდან შეზღუდულია ბუნებრივი სიმაგრეებით.

გახსნილი მხრიდან ერთი უმთავრესი შარაგზა შეუდის ხეობას და ეს არის მცხოვრებლების ერთადერთი სახსარი კახეთთან ეტლით მისვლა-მოსვლისა. ეს გზა გრძელდება მდინარე ალაზნის მარცხენა მხარის საკახეთო გზამდე, რომელიც ბახტრიონიდან დასავლეთისაკენ. ერთი კილომეტრის სიშორეზე, ციხიჯვარის გორის დასავალთან

ის გავა მდინარე ალაზანთან და შებრუნდება ხეობაზე ჰირდაჰირ ჩრდილოეთისაკენ, აჰყვება ალაზანს, ასცილდება დიდბექას სამატნო სასნავ მამულებს „სამტრედოს“, აუვლის საყარაულოს, სადაც ამ შარაგზას სოფელ მატნის საურმე გზა შემოეერება.

იქ, წარსული საუკუნის ბოლომდე, ერთი უბრალო ფიცრული სახლი იდგა ზედ გზის ჰირზე, ცსენის სადგომად, სათივით გამართული, რომელსაც საყარაულოს ეძახოდნენ და ეხლაც ეძახიან.

სათუშოს, კუწახტოს დიდ მუხებს შემდეგ სოფლები იწყება, ზოგი გზის ჰირად, ზოგიც აქეთ-იქით ფერდობებზე და ჯალებში.

დიდბექიდან დაწყებული ეს შარაგზა სწორე, უაღმართ-დაღმართო, უმიხვეულ-მოხვეულო ხეობას შუაზე ჰყოფს. მას მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარე უჭირავს და ხეობის თავში ბაწარის წყალთან შეწყდება. იქ დაიყოფა საცალფესო ბილიკებად და შეეფინება მთებს სხვადასხვა მხარეს. თუმცა ჩვენს თემას არ ეხება, მაგრამ ამ ხეობაზე ხამი მოგზაურისათვის შეტი არ იქნება, იცოდეს ბილიკების მიმართულებაც, მათი მნიშვნელობაც.

ამასთანავე, ეს ბილიკები მოგვითხრობენ ბევრს იმისთანა ადგილებზე, მთებზე და ჯალა-ხევებზე, რომლებსაც მთის ხალხი ასახელებს წარსული საინტერესო ამბების მოწმედ.

ამ უკვდავ მოწმეს ბევრჯერ უამბია, მოუგონებია წარსულის ავი და კარგი. შთამომავლობას კიდევ მოაგონებს, უამბობს და ასე დარჩება ხალხის ხსოვნაში შვილთაშვილამდე დაუვიწყარად, მანამ თვით ბილიკი არ წაიშლება...

საურმე შარაგზა თავდება ხეობის თავში. აქ მდინარე ალაზანს, როგორც ვთქვით, მარჯვნივ ერთვის ბაწარის წყალი და ბაწარას კარს ეძახიან. აქედან ერთი სამთო ბილიკი იწყება და მიდის ხევ-ხევ. აქ, ერთ ნახევარ კილომეტრზე ორად იყოფა. ერთი მიდის ისევ ხევ-ხევ და

მეორე წინაგორს შეუბრუნდება. ხევ-ხევ ბილიკით გაივლის ურანის მთას და ჩავა მდინარე ალაზანზე, დოლიანის მთას შეივლის და უკანა ფშავს გადავა.

წინაგორის ბილიკი შეივლის ტაფობს, ტბათასასთან ავა, რვინის მთა-მთა წავა, საქისტოს წუაროს გადავა, თათარნაულეტას რომ გაივლის, მახარის მთაზე გავა და ისევ მდინარე ალაზანზე ჩავა. იქ იგი შეუდგება საეორნის მთას და გადავა ჰირიქითა ალაზნის თავს, იქიდან დაბრუნდება და ჩავა ჰირიქითა თუშეთს სოფელ ფარსმაში.

მგზავრები ამჯობინებენ ისევ წიფლოვანის გზას, რომელიც ტბათანიდან გაეერება რკინის მთის ბილიკს, დაბრუნდება დაბლა ხევზე, ჩავა წიფლოვანის ჯალაში და გავა ლეკთა ვაკეში. აქედან ის დაბრუნდება ისევ ალაზნის წეალზე, წავა ჯალა-ჯალა, ასცდება ბორბალოს და საეორნიის მთაზე ისევ რკინის მთის ბილიკს შემოეერება.

საეორნიის მთიდან ეს ბილიკი ისევ გაიეოფა: ერთი წავა ბორბალოს მთისაკენ და გადავა ხევსურეთში, მეორე გაივლის ლაროვნის მთას. აქ ეს ბილიკი ცოტა ზემოთ გაიეოფა ისევ ორად, ერთი დაბრუნდება აღმოსავლეთისაკენ და ჩავა სოფელ ჰირმაში, მეორე ბილიკი წავა ჩრდილოეთისაკენ და გადავა ჰირიქით ქისტეთის სოფლებში — არაგამაში, ტებელოში და სხვა. ამ ბილიკს ქვახიდის გზას ეძახიან.

თუშეთ-ალაზნის თავის გზას, რომელიც ჩადის სოფელ გომეწარში, ეადორის მთაზე გაეერება ბილიკი და გადავა წოვათაში, სადაც ადრევე წოვა თუშებს უცხოვრიათ, იქიდან ქისტეთისაკენ მიდის...

ბაწარას კართან, მდ. ალაზნის ორივე მხარეს ბილიკები მიდის: მარჯვენა ბილიკი გაივლის მთის კალთებს ხან მთა-მთა, ხან ჯალა-ჯალა ივლის და ავა ეადორში. სუბექში ეერთდება სათუშოს ბილიკებს, რომლებიც წიფლოვანისა და რკინის მთაზე მიდის.

მდინარე ალაზნის მარცხენა ბილიკი გადალახავს ურთნალის მთის კალთებს, გაივლის ჯორის ნაფეხურს. ჩავა ჩხათან-ხორეჯის წყალზე, აქვე ბილიკი გაიყოფა ორად, ერთი გაბრუნდება ჩრდილო-აღმოსავლეთით, ავა ჩხათან-სორეჯში, იქიდან მაღლა იალაღზე შეუერთდება სათუშო ბილიკს.

მეორე ბილიკი წავა ჰირდაჰირ ჩრდილოეთისაკენ, გადაივლის სალოცავის გორს, ჩავა ჯალაზე სჰეროზის მთის დასავალში, გავა მდ. ალაზანს და ავა ფშაველების სოფელ ხადორში, იქიდან — სუბექში.

ორივე ბილიკი ერთდება. სუბექი და ხადორი მთებია და იქვე ჰატარა სოფლებია ფშაველთა, მთებისვე სახელებით.

ბაწარის კარიდან ჩხათანა-ხორეჯსა და სუბექ-სადორამდე იქნება დაახლოებით 9 კილომეტრი ანუ ერთ-ნახევარი საათის სავალი გზა. რაც შეეხება ამ ბილიკების სიავ-სიკეთეს, ადგილ-მდებარეობას, დაკვერილი არ არის, ძალიან ძნელი სავალი ბილიკებია.

ჯორის ნაფეხურთან არის ცოტა საშიში. იქ ბილიკი გადადის ჰიტალო კლდეზე ძალიან ვიწროდ, თუ უცაბედად გადავარდა ვინმე ან რამე, ჰირდაჰირ ალაზნის რიყეზე დაეცემა 12 მეტრის სიმაღლიდან. ერთმანეთთან შედარებით, მარჯვენა უფრო ძნელად სასიარულოა, ვიდრე მარცხენა.

ჯორის ნაფეხურს მთაში ერთ ადგილს უწოდებენ, რომელზედაც ვექნება საუბარი.

ხეობის სათავეში, მდინარე ალაზნის მარცხნივ მდებარე სოფელ ომალოს თავიდან ბრუდი გორას გასდევს ერთი სამთო ბილიკი, აივლის დიუიანს, ავა მთა ნაქერალაზე, აივლის ჯიქაურას და გადავა დიდგვერდაზე, გასწევს ჰირაქეთა მთა-თუშეთისაკენ, ჩავა ორწყალში, იქიდან სოფელ ილიურთაში და სხვა სოფლებში. ეს ბილიკები მგზავრებისათვის ისეა, როგორც უდედოსათვის დედინაცვალი — საურმე

ვზობას ეწევიან გაჯირვებაში, მაგრამ მაინც დიდ გარანტიას არ აძლევენ მთა-თუშეთის მცხოვრებლებს და არც სხვა ხალხს, მაგალითად, მეცხვარეებს და სხვა და სხვა მიზნით უცხო მოგზაურებს.

წარმოიდგინეთ, მგზავრი ერთ-ერთ ამ ბილიკზე ცხენით, თუნდ ქვეითი, აკიდებული, თუნდ ხალვათად, როცა ის მიდის არხეინად ციდამ ჩამოკიდებულ დედისშობილა მთაზე: მრისხანე გოლიათმა, შუბლშეკრულმა, მძიმედ გადაახურა შავი ზეწარი მას თავზე, ჩამობნელდა, ცხვირს იქით არაფერი ჩანს, თუ არ გაიელვებს.

ავარდება ქარი, გლეჯს იქაურობას, ზედ ქოჩორზე ელვა-ჯექა და ქუსილი, იმვრის დედამიწა, წვიმა მსხვილი წამოვა, თან ხორხოშა. სეტყვა თოფის საფანტივით სქდება იქვე კლდეებზე. მარჯვნივ — უფსკრულია, მარცხნივ — ჯურღმული. არსაით თავშესაფარი, უშიშარი დასადგომი, არც ხელის მოსაჭიდი, რომ არ გადავარდეს სადმე კლდეში და დაიღუპოს სულით ხორცამდე.

მაგრამ ეს არაფერი, მუნჯის ენა დედამ იცისო, ნათქვამია. მეზღვაურმა კარგად იცის ზღვის ამბავი, ხასიათი, სად არის უშიშარი ნავთსაყუდელი. ბუმბერაზი მთის წიაღში შობილ-გაზრდილმა თუშის შვილმა კარგად იცის თავისი მშობლის ხასიათი, მისი ავი და კარგი. ადგილი, სად შეაფაროს თავი მის მრისხანებას. წუთში დახედავს და შეატყობს მთის გაჯავრებას. მანძილ-ნაბიჯით გაზომილი აქვს, ტვირთი — აწონილი, მუხლების ძალა და ცხენის იმედი, მაშინვე ნახავს ნავთსაყუდელს, ან მოუცდის, ან უფრო მეტად გაეშურება...

მთა მრისხანეა, მაგრამ ზოგჯერ მშვიდი და დინჯიც არის. თუმცა არც სიმშვიდის დროს არის ის დასანდობი ამ ბილიკებზე, მაგალითად, შემოდგომას, ზამთარში და გაზაფხულზე. ამ დროს, მთა და მთის სახურავი ცა და ღრუბელი იმდენად მშვიდია და წუნარი, რომ

ოდესმე თოვლის ზვავი თუ ახმაურდება ხევებში დაქანებული, თორემ სხვა არაფერი.

არც ეს სიმშვიდეა მგზავრისათვის დიდი ნუგეში. შემოდგომასა და ზამთარში თოვლის შიშია, გაზაფხულზე კი — თოვლის ზვავისა. თოვლმა თუ მოასწრო და ამ ადგილებში დაფარა ვიწრო ბილიკი, თან მოჰყვება ქარი, ან ნიავი გადაასწორებს ნამქერს. გზას ვერ გააგნებს ადვილად მგზავრი, თუ ბილიკს ფესი გადასცდა, მორჩა, დაიღუჰება.

ცნობილია, ბუნება, ადგილი, თავისებურ შვილებსაც ზრდისო. მთის შვილებმა ხერხი იციან: თოვლმა მოასწრო, ნამქერმა გზა გადაასწორა, ეს არაფერი. მთის ბიჭებმა კარგად იციან ბილიკის გეზი, სათიოაოდ — მთის წვერი. გრძელი ჯოხებით კლდეზე სინჯავენ, წელამდე თოელს არღვევენ და ისე მიდიან. წინა დაიღალა, მას მის უკან მდგომი შეენაცვლება, ასევე სხვები...

მთა მშვიდი, მაგრამ მაინც საშიში და ავია, თუმცა კაცის ძალა მაინც ამარცხებს. ამას აკეთებენ მთის შვილები, ხამ კაცს ან უცხო მგზავრს ამ შემთხვევაში არ ეშველება, უნდა ეშინოდეთ და ფრთხილობდნენ.

მთის ბილიკები, ვიწროები, ძნელად სავალები, ერთ დროს ჰირიქით ქისტებისათვის განივრადაც გამოდიოდა. რომელ თუშს არ ახსოვს ქისტი ჯოელას ოინები სამოციან წლებში. მეკობრეთა ბელადებისაგან ამ ბილიკებით გატაცებული თუ გარეკილი ცხვრის ფარები, საქონლისა და ცხენის ჯოგი. მას შემდეგ გვიანობამდე არ შეწყვეტილა ეს მტაცებლობა ამ ბილიკებით. გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე ხშირად იყო ჰანკისიდან აღნიშნული ასეთი ამბავი: „მთიდან მწყემსმა ჩამოიარა ცარიელი ჯოხით, თითქმის მტირალმა — ქისტებმა ცხვარი მთლად გაგვტაცესო".

თვით ამ ტუიან მთა-გორებზე, რომლითაც გარშემორტყმულია ხეობა, გადად-გადმოდიოდა ქვემოთ კახეთისაკენ ბილიკები, რომლებითაც სამეზობლოდ სარგებლობდა ხალხი სიმარჯვის გულისათვის.

სამი ბილიკი გადადის აღმოსავლეთისაკენ ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებში. ერთი ბილიკი გადადის ხალაწანზე და ჩადის არგოხში, ლეჩურში, მეორე — წინუბანზე, ჩადის ალვანში, მაღრან-ბაბანეურში, მესამე — ქორეთზე ჩადის ხორბალო-ბახტრიონში, ხეობის დასავლეთის მხარეს, კაკლიანის ანუ დედისფერულის თავზე გადადის ერთი ბილიკი და ჩადის ხევისწალაში. ეს ბილიკები ტუიან მთებზეა დაქნილი და არცერთ დროს არ არის საშიში.

ხეობის ეს შარა გზა, დიდი ბილიკები მრავალი დროების მოწამეა და ისტორიის მთხრობელი, მაგრამ კი უტყვია. მეტეველი რომ იყოს, გვიამბობდა სხვათა შორის, XVII საუკუნეში ბახტრიონის ციხეში ჩამდგარი შაჰ-აბასის ჯარის თავგადასავალს, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ამხედრებას მათ წინააღმდეგ, ციხის აღებას, მტრის დამხობას... ვინ იცის, კიდევ რამდენს...

მოსახლეობა. ჰანკისის ხეობა თავისი მოსახლეობით ინტერნაციონალურია, აჭრელებულია კავკასიის სხვადასხვა ჯურის ხალხით. მთელს ხეობაში 17 დიდი და ჰატარა სოფელია. დაბლა, ალაზნის ნავალ ჭალაზე, ზედ შარაგზის ჰირას დასახლებულია ოთხი სოფელი: კუწახტა, დუისი, ჯოოლო, ბირკიანი. დანარჩენი: წინუბანი, ზემო და ქვემო ხალაწანი, დუმასტური, ომალო, დედისფერული ანუ კაკლიანი და უვარელწყალი ანუ კოშკები დასახლებულია ხეობის აქეთიქით ფერდობებსა და ჭალებზე. ჰატარ-ჰატარა სოფლები: ძიბახევი, ტოლეშა, ბაწარა, ჩხათანა-ხორეჯა და სადორი, როგორც ვთქვით, ხეობის თავში, მთაგორებზეა დასკუპებული. ამ სოფლების მოსახლეო-

ბის საერთო რიცხვი 2.200-მდე სული იქნება (იხ.: ცხრილი). ავარად მოარული გვხვდება თითო-ოროლა ეველა ჯურის კავკასიელი.

ფშავლები ეკუთვნიან ქართველთა ტომს — ფხოველს. ისინი რელიგიით ქრისტიანები არიან და ლაპარაკობენ ქართულად. თუშიც ქრისტიანია. მათგან ჩაღმა ლაპარაკობს ქართულად, ხოლო წოვა — ენაზე, რომელიც ენათესავება ქისტურ-ინგუშურ ენას. ქისტებს შორის არიან მაჰმადიანებიც და ქრისტიანებიც. ენა თავიანთი აქვთ — ქისტური; ქართულადაც ლაპარაკობენ. ოსიც ქრისტიანია, ენა ოსური აქვს. ეს ხალხები ერთმანეთისაგან განირჩევიან მხოლოდ ენითა და რელიგიით, ხოლო კულტურითა და საქმიანობით ერთნი არიან.

ჰანკისის ხეობის სოფლები, მათი მოსახლეობა, მცხოვრებთა რიცხვი და ეროვნება 1901 წლის აღწერის მიხედვით				
№	სოფლები	კომლი	მცხოვრები	ეროვნება
1	კუწასტა	30	120	ქართველი (თუშ-ფშაველი), ოსი
2	დუის სოფელი	150	600	ქისტი
3	ჯოელოს სოფელი	60	240	ქისტი
4	ბირკიანი	25	100	ქართველი (თუში)
5	წინუბანი	30	120	ოსი

6	ზემო ხალაწანი	15	60	ქართველი (ფშაველი)
7	ქვემო ხალაწანი	15	60	ოსი
8	დუმასტური	24	96	ოსი
9	ქისტის ომალო	60	240	ქისტი
10	უვარელწყალი	60	240	ქართველი (ფშაველი)
11	კაკლიანი	17	68	ქართველი (ფშაველი)
12	ხადორი	10	40	ქართველი (ფშაველი)
13	ჩსათანა	6	24	ქისტი
14	ხორეჯა	12	48	ქისტი
15	ბაწარა	10	40	ქართველი (ფშაველი)
16	ტოღეშა	10	40	ქართველი (ფშაველი)
17	ძიბახევი	10	40	ქისტი ქართველი (ხევსური, ფშაველი)

სულ 544 კომლი – 2 .136 სული. აქედან:

ქართველი – 174 კომლი (696 სული), მათ შორის: ფშაველი – 136 კომლი (544 სული), თუში – 35 კომლი (140 სული), ხევსური – 3 კომლი (12 სული);

ქისტი – 291 კომლი (1 164 სული);

ოსი – 79 კომლი (276 სული).

მცხოვრებთა უმთავრესი საქმიანობა. ბუნებრივია, ადამიანი თავის დასარჩენად ყოველ დროს და ადგილას ცდილობს და მისდევს იმ სამუშაო საქმეს, რომელსაც ადგილი და გარემოება უჩვენებს და ხელს უწყობს. რამდენადაც ხეობის სივიწროვე და სახნავ-სათესი საბალახო ადგილების სიმცირეა, სამაგიეროდ, მთა-იალაღების სიახლოვე მაცხოვრებლებს ნებას აძლევს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

განვითარებულია მიწათმოქმედებაც: ხვნა-თესვა, მებოსტნეობა, მებაღეობა, წვრილი და მსხვილფეხა საქონლის, შინაური ფრინველის მოშენება და ცოტა-ცოტა შინამრეწველობა.

აქ არ იციან კახელებივით ზაფხულში ხვნა-ანეული. ამათი ხვნა-თესვა ერთდროულია, წინანდელი. რკინის გუთანს 4-6 უღელა საქონელით ან ცხენებით ატარებენ. დაბლა, ქვიშრობი ნიადაგიც სწორედ საიმისოა. ახალი გაჯაგულია ფერდობები, სადაც ძირკვების გამო, გუთანი ვერ მუშაობს. ხორბალ-სიმინდით დათესილ ადგილს თოხით აფხვიერებენ. ასე მოსავალიც მშვენიერი მოდის.

ჰანკისის ხეობა ხორბლით ნაქებია. ყოველნაირ თესლს თესავენ მუჭით, გადაბნევით, რისთვისაც თესლი მეტი ისარჯება და მოსავალიც ერთბაშად არ მოდის. დღიურზე უნდა დათესონ 10-15 ლიტრა და მიიღოს 6-10 კოდი, სიმინდი – 3-5 ლიტრა და მიიღოს 15-20 კოდი.

საქონლისაგან ნათესის დაცვის წესი ისეთი აქვთ, რომელიც ბატრონისაგან არ ითხოვს განსაკუთრებულ შრომას. შეღობვისათვის ერთ წელს, თუ ერთი უბანი, მხარეა დათესილი, მეორე წელს — მეორე. ასე რომ, ნათესი შიგდაშიგ არ არის ჩაჩხირული, როგორც კახეთში იციან.

ნათესი. ყანა შემოდის, იმკება და ილეწება მკათათვეში, ხოლო სიმინდი — აგვისტოში. კალოებს აკეთებენ სოფლის ბოლოს: ლეწავენ ეევარით, უფხო ყანას საქონლის ფეხითაც იღებენ და ბზესაც.

ენკენობიდან მცხოვრებლების საზაფხულო საქმიანობა თავდება და აქედან ემზადებიან საზამთროდ. საბინაოდ მოაქვთ შეშა, მინდორში დამზადებულია საქონლის თივა, სიმინდის ჩალა, ბზე და სხვა. ვისაც თავისი არ ეშოვება, სხვისგან უნდა იყიდოს და დაამზადოს.

წარსული საუკუნის ბოლომდე აქ სულაც არ იცოდნენ მებოსტნეობა. მინდორშიაც ნაკლებად იყო განვითარებული ხვნა-თესვა. ცოტა თუ ვისმე ჰქონდა ეზოში ბოსტანი-ბაღჩა, ცოტა სიმინდი-ლობიო და შინაური თამბაქო. შემდეგ სკოლის მოსწავლეების მიხედულობით შემოიღეს წესიერი მებოსტნეობა, მებაღჩეობა, ნამუშევარის კეთება. სწორედ ბოსტნეულისა და ბაღჩისათვის ნამდვილი შესაფერისი ადგილიცაა დაბლა ჯალა, სარწყავად თუ სხვაფრივ.

ბოსტნეული. კართოფილი, ლობიო, კომბოსტო, ხახვი, ნიორი, ბადრიჯანი, ჰამინდორი, ერთი სიტყვით, ყველანაირი ბოსტნეული ძალიან კარგი მოდის და მოჰყავთ კიდეც, ვინც ცდილობს და მისდევს. შეიძლება ბოსტნეული ბაზარზედაც გამოიტანონ, რაკი მახლობელ სოფელ ახმეტაში ჰარასკებობით იმართება საერთო გამოსვლა-იარმუკა. ამ მხრივ ჰანკისი ძალიან სჯარბობს მცოდნე ხალხს. ეს საქმია-

ნობა მეტად სასარგებლოა ადამიანისათვის, ვისაც ბაღჩა-ბოსტანი აქვს.

მიწას ჯერ შესაფერის ეურადღებას არ აქცევენ. მომეტებულ ნაწილს ტეუილად უგდია ეზო, სადაც შეიძლება მოიეკანოს თავისთვის და მეტიც ეველაფერი — ბოსტნეულიც, მაგრამ ჯერჯერობით, სხვა ნაკლთან ერთად, მცხოვრებლებს ესეც აკლიათ. ბაღჩა-ბოსტანი მათ იქვე, სახლის წინ, ეზოში აქვთ და არის წესიერად შემოზღუდული.

შინაური საქონელი თავისი და სხვისი ძალიან აწუხებთ — ბოსტანი აღარა ბოსტნობს, ბაღჩაში ხეხილი სულ გადაკორტნილია. უფრო ზამთარში; ნორჩ ნამეენს თუ საქონლის კბილი მოხვდა, ის აღარც ხარობს.

ხეობის მცხოვრებლებს საერთოდ, როგორც მთის ხალხს, საქონლის მოშენება მიწათმოქმედებაზე მეტად მიაჩნია. ეს ახასიათებს ფშაველს, თუშს უფრო ძალიან. ამ უკანასკნელს ცხვარ-ძროხა თავის ცოლ-შვილს ურჩევნია.

ხეობაში მსხვილი და წვრილი საქონლის მოშენებას მისდევენ, თუმცა ადგილის სივიწროვე ძალიან უშლის ხელს, მიუხედავად სახნავი ადგილების დიდი სიმცირისა, განზრახ აქვთ საქონლის საძოვრად დატოვებული. შეიძლება ესეც მოეხნათ, რომ სხვაგან ეოფილიეო საძოვარი სახსარი.

საკამეჩო შესაფერი ჯეანტე-ჯაობიანი ჯალა ადგილები არ არის, მაგრამ აქ კამეჩი ძალიან კარგი და დიდი იზრდება. უთუოდ იმისათვის, რომ აქ ფურ-კამეჩებს არა სწველიან — არა აქვთ ჩვეულება და მთელ რძეს ზაქები სწოვენ. ნაწოვი ზაქი თამამი კამეჩი დგება.

ხარი და მეწველი ძროხა არ არის მსხვილი ჯიშიანი და კარგი მეწველი, რძე იცის ღალიანი.

გაზაფხულზე, სიმინდი რომ ამოვა, ცხვარ-ძროხას მთაში ერეკებიან, კამეჩებს კი არა, გადავარდნის შიშით.

ცხვარ-ძროხას იქა სწველიან, ყველსა და ერბოს აეზადებენ, შინაც ხმარობენ და ბაზარზედაც გამოაქვთ.

აგვისტოში, სიმინდი რომ გადაიჯრება, ძროხა ბრუნდება მთიდან, ცხვარი ცოტა გვიანობს. ბატკანი მთაშივე იპარსება, როცა მთიდან ჩამოვა, ცხვარს მაშინ ჰარსავენ, მატყლს შინა ხმარობენ, ნარჩომი ბაზარზე გამოაქვთ, ცხვარს საკლავადაც ჰყიდიან.

საზამთროდ, ცხვარი შირაქში მიუდით. ცოტა ცხვრის ჰატრონი თუ ვერავის მიეკედლა, ცხვარი ვერ გაურია, მარტო შირაქში ვერ ბედავს და თავის ცხვარს ისევ სოფელში ტოვებს საზამთროდ.

შინაურ საქონელში ვირი და ჯორი ძალიან იშვიათია. ესლა ცხენის ჯოგიც კი აღარავის ჰყავს, ზოგს თითოს მეტი.

შინაური ცხოველები და ფრინველები. ვინ არ იცის, რომ ძაღლი ერთგულია თავისი ჰატრონისა, სახლისა თუ ცხვარ-ძროხისა. ამიტომ ყველა ცდილობს, იყოლიოს იგი სახლში და ცხვარ-ძროხაში.

იშვიათია სახლი, ორი და სამი თუ არა, ერთი ძაღლი მაინც არა ჰყავდეს. ჰატრონი ერთგულად ექცევა ძაღლსა და ძაღლიც ერთგულია მისი. ზოგი ძაღლი ხომ სამაგალითოც არის ყველაფრით.

არც კატაა სახლისათვის ურიგო საქონელი, რომ თაგვებისაგან იყოს სახლი თავისუფალი. არც უიმისოდ არის ბევრი სახლი დამრჩალი. ზოგს ორი-სამიცა ჰყავს ჯირად გამხდარი.

წინათ, შინაური ფრინველის მოშენებას ყურადღება არ ექცეოდა, თუ იყოლიებდა ვინმე ერთ რანდენიმე ფრთა ქათამს, იმასაც სტუმრისათვის ან ათასში ერთხელ თავისათვის.

სხვა ფრინველებზე ზოგს წარმოდგენაც არა ჰქონდა. ეხლა თითქმის ეველანაირ ფრინველს ეოლიობენ. მაგალითად, ჰყავთ ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი, სისირი, მტრედი. ტეის მტრედიც მრავლობს, მაგრამ ქორი აზარალებს ხოლმე, ხეობის სივიწროვეც ხელს უწყობს.

მრეწველობა. სამრეწველო ნედლი მასალა ხეობის მაცხოვრებლებს შინ ეშოვებათ და მის დამუშავებასაც თვითონვე ცდილობენ.

XIX საუკუნის ბოლოს, აქ ერთმა ქისტმა დიბაი თურქოშვილმა გამართა სახერხი ქარხანა — წელით სამუშაო ასაწევ-დასაწევი. ხერხავდა ფიცარს ორ-სამ ნაწილად. ჰატრონის სიკვდილის შემდეგ, ქარხანაც უპატრონოდ დარჩა.

ფშაველი და ქისტი ქალი — რძალი, მატელისაგან ამზადებენ: ფარდაგებს, საჩოხე შალებს, წინდებს, უბრალო ნაბდებს, ქეჩებს და ფეხზე ჩასაცმელ ჩითებს, ხოლო ქისტები — საქუდე ნაბდებს.

მთელ ხეობაზე არის სამი კრამიტის საწვავი ქარხანა, რომლებსაც აწარმოებენ ფშავლები. ეს ხაქმე ქისტებს და თუშებს არ ეხერხებათ. აქაური კრამიტი სამაგალითოა.

ზოგი ნადირობითაც სარგებლობს. თოფით ხოცავენ დათვს და მგელს. ამ ნადირის ტეავი კაი ფასად იყიდება. ხაფანგით იჭერენ ძვირფასბეწვიანს: წავს, რომელიც იშვიათად გვხვდება. ძუით იჭერენ კვერნას. მას იჭერენ უფრო ბაწარას წყალზე, სადაც ის ხშირად გვხვდება; იქაური კვერნის ტეავი „ზარდაო" ეველაზე ძვირად იყიდება...

ხეობის სივიწროვით შარაგზაც შევიწროებულია. მხვნელ-მთესველთა სიხარბით ცხვარ-ძროხისა და ცხენის ჯოგისათვის, რომლებიც ამ გზაზე მოძრაობს, შეუფერებელია და შეუზომავია. მთა-ბარობა სწორედ მაშინ არის საქონლისა, როცა შარაგზის ორივე მხარე თავიდამ-ბოლომდე ნათესით დაფარულია.

კარს მომდგარი მოსავალი: ქერი, უანები, ფეტვები, სათოხნი სიმინდი, ზღვასავით მღელვარე, მტრის თვალით არ ინახვის. ამ სიხსლითა და ოფლით ნამუშევარ ადგილზე აივლის 20-25 მეტრი სიგანის ვზა. როგორ დაიტევს ათასი და მეტი სულისაგან შემდგარ თუშის ფარებს?

ფარა ისე არ გაივლის, რომ ნამუშევარს ზარალი არ მიაყენოს. შირაქიდან მომდინარე, დაქანცული, ახლა დამშეული ჰირუტეკი გამგელებული იწევს ნამუშევრისაკენ. მწყემსები მას ველარ იკავებენ და ნათესს დიდ ზარალს აყენებენ.

ადგილობრივი მცხოვრებნი ბალასსაც უფრთხილდებიან; მინდვრის უარაულები წინ უხვდებიან. მწყემსები საბალახოს სთხოვენ. ისინი არ აძლევენ. ხდება ძალმომრეობა, ჩხუბი, კაცის დაჭრა და ზოგჯერ სიკვდილიც. ამ ნიადაგზეც, როცა საქმე გამწვავებულია მწყემსებსა და მეველეებს შორის, მთელი სოფელი - კაცი და დედაკაცი, ბალღი, ძაღლებიც კი დასცემიან მომავალ ცხვარს, გამხდარა ჰირდაჰირ ომი. შემოდგომაზე, როცა ცხვარი მთიდან ბრუნდება, ეს ამბავი ისევ მეორდება, მაგრამ ისე მწვავედ არა, რადგან ცხვარი იკვიანებს.

კუწახტა — ადგილის სახელია და სოფელსაც ამ სახელს უწოდებენ. ცხოვრობენ: ფშავლები, თუშები, ოსები. ადგილი, ტეე და მინდვრების ჩრდილო ნაწილი ფშავლების ნაკიდია. ოსებს აქვთ იჯარით აღებული. ფშავლები ოსებზე წინ არიან აქ დასახლებულები. ცხოვრების სახსარიც მეტი აქვთ, მაგრამ ოსებზე უკეთესად ვერა ცხოვრობენ და ვერც სხვა სიმარჯვეს დაიკვეხებენ.

ოსები აქ დასახლებულნი არიან 1885—90-იან წლებში, გორის მაზრიდან. მიწური სახლები აქვთ, როგორც ქართლში სცოდნიათ. სა-

კომლეთი: წინ დერეფანი, შიგნით სახლის მოწყობილობა ძალიან საბრალო.

სტუმრის პატივი უყვართ, დღეობაზე და მიცვალებულზე დიდი ხარჯი და მომზადება იციან. სხვადასხვა დროს ნაკლები ჰურისჯამა იციან. ქრისტიანობაზე თავსა სდებენ, მაგრამ ქრისტიანობისა არაფერი მოსდგამთ, გარდა ველური მამაპაპური წეს-ჩვეულებებისა. ჰიგიენური და სანიტარული მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ენა ოსური აქვთ, თუმცა ქართულადაც ლაპარაკობენ. უყვართ სწავლა, მაგრამ სკოლიდან შორს არიან.

ეკარელწყალი ამჟამად 60 კომლს ითვლის. დასახლებულია ფშავლებით. ამ სოფლის პირველი დამაარსებელი, როგორც გადმოგვცემენ, იყო ფშაველი *თათარა ცხვირაშვილი*. ბაბურას გორის დასწვრივ, შარა გზის პირად, თათარამ გააკეთა სიპი ქვების ოთკუთხედი მაღალი ბურჯი, ზედ დაადგა ვრცელი ოთახი და გამოვიდა კოშკის მაგვარი სახლი, რომლის წოდება მიიღო შემდეგ სოფელმა.

კოშკის მაგვარ სახლებს აშენებდნენს შიშიანობის დროს. მათ მთლად სიპი ქვისგან აშენებდნენ ძველად მთის ხალხი — ქისტი, ხევსური, ფშაველი, როცა მოსისხლეობა მმვინვარებდა მთაში, მდევართაგან თავი რომ დაეფარათ. ეს კოშკები, მოსისხლეთა ნავსაყუდელი, დღესაც ბევრია იმ ადგილებში, სადაც ეს ჩვეულება ისევ ძალაშია. ამ შენობის ქვედა ნაწილს ბოსელს ეძახიან, საქონლისათვის, ზემოთა ჯერხოა ადამიანებისათვის. თათარა ხეობის პირველი მოსახლეა. შიშობდა მარტოობით. იმიტომ დადგა კოშკის მაგვარი სახლი, მაგრამ დიდხანს არ იდგა მარტოდ.

ფშავიდან მას ძმა ჩამოუსახლდა, მეგობარი, ნაცნობი და ნელ-ნელა გაშენდა სოფელი. მაღლა მთაში ნაჩვევმა ფშაველებმა დაბლა

ვერ მოისვენეს, მიკაფ-მოკაფეს გარშემო ტეე, გაამინდვრეს ფერდობი სახნავად და გადაინაცვლეს. ერთს მეორე მიჰყავდა, მეორეს — მესამე, მოეხსნა თათარას კოშკს მთელი მოსახლეობა. ასე ნახევარი კილომეტრის მოშორებით შეეფინა ბაბურას ფერდობს.

ამ ფერდობზე მოჩუხჩუხებდა ჰატარა ხევები, რომელსაც საუვარელ წყალს უსმობენ. მან შეცვალა სოფლის სახელი, ხან კოშკებია და ხან უვარელწყალი. იქ ეხლა თათარას კოშკის ქვაც აღარსადა გდია. ახლოს დარჩა მარტო ჯულიაშვილი ფანცქალას სახლი, რომელიც თავისი არქიტექტურით უფრო შიშის მომგვრელია, ვიდრე დამფარველი.

ჰირველად, ხეობის ფშავლები ჰაწია სახლს იშენებდნენ მიწაში, მიწა დაურილს, მიწის კედლებით. წინა კედელთან ბუხრისკვალად საცეცხლე-საბოლეთი. ასეთი სასლი საქონლის სადგომიც იყო და მისი ჰატრონისაც. შუაზე არ იყოფოდა არაფრით. შემდეგ ქვითკირი შემოიღეს მიწისჰირამდე და ზედ სამნე-საჩალე დაადგეს საქონლის საჯმლის შესანასად. სხვამ სამნეს მაგივრად ფიცრული სახლი დაადგა საზაფხულო სადგომად, თუმცა ისევ საქონელთან ეოფნას არჩევდნენ.

ამ ბოლო დროს, ზოგი მიეჩვია ოროთახიანი სახლის შენებას, კრამიტით დახურული, ჰატარა სანათურებით, მერე კიდე შუა სავალი — კარიდორით. ახლა ბუხარით, იატაკით, მაგრამ მაინც, გარეთ ფშაური ელფერი დასდევს.

ფშაველი გამოვიდა მიწური ბოსლიდან, შევიდა ისევ ფიცრულ ბოსელში. ეს ფიცრული ბოსელ-სახლი, გომურ-ბოსლიდან განირჩევა მარტო იმით, რომ აქ ცხენ-ძროხა არ აბია, ამათი განავალით და წუმჰით არა ყროლს. სხვაფრივ ისეთივე უსუფთაოა, მირეულ-მორეული და გულის ასარევი. სანიტარული მდგომარეობა ჰირდაჰირ საზარელია. ფშაველი ადამიანი ამას ანგარიშს არ უწევს — თუ თავის ძროხასთან ბოლში არ არის გამოხვეული, ვერც გათბება, ვერც წესიერად

მოისვენებს. ბოსლის სუნი და ჰაერი სასარგებლოა — ამასაც ფიქრობს!..

სულ სხვა არის ცხვარ-ძროხის მწყემსი ფშაველი, მოარული „წომადი“. ამას კახელი მეცხვარეებივით არ ეზარება ადგილიდან დაძვრა, აურა-დაურა, ძველი მიწის გამოცვლა და ასალის საძებნელად ხეტიალი. მესობლის დაშორებას არ დარდობს, თუ ჰყავს. სადაც ნახავს, ან შეაგულებს თავის გუნებას, საქონლის სამჯობინო მხარეს, იქით გაიწევს მთელი თავისი ბინით, საქონლითა და საბაკით. აირჩევს მოხერხებულ ფერდობში, გზის ჰირად ტუიანს ტაფობს და შეუდგება ასალი ბინის მოწყობას: მოთხრის მუხლამდე მიწას, ზომით ორ თავს სიგრძე სიგანეს, თავსა და ბოლოში დაარჭობს ორ ბოძს თავის სიმაღლეს, ზედ გასდებს საკვავეს. სამს მხარეს მიუდებული ფიცარი ჩაეშვება მრგვალ ხეებს. გარს შემოავლებს წვიმის წყლის საქცევს თხრილს, შემოაურის მიწას, ზევიდან დააფარებს ხის ქერქს, ბუჩოს, ჩალას და ქოსი მზად არის.

ქოხის წინიდან სამკუთხედი კარი ღია აქვს. ერთ-ნახევარი, ორიოდე თხელი ფიცარი, ან ხის ქერქი აქვს აფარებული, ქოსის შუაზე კერაში შეშის მუგზურები ბოლავს.

ჰატრონი, ორად მოკუნტული, ტუავში გამოხვეული თითქმის ზედ ცეცხლზე ზის კრუხივით და ნახევრად ცომ მჭადის ნატეხს შეექცევა. მსხვილი საქონლისაგან დაზიანების შიშით, ბოსლიდან გამოყვანილი ჰატარა ხბოებიც იქვე, გვერდით, კერიის თავში უბია. დაღვრემილი თვალებით ხან იმათ შეხედავს და ხან გარეთ გამოიყურება, თითქოს ვიღაცის მოლოდინშიაო.

ეს ფშაველი არ მისდევს დიდ ხვნა-თესვას, რადგან საქონელს არის გამოკიდებული თავისი დღენი და არც აქვს სამეოფი მამული, არა აქვს მკვიდრი ცხოვრება. თავისი ქოხის ახლოს ფერდობში აქვს

გამოუოფილი ცოტა ადგილი, სადაც უღელი ხარი-აჩაჩით მოსჩიჩ-ქნის უძრავ ხამ მიწას, სთესავს სიმინდს (მთის სიმინდი ბაჩა და წვრილი ტარო-მარცვალნი იზრდება), ის არის მისი წლიური საზრ-დო — ნახევრად ცომი მჭადი, სატანი ჩუმა და ხაჭო, იშვიათად ხორცი და ცივი წყალი — ეს არის მისი საკვები. ტყეში გაჩნდა, ტყეში იზ-რდება, ცხოვრობს და ტყეში უნდა დალიოს სული.

ხეობის მკვიდრი მცხოვრები ფშაველები არ განირჩევიან სხვა ფშაველთაგან.

შენიშნულია, რომ გარეული ფრინველი თუ ცხოველი რამდენა-დაც წმინდაა, იმდენად ერთად ცხოვრება უყვართ, აქაური ფშაველი თითქმის ჩამორჩება მათ.

ფშაველებს ხშირად არ უყვართ დიდ ოჯახებად ყოფნა, კრებულად ცხოვრება, მუშაობა. ძნელად საჩვენებელია ორი ძმა, მამა, დაცოლ-შვილიანებულ შვილთან მცხოვრები. ბევრი ოჯახი არ არის, სამ ან ოთხ სულს აღემატებოდეს, თუმცა ცხოვრებაში შედარებით დიდი უგე-მურობა და ერთურთის შეღლი ხშირად არ იციან, არ უყვართ ოჯახში უბრალო საკანზე ჩხუბი და ერთმანეთის გამწარება.

ხასიათით ყველა, დიდი თუ ჰატარა დინჯია, მძიმე გუნებისა, მომთმენი და აუჩქარებელი. მასთან გულადი, მოუდრეკელი და შეუპო-ვარი, როგორც მთა და არა ფიცხი და აჰილჰილებული, როგორც იმე-რელი. თუ მართლა ყოველ ცხოველს ახასიათებს ადგილმდებარეობი-სა და ბუნების სიყვარული, როგორც გვიმტკიცებენ ბუნებისმეტყველ-ნი, ეს ხასიათი ფშაველ ადამიანში უნდა იყოს გამომუშავებული მთი-სა და მისი ბუნების ზეგავლენით.

ტანად ფშაველი დედაკაცი თუ კაცი თავის სამშობლოს მთასავით მაღალი კი არ არის, მსხვილი, ჩასხმული ჯმუხი და შუათანაზე ცოტა დაბალია. ტანთ ჩაცმა ორივეს თბილად უყვარს, უბრალოდ, სადად.

დედაკაცის ჩასაცმელია: ჩითის თალხი კაბა, თავზე — უბრალო მოსახვევი, ფეხზე — ქალამანი, იშვიათად ჩუსტი, ზამთარში კი ბატკნის ტუავ-ქათიბი.

მამაკაცის ჩასაცმელია: ხამის ან ლეანის ჰერანგი, შინ მოქსოვილი, შავი შალის შარვალი, დუშლუკი(ქილეტის მაგვარი ჩასაცმელი), მოგრძო, შავი ახალუხი და შალის ნაოჭიანი ჩოხა, მის ქვეშ — შემოდგომიდან ზაფხულამდე მოუშორებელი, გრძელბეწვიანი ტუავი. თავზე — ნაბდის ქუდი ან გრძელბეწვიანი შავი ფაფახი. ფეხზე — ქალამანი, ხან ჩუსტი და შავი შალის განიერი ჰაჭიჭები, ტუავ-ჩოხაში დასარტყელული, ზემოდან ნაბადწამოსხმული და უაბალახით დაბურული.

ფშაველი კაცი ტეიან გორას ჰგავს. მათი ეს ჩაცმულობა საუოველთაოა, ხოლო საგარეო, სადღესასწაულო საქორწინო ახალი იქნება. თუ არ იქნება, არც იმაზე შეწუხდება. ის ზოგივით არ არის უგერგილო, არსებობის უნარი და ღონე საკმარისი აქვს, მაგრამ მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, როგორც ვთქვით, ეველაფერი ამაოდ და უხმარად რჩება. მისი სახლის მომარჯვებულობას, ჩაცმა-დასურვას, ჭამა-სმას, ერთი სიტყვით, ეველაფერს, ისევ ძველებური, უშნო და უხამსური ხასიათი დასდევს. ჰირის ჰატივი, მსუქანი ლუკმა უყვარს, მაგრამ თუ აქვს, ვერ იმეტებს. თუ არა აქვს, არც იდარდებს. მჭადით ან ჰურით და ხმელი ხაჭოთი, ცივი წყლით, ის მუდამ კმაეოფილია. ხაჭოს გულისათვის ფშაველმა კატას ჭირიც კი მოჭამა ლექსში:

„ენაცვალოს თავს ჰატრონი იმ ჩემს თავჭრელა ციცასა,
გადაჩვეულა ბუხრევში (სოფელია) დამბალის ხაჭოს ზიდვასა,
ავწონე, ლიტრა გამოდის, ჰირით რა რიგად ზიდავსა,
ხსნილ-მარხვა გამაგებინა, ისიმც მამაერის მიწასა,
ვინც იმას ხელი შეახოს, იმის მკვდრისადამც იქნასა.“

ფშაველს უნდა თავისი ჯირნახული ფულად აქციოს და წუწკი რაინდივით ზედ დაწვეს. ცხვრის ჰატრონი ეველის წაკში ჰურს ასველებს და იმას ჭამს, ეველის გუდები კი გასაყიდად გამზადებული სახლში ულაგია.

ძროხის ჰატრონს თავანკარა ერბო-კარაქი ბაზარზე მიაქვს გასაყიდად, შინ სმელი ხაჭოს კვერებით და გამხმარი, დამარილებული ძროხის ქონით ამაყობს.

მართალია, თავის საუკეთესო ნაამაგარს თავისუფლად არ იმეტებს, მაგრამ ფშაველ კაცს ტანის სიმსუქნე, ჯანი, სისხლი არ აკლია. ორივე სქესის ახალგაზრდობა და თითქმის ხანში შესულებიც, წითლად და მედიდურად გამოიყურებიან.

ცხოვრება კი არა, ფშაველ კაცს ჰურის ჭამაც არ უყვარს კრებულად, ოჯასში ხომ მარტო საღამოობით მოიყრიან ერთად თავს და ვახშამს ერთად შესჭამენ, დანარჩენ დროს ყველა თავისთვის ილუკმება.

ქორწილში, სამღვთოში თუ ქელეხში, ძნელად ნახავთ ერთად გაიშალოს სუფრა, ერთად წესიერად დამსხდარ ხალხს. ორი ან ძალიან ბევრი სამი, სხედან აქა-იქა, არეულად, წინ ხონჩა უდგათ, ხმელი ხაჭო-ჰურით, სვამენ სასმელს, თან მღერიან და ალექსებენ ერთმანეთს.

სიმღერა ჯერით იციან, ლექსობა — შეჯიბრით. ერთი რომ სიმღერას, ან ლექსს იტყვის, მეორე ბანს ეუბნება. შემდეგ მეორე სცილობს სიმღერითვე, მაგრამ საჭიროა, უთხრას იმავე რიტმით, მხოლოდ უნდა ეცადოს, სიტყვა მოუჭრას ამხანაგს, აჯობოს. ამისთანა შეჯიბრის დროს გამოდის მთელი მწყობრი ლექსი — დიალოგი. მაგალითად, მძახლები ერთმანეთს ასე ელექსებიან:

— „დუქანში ჩამოვიარე, ნახვა მეწადა სიძისა,
რა კარგი ქალი მოგეცით, იქნებ მაჰკალთ შიმშილითა?

– ქერის ჰურს ჩვენაც კი ვაჯმევთ,
არც თქვენა ზრდიდით ბრინჯითა,
ასეთი გოდრები გვიდგა, ასახდელია კიბითა.
– რას გარგებთ ცარელ გოდრები, თუ არა ჰერავს რა შიგნითა,
ერთხან სამ გადავსადე, სულ სავსე იუო სკლინტითა,
ცხენებს დასწყვიტეთ წელები ქალაქს ნახვეწის ზიდითა.
– თასების ჰარვას ხვნა კი სჯობს, ღმერთმანი, ჩემის ფიქრითა.
– ბიჯო, ეგ აღარ წამოგცდეს, გამამგზავრებენ ციმბირსა.
– შენ ციმბირ ჯოჯოხეთია, თავადც იციან ღვთისშვილთა.“

მძახლებმა ერთმანეთს დასცინეს: ჰირველმა სამი სკლინტიანი გოდორი და ნახვეწის ზიდვით წელდაწყვეტილი ცხენები დააყვედრა (ნახვეწი ე.ი. მოხვეწილი ხის ჯამები, ხონები და სხვა), მეორემ წაააყვედრა მთაში, ხატებში შეწირული ვერცხლის თასების ქურდობა. ჰირველმა ვითომ დაცინვით უთხრა, რომ შენი სიტყვების გამო ციმბირს გამაგზავნიანო, მაგრამ მეორემაც კარგად მიუგო – „შენი ციმბირი ჯოჯოხეთიაო.“

ნახვამები სიმღერაში ერთმანეთს რომ ალექსებენ, უწმაწური სიტყვები და ლანძღვაც იციან, მაგრამ ამას გულგრილად იტანენ, საწყენად არ რჩებათ.

მაგალითად, ერთი ახალგაზრდა ფშაველი ასე შეელექსა მეორეს: „აულასა, მაულასა, მივუწექ შენ ძალუასა.“

მეორემ უპასუხა: „არც შენს ძალუას დავზოგავ, თუ სადმ შავხვდი მარტუასა.“

იმ დროს, ძალუა და მისი ქმარი იქვე ისხდნენ.

ფშაველი კაცის ხასიათი იხატება თვით მის სიმღერებში. იმან არ იცის სხვადასხვანაირი კახური მრავალჟამიერები, არც გურული კრი-

მანჯული. მისი სიმღერები მასავით დინჯია და მელოდიური. სიმღერის კილო ორნაირი აქვთ: I. მელოდია ორის სათქმელია, რიგრიგით აკომპანიმენტში მესამეც შეიძლება მიეშველოს. ორნიც რომ ისხდნენ და სვამდნენ, კარგ დროებას გაატარებენ სიმღერით. II. „სამაია". ამ კილოთი მღერიან მარტო ქორწილში და საღმრთო წვეულებაში. ამას მღერიან ორ გუნდად. დამწეები დასძახის და სხვები ბანს ეუბნებიან. ეს გუნდი რომ დაამთავრებს, ახლა სხვა გუნდი დაიწეებს, როგორც კახეთში მაურულს მღერიან, წაგავს კიდეც. სიმღერა„სამაია" უფრო საბრძოლისველოა.

ფშავლის ბიჭებმა თამაშობაც მძიმედ იციან და ფეხების ბრაცუნიც. ფშაური თამაშობა ლეკურთან შედარებით ნაძალადევია. ჯეილი ფშაველი რომ გადმოვა სათამაშოდ, მოიკუზება, გაშლის ხელებს და დატრიალდება, მიწა დაიძვრება! ქალების თამაშობაც ასეთივეა, ოღონდ დაუვლიან კოხტად და წელში გაჯიმული. ქალებმა სიმღერა არ იციან...

ბევრს უთქვამს, ქელეხი დაილოცოს ოსისაო. ფშავლისა არც ქელეხი ვარგა, არც საღმრთო და არც ქორწილი. არცერთგან არ არის წესიერება დაცული, არც ჰურის ჭამა, არც ლხინი და თამაში. თავის დროზე და რიგზე სუფრა არ არის გაშლილი, არც საჭმელია მომზადებული. ხალხი დასხდება, ზოგს სასმელ-საჭმელი თვალით არ დაუნახავს, სხვა უკვე მაძღარია და მთვრალი, ზოგიც ბარბაცით სახლისკენ მიდის.

ქორწილში, ეველამ იცის, რომ დაპატიეება არ სჭირდება. ქორწილის ჰატრონს წინადღით აქვს დამზადებული მთელი მარაგი: ჰური-ნამცხვარი, საშუალოდ 2-4 გოდორი სულადით, არაეი შინ გამოხდილი 4-6 ჩაფი, ხორაგი 2-4 ცხვარი და იქნება ძროხაც.

საღამოთი მოვა ნეფე მაურებით ჰატარძლისას ადგილობრივ ფეხით, შორიდამ ცხენებით წამოიყვანენ დედოფალს. წინ სუფრაზე ხის ჯვარი უდგათ, ზედ ვაშლებია, მწვადი და სხვა. ამ სუფრის გარდა სხვა არც სუფრა ჩანს და არც სხვა წეს-რიგით. რაც იჯმება, ბევრით მეტი სასმელი ისმევა. ვინ რასა სვამს, ვინ რასა ჯამს, არ გაიგება. ორისამი ზოგნიც სახლში არიან, ზოგიც გარეთ სვამენ და მღერიან.

ვახშმობის შემდეგ წყვილებს დააბინავებენ საბძელში ან გომში. ცოტა ხნის შემდეგ მეფე ისევ მოჰყავთ მაურებს საქეიფოდ. მთელ ღამეს ათენებენ სმა-სიმღერაში, ჩხუბი, ჭირვეულობა არ იციან. იშვიათად, მეტად ვინც დათვრება და შინ წასვლას ვეღარ შესძლებს, იქვე მიწვება კუნჭულში სადმე და მიიძინებს, გამოიღვიძებს, ადგება და მოიკითხავს ისევ სასმელს და აღარც წავა, მანამ წინ არ დაუერიან ცარიელ ტიკებს.

ჰატარძალი ადგება დილით, ისევ მეფეს დაუსვამენ გვერდს, გააახლებენ სუფრას, როცა იდროებენ, მაურები ადგებიან და ნეფის წინმღოლით სოფელს ჩამოივლიან, ყველა ნათესავი შეიჰატიეებს მათ ხინკალზე ან სხვა რამე სასმელ-საჭმელზე. სადილობისას, ყველანი ისევ ნეფის სახლში დაბრუნდებიან. იწყება ისევ ქორწილი. სმა-ჭამა, ლხინი, თამაში გრძელდება სამ და მეტ დღემდე.

ქორწილში კიდევ ერთი უცხო წესი იციან: ნეფე-დედოფლის გადასალოცი თითქმის ყველგან იციან, აქ კიდევ დამატებით საინტერესო ჩვეულება აქვთ. გადალოცვის დროს მექორწინენი არჩევენ ერთ კაცს, რომელმაც უნდა შეასრულოს ეს ჩვეულება, ამ კაცს მეტსახელად „მეეფარი“ ჰქვია.

სხვაგან, მაგალითად, როგორც მინახავს, მსურველი მივა ნეფე-დედოფალთან და რაც ემეტება, იმას თავისი ხელით გადაულოცავს. ბევრი ვერც გაიგებს, ვინ რამდენი გადაულოცა, როგორი გულითა და

განწყობით, აქ კი გადამლოცი „მეეფარს“ აწედის გადასალოცს ხმა-ამოუღებლივ, შემდეგ „მეეფარი“ ასრულებს თავის მოვალეობას, უნდა ამცნოს კრებას გადამლოცი, მისი გამეტებულის რაოდენობა, მისი ოჯახური გარემოება, ცხოვრება, შემლება. ე.ი. დაახასიათოს ის, რამდენადაც მას შეეძლება, მცირეზე მოხდის ბოდიშს.

ეს ჩვეულება იმდენად საინტერესოა, რამდენადაც დროსა და ჟამს შეეფერება.

ამ დროს, „მეეფარის“ ეეფა ზოგს კიდეც სწეინს და ჯავრობს, ზოგს უხარიან, იცინიან, ხარხარებენ, ერთობიან. გარდა ამისა, სოფლად სალხში ბევრი რამაა დაფარული, რომელიც მეზობლებში ბევრმა არც კი იცის. ეს „მეეფარს“ უთუოდ შენიშნული ექნება, ვითომ ხუმრობით, მაგრამ მართლა კი ამხილებს ეველაფერს – კარგსაც და ავსაც. ცუდის მოქმედმა შეიძლება შეიგრძნოს და გამოასწოროს, „მეეფარი“ რამდენადაც ენაწულიანია, გაბედული მთქმელია და უბედი – გახარებული, იმდენად კარგია დახასიათება გადამლოცისა. „მეეფარი“ ცდილობს, საქებარი კარგად შეაქოს, შესაბრალისი გულშემატკივრად აღწეროს. სხვების გასახარად ცდილობს ისეთი თქვას, რომ მექორწინეთა შორის სიცილ-ხარხარი მეტად გამოიწვიოს და ისახელოს თავი, როგორც კარგმა „მეეფარმა“. ამ თანამდებობაში ბევრი ქათქათი სჭირდება, რისთვისაც მას უწოდეს სახელი „მეეფარი“.

მაგალითისათვის მოვიეანოთ მეეფარის ორიოდე ნაეეფი:

I. „აი, ეს ერთი მანათი მოართვა ჩვენს თამარს ობოლას სახლობამ, – ამბობს მეაფარი: თან შემოგითვალათ, ესეც და ჩემი თავიც თქვენი ჭირის სანაცვლოდ იეოს. სირცხვილით ვეღარ გამოვჩნდი, მე დამწვარი, ან რა გამოსაჩენია ერთი მანათი, მაგრამ რა ვუეოთ, რა შავი მიწა ვქნა მე ბეჩავმა, რომ მეტზე ხელი აღარ მიმიწვდების. განა ტეუილად არის ნათქვამი – ჩემი კაბის სახელო, ჩემი კაბის საფეროო.

აღარცა არა მუცელს ჩამტირალმა ჩემმა ქმარმა შემარჩინა. ქვაბის არაული გამოესადე, მალვით-ჰარვით ცოტა რამ ფულად ვაქციე, დანარჩენი თვითონ შესვა და სხვას შეასმია. ბალღები ფეხშიშველა დამიდიოდა, იმათ ქალამანი ვუყიდე, ქალას კაბანი და ეგ ერთი მანათი ძლივს გადავარჩინე. კეთილი საქმე კეთილად მოგიხდინოთ წმინდა გიორგიმ, გმირმა კოპალამ, ლაშარის ჯვარმა."

ასე გადავარდა ჯამში ნიკოლოზის თეთრი მანეთი და მაურიონმა დაიძახა — ააშენოს.

II. „ეს ჰატარა თეთრი მოგართვა ზევინარმა, ბერიძის ქალმა და შემოგითვალათ: მე მეგონა, დაგასწრობდით და თქვენ მოგინდებოდათ ჩემთვის გადმოსალოცი, მაგრამ, რაკი დამასწარით, ალალი გიყოთ წმინდა გიორგის დავლათმა. მეტი აღარა მებადებოდა, ესეც ჩემს წაწალას ვესესსე." მაურიონმა სიცილით დასძახა — ააშენოს.

ფშაური ჩვეულება *ბოსლობა* — წაწლობის ხელის შეწყობაა. საცხოვრებელი სახლის 10-20 ნაბიჯის დაშორებით უბრალო ქოხია, ნახევრად მიწაში ჩადგმული, ზედ მიწადაყრილი, ფიცარწახურული, ზამთარში ოდნავ მოთბუნებული, ზაფხულში — ფარღალალა. ამასა ჰქვია ბოსელი, შიგ მეოფს — მებოსლე.

ამ ბოსელში იმეოფება მშობიარე მანდილოსანი დედაობუნებიანი, რომელსაც ფშაველი გარედ გამოსვლას ეძახის. ორსული დედაკაცი, როცა მას თეთრად ჩამოშლის, ადგება მაშინვე თავისი ბარგი-ბარხანით და გადავა ბოსელში. იქა შობს შვილს და 40-დღემდე სახლში არ დაბრუნდება. მებოსლეს, მელოგინეს დრომდე არავინ გაეკარება და არც არავინ გაიკარებს. ბოსელში გრძელ ჯოხს, ლიტრაზე ეურით წამოცმულს წყალს მიაწვდიან, საჯმელს ხელსახოცით გამოხვეულს გადაუგდებენ.

მებოსლე ქალის მოტანილი წუალი, გამომცხვარი ჰური დრომდე მურდალია, საცხოვრებელი სახლის საჩეხს ვერ დალახავს, ვერც დამალავს და რომ დამალოს, დიდი ცოდვაა. მისი ეს მოვლენა ყველამ უნდა გაიგოს, შინაურმაც და გარეულმაც,

ბოსლიდან თუ ბოლი ამოდის, ეს იმის ნიშანია, რომ იქ ქალია, ზოგმა შეიძლება ეს განგებაც გააკეთოს სხვა მიზნით, ახალგაზრდა ბიჭი რომ ეწვიოს. თუ ქალმა უარი უთხრა, ბიჭს არ შეუძლია ძალა იხმაროს. ასეთი ახალგაზრდა ბიჭები შენიშნული ჰყავთ და მათ დაცინვით მებოსლეს ეძახიან. ამისთანას სახლში ძნელად უშვებენ — მურდალი ხარო.

სიტყვა „წაწალს“ თვითონ ასე ხსნიან ფილოლოგები — ქალი წევს ბიჭთან ტანგაუხდელი. ბიჭი ეხუმრება ქალს, ქალი უარობს, იკლაკნება, იცინის, თან ამბობს — ჯკვიანად იყავ, თორემ წავალო. ქალმა წავალ-წავალის ძახილით ვერაფერი გაიყვანა, დაერქვა „წავალ-წავალ“ ასო „ვ“-ს მაგიერ დაისვა „წ“ და გამოვიდა „წაწალი“.

ფშაველის ბავშვების ცხოვრება რომ განვიხილოთ, დავინახავთ, რა დამოკიდებულება აქვს წაწლობას მათ ცხოვრება-გარემოსთან...

კიდევ ვიტყვი, ფშაველს იმდენად უყვარს თავისი ძროხა, რომ ერთმა მეორეს მშვიდობა ჰკითხოს, ძროხასაც მოიკითხავს; „როგორა ხარ, შენი კვნესამე, კაცით-საქონლით? “

ფშაველის ბავშვი, ფეხზე გავლიდან დაწყებული, დილიდან საღამომდე დაშორებულია თავის სახლ-კარს, მშობლების თვალ-ყურს, მათ დარიგებას-გაფრთხილებას და სხვა. დადის გუდააკიდებული ხბორების ან ძროხების უკან ტყე-მინდვრებში.

1913 წელს, სოფელ კოშკებში ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა. სანამ თოვლს არ ჩამოურიდა, ორი-სამი მოწაფის მეტს ვერ ნახავდით

სკოლაში. მასწავლებელმა იცოდა, რომ ბავშვები სულ ხბოებსა და ძროხის უკან იყვნენ გაფანტულები ტყე-მინდორში.

ჰატარა ქალები, ბიჭებთან ერთად, უფროსების თვალს უკან, ხან ერთად, ხან მარტოები მინდორში, ტყეში, წყალზე, ხუმრობა, თამაშობა-ლაზღანდარობაში, ცხადია, გაირეკნებიან ქცევით, სიტყვა-ჰასუხით. აქიდანვე დაიწყებენ წაწლობის მაგვარ საქმეს.

ამისთანა გარემოებაში მყოფი ბავშვი უნდა გაიზარდოს და შეიქმნას ისევ ისე, როგორც მისი მამა-ჰაპა, ისევ ისე მეწაწალე.

სწავლა-განათლება, კულტურა სამუდამოდ უცხო გახდა მისთვის, ვერც ვაჟი ეღირსა ნათელ ცხოვრებას, ვერც ქალი. დარჩნენ სამუდამოდ წყვდიადში, როგორც მისი მამა-ჰაპა. ასე ყოფილან წინათ, ასე არიან ახლა. მთელ ფშავში ორი კაცი არ გამოირჩევა ფარსაგად ხელის მომწერი, ნასწავლი, განათლებული. კულტურული ადამიანის ხსენება არ არის. დედაკაცებზე ხომ ზედმეტია ამ მსრივ ლაპარაკი. დედაკაცი მარტო უტყვი მანქანაა: გარდა იმისა, რომ ის დედაკაცია, მამაკაცს გვერდში უდგას ყველა საქმეში, ეოჩაღია მატელის დამუშავებაში, შალი, ფარდაგი, წინდა, ჰაჯიჯი, მისი უმთავრესი საქმე და ხელობაა. დიდსა და ჰატარას არ აკლია ნიჯი, მაგრამ დაუმუშავებელია და მძინარე.

ბევრ კაცს აქვს ჰოეტური ნიჯი, მაგრამ მისი ლექსი რჩება დაუწერავი. ლექსი გამოჰყავთ რიტმიანი, რვამარცვლიანი, ხან დიალოგიურიც, მაგრამ უმწერლობით ყველა იკარგება. ამავე მიზეზით იკარგება: გამოცანები, ზღაპრები, ანდაზები — მაგალითად „ჩემი კაბის სახელიო, ჩემი ქამის საფერიო“, „შენს ოჯახში, მანგაო (კაცის სახელია), ყველა შენი ფანდაო“...

ესენი ყველა, რომ შეიკრიბოს, მთელი წიგნი გამოვა, მაგრამ ამასაც წერა-კითხვის მცოდნე ხელი სჭირდება. ფშაური ზღაპრები უფ-

რო რელიგიურ-გმირული ხასიათისაა. მაგალითად კოპალაზე და სხვა ღვთიურ, წმინდა ხალხზე.

უწინდელი ფშაველი კაცის რელიგიური მხარე ძალიან შეზღუდულია. მეფის მთავრობაც ნაკლებ უურადღებას აქცევდა. ეკლესია არა აქვს არც ერთ ფშაურ სოფელს, სარგებლობენ ქისტების ეკლესიით.

დიდმარხვაში, 10-12 კაცი-დედაკაცი მივა და ეზიარება წელიწადში სამჯერ — შობას, წყალკურთხევასა და აღდგომას. იქნება წირვა-ლოცვა მოისმინოს — ეს არის მათი რელიგიური მისწრაფება. თუ რელიგიურ რამეს ასრულებს, მარტო ალღოთი, რომ ჰკითხო, რა არის, სად არის ღმერთი — ქათამივით ცხვირს აიშვერს მაღლა, როგორც წყლის სმაში ქათამმა იცის. ჰირჯვარს წესიერად ვერ დაიწერს, ლოცვებისა რაღა მოგახსენოთ.

ერთი სიტყვით, უბრალო, ელემენტარული ცოდნა არა აქვთ იმ სარწმუნოებისა (ქრისტიანობისა), რომელსაც ჩემულობენ. ამაში ხალხი არც არის გასამტყუნარი.

რჯულის მასწავლებელს, მღვდელს, თუ ოდესმე სოფელში მიცვალებულზე, თორემ სხვა დროს თვალით ვერ დაინახავს დიდი თუ ჰატარა. მიცვალებული კი წელიწადში რამდენი უნდა იყოს, თუ გადამდები სენი არ არის სოფელში?!

სახლში რომ ვინმე ავად გახდეს, დანარჩენები სხედან და ჰირში შეჰყურებენ, თითქოს ელოდებიან, ნეტა როდის მოკვდებაო. არც ზრუნავენ ექიმზე, წამლებზე, კვებაზე. როცა მოკვდება, თუ თავის სიცოცხლეში არ გაბანებულა, მაშინ გააბანებენ. კაცს ჰირს მოჰარსავენ, გაასუფთავებენ. მხოლოდ რაც სიცოცხლეში ეცვა, ისევ იმას ჩააცმევენ. უბრალო კუბოს შეკრავენ და ჩაასვენებენ. მეორე ან მესამე დღეს მეზობლები გაუთხრიან სამარეს მუქთად.

კაცები მიცვალებულს მიასვენებენ, დედაკაცებიც უკან მისდევენ ტირილით. სანამ მიცვალებულს დაასამარებენ, დედაკაცები იქვე დგანან და ტირიან. მოთქმით ტირილი კაცებმაც იციან, მაგრამ დედაკაცივით ბუნებრივად — ვერა.

ფშაველი დედაკაცი რომ ტირის, მართლა ტირის — გულსაც თან აუოლებს, ფეხზე დგა, მოსთქვამს მაღალის ხმით, თან იწურება მოხარშული მხალივითა. ისე ჩამოსდის ცრემლი, როგორც წვიმის წყალი, თან ხელებს შლის, ქვითინებს ისე, რომ მთელი ტანით ფეხებამდე იძვრის და მისი ქვითინი მთელს სოფელს ესმის.

ტირილში სხვა ბანი არ იციან, როგორც ქისტებმა და კახელებმა. სანამ ხალხი დაბრუნდებიან, სადილი მზად არის.

ფშავლებმა არც მიცვალებულზე იციან დიდი მომზადება. მეცხედრე ე.ი. მიცვალებულის ჰატრონი, ერთ ცხვარს დაკლავს, თუ საჭიროა, ერთ თსასაც დაუმატებს, ერთ დიდ ქვაბ ლობიოსაც მიაყოლებს. მთელ მოხარშულ ხორცს წვრილად დაჭრის და ფილტვებიანად მოხარშავს, ხოლო ღვიძლს მთლიანად შეწვავს ცეცხლზე. შემწვარს დაჭრის წვრილად, მოაყრის მარილს, ამით ყველა ნათესავები ჰურის ჭამის წინ ჰირს გაიხსნილებენ ე.ი. უიმისოდ სახორცედს არ შეჭამენ, მოხარშულ ხორცს ამოიღებენ თაბახზე, დუმასა და ფილტვებს დაჰკეჰენ წვრილად და იმით ხორცის ნახარშ წვენს შეანელებენ. თუ წვენი ეცოტავათ, წყალს დაუმატებენ და წამოადუღებენ. ჰური, ლავაში და შოთი თონეში გამომცხვარია.

ჯერ დედაკაცები დასხდებიან დაბლა მოკეცილნი, აქა-იქ გაბნეულად, როგორც ჩვეულება აქვთ. ზემდეგი ყველას მოუტანს თითო ლავაშს, ჯამით ლობიოს, ნაჭერ ხორცს, ყველს და ჩაუწყობენ სათითაოდ კალთაში, თუ ჰატარა ვინმე გვერდს უზის, ან ძუძუზე ჰყავს, ან

მუცელში ე. ი. თუ ორსულად არის, იმასაც წილს უდებენ იქვე კალთაში.

ზემდეგი დადის შუა-შუა და უველას უანწით არაუს ასმევს ან ღვრის. მსმელი უველაა — დიდი, ჰატარა.

დედაკაცები მორჩებიან ჰურის ჯამას, აიშლებიან, თუ რამე საჯმელი დარჩათ, გამოიხვევენ კალთაში და წავლენ. შემდეგ კაცები დასხდებიან ჰურის საჯმელად, მათ შემდეგ ზემდეგი კაცები და დედაკაცები. ნარჩენი კაცებს შინ არ მიაქვთ. ამით არ თავდება ფშაველი მიცვალებულის გასტუმრება...

ფშაველს თავისი მიცვალებული ცოცხალზე მეტად უეკარს, მის გასტუმრებას უნდება მთელი წელიწადი. უკეთებს რიგს ცოტა-ცოტა ხარჯით: შემოდგომას სულთავსებას ე.ი. დიდმარხვის მეორე კვირაშაბათს ე. ი. სულთმოფინეობის წინაშაბათს, რომელსაც ხალარჯობას ეძახიან.

ამ შაბათით ფშაველები სამუდამოდ ისტუმრებენ თავის მიცვალებულს. ეს დღე — ხალარჯობა ძალიან მიაჩნია მას, დიდ ხარჯსაც ეწევა ამ დღისათვის, მომეტებულად და დიდი ხნითაც ემზადება, ვიდრე ქორწილისათვის ან საღმთოსათვის.

მომზადებას იწყებს ერთი კვირით ადრე, სხვა დროისთვის თუ არა, ეხლა ღვინო და ბრინჯიც კი აქვს მოტანილი კახეთიდან, ბლომად სამცხვარი, ერბოს ქადები, ჰური, შინ დასაკლავად დიდი ცხვარიჯედილა. ნათესავში წასაუვანი ბატკნები იმდენი, რამდენგანაც თვითონ უნდა წავიდეს.

მარტო მიცვალებულის ჰატრონი კი არ ემზადება ხარჯებისათვის, არამედ მისი ნათესავიც, რომელიც უსათუოდ უნდა მოვიდეს ერთი კვირის განმავლობაში და მიუტანოს ჩვეულებრივ სამზადი: ღვინო, არაკი, ქადა, ჰური, ყველი. მთელი კვირა, მანამ დამარხვდება, ასე მი-

დი-მოდიან ერთმანეთში და სმა-ჯამაში არიან, მანამ არ მორჩებიან, არ შეჯამენ, რაც დამზადებული აქვთ.

ფშაველი ადამიანი დიდი მორწმუნე ჰიროვნება და რელიგიური ქველმოქმედი იყო ოდესღაც და არიან. კახელებმაც კი იციან და ბევრიც იქნება ნამეოფი მთაში ფშავლების ხატებში: ლაშარის, კოპალის, იახსარსა და სხვა. ნანახი ეყოლებათ იქ მისული უამრავი ხალხი მთისა და ბარისა ქალი და კაცი, მათ მიერ იქ შეწირული ოქროს ბეჭდები, საყურეები და სხვა სამკაულები, ვერცხლისა — თასები, სპილენძის დიდრონი სალუდე-საარეე ქვაბები, საქონელი: ცხვარი, ძროხა.

ეს ნივთები იმდენად ბლომად ურია, რომ ხშირად იპარავენ. ამიტომ წააყვედრის მძახალი-მძახალს სიმღერაში თასების პარვას. შეწირული ძროხისა და ცხვრის ფარა დაუდით საკუთარი მწყემსით.

მე მახსოვს, ჰატარაობას, დიდ თიანეთს ზემოთ, იხინჯას ხატში, ცხვარი არ ვიცი, სოლო 7 კურატი დაკლეს მოსული სტუმარი ხალხისათვის, თითო 15 ფუთი გამოვიდოდა.

ჩვენი კოშკელები, ლაშარისათვის არ ვიცი და, საპანკისო საქველმოქმედო საქმისათვის ძალიან ჩამორჩებიან, ვერ არიან გამეტებული ხალხი.

ბევრ დედაკაცს უთქვამს ჩემთვის საიდუმლოდ — ბევრჯერ მომიპარია ოჯახში და ის მიმიცია გაჭირვებულისათვისო.

სოფელზე გაწერილი საზოგადო საქველმოქმედო ხარჯები, მაგალითად, სკოლისა, კანცელარიის, საექიმო დაწესებულებისა და სხვა უსათუოდ გზირი მამასახლისის საშუალებით უნდა აიკრიფოს, მაგრამ დიდ სიკერპეს იჩენენ. სოფლის კანცელარია გირაოებით გაივსება ხოლმე.

ძნელია, სულ უბრალო საქმე უგზირ-მამასახლისოთ გაკეთდეს სოფელში. ცხენით ჩამოიკლიან სოფელს და მზად უნდა იყოს კარგი

არაეი, მსუქანი დედალი ან ხაჯო-ერბოთი. საუზმე და ხარჯის აღება ხომ ნაღდია. არა და გირაოს გატანით მეტი მისდის.

გირაო ხშირად იკარგება. ჰატრონი გირაოს ჩივის სოფლის „სუდში" ესენი დანაკარგს ვის დააკისრებენ? გზირ-მამასახლისს — ვერა, მაშ წამღებს მიაქვს აღსრულების ფურცელი მამასახლისთან, იმასაც რამე უნდა. გირაო კი დანახარჯებზე მეტი აღარ არის, ამიტომ ზოგი თავს ანებებს, აქაც დედაკაცი თუ არ გაიხარჯა, კაცი ძნელად თავს შეიწუხებს.

რელიგიასთან დაკავშირებით კოშკელებმა (ხეობის ფშავლებმა) არ იციან ისეთი დღეობა, რომ უცხო ადამიანს შეეძლოს იქ მოხვდეს, ნახოს შეკრებილი ხალხი, მცირედ მაინც გაეცნოს მათ, თუნდაც შეიკრიბნენ სადმე, როდისმე. განა კახელი ხალხივით სიმღერით, ცეკვით, ჯირითით, ჭიდაობით ან რამენაირად დროს გაატარებენ?! — სხედან აქა-იქა ორ-ორი, სამ-სამი, ერთი მღერის, ქალები და ვაჟები ცეკვავენ ბრაციბრუცით.

მათაც იციან მკითხავის რჩევით წასვლა ხატში სამ წელიწადში ერთხელ. ორჯერ ფშავში — ლაშარს, ხახმატს, კახეთში — თეთრ გიორგის, ალავერდში, დიდ ბატონს, წყაროსთავსა და სხვა, მაგრამ იქაც ამისთანა დროს ტარება აქვთ, როგორც ზევით ვოქვით. ფშავლების, თუშების და ოსების ისტორიულს და ეთნოგრაფიულ მხარეს მე ძალიან ნაკლებად ვეხები, ხოლო ქისტების ეს მხარე, შევეცდები, რაც შეიძლება, დაწვრილებით გავაცნო საზოგადოებას.

სოფელი დუისი ქისტების დასახლებაა ჰანკისის ხეობაზე 1840-1858 წლებიდან. ეს ქისტები არიან თიანეთის მაზრის, მთა-ქისტეთის სოფელ სახანოდან ძალაუნებურად გადმოხვეწილნი, თორემ არჩევანზე რომ ეოფილიეო მათი ბედი, ხევსურისა არ იეოს — სამშობლო უველას ერჩია, სხვა ქვეუნის სამოთხეს.

სოფელი მდებარეობს ზედ ალაზნის პირად, მარჯვენა მხარეს, საიდანაც წყალი აწვება ისე, რომ ერთ დროს აურა-გადასახლებასაც უქადდა.

ჯერჯერობით სოფლის ძველი სასაფლაო წაღებულია. სოფელი ნელ-ნელა ბაბურასაკენ იწევს.

მდინარის კალაპოტს არარა ამაგრებს, დღითი-დღე ზარალი ზარალს მოსდევს. ნათქვამია: „წყალი მიდგება, მოდგება, თავის ნადგამში ჩადგებაო“. ალაზანი თუ მიდგა და მოდგა, სოფელ დუისს ბაბურამდე გადაიტანს. შექმნილი ზარალი კი ჯერჯერობით ასეთია: პანკისში აშენებული პატარა ეკლესია, სამლოცველო ნიში მოგლიჯა, სოფლის ნაპირიდან ერთი კომლი მოსახლე აჰყარა, სოფლის ძველი სასაფლაო წაიღო, სამი დიდრონი კაკლის ხე თან გაიყოლა.

გარდა ამისა, მოსახლენი მდინარის გაღმით, ხალაწნის ტყიდან, ღვიმედან სარგებლობენ შეშით, საქონლის საძოვრით. თუმცა წყალში გასვლა-გამოსვლით ზარალობს კაციც და საქონელიც.

ბოლო ხანებში, როცა დაიწყო ქისტების გამოღვიძება, წელში გასწორება, შიშობენ ქვიტკირის სახლების დადგმას — წყალი წაიღებსო.

მოკლედ, ალაზანს სოფელ დუისისათვის ზარალის მეტი არაფერი მოაქვს. წისქვილს არ უბრუნებთ, სარწყავად ვერ სარგებლობენ, სასმელად ვარგისია, როცა წმინდა მოდის შემოდგომიდან გაზაფხულამდე. სხვა დროს ხშირად მღვრიეა. მდინარე ალაზანს სათავე გრძელი აქვს, წვიმისაგან ამღვრევაც ჩქარა უნდა ხდებოდეს და შემდეგ დაწმინდავებაც, რომ იქვე, მახლობლად ქოჩადალას ხევი არ ამტუტებდეს სულ მცირე წვიმიანობის დროს. ამ ხევისაგან შერეული ალაზნის წყალი, შიგ შლამ-ქვიშა არეული, კაცისაგან არ დაილევა.

ისეთი ტლაპი ხდება, რომ მსხვილი კალმახი, ორაგული ვერ უძლებს და იხოცება.

პირველ შემოდგომას, ზოგჯერ წყალზე წასულ დედაკაცებსაც კი მოაქვთ სოლმე ტლაპო წყლისაგან დახოცილი ორაგულები ხუთი მტკაველი სიგრძით.

ხშირად ალაზანი სასმელადაც უვარგისია. სასმელი წყლით სარგებლობენ ბაბურიდან მილის წყაროთი, რომელიც სოფელმა გამოიყვანა თავისი ხარჯებით და წისქვილის მხარეს ახალ სასაფლაოსთან დააყენა.

ბოლოს თვითონ სოფელსაც აქა აქვს დასახლების აზრი. სხვა მხრივ, მდებარეობა სოფლისა საუკეთესოა ყოველ მხრით: ზევით — ბაწარის კარიდან გადმოგდებული ალაზნის წყალი აბრუნებს ყველა სოფლის ორ-ორ-თვლიან წისქვილებს. რწყავს დაბლა მინდვრებს, სიმინდს, ფეტვს, ბაღჩა-ბოსტნებს. ამასთანავე, მდინარის დაქანებულ მომდინარეობას მოაქვს დილიდან-საღამომდე მთის სასიამოვნო და წყნარი ნიავი, რომელიც მთელს სოფელს ზეწარივით ზედ ეფინება და ანელებს ქვიშრობი ნიადაგიდან ასადენს ალს-ბუღს, რომელი გახურებულ თონესავით ვარვარებს ზაფხულობით. ამ ნიავის წყალობით, ვიწრო ხეობაში მომწყვდეული სოფელი არ განიცდის იმ სულისშემხუთავი სიცხის ბუღს, რომელიც კახეთის სოფლებს სჩვევიათ.

სოფელიც ხშირად არის დასახლებული, ერთი სასლი მეორეს სულს უხუთავს. შუა სოფელში რომ ჯიქა გატუდეს, მთელი სოფელი გაიგებს.

სახლები და მათი არქიტექტურა. პანკისში პირველად დასახლებული ქისტების რამდენიმე სახლს მეც მოვესწარი. ის იყო ოთხ ბოძზე, კაცის სიმაღლედ ამოწნული სასუქ-ტალახით გალესილი, ზევიდან

ნაფოტ-ბენჩო დაურილი, მიწით დატკეპნილი 6-7 მეტრი სიგრძის, შესაფერისი სიგანით და თავისი მსგავსი შიგა მოწყობილობებით.

ხალხის მატერიალურად მოცოცხლების სანაში, საქართველოს გასაბჭოებამდე, სახლების გეგმა ანუ შენობები ყველასი ერთნაირი იყო.

სახლები იყო წიფლის თხელი ვერშოვანი ფიცრისა, საუელოიანი, ე.ი. კუთხეებში ფიცარი ერთი მეორეზე გადაჯდომილი, მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მუხის მსხვილ დირეებზე დაყენებული, ზოგი ფიცრის, ზოგი მიწის იატაკით, ფიცრის ჭერით ან უჭეროდაც ორ ოთახად, ზოგი შუაზე ტალნით გაყოფილი, ზოგიც უიმისოდ სამს მხარეს გაფიცრული თუ გაუფიცრავი საჩეხით, ბალკონით, დერეფნით. კრამიტით დახურული ოთახები ორ-ორი მომცრო სანათურით, ფანჯრებით. ზოგი შუშიანი, ზოგიც უიმისოდ, შიგნით, ბუხარი და თარო უსათუოდ, ოთხი თხელი ფიცარი ერთმანეთზე უჯრებად გადაწყობილი და ოთხივე მსრივ კედელზე მიკრული. ერთ მხარეს გრძელი განიერი ტახტი ნაბად-ფარდაგით დაფენილი. იქვე ლოგინი დალაგებული, ძველი და ასალი ტანისამოსი, ჩუსტი-ჩექმა, „ჰოლსაჰოშკი", კალოში ჩამოკიდებული, ქვემოთ ბოლოში — კასრი და სხვა ხარახურა. ქისტ ადამიანს უყვარს სახლში რაც აბადია, სულ თვალით ჩანდეს, როგორც გამოფენაზე.

ზოგ სახლს, რომელიც უიატაკოა, ბუხარი ჰრიმიტიული აქვს, ე.ი. სიგანის დირეზე ერთ ადგილას ქვებია მიწყობილი თიხით გალესილი, რომ დირე ფიცარს ცეცხლი არ მოხვდეს. იქ ჰურის საცხობი თიხის კერაა გამართული, ზედ ქოლგასავით წნელი კუთხიანი საბოლე აქვს მაღლა ჭერამდე აზიდული.

ოთახის აქეთ-იქიდამ დადგმულია განიერი ტახტები. ეს არის საოჯახო-საცხოვრებელი ოთახი, მეორე ოთახი ხშირად უბუხროა. სი-

ცივეში, საჯიროების დროს, შეიძლება თუნუქის ღუმელი დადგან. ეს ოთახი ხშირად დიასახლისის სამუშაოდ არის დარჩენილი, სადაც უწყვია დასამუშავებელი მასალა: მატული, საქუდე ნაბდები, სამუშაო იარაღი. ეს ოთახი ზოგს სასტუმროდ აქვს სადად მოწყობილი.

სოფელში მეორე ნიმუშად გვხვდება ფიცრულ ბოსელზე დადგმული საოჯახო სახლი. ეხლა ამ მოდას აღარ მისდევენ.

სახლები, როგორც უნდა იყოს, თუ მდებარეობაც წესიერი არა აქვს, ადრინდელი ერთი-მეორეზე ჩამწკრივებული, სოფელს ქალაქის იერს აძლევს. დუისში სახლები ისეა გაბნეული, როგორც მინდორში ქვა-ღორღი. სახლებს კარი, ფანჯრები, საჩეხი, საით გინდა, რომ არა ჰქონდეს მიქცეული. ძნელად იქნება, ერთ სახლს კარ-ფანჯარა მეორე სახლის კარ-ფანჯარას უყურებდეს.

ჯალის ჰირას მე მინახავს თაგვის სოროები, რიგზე დამწკრივებული, წინ, სწორედ გატკეცილი ბილიკებით ჰირდაპირ გამოგორებული თხილ-კაკალი შიგ სოროში შეგორებულა. თაგვების ტექნიკა მე კიდეც შემშურებია — საცხოვრებელი სახლისა და ცხოვრების ტექნიკა თაგვებმა იციან და ადამიანმა — არა. ეს დიდი უბედურებაა.

სოფელზე ერთი გზა არ იპოვება სწორედ გატარებული. ხამ კაცს თავბრუტი დაესვევა თავისი მოკეთის სახლის ძებნაში. ერთ სახლს რომ გვერდი აუქციოს, მეორეს ზედ წაწყდება.

ხალხის დაუდევრობაა და უკულტურობაა, თორემ რამდენად ადვილია და სახერხოა შუა სოფელზე ერთი შარაგზის გაყვანა, რითაც შესძლებს დაინტერესებული კაცი სოფლის დათვალიერებას. ამ სოფელში აქვთ წყლის საყური თხრილებით.

შარაგზის უქონლობა აფსუსია. მართალია, იქ ქვიშრობმა ნიადაგმა სხვა დიდი ლაფ-გუბეები არ იცის, მაგრამ ზოგი სარწყავად მიგდებული წყლის ჰატარ-ჰატარა რუებისაგან, ზოგიც ხანდახან გაყივე-

ბული წვიმისაგან, საქონლის ფეხით აჭიჭუნილი ვიწრო ორღობეებში ლაფდება. სხვა მხრივ, კახეთის სოფლებთან შედარებით, მუდამ დაცულია.

რაც საბჭოთა სელისუფლება დამყარდა, ხეობის ხალხმა თვალი გაახილა ბევრ საქმეში. დაიწყო ეოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, ფიცრული სასლების ნაცვლად დაიწყო ქვითკირის სახლების აშენება, მაგრამ თუ ახლაც უწესრიგოდ დაიწყეს შენება, არ ივარგებს. მგონია, მთავრობამ ამ საქმეს ეურადღება უნდა მიაქციოს.

ეოველ სახლს ეზო შემოზღუდული აქვს წნელი ღობით, ეორით ან ხირხლებით. მაგრამ რა ეზოა? ერთი ციცქნა. ეზოში მოთავსებულია საცხოვრებელი სახლი, ფიცრული ბოსელი ანუ გომი, გომზედ საჩალე – სათივეა დადგმული კრამიტით დახურული, ბოძებზე დადგმული, მოწნული ან ისიც ფიცრული სასიმინდე ჩალით ან კრამიტით დახურული, წნული საქათმე, იქვე საზაფხულოდ სადგომი საძროხე ბაკი, ნაგვის სასუქის გადასაურელი ადგილი. ისეა ეზო მიქოხმახებული, რომ მისული ცსენსაც ვერ დაბამს. საერთოდ, ადგილის სივიწროვე არის, მაგრამ არც ისეა, რომ მოსახლე ცოტა ფართოდ ვერ მოეწყოს.

მე ვფიქრობ, რომ ამათ ეს ჩვეულება – მჭიდროდ დასახლება, ალბათ, მთიდან დაეოლილი აქვთ, რადგან იქ ფეხგაშლილი ცხოვრება არ შეიძლება. მეზობელს რომ მეზობელთან მისვლა უნდოდეს, ბევრგან უნდა ტანისამოსი ღობეს გამოსდოს.

ბაღჩა-ბოსტანი ბევრს არა აქვს, ვისაც აქვს, იმასაც მცირე ფართობის. შიგ უდგას ნამეენი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი და სხვა. ხარობს ეველაფერი კახეთის ხილი, უთესია კართოფილი, ნიორი, ხახვი და სხვა.

ქვიტკირის სახლი ამ სოფელში უცხო რამეა, არც არის ერთი მეჩეთის მეტი, რომელიც დიდი თხოვნის შემდეგ ააშენეს სოფელში გენერალ *ა. კორილკოვის* შუამავლობით, სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადებისას, 1905 წელს. არც ეს მეჩეთია დიდი რამე, უბრალო ქვის ყორეა, მეტი არაფერი. ამ შენობის ოსტატი იყო კოშკელი ი. ქისტიშვილი — ფშაველი.

ესლა თუ ცდილობენ, თორემ კალატოზობისა და სხვა ოსტატობის მიმდევარი ქისტებში მცირეა.

ფიცრული სასლების აშენებას ავალებენ იმათ, რომლებიც შემოდგომას მოდიან და მთელ ზამთარს აქა რჩებიან. მუშაობენ უფრო მარდად.

ქვა-კირის ოსტატები მოჰყავთ კახეთიდან. კახეთიდან მოაქვთ კრამიტი და აგურიც, თუმცა ამისათვის საუკეთესო თიხა აქაც იშოვება.

აქაური თიხისას ერთი-ორი ფშაველი ამზადებს კრამიტს, ოსები ქოთნებსა და კეცებსაც აკეთებენ. სახლისა და მისი ეზო-ეურის მოვლაში ქისტებს ჩვენი მთის სალხი ბევრი ჩამორჩება. მაგალითად, ფშაველი, თუში, ხევსური და ოსი.

აგებულება — ხუფთა და მსუბუქი ჩაცმა-დახურვა, მსუბუქი ჯამასმა ქისტი ადამიანის დიდი უპირატესობაა მთის სხვა ხალხთან შედარებით.

ქისტი კაცი არ არის ფშაველივით ჯმუხი, კეეერა, კოპიტი, ტეავ-ჩოხა-ახალოხში აგოდრილი და ოსივით ჯამაში გაუმაძღარი. ქისტი კაცი თუ დედაკაცი სტუმრად რომ მოგადგეს, ხვეწნა უნდა — ჯამე, დალიე, თორემ შეიძლება მშიერიც დარჩეს, რადგან ბევრი ჯამა სირცხვილად მიაჩნია.

ქისტი დედაკაცი სისუფთავის დამცველია შინ და გარეთ. სახლი, თუნდა წნული იყოს, ტალახით გალესილი, თუნდ ფიცრული მიწური იატაკით, დაწკრიალებულია. როგორც იტყვიან, ერბო რომ დაიღვაროს, არაფერი შეერევა. უცხო დარბაისელი ან თუნდაც მეზობელი რომ მივიდეს, სახლის რძალი თუ ქალი, მაშინვე ცოცხს მივარდება სახლის უკეთ დასასუფთავებლად. გარეთ საჩეხი, ეზო, ბოსელი, საძროსე, ბაკი, საქათმე და სხვა ყველა დილიდანვე არის დაკრიალებული რომ გამლელ-გამომვლელმა, უცხომ თუ სოფლელმა არ შენიშნოს და უსუფთაობა არ დასძრახოს.

ზაფხულში ძროხის სადგომი ბაკის დასუფთავება-დახვეტა რომ კაცის მოვალეობა იყოს, არა უშავდა რა, მაგრამ ესეც დედაკაცს ევალება, დედაკაცი ამ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებს.

ხალხური თქმულება — „როგორ წარმოიშვა ხალხის საერთო სახელი „ქისტი" და როგორ გაჩნდა კავკასიონის მთებში".

სახელწოდება „ქისტი" [1] საიდან წარმოსდგა, ან როგორ შეითვისა ხალხმა ეს სახელი, ამის შესახებ ხალხში დარჩენილია ერთგვარი ზეპირი გადმოცემა, რომელიც მოგვითხრო შუახნის ქისტმა, ცნობილმა *მოსეკა ლამურაშვილმა.*

მოსეკამ მოგვითხრო: „ერთი ღრმად მოხუცებული კაცი — *აბიმირ ჰაჯი* [2] გვიამბობდაო — მე კარგად მახსოვს, ჩემს პატარაობას სოფელ აირახში ღორის ქოსმენებს ვინახავდით, ლორს ვაკეთებდით და კარგადაც გეახლებოდით.

---

[1] „ქისტი" სულ პირველად „კუსტის" სახელით გვხვდება VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში. *კამომცემელთა შენიშვნა.*

[2] ჰაჯი — ტიტულია ქაბაში ნამყოფისა. ეს კაცი 1909 წლამდე ცოცხალი იყო.

დაბლა, ჩაჩანი რომ გამუსრეს, ჯერი მთის ხალხზე დადგა. შემოგვესივნენ თათრის მოლები, დამტვრეული ჩაჩნურით გვიქადაგებდნენ ახალ რჯულს და ხშირად ახსენებდნენ „ქირისტი-ქირისტის“. ჩვენ არ გვესმოდა, მოლები ამით რას გვეუბნებოდნენ, ან რა ეწადათ და ვერც ჰასუხს ვაძლევდით. ბოლოს გავიგეთ, რომ ჩაჩანში შეესწავლათ მათ ეს სიტყვა, რომლითაც ჩაეგონებინათ, რომ ჩვენ ვიყავით „ქრისტიანები“. „ქერისტანაშ დუ“ – ქრისტიანები არიანო. მას შემდეგ შეგვაჩვიეს ეს სახელი „ქირისტი“ – „ქისტი“ და დღესაც ამას გვეძახიანო.

ღორის ლორი გვეკიდა 8-9 ნაჯერი. მამაჩემი ეხვეწათ, ამ ლორის შეჭმა მაინც დაგვაცადეთო, მაგრამ მოლები სულ ზედ აფურთხებდნენ. რჯული გამოგვიცვალეს, მაგრამ ჩვენი არ დავიშალეთ, ის ლორი სულ ჩუმად, შალვით გამოვათავეთო.“

თვით ქისტი ხალხი ჰირველად როგორ გავრცელდა კავკასიონის მთებში, აქის შესახებ არის ერთი საუცხოო, მოკლე თქმულება გავრცელებული ხალხში: „ეოფილა მეკობრეთა ერთი ბელადი *თერკალი*, რომელიც ძალიან აწუხებდა იქაურ მცხოვრებლებს.

შეწუხებულ ხალხს ერთხელ გადაუწყვეტია, როგორმე მოეშორებინა მტერი.

თერკალს სცოდნია ერთი თვით ძილი. ხალხმა მოახულა *თერკალი* მძინარი, მოკვლა ვერ გაუბედა მოსახლეობის შიშით, მძინარე ჩააწვინეს საკაცეში, წამოიღეს დარუბანდისაკენ და იქ, კავკასიონის ერთ შევარდნილ ხეობაში დააწვინეს. თან დაუტოვეს ცოტა საგზალი და თავისი იარაღი. გაანებეს იქ თავი.

თერკალს თავის დროზე გამოეღვიძა, ვერ გაარკვია, სად იყო. ჯამა ჰური, ავიდა მაღლა მთაზე, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაიგო თავისი ბედისა.

თერგალმა ერთ მოხერხებულ ადგილს დაიდო ბინა, ნადირობითა ცხოვრობდა, ცოლიც მალე გაიჩინა. შეეძინა ორი ვაჟიშვილი. უფროსი ვაჟიშვილი რომ დაებადა, მას ხელში ხის ჰატარა ტოტი მისცა და სახელი ამ ტოტისა უწოდა. სის ტოტი ქისტურად არის „ღა.“ აქედან „ღა-ღა“ — „ღალღა“. მეორე ვაჟი რომ დაებადა, უველის ნაჯერი დააკავებინა. მთლად დათვსა ჰგავდა, სახელად ზოგმა უველის ნაჯერი უწოდა, ზოგმა დათვის. ქისტურად უველი არის „ნეჩს“, აქედან — „ნოხჩ“. დათვი ქისტურად — „ჩა“, აქედან — „ჩაჩანი“. ამ ორი ძმისაგან წარმოიშვა კავკასიის მთის ხალხი: ჩაჩანი-ნოხჩი, ღალღა, ინგუში. ქართულად — ღლიღვი, ღლიღვ-ლეკები, ქერისტი-ქისტი და სხვა.

თერგალი სიბერის დროს თერგის წყალში დაიხრჩო და წყალს სახელი უწოდეს „თერგი“.

გამრავლდა ხალხი აქეთ-იქით, გაიწ-გამოიწია, ზოგი დაბლა ველად ჩამოვიდა, ზოგან ადგილმა მიიღო ხალხის სახელი, ზოგმა ხალხმა კი ადგილის სახელი. დაბლა ველად ჩაჩანი, ნოხჩი, ინგუშ, ღალღას მეთაურობით გაკეთდა სოფელი ინგუშეთი, სოფელი ზაუგი, ნაზრანი. ჰირაქეთ დუისი, ჯოელოლოც ხომ ასეა დაარსებული ჰანკისის ხეობაზე — დუისა და ჯოელას მეთაურობით.

ამ ხალხურ გადმოცემას ეთანხმება *ლ. შტერნბერგის* აზრი ანუ განმარტება ჩეჩნების შესახებ, რომელიც მათ დამფუძნებლად არაბებს ასახელებს.

ჩრდილოეთ აფრიკისა და აბისინიის ერთი მოდგმის ხალხი — გალლა, გალლარი, გალაშევცი, — იხსენიება უველაფერში, მსგავსად ქისტებისა. მათი ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები, მოსისხლეობა სრულებით ჰგავს ქისტებისას. ისინი სარწმუნოებით არიან წარმართნი, ხოლო მათი ნაწილი აბისინიის მახლობლად მისდევენ მონოფიზიტობას. აქვთ ლექსიკონი და გრამატიკა „ტუშეკომ“. ამათში ჩანს საბე-

რძნეთის მითიური ქანდაკებები ღმერთებისა. ამასვე ვხედავთ ქისტებ-ჩაჩნებშიაც — „მაისტალას ხატი", ომის ღმერთი და სხვ.

სიტყვა „გალლა" ნიშნავს საძმობლოს მაძიებელ მატანტალას. ამნაირ ხალხს — „ხალხა" ასასულებს საშუალო საუკუნეების ფრანგი მოგზაური *ე. რეკლიე* ციმბირში, ყალმუხებთან, ბურიატებთან და სხვა. ციმბირიდან ადვილად მოხვდებოდნენ კავკასიის მთებსაც.

ამ ხალხის ერთობა ისტორიულად. ასეა თუ ისე, ცხადია, კავკასიონის მთის ერთი მხარის ანუ ზოლის ხალხი — ჩაჩანი-ინგუში-ღლიღვი-მითხო, მაისტი, ხილდიხარო, თუშები და სხვ. ეკუთვნის ერთ მოდგმას — თოხუმს.

ფრანგი მოგზაური და ისტორიკოსი *ე. რეკლიე* ამბობდა: მაღლა, მთაში შეხიზნულ-შემწყვდეული ხალხი მტკიცედ ინახავს თავის ტრადიციასო და მართალიც არის.

რახანია, რაც ეს ხალხი ამ კავკასიის მიდამოებში არსებობს. დაბლა ველად — ჩეჩნები, ინგუშები, ჰირიქით — ჩვენი ქისტები. მაღლა, მთის ღელე-ქარაფებზე დამრჩალი მაისტელები, წულის იქითელები (ხილდიხარო) და სხვ.

დროის, ადგილისა და თვით ჰავის ზეგავლენით, აქამდე ცოტად თუ ბევრად, ასე თუ ისე უნდა შეცვლილიყვნენ ჩამოთვლილი ხალხები, მაგრამ ისინი, თავიანთი ცხოვრებით, აგებულებით, ხასიათით, ზნე-ჩვეულებით, რაც უფრო უმთავრესია, ენით ძალიან მცირედ განირჩევიან ერთმანეთისაგან.

დაბლა, ბარად ჩასული ქისტი ხალხი — ჩაჩანი და ინგუში, ქრისტიანებად ცხადდებიან XIII საუკუნიდან, თუ კიდევაც უფრო ადრე, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში, როცა აღმოსავლეთიდან მოაწვა

სხვადასხვა ჯურა მაჰმადიანი ხალხი, იძლივა და მაჰმადიანობაზე გადავიდა.

სწორედ იმ დროს ჰირველად ხსენდება ჩაჩნების სახელი ისტორიულ საბუთებში, სახელდობრ, კალმიკების ხანის მიერ ასტრახანის გუბერნატორ *აპრაქსინთან* 1708 წელს დადებულ ხელშეკრულებაში.

მაღლა მთებში დარჩენილი ამათი ნათესავი ხალხი — ქისტები, რომლებმაც ვერ დათმეს მამა-ჰაჰის კარ-კერა, ინარჩუნებდა ძველ რჯულს — ქრისტიანობას XIX საუკუნის ჰირველ ნახევრამდე.

ეს მტკიცდება ქრონოლოგიურადაც. ჯერ კიდევ 1810 წელს, მთის ქისტები, გარემოს მტრისაგან შეწუხებული, რუსების მფარველობაში შედიან, მაშინ დადებულ ჰირობის ხელწერილში, კერძოდ, მეორე მუხლში, გარშემორტყმულ მოსისხლე მტრებს მაჰმადიანებად აცხადებენ.

ხ. მაკალათია თავის სამაგალითო შრომაში —"თუშეთში" აღნიშნავს, რომ ჰირიქით ქისტეთის სოფელ აირახში აშენებული ეკლესია დათარიღებულია 830 წლით. ეს იმის ნიშანია, რომ იქ იმ დროს ვრცელდებოდა ქრისტიანობა ქართლ-კახეთის მხრიდან.

ჩეჩნებში გამარჯვებული და წათამამებული მოლები, რა თქმა უნდა, დაინტერესდებოდნენ მთებში მცხოვრებთა ვინაობით. უფრო სარწმუნოების მხრივ და ყველასაგან ჰასუხს მიიღებდნენ, ქრისტიანები არიანო — „ქერისტანაშ დუ ოზუშ"! აქედან შერჩა ამ ხალხს სახელი „ქისტი", მოლების წყალობით, როგორც უთქვამს თვით *ახიმირ ჰაჯის.*

მოლებმა მთის ქისტებშიც თავისი გაიყვანეს და ათასნაირი თილისმითა და ეშმაკობით ყველანი გაამაჰმადიანეს XIX საუკუნის I ნახევარში. ასე, რომ ჩვენი ჰანკისის დუისოფლის ჰირველი დამფუძნებელი ქისტები ჰანკისში დასახლებისას უკვე გაფანატიკოსებული მაჰმადიანები იყვნენ. ამათ სხვა სახელებსაც ეძახდნენ: „ხიშტებს", „კისტი-

ნცებს“, „ღლიღვებს“, „ინგუშებს,“ ხოლო „ქისტებს“ ეძახიან XVIII საუკუნის I ნახევრიდან. ახლა ამ ჩვენს ქისტებს უნდა დავარქვათ დუები ან დუისელები.

სოფელ დუისში, თავდაპირველად ხუთი საგვარეულოსაგან: დუიშვილების, მარგოშვილების, მაჩალიკაშვილების, ქავთარაშვილებისა და ბაღაკაშვილების 32 კომლისაგან შემდგარი, დღეს კი უკვე 200 კომლამდე მცხოვრებია. კომლზე ოთხი სულის ანგარიშით 800 სულია ორივე სქესისა.

წინათ უფრო არ იცოდნენ გაურა-გამოურა, ოჯახის დაქუცმაცება, უეკარდათ ერთად ეოფნა, ცხოვრება, მაგრამ ამ ბოლო დროს, კახეთის ხალხივით, ამათაც შემოიღეს სულ უბრალოზე თავიანთი სამეოფის გაეოფა. ძმა-ძმას თუ გაეურებოდა, თორემ შვილები, თუნდა დაქორწინებულები, დედ-მამის ხათრით და თავაზით ცოლებს გაამწარებდნენ და მშობლებს კი არ გაეურებოდნენ.

ერთხელ, ერთ ჯეილს ქისტს ვეკითხები: — შენი მამა-ბიძა გაიყარნენ? მან მიპასუხა: „გავიყარენით და ხონებიღა დაგვრჩა გასაეოფიო,“ ე. ი. ორიოდე ხის გობი.

დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი ცხრასულიანი ოჯახის წევრათა შემდეგი სახელები: მამრობითი — დადა, ღუდა, ღუშაქი და მელიქა; მდედრობითი — სიუ, ქოქუ, ქეცი, ვინი, ბაიხაი. ქართული ანუ ეკლესიური სახელები იშვიათად გვხვდება ხალხში.

ტანადობა. ადგილმდებარეობამ ალბათ ზეგავლენა იქონია ხალხის ტანადობაზე, მაგრამ ჯერჯერობით კი ძალიან ვერა. ამიტომ ჩვენი ჰანკისელი ქისტი კაცის აგებულება შუათანაა. უფრო ხშირად მას მაღალი, საროს ტანადობა აქვს, სხარტია და მოქნილი, ძალიან იშვიათად — მსუქანი, ლეშიანი, გაბებღვილი.

ქისტს ბაჩა თავი აქვს, ჰატარა, ოდნავ მოგრძო, მაღალი და მუდამ გადაჰარსული; წვერ-ულვაში – მოშავო, ცოტა თხელი, მაღალი და ბრტყელი შუბლი; კეფა – მცირედ გაწეული; ცისფერი თვალები სუფთა წარბების ქვეშიდან ანათებენ; ცხვირი – სწორი, ხან მოკაუჭებულიც; ზომიერი ჰირისახე, მცირედ წოწოლა; ვაშლა ლოყები, სუფთა ტუჩები, ნიკაპი – დაკვერცხილი, მაღალი – მსხვილი კისერი, მხარბეჭი – ბრტყელი, წელი – წვრილი, ვიწრო გავა, ბარძაყები – მსხვილი, ჯეირანივით წვრილი კანჭები, კანჯარივით მსხვილი და გრძელი მკლავები, ფეხის ტერფი და ხელის მტევანი მოგრძო და სუფთა; შეხედულება – მხიარული, ცოცხალი, გამომეტყველი, აზრიანი.

ზემოთ აღწერილი ადამიანი წარმოადგენს ჩაჩნელი კაცის სრულიად შეთანხმებულ ტიპს.

ხასიათი. ქისტი კაცი, როგორც ამაყი მთის შვილი, ამაყია, ჰირდაჰირი, თავისუფლებისმოყვარე. თავის სიამაყეს იგი ბოროტად არა ხმარობს – თავმოყვარეობას სხვას არ შეურყევს და არც თავისას დაათრგუნინებს.

მისი სიამაყე იმდენად თავდაჭერილია, რომ სულ უბრალო სამსახურს იკისრებს და თავს დასდებს ბოლომდე. სამსახურსა და უფროსს არ უღალატებს თავის წონა ოქროზე. არ შეუძლია საქმეს, დავალებას უმუხთლოს, ხოლო, თუ სიმართლემ არ გაუმართლა და დაისაჯა, მაშინ ყველაფერს იკისრებს.

არ არის ფარისეველი, ჰირმოთნე, მტერს მტრულად შეხვდება, მოყვარეს – ალერსიანად.

სიღარიბე რომ თავს ართმევდეს, მოსულ სტუმარს, ის მაინც ღიმილით შეეგებება და დიდი ჰატივისცემით დაფაცურდება. თუ საჭ-

მელი რამე სახლში არ აქვს, სოფლიდან იოლად გავა, მაგრამ არ დაიწუწუნებს, არ მოიჩივლებს სიღარიბეს.

რელიგიური ფანტაზმის ზეგავლენა ქისტებში საერთო არ არის. ქისტი ჯერ სისხლითა სცნობს, მერე შთამომავლობით, შემდეგ რჯულით. ამნაირი სიყვარულის წყურვილი მუდამ აქვს.

საწყლის, დავრდომილის, უძლურის დიდი გულშემატკივარია. მდიდრისა და ძლიერის მოშურნე არ არის.

თუ ვინმემ აწყენინა სულ უბრალოდ, თავის სიცოცხლეში არ დაივიწყებს, ყველას შესჩივლებს, ნამეტანად თავისიანებს.

ქისტები და მისი შთამომავლობა მტკიცედ ასრულებენ კანონს — "თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ" — მანამ ხსენდებიან ქვეყნად.

თუ ვინმემ მოჰპარა, ან უსამართლოდ წაართვა, მანამ მაგიერს არ გადაუხდის, ჯავრი გახეთქავს.

ზედ მოსულ მტერს ზურგს არ შეაქცევს, ვაჟკაცურად შეეგებება, რომ შეიტყუოს, მაშინვე ხანჯალზე ხელს იტაცებს.

გაჯავრებული დინჯად რომ გელაპარაკებოდეს, მაშინაც მალმალე ხელი ხანჯლისაკენ მიაქვს.

თავისი ხალხის ჯირსა და ვაებაში დიდი თანამგრძნობია, მაგრამ თუ სისხლი დაემართა, იმას არავის შეარჩენს ცოცხალი თავით.

სარწმუნოებრივი ფანატიზმის მიზეზით ძნელად ითვისებს საერთო ცივილიზაციას. ხალხის საერთო კულტურას ძალიან ჩამორჩენილია ყოველმხრივ.

მეფის მთავრობა ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდა ჰანკისის სეობის მცხოვრებთ. 1913 წელს ერთი სამონასტრო ჰირველდაწყებითი სკოლა ძლივს აღირსეს სოფელ კოშკებს.

ხალხი აქ არც ისე შეუგნებელია და კერპი, იციან გაგონება, ეურის გდება. მამაცია და გაბედული, თუ ისევ მოლების ზეგავლენაში არ მოექცნენ, როგორც წინათ.

ხასიათიც ამაუი აქვთ, გულფიცხი, შეუპოვარი, მრისხანე, მაგრამ გულკეთილი, თავმოყვარე, სტუმრისათვის თავდადებული, ხათრიანი, მოკრძალებული, დაუზარელი, ზოგჯერ ცნობისმოყვარე, ზედგამოჭრილი ჩაჩნელია. როგორც ჩაჩნელი კაცი, ის ცოტა მკვეხარაა, არა სწყინს ჰირში ქება, დაჯერებულია, თუ დაუფიცებ, ცოტა რამეზე მადლობელიც გახდება და მომდურავიც.[1]

ტანის სიმსუბუქე, ლაღი გული და სიმცქვიტე ახალისებს ქისტს: ცხენის ჯირითზე-მხედრობაზე, კლდეში ნადირობაზე, ჯამბაზობაზე, მოსისხლეობა აქეზებს იარაღზე და შურისძიებაზე, ცნობისმოყვარეობა სწავლაზე და სხვა.

ქისტი კაცი უფრო ქერაა, საშუალო თეთრისა და შავისა, თვალჭრელი, ცოტა საშუალო შავსა და ჭრელისა. სილამაზით ვაეკაცი და მოხუცი მოსაწონია და კულტურულად შეიძლება დადგეს დაბალსა და საშუალო საფეხურს შორის.

ქისტ კაცს იერითა და ჩაცმულობით ოსი წააგავს.

დედაკაცი მამაკაცისაგან ხასიათით ბევრად არ განირჩევა, ხოლო მისი განსაკუთრებული ხასიათია ოჯახის მუეაითობა და მორჩილება თავისი ქმრისა. გვხვდება როგორც გამონაკლისი, სიანჩხლით

---

[1] კახეთის ხალხთან დაახლოებამ ბევრი ზეგავლენა იქონია ქისტებზე, მათ ცხოვრებასა, ხასიათსა და ტანადობაზე: კაცები მიეჩვიენენ მშვიდობიან ეოფნა-ეარჯილობას, შრომას, მათი სიამაეე, გულფიცხლობა და შეუპოვრობა შეიცვალა სიმშვიდეზე, სიწყნარეზე და დათმობაზე. წინანდელი ველური და მრისხანე შეხედულება დაუმშვიდდათ. უცხო მგზავრი აღარ კანიცდის მათში საშიშროებას, არ მისდევენ ხშირად მრავალცოლიანობას, აღარ უფრთხიან კახეთთან ნათესაობას.

ცნობილი, მაგრამ ისიც, მამაკაცის ხათრითა და შიშით, უკიდურესობას არ აღწევს.

ანდაზა „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელა ხარი ვერ დაიჭერსო“ – ქისტის დედაკაცზე არ ითქმის, ქისტი ქალების სიმშვიდე და ჰატიოსნება, ნამუსი ღირსშესანიშნავია, ხოლო ჰატარების მორჩილება სამაგალითოა.

ტანადობა დედაკაცისა. აგებულება მანდილოსნისაც ისეთივეა როგორც კაცისა: ტანსარო, წელ-წერწეტი, კუშტი. ამაყი მოსიარულე, დინჯი ხასიათისა, მორცხვი, მოკრძალებული, მორჩილი, გულკეთილი, სტუმრის მოუვარე, ოჯახისათვის თავდადებული.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი საოჯახო საქმე საკაცო-სადედაკაცო, შინ და გარეთ, დედაკაცს აწევს კისერზე, მაინც არ ეტუობა ჯაფისა და შრომის ბეჭედი ჰირზე და კისერზე. გარეკანიც კი არა აქვს დაღმანჭული, რაც ადამიანს შუახნის მოხუცის იერს აძლევს. თავისი შრომითა და გარჯილობით კიდეც ამაყობს.

ქისტი ქალის სილამაზე, მგონია, ეველას გაუგონია. ბევრ ჰოეტს მუზა გაღვიძებია მისი სილამაზით. უცხო მნახველი განცვიფრებაში მოუყვანია.

სილამაზესთან შეხამებულია მისი ეროვნული ტანსაცმელიც, რომელიც სიკეკლუცის დამთავრებაა. ჰირდაუბანელს, ჩაუცმელს მაინც შვენის, ჰირდაბანილი ხომ წვიმიან ღამეს გამოსულ მთვარეს დაედრება. ჰირი-სახე ცისარტყელასავით შვიდ ფერად უნათის, როცა ირიბად შეკრული ფართო შავი მანდილის ბოლოები უკან ფრთებივით გადაეყრება. მანდილი წინიდან მცირედ უკან რომ გადაიწევა, მაღალი, თეთრი სპეტაკი შუბლი მთელ მის სახეს გვირგვინად ადგას.

სუფთად დავარცხნილ წაბლისფერ თმას შუა მთვარის სხივივით ზოლი გასდევს. მერცხლის ფრთასავით გადაჯიმული შავი წარბების ქვეშ მთის მაუვალივით შავი თვალები სამაცდუროდ დაიბღვირება. ჯამში რომ აურიო რძე და წითელი ღვინო, მისი ლოუები ჩაისახება.

მისი სწორი ცხვირი ბევრ რუს გოგოს შურს გაუღვიძებს. ვარდისფრად შეხამებული მრგვალი ეურები, ზედ ეროვნული საეურეები შავი მანდილის ქვეშიდან გამოიეურება.

ნაზ ტუჩებს შიგნით ჩამწკრივებულან თეთრი ბროლივით კბილები. ხანდახან, ლაპარაკის დროს, ნაზად გაიღიმებს და როგორც ღრუბლებში ელვის ზოლი, ისეთი ნათელი გამოკრთება. დაკვერცხლილი, მრგვალი ნიკაპი მის ფაფუკ ღაბაბს ოდნავ ფარავს, გედივით თეთრ მაღალ ეელს უმშვენებს ცალკე ნაჯრად წაქარგული ნაკერი თეთრი საეელო, რომელიც ქოჩას (გრძელი ფეხებამდე ჰერანგის) შიგნით აქვს ჩატანებული. ქოჩა წინიდან გულზე ხალვათად ადგას და მის შიგნით აბურცული უმანკო მკერდი თამამად მოჩანს.

მინახავს დილით, ნამიანს მინდვრად ქისტის ქალის ფეხშიშველი, ცივი ნამით გაბანილი ფეხის ტერფები და აქეთ-იქიდან თხილებივით ფეხის კოჭები, ტუსტის ეკავილივით გაფერმკრთალებული, გარეული მტრედის ფეხს დამსგავსებია.

მას გარედან ეცვა გრძელი, შავი ლასტივის ჩახური, გულღია, გრძელი ახალოხი, დაბეზმენტილი, ზედ ქალური ვერცხლის ქამარი გულსამკაულით. თორმეტ ნაწნავად დაწნული წაბლისფერი თმა, შუადან ეველა ერთად შეწნულ-შეწაპნილი ბოლოში თავდებოდა სათვალღვინჯილით.

ამას თქვენ დაუმატეთ მისი ტანის მოეანილობა: ზეამართული, წელი-წერწეტი, ამაეი ქცევითა და სიარულით გონების თვალით წინ დაგიდგებათ მთელი სურათი ქისტი ქალისა.

რძალსაც ასეთივე ჩაცმულობა ახასიათებს. მოხუცებულს კი მარტო ქოჩა და ახალოხი, ქვედა საცვალი, ზედ შუა საჯდომზე მოჭირებული, მთლად უბრალო შავი მატერიისა. ქალებს კი ტოტის ბოლოზე ფერადი მერდინი ან ფარჩა აქვს მოკერებული.

კაცების საცმელია: მოკლე ჰერანგი, შარვალი უშემდეგოდ, მოგრძო ახალოხი, ჩოხა, ტყავის ქამარი, განიერი ჰაჯიჯები შალისა, ქალამანი-წინდა, ზოგჯერ ჩუსტებიც და თავზე ნაბდის უბრალო ანაფარი ქუდი.

ზნეობრივი მხარე. ზნეობრივი მხარე ქისტი კაცისა სამაგალითოდ მტკიცეა. სოფელში მრუში დედაკაცი შეუწუნარებელია. ამ მიმართულებით სიფრთხილე და თავდაჭერილობა ორივე სქესის ახალგაზრდებს მართებთ ხალხის შერისხვის შიშით. სოფელში ძლიერ სძრახავენ ამისთანა ადამიანებს.

ხალხში ზღაპრად არის დარჩენილი ერთი უზნეო მაგალითი, რომელიც მომხდარა წინათ დუისში. ერთი კაცი შემცდარა თავის ცოლის დაზე, ქალი დაორსულდა. კაცმა რომ დაატეო საქმეს, გადავიდა ჰირიქით ქისტებში, ქალიც თან გაიყოლა.

სოფელმა გაიგო და ორი სოფლის შუა ჯვარედინს გზაზე საქოლავი ააშენა. დაწეევლილ-დარისსული იყო, ვინც იქ გავლა-გამოვლისას ქვას არ გადააგდებდა და არ იტყოდა: „წეალ ბაქაა ეინ იქინ“ — „შეჩვენებული იყოს ჩეფალა და ბაეატი“ (მათი სახელებია).

თავისი გვარის ქალს ვაჟი ცოლად ვერ მოიყვანს, ვერც ცუდს გაიფიქრებს. ამისთანა საქმეზე ჭორაობა შეუძლებელია. გაჭორილი დიდ საძიებელში ჩავარდება. თუ მეჭორე იპოვა, ხომ კარგი, თუ არადა,

ჩაისვამს კალთაში ძაღლის ლეკვს, ჩამოუვლის სოფელს ლანძღვა-წყევლით და იმ ლეკვით უსსენებს მკვდარსა და ცოცხლებს.

დამნაშავეს თუ კუდი მოეწვება და გამოეპასუხება, სჩანს, იმისი მოჯორილია, ან მონაწილეა. მაშინ სოფელი მას ფიცს აკისრებს. ფიცით თავი უნდა გაიწმინდოს, თუ ვერ დაუფიცა, უნდა დაუმტკიცოს, თუ ვერ დაუმტკიცა, უნდა პასუხი აგოს.

ფიცი — ისეთი მწვავე ჩვეულება და კანონია დუისელებისა, რომ ამის ძალით სოფელში ბევრი უზნეობა და უსეირობა შეჩერებულა. დაფიცვის შიშით ერთმანეთს ვერც გაჯორავენ, ვერც უჯიბრებენ, ვერც უღალატებენ, ვერც გაქურდავენ, ბოზობას ვერ გაბედავენ. ტეუის თუ მართალია, მაინც ფიცისა ეშინია. თუ ძალდატანებით იფიცება, გულში სხვა რამეს გაივლებს და ამით დამშვიდდება.

მაგალითად, საქართველოში, პირველი რევოლუციის დროს, 1905 წელს, ხეობის მცხოვრებნი: ქისტი, თუში, ოსი, ფშაველი ერთმანეთს უფიცებდნენ ღალატზე.

იქ ერთმა ქისტმა ფიცში დაატანა — „ბართ ცა ლოოჰრუშ“ — „ოსებს არ ვუფიცავო.“ ალბათ, იმათი ჯავრი ჰქონდა.

ეს ფიცი დუისელებს რჯულსაც კარგად ანახვინებს. რჯულის საწინააღმდეგოდ მოქმედ ადამიანს მოლა დაიბარებს და ფიცს ჩამოართმევს, თუ დაუფიცა, კიდეც შეასრულებს, თუ არ დაუფიცა, ან დაუფიცა და არ შეასრულა, სოფლის სასაცილო, აბუჩი და სალაპარაკო ხდება. ამისთანა კაცზე იციან „უადახან“, ცოდვა მოერიაო.

ქალ-ვაჟმა იციან ფიც-ვერცხლის ჯამა ე.ი. დაქმობილება, თუმცა იშვიათად, მხოლოდ ფშაველებმა და ხევსურებმა ერთად ლოგინში წოლა-წაწლობა.

ქისტი დედაკაცი-ქალი კაცთან და კაცი ქალთან ვერ მოისვენებს, ვინც უნდა იყოს, შვიდ წელს ზევით, ყველას თავისი ლოგინი აქვს.

მთელი დღე რომ ერთად იყვნენ შეკრებილნი, უწმაწურ ლანძღვა-გინებას ვერ გაიგებ. როგორც ქართველებში იციან, არც აქვთ ამის ტერმინები.

ერთმა მეორეს გაჯავრებულმა რომ აწყენინოს, ეტყვის — „თუ დედაკაცი ხარ, გაბედე“, „თუ ვაჟკაცი ხარ, მოდიო“, „შე ღორის მჯამელო ღვთის მტეროო“ და სხვა. ცილს ვერ დასწამებს უბრალოდ.

ცხოვრება და ეოფა-ქცევა. ცხოვრების მეორე ხანაში, როცა აქაურებმა კახეთის ხალხთან დაიწყეს მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა, გაიგეს ჰურის სიტკბო, მუშაობის სიკეთე, ხვნა-თესვის გემო, ხალხი შესამჩნევად გამოიცვალა.

მანამდე მთელი ოჯახი — დიდი თუ ჰატარა — დედაკაცის ჯირად იყო გამხდარი სმა-ჭამით, ჩაცმა-დახურვით. კაცი მარტო ოჯახის ჭამია იყო. როცა კახეთის ხალხი დილით მუშაობით იყო მოღლილი, ის მაშინ ადგებოდა (ქისტს ძილი ძალიან უყვარს), ჰირს დაიბანდა, ილოცებდა, საუზმე მზად იყო, მიირთმევდა, წამოისხამდა ტყავს და გავიდოდა გარეთ ჰაჰიროსის წევით ხალხში, სალაებოზე.

ზამთარში ქისტი ზის კერის ჰირას და გამოიყურება კარში ტუსაღივით. რაზე უნდა ჰქონოდათ მათ ლაჰარაკი სალაებოზე? განა საშუაო გეგმებზე, ან მოსავლის აღებაზე?

მოხუცები მოჰყვებოდნენ ჯეილობის თავგადასავალს, ზოგს აქებდნენ, სხვას დასცინოდნენ და იცინოდნენ „ხე-ხე-ხე-ხო, ვა-ხალ დიქ ეუენახ ხილ ეალგ ჰაი მარჯიაე“ — „შენმა მზემ, კარგი ვაჟკაცი ეოფილხარ, კარგი, ეოჩაღი“ — ასე ეაეანებდნენ გუბის ბაეაეებივით და თან სიმინდის ჩალაში გახვეულ თამბაქოს ეწეოდნენ, მოშივდებოდათ, შინ წავიდოდნენ და სალაებო გრილო რჩებოდა ცარიელი, ჰაჰიროზის ნარჩენი ჩალა ისე იყო გაშლილი, თითქოს საქონლისათვის დაეური-

ათო. იმ დროის ჯეილები მათ ეურს უგდებდნენ და მათ ქცევა-ლაპარაკს ითვისებდნენ.

ეხლაც ბევრს ახსოვს აქაური მოძღვარის შენიშვნა, რომელმაც ნახა სალაებოზე მსხდარი ქისტები და უთხრა: „ხო, შვილო, ისხედით და წიეთ ჰაჰიროსები, კახეთში კალოები თქვენთვის ილეწებაო". ასე უბრალოდ ნათქვამი ბევრს გულში ჩარჩა.

ქისტი ადამიანი არ არის მოშურნე, გულისხმაში ადვილად ვარდება, წამბაძველი და მოცადეა. მოძღვარის რჩევა მოეწონა ერთს, საქმეს მოჰეო ხელი, მეორემ მას მიბაძა და ასე ყველამ მუშაობას მიჰეო ხელი.

მუშაობამ გამოიწვია ინტერესი სამუშაო იარაღების შეძენისა ვაჭრობით, ვაჭრობამ, შექმნა კავშირი კახეთის მუშა ხალხთან, მათგან შეითვისეს შრომა, შეიძინეს ეს გუთან-ფარცხი, მიუვნენ ხვნა-თესვას. მერე თვითონაც შეეცადნენ ყველა სამუშაო იარაღის კეთებას. ასე თანდათანობით გადაეჩვივნენ ცდუნებას, მუქთახორობას, ნაცარქექიობას.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან საფუძვლიანად გამოიცვალა არა მარტო დუისელი ქისტების ეოფა-ცხოვრება, არამედ მთელი ხეობის ქისტი ხალხისა.

ამან შეუმსუბუქა ოჯახის მძიმე უღელი დედაკაცს. ის გათავისუფლდა თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც მძიმე ჯაფისაგან, რომელიც მას კისერზე ბალღობიდანვე აწვა.

ერთი რამ იეო მარტო მისი ბედნიერება, რაკი ჰირველ ჰატარძლობას გადაჰურიდა, სხვა მაჰმადიანური რჯულისაგან განსხვავებით, ჩადრით არ იეო დაბურული. თავისუფლად იეო, მხოლოდ არ დაელაპარაკებოდა თამამად ოჯახის უფროსს, დედამთილ-მამამთილს, მაზლებს, ახლო ნათესავებს, ვიდრემდის მათგან კითხვას არ მიიღებდა. ეს

არ იყო მისთვის საშიმო საქმე, ეს იყო ჩვეულება. თანდათან ეს ჩვეულებაც დავიწყებას ეძლევა.

დროის ცვალებადობამ შექმნა მნიშვნელოვანი სხვაობა ქისტების ცხოვრებაში. მამაკაცი ჩაერია დედაკაცის საქმეში.

ის სამუშაო იარაღი, რომელსაც დედაკაცი დაათრევდა, კაცმა აიღო ხელში, სალაებო გრილოები დაცარიელდა. კაცი და მისი მოხრილი ნამგალი მინდორში ახმაურდა.

დედაკაცი დაუბრუნდა მარტო შინაურ საქმეს. მაგრამ მოცლის დროს, გაჯირვებაში მაინც ისევ გვერდში ედგა თავის ქმარს: სათოხში, სამკალში, მოსავლის აკრეფაში.

კაცმაც დასძლია სირცხვილი, აღარ ეთაკილება შრომა, არც ქალის დახმარება, მაგრამ მაინც არიან ამპარტავნები.

ერთხელ, მივდივარ ტეისაკენ, ვხედავ, დედაკაცს ცხვირი მიწაზე დაედო და უანას მკის. მისი ქმარი წამოწოლილიყო გრილოში და ჰაპიროსს წევდა. იქვე აკვანი იდგა მძინარე ბავშვით.[1]

ალბათ, ჩვენს ლაპარაკზე, ბავშვს გამოეღვიძა, დაიწყო ტირილი. ვუთხარი, დაარწიე-მეთქი. მან დედაკაცს დაუძახა ბრძანების კილოთი: „ხუან ცა საძაო“ — „შენ არ გეეურება?!“ ოფლში გაწურული დედაკაცი მაშინვე მოტრიალდა ბავშვისაკენ.

ასეთი ადამიანები გაურბიან საოჯახო საქმეს, ერიდებიან, შიშობენ დაცინვისაგან. ისინი თავის ბავშვს ხელში არ აიყვანენ, მტირალს არ დააჩუმებენ, უფრო თუ ხედავენ უცხო ვინმეს, ან სტუმარს. ახლა ჰირიქითელმა ქისტებმა იციან ამათი დაცინვა მუშაობაში და

---

[1] კაცმა რომ დამინახა, წამოდგა, ხალამი მომცა — რას შვრები? — დაიღალე ეანის მკით? — ვკითხე მე —“სენ ბაალხ ბააც“ მიპასუხა მან „ჩემი საქმე არ არის“.

სხვაფრივაც: „შუ გურჯი, ბუ“ – „თქვენ გურჯები (ქართველები) გახდითო. “

ცნობილია, რომ ცხოვრება, გარემო, დიდი აღმზრდელია ადამიანისა.

ადამიანი, ვინც უნდა იყოს ის, ბევრში ჩამორჩება საერთო კულტურას იმ ეოფა-ცხოვრებით, სადაც მარტო მტაცებელი ორბი ბუდობს და გადმოჰქუხს ჩანჩქერები, სადაც მარტო ჯამა შეიძლება და არა ხვნა-თესვა, ან სხვა მუშაობა, სიურმე-სიბერემდის შეჰყურებს ტიტველ კლდეებს, იქ მოხეტიალე ნადირს, ნადირით ცხოვრობს ის და მისი შთამომავლობა...

ასეთ კაცს კეთილს ვერ მოსთხოვ, ბოროტებაშიც ვერ გაამტყუნებ. სოფელ-ქვეყანას მოწყვეტილებმა თვითონ შექმნეს ცხოვრების კანონები, წესები, ადათები, თავიანთი ცხოვრების შესაფერი.

8-10 წლის ბავშვები, მთიდან ბარად ჩამოსული, ინდაურსა და კამეჩზე კი არა, სხვა უცხო ხალხის დანახვაზეც ფრთხებოდნენ.

ბევრი შრომისა და ჯაფის მიუხედავად, გარჯა ძალიან ნაკლებად უფასდებოდა აქაურ ქალს და თითქმის ეხლაც, ქმრის უდიერი ქცევით. უფრო შეუღლების მეორე ხანაში. თავის დროზე არაფერი გაკეთდა, საქმე გაფუჭდა, გატუდა, დაიკარგა.

ველაფერზე დედაკაცი იყო ჰასუხისმგებელი. ჰასუხისგება ხშირად მუშტითა და უდროო დროს გარეთ გამოძახებითაც თავდებოდა, ლანძღვა-გინება ხომ ჩვეულებრივი მოვლენა არის ხშირად ახლაც.

დედაკაცისადმი, ოჯახის მანქანისადმი ასეთი მოჰყრობა კაცისაგან ეხლაც ჰრაქტიკაშია, თუმცა დედაკაცმა რომ მჯადი არ გამოაცხოს, მშიერი მოკვდება. სახლი რომ არ დაგაოს, ნაგვით აივსება, ტილმატლი შეშჯამს. უკანასკნელად წყალს ვერ მოიტანს, ხახა რომ უშრებოდეს ჰირის გასასველებლად. ჰირის ჰატივი უყვარს, ჰირველი ლუკ-

მა იმისია, სხვები კი შეჰყურებენ, მას თუ არაფერი გადარჩა, სხვებისთვის ცარიელი მჯადი და ცივი წყალი იქნება.

დიასახლისი სახლისათვის, მუშისათვის და სტუმრისათვის მჯადჰურს აცხობს, საჯმელს ამზადებს. სხვა დროს ნამცხვარი ოჯახში არ იშოვება. მათხოვარი რომ მივიდეს, ჰურს ვერ გამოუტანს ფქვილის მეტს ვახშმობისას.

ვახშმის მომზადებაც აუცილებელი მოვალეობაა დედაკაცისა. უნდა მოახერხოს რაიმე და აჯამოს ჯალაბობას, თორემ მთელი კრებული დიდი-ჰატარა საუვედურით აავსებს. თუ დიასახლისი ავად არის, მეზობლებმა ან ნათესავებმა უნდა შეასრულონ მისი მოვალეობა.

მიუხედავად ამისთანა გარემოებისა, ქისტ დედაკაცს არ აკლია ზომიერი გაკვსილობა-სისრულე, ხოლო სიბერის დროს სძლევს და ტეხს უზომო ჯაფა, თავის ნიშანს ადებს, ჩამოხმება და შავად გამვალტეკავებული რჩება, თუ სიცოცხლე გაუგრძელდა, თორემ დღეგრძელობას ვერ დაიკვეხებს. ის ცოცხლობს 60-70 წელი, კაცი კი — 70-80.

საქორწინე ვაჟი მუშაობას ერიდება, რაკი ცხოვრების ამსანაგს ეძებს. იცის, რომ ქალებს მოსწონთ კოხტა ბიჯი, ლამაზად ჩაცმული და ცხენზე ამხედრებული, ამიტომ ტანის მოსართავი თვითონ რომ არა ჰქონდეს, ითხოვს თითქმის ყველაფერს, ჩუსტებსაც კი, კარგად ჩაიცმევს, დაიხურავს, შეჯდება კუდგამონასკულ ცხენზე და გააქროლ-გამოაქროლებს საგულებლისაკენ.

ამისთანა ბიჯს შინ კატა არაფერს შეუჯამს და გარეთ ძაღლი, თვითონ შიმშილით სული სძვრება, თან სანაქებო ქალს ეტრფის და ეთაუვანება.

გვარიშვილობა, ოჯახი, გარჯილობა ამაოა, თუ ქალს ბიჯი არ მოეწონა.

ქალის არჩეული ასეთი საქმრო ოჯახისათვის არაფრის მაქნისია. ეს ქალს არ აწუხებს, მთელი ოჯახის საქმეს ისა კისრულობს. მისი ქმარი ბავშვს ხელში არ აიყვანს, მტირალს არ დააჩუმებს, თუ ქალმა საუვედური უთხრა, კიდეც სცემს და კარშიც გამოაგდებს. ამისთანა ჰატივისცემისათვის არც მაინც და მაინც ცოლი დასძრახავს. თვითონვე იტყვის: „არც ქმარი ვარგა, ცოლს არა სცემოსო". ისეთი ხომ „გურჯივით" იქნებაო. დღესაც აქვთ ქალებს ეს შეხედულება.

ვაჟი, ვიდრე ასაკში შევა და ჰლუტობას დაიწყებდეს, სამაგალითო უმცროსია ოჯახში. საქმეს დაუზარელად აკეთებს, სადედაკაცო საქმეს ხელს არ ახლებს. მას აბარია ძროსა, ცხვარი თუ ჰყავთ. ღორს არ ინახავენ. ადგება დილით, ძროსას მოაწველინებენ, გუდაში ცივ მჯადს ჩაიდებს, მხარიღლივ გადაიკიდებს და ძროხას გარეკავს ტეემინდორში.

სავაჟეთი შვიდი წლიდან გამოსადეგია ოჯახში. ძროხას რიგით უვლიან, სხვაფრივ, ბალღების მეტი წილი თამაშში ატარებს დროს. მათი საქმეა: ჩიტებზე შვილდ-ისარი, ქუდის ჰენტაობა, დავლა, გოთაობა და სხვა.

რაკი მინდვრის ხილი შემოვა, შინაც აღარ მიდიან საღამომდის. ბავშვებს, თუ თამაშობის დროს ჩხუბი მოუვიდათ, შეიძლება მთელი სოფელი ერთმანეთს გადაეკიდოს.

„ქისტის ბალღი ხანჯლიანი იბადებაო" — თქმა იციან. ხშირად ბალღები ხანჯალსაც ატარებენ. ერთმანეთის კინკლაობაში თუ ბავშვს სისხლი წავარდა, დედა მიეშველება, ასტეხავს აურზაურს, მას სხვა გამოეხმაურება, მას სხვა და სოფელის კაცი, დედაკაცი ერთმანეთს შემოეხლება. იქნება სისხლიც ჩამოვარდეს.

ბევრჯერ მომხდარა სოფელში ძაღლებისა და ბალღების გულისათვის დიდი ჩხუბი.

ქალი ჰატრონისათვისაც სხვა არის და ოჯახისთვისაც, ის 3-4 წლისა დედას მხარში ამოუდგება და სათავისო საქმეს აკეთებს — მუშაობს, სახლს ჰგვის, რაც უფრო იზრდება, გარჯილობას უმატებს. შვიდი წლისა მჯადს გამოაცხობს, წყალს მოიტანს, მატყლს დასჩეჩავს, ბაწარს დაართავს, ნაბდის ქუდს შეკერავს და ბოლოს თოხშიაც წავა. ფშაველივით გუთანზე კი შეუძლებელია, ან იშვიათად.

მოზარდი თაობა სახლის უფროსი მამაკაცის შუბლში შემეურეა, ისეა დატუქსული, რომ აკვნის ბავშვიც კი მისი მორჩილია. უმცროსი ვერ გაბედავს უფროსის წინ ნებივრობას, ცუდ ქცევას, კერპობას, გაქინიანებულ ტირილს, უფროსის ერთი შეტევა — „ღარ მაიე“ საკმარისია, რომ მტირალმა ხმა გაკმინდოს.

მოხუცი ჰაჰის გარდა, ბავშვის მოალერსება, მოფერება წესი არ არის.

ჰატარა თავისუფლად იქცევა, როცა მამაკაცს შინ ვერ ხედავს. დედა შინ და კარში დაფუსფუსებს, ჰატარა ხელში მჯადდაჭერილი უკან დასდევს და ეძახის „ბაია, ბაიაო“, დედაო! დედა! დედა რომ მობეზრდება, გაჯავრებული უპასუხებს: „თეირა ჰოჩუ ჰუან ჯირ დიე“ — წეევლაა. ხშირად ეურს არ უგდებს.

აკვნის ბავშვი რომ ატირდება, თუშებს ჰაჰა ჰეავთ, ისინი მისედავენ ან მოსწრებული ქალი, თუ არა და ტირის უსვენებლივ. მამა იქ არის, სამუშაოზე. ატირებულ ბავშვს, ბოლოს დედა მოხედავს, ძუძუს ან რძის ფაფას აჭმევს, ააეენებს და ტეავზე დააგორებს. მისთვის არც გაბანებაა, არც გასუფთავება, ხელში აეეანა, გატარ-გამოტარება.

დაბადებით ბავშვი მუდამ სრულია, ფუნჩულა, ლამაზი — იშვიათად ბუნებრივად მახინჯი — კოჭლი, ხაშალი, მაგრამ უხეირო მოვლა-აღზრდის პირობებში ის ფუჭდება, ჰკარგავს თავის იერს, ახოვნებას. ფეხზე გავლიდან თავისი თავის მოვლის შეძლებამდე, ისეთი დგე-

ბა, როგორც მთის მწვანე ხვლიკი. როცა მოიზრდება, თავზე ხელს მოისვამს, თავის თავს თვითონ მიხედავს, თავის ბუნებრივ ლაზათს თვითონ აღიდგენს.

ხალხის მონაგრის ხარისხი. სახლი, მარტო ერთი დედაკაცის ამარა დარჩენილი, რა იქნება ნივთიერად?! თუ მიბრძანდებით შუათანა შემლების ოჯახში, კარგად გაიგებთ.

სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია ერთ ან ორ — ოთახად აშენებული. დედაკაცის ოფლითა და გარჯილობით აშენებული.

სადგომ ოთახში ყველაფერი ბაზარივით წინ არის წამოწეული, როგორც ერთ კაცს ჰირიდან კევი გამოუღია და ცხვირზე დაუკრავს, ჩემს სარჩოს თვალით უნდა ვუყურო.

ქისტ ადამიანს ეამება თავის სარჩო-საბადებლის თვალით ყურება, ძვირფას რამეს კი ვერა ვნახავთ. თაროში თიხის ოთხიოდე ჯამი, არეისათვის ცარიელი ბოთლები, ქილები, ხონჩა-ტაბაკი, ცომის საზელი — გობი-ხონი, ხის კოვზები. ოთახის ერთ მხარეს ტახტი, ზედ ორიოდე ხელი ლოგინი: საშინაოდ ლეიბი დიდი. ჩალით გატენილი, საბანი, მუთაქა, ბალიში. ერთი ან ორი სკივრი შიგ ცოტაოდენი ჩითმათები, ძონძმანძები, იქვე გაბმულ ბაწარზე ჩამოკიდებულია ქალ-რძალის ძველი და ახალი ტანისამოსი, სამკაული: ჩუსტი, ჩექმა, „ჰოლსაჰოშკები“ ჩამოკიდებული.

ვაეკაცის იარაღი იქვე კედელზე დაკიდებული: ქართული თოფი, ქამარ-ხანჯალი, შეიძლება ცხენის უნაგირი და სხვა მორთულობა მისი. ქვემოთ — დაბლა, საქუდე ნაბდების სახარში, საღები თუჯის დიდი ქვაბი, რკინის მომცრო ქვაბი ფაფისა, გალანის სახარში (მჯადის ნასორსლს გალანს ეძახიან) იქვე წელის ჯურჯელი თულუხი ან კოკა, ცული, კოდი, კასრი, სადღვები და სხვა ხარახურა.

ჯამა-სმა. ქისტს ხორცი მგელივით უყვარს, მაგრამ ხშირად ვერ ხვდება, სოფელში იშვიათად დაკლავენ გასაყიდად. მე ხშირად მინახავს ახლად გამოშიგნული ცხვრის მუცლიდან უმი ღვიძლისა და თირკმლის ქონის ჯამაში კაცი.

დამარილებულ უმ ხორცს ისე ჯამს, როგორც მოხარშულს. ქისტი ხორცს თუ შეხვდა ქორწილში, ან ქელეხში. ქორწილში მაგდენი არაფერი, საქმე ქელეხია და უფრო დოღი. ამ ორივე შემთხვევაში, ძროხის და ცხვრის ხორცი მრავალია, ვისაც ჯამა შეუძლია.

თუმცა ქისტი ადამიანი ვერ არის საჯმლის ვემრიელი გამკეთებელი. მასალა, ერბო არ ეზოგება, მაგრამ შეზავებაში ვერ არის დახელოვნებული, როგორც მაგალითად, მათი მეზობელი ოსები. უკანასკნელად ლობიოს ვერ შეანელებენ წესიერად, ვერც წმინდა ჰურს გამოაცხობს ფარსაგად, აცხობს თხელ ლავაშად გახურებულ თუნუქზე, მერე ნაცარში გამოაშრობს. თონის ხელობა არ იციან და არცა აქვთ. როცა ბევრი ნამცხვარი სჭირდებათ, გარეშე სოფლებში, ოსებში, ფშავლებში აცხობენ.

არც ერთ დროს ქორწილში, ქელეხში, დოღში, რაც გინდა კარგი ხორცი მოიხარშოს, ქისტი კაცი წვენს, რომელიც უფრო კარგია, წესიერად არ ხმარობს. წვენს ხუთ კაცზე ერთ ჯამში დაასხამენ, შიგ ბლომად მარილს ჩაურიან, ველანი შიგ თითო ლუკმა ხორცს ასველებენ და ისე ჭამენ. ამას „ბიეჰრომ“ ეძახიან. დანარჩენი წვენი ან უნდა გადაღვარონ ან ძაღლებს აჭამონ. ხორციც ხშირად არც გარეცხილია ჩაურილი, არც წესიერად მოქაფულია და არც მოხარშული.

ერთ ქისტს სტუმრისათვის, მგონი ბოქაულისათვის, მიურთმევია შიგნეულგამოუცლელი მოხარშული ქათამი. ხორცის სიუვარულით ზოგი ცხენის ხორცსაც გეახლებათ.

ერთხელ, ბოქაულმა *ი. კომელაურმა* უთხრა ქისტებს გაჯავრებულმა: „თქვე ასეთ-ისეთებო, დაკარგული მოპარული ცხენები ტუეშიმთებში ვეძებო, თუ ქვაბებში ჩამარილებულიო“.

ხორცის გარდა, ქისტი ადამიანის მუდმივი საჭელი ხელად შეხანხლილი მჭადია, წმინდის ლავაში, გალანა, ფაფა, მხალი, ქუმელი სატანით: ჩუმა, ხაჭო, ყველი, რძე, ერბო. გაზაფხულის ბალახბულახი: მხალი, ჭინჭარი ერბოთი შენელებული სტუმრისათვის: წმინდის ლავაში, კვერცხ-ერბო, ერბო-ხაჭო ხავიწი-ერბო და ფქვილი დაშუშული, სინკალი ხორცისა, ხაჭოსი, ყველისა, ქათამი და თუ დიდი სტუმარი ჰყავს, ცხვარს დაუკლავს, იქნება ძროხაც.

ქისტი ადამიანი საერთოდ ცოტა ეჭამელია. ხორცისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მჭადს იმდენს ჭამს, რაც ერთ ქათამს გააძღობს. ჭამაში თითქოს სცხვენიაო, სხვას შეჰყურებს ჰირში. თუ სტუმრად არის, მასპინძელი უნდა ეხვეწოს — ჭამე, შენი ჭირიმეო, თორემ მშიერი დარჩება და მერე სხვაგან დაიჩივლებს — არაფერი მაჭამა „მეექიერ“ წუწკი — ეოფილაო. კაცი კი არა, დედაკაცი ჭამაში კურდღელივით იცმუცნება ჭაჰა-ჭუჰით, თან მალიმალ ჰირს იწმენდავს ტიტველა ხელით და აქეთიქით იეურება.

წომადობის დროს მთაში მწყემსები და მთელი ჯალაბობაც ქუმელს ხმარობს სიმინდისას ან ქერისა და ხორბლისას. ურევენ ერთმანეში, ახალებენ ანუ შუშავენ ცეცხლზე ან განსაკუთრებულ ჭურჭელში, რომელსაც საჯს ეძახიან. ფქვავენ წისქვილში მთელი სამი თვის საკმარს, ასე დამზადებული ხალი ანუ ქუმელი მოაგარაკეთა საჭმელია, რადგანაც იქ ჰურის ან მჭადის გამოცხობა ძნელია. ქუმელს გაზელენ წუალში ან რძეში ან ერბოში და ისე მიირთმევენ. ქუმლის ხმარება ოსებმა არ იციან, ქისტები და თუშები ამას ეძახიან „ცუს“.

ეველისა და ერბოს დღვება. სოფელში ისეთი კომლი არ არის, რომ ერთი ძროხა მაინც არ ჰყავდეს. უიმისოდ კომლი საბრალოდ ღარიბია.

ამისთანა ოჯახს ცოტაოდენი ერბო ან ცხვრის ქონი გაჯირვებით ნაშოვნი ექნება შავი დღისათვის შენახული. ხანდახან იმით შეაცხიმიანებს ბალახბულახს. იმით ვადის იოლას ზამთარ-ზაფხულ. სხვა დროს მარტო მჯადსა და მარილის ამარად რჩება. ოჯახისთვის, რომელსაც ერთი ფარსაგი ძროხა მაინც თუ გააჩნია, დიდი ბედნიერებაა.

ძროხა ხბოს რომ მოიგებს, სამჯერ მონაწველ ხსნარს აადუღებენ. ჯერ წყალზე წაიღებენ, ზედ ჯვარს დაასვამს დანით, შეულოცავს, წამოიღებს და, რომელიც მსუნაგი არ ეგულება, წინ იმას აჭმევს, არასდროს უცხოს.

დიასახლისი ამ ერთი ძროხის მონაწველს არა ჰყიდის. არც აქვთ ჩვეულება, შინაურებს ძნელად დაახმარებს, შეიძლება ძუძუმწოვრებს და სხვებს ხილად რძის ფაფა გაუკეთოს. რძეს უმად აქუჩებს, მანამ ერთი შედღვება მოგროვდება. რძეს ჩაასხამს ზედგოშელა ჩხუტში (სადღვებელა კახეთში და თუშებში ჩამოკიდებულია) ურევს ანუ სდღვებავს წვრილი ჯოხით, რომელსაც თავზე ორი თხელი ფიცარი აქვს ჯვარედინად დაკრული – ბერჰს ეძახიან.

რძე თუ წესიერად არ არის ჩამქავებული ან გადამქავებული, ჩქარა არ ედღვიბება, წვალობს და ხან თვალს აბრალებს, ხან რაიმე ღალატს. დღვებაში ცსულწყალს ასხამს, ალოცვინებს ვისმე მოხუც დედაკაცს, რომელსაც ერთი შედღვება კარაქს ჰპირდება. სადღობელს შელოცვილი ნიშანი აქვს ზედ შებმული. თუ ბედნიერად შედღვიბა, კარაქს ამოიღებს. თვალის შეშინებული ცდილობს, არავის დაანახოს. ზედ მაშინვე ჰატარა ნახშირს დაადებს, ისე შეინახავს.

დოს-ჩუმას – ქისტურად შაარ ქვაბში ჩამოწურავს, ნელ ცეცხლზე შედგამს და გააცხელებს. ჩუმა მოხაჯოვდება ეს „მორძო“ იქნება. ბარკში მეტ-მეტ ხაჯოს გასწურავს შესანახად. ცოტა-ცოტა ხაჯო კიდევ დარჩება ქვაბში შრატთან საჯმელად, ამას ქოოქ მორძს ეძახიან. ერთი მეწველი ძროხის ბატრონი კი ვერა და, ორი-სამისა ხშირად უკზავნის სამადლოდ უქონელ ოჯახს ქვაბით ქოოქ მორძუსა ან ჩუმას, რომელშიც თვალისთვის ნახშირი კდია.

ერთი კარგი ძროხის ნაწველი რძე შეიდღვიბება კვირაში ორჯერ უხვ ბალახობისას. ერთი შედღვება მისცემს კილო-ნახევარ კარაქს. ორი ან სამი კვირის შენადღვებ კარაქს ქვაბში გაადნობს ნელს ცეცხლზე. კარაქს გაუდნობლად არ გააჩერებს მეტ ხანს დამძაღების შიშით. გამდნარ კარაქს გასწურავს მტკიცე საცერში. ბეწვი ან რამე არ შეჰყვეს, ამას ისევ ნელად დააბრუნებს ქვაბში რომ ძირს დარჩენილი დალეწილი წყალი და ჩუმი არ შეჰყვეს.

ასე დაწმენდილს კარაქს ადუღებს ნელა, თან სამი თითით აღებულ წმინდა ფქვილს ზევიდან მოაურის და ცოტა მარილს კარაქის დასაწმენდად. ასე ადუღებს, ზოგჯერ კოვზით მოურევს. იციან – „როგორც ჯაგებში შემსხდარი ბეღურა ჩიტები ყივყივებენ, თუ ერბომ დუღილში ასე დაიწყო, საკმაროაო“. ამ ხანში მოფრქვეული ფქვილი ძირს დაიწევს და შეწითლდება.

ერბოს კეთებაში ქისტი დედაკაცი არაფერ სიმრუდესა და სიყალბეს არ გარევს, რაც არ უნდა ძალიან უჭირდეს – ან რძე გადამერევა, ან ძროხას შეაკლდებაო. ერბოს რომ გადმოადუღებს, გადმოიღებს, შეანელებს. შემდეგ ჩაასხამს ქილაში და შეინახავს მშრალს ადგილს.

ქვაბში რაც ნაძირალა დარჩება, იმაში ცოტა ფქვილს კიდევ მიუმატებს, რომ ზომიერად გასქელდეს და გაკეთდება ხავიწი. იმისაგან ქადას გამოაცხობენ ან ისე აჭმევს ჯალაბობას. გაწურულ ხაჯოს წააე-

რის მარილს, კარგად დაზელს, გააკეთებს ჰატარა კვერებს, დააწყობს ფიცარზე, ლასტზე და გაახმობს. კარგა გამშრალს მზეზე, შეინახავს ზამორისათვის და როცა ძროხა აღარ იწველის, იმით იოლას გადის.

ეოჩაღი დიასახლისი ამ ერთი ძროხის მონაწველით უძღვება ოჯახს, მუშას და მოსულ სტუმარსაც. ჯალაბობა ქოოქ მორძუს გა-ჰყავს.

მუშის სათოხნში, გუთანზე შემოსდგამს საჯალაბო ქვაბს წყლით (სჰილენძისას იშვიათად სმარობენ), აადუღებს, მოუკიდებს მჯადის ფქვილს, ვიდრე კარგად გახშირდება, თან ურევს, ძირზე არ მიიკრას. შუაზე გულს გაუწევს და დაასხავს ბლომა ერბოს. შემოამწკრივებს კოვზებს, მოვლენ მუშები და შემოუსხდებიან. თუ მუშებს გადარჩათ, თვითონ დაათავებენ და წავლენ შინ.

დიასახლისი, ერთი მეწველი ძროხის წყალობით, სტუმართანაც ჰირნათლივ გამოდის. თუ ქათამი ეყოლება, ხომ კარგი, თუ არა და, ხელად თბილი ლავაშები, მჯადიკვერები, მასთან ერბო, კვერცხი ან საჯო-ერბო — ხაეიწი. თუ ერთი ბოთლი სულადის არაეიც ეშოვება, ის კიდევ სულ უკეთესი. დიასახლისს თუ დაფქული არ ეშოვება, სესხება არ ერიდება. ის მიმართავს იმათ, ვისთანაც ეგულება და მეტი იმედი აქვს.

მეცხვარის თადარიგი. ვისაც მეტი ძროხა და ცხვარი ჰყავს, იმისი ჰურის ჯამა ბევრად უმჯობესია. სახლში ყველაფრის მარაგი აქვს: ჰური, სიმინდი, ერბო, კარაქი, ყველი, საჯო და სხვა. დო-ჩუმა ქოოქ მორძე — ულეველი, სამადლოდ სხვასაც უგზავნის. მოჯარბე-ბული ბაზარში გამოაქვს გასაყიდად.

ცხვრის ჰატრონს დოლი ანუ ბატკნის ურა ეწყება გაზაფხულზე — მარტში. ცხვარს, თუ ადგილობრივ ჰყავს, აქვე ატრიალებს მინდორში — მთაში ასლამდე.

თუ კარგი ამინდი შეხვდა, ცხვარი კარგად გაზამთრიანდება. ცოტას აქაც მოსწველის, ყველს გააკეთებს, თუ არა და ისევ ბატკანს გაათამამებს. მაისის ნახევარში არეკავს მთაში. ბატკნის დარჩევასა და ცხვრის წველას შეუდგება. გადილავებული ცხვარი დილის 9-10 საათზე სახლში ე.ი. ბინაში მივა. მოსწველიან და ისევ გაუშვებენ. რძეს ასხამენ ქვაბში, სანამ გაცივდება, უზამენ დედას, მოყველდება, ამოსწურავენ ჰარკში.

სამაგალითო ყველი იციან ჯიქაურში, დიდგვერდში. ყველის შრატს მოახაჯოვებენ ცეცხლზე და ისე ხმარობენ. მოჯარბებული ყველი ბაზარში გამოაქვთ გასაყიდად.

ეიდიან ცხვარსაც. მატულს კი სამ ხარისხად ყოფენ. ბატკნისა — კრაველი — რბილი. შემოდგომას გაჰარსული ცხვარის მატული და გაზაფხულზე გაჰარსული ცხვრისა. საყველოდ გამოუყენებელ ცხვარს შინაც ინახავენ საკლავად. სახორცედ დაკლავენ შემოდგომას, ზოგს ჩაამარილებენ, ცოტა ხნის შემდეგ ამოიღებენ, გაჰკიდებენ და გააშრობენ მარაგად. ამ უაიდაზე ინახავენ ცხვრის დუმასაც, ინახავენ ლორად, შემდეგ მოხარშავენ, მჯადთან კარგი შესაქცევარია.

სამთოდ მეცხვარეები ფქვავენ ქერს ან სიმინდს. დაფქული მიაქვთ მთაში. მთაში კი ამზადებენ ქუმელს, რომელსაც გამოცხობა არ უნდა — წყალში აზელენ. მეტი ქისტები და თუშები „ცუ"-ს ეძახიან. ერთმა ჰროფესორმა მითხრა „ცუ" თუშების ღმერთიაო.

მწყემსი — ჩობანი ცივ წყალში აზელს, ორ ან სამ შეკუმშულ გუნდას გუდაში ჩაიგდებს და როცა მოშივა კოჩხოში,[1] რომელიც წელისათვის მუდამ გვერდზე ჰკიდია, ცხვარს ჩამოსწველის და იმ ხალს რძით გააახლებს. რომელიც უფრო მსუნაგი მეცხვარეა, ქუმელს გაშლის, გუდაზე რძეში აზელს და ისე მიირთმევს. მთაში ჩობანს არა უშავს, ჰირის ჰატივი არ აკლია, რძის გარდა ქუმელთან შესატანებელი ეველი, ხორცი აქვს.

ჰიგიენა და სანიტარული მხარე. ჰიგიენა და სანიტარული მხარე ქისტი სალხისა შედარებით წინ არის.

ქისტი ადამიანი, როგორც აღვნიშნეთ, მსუბუქი მჯამელია, მსუბუქად ჩაცმულია. ის არ არის აგოდრილი ფშაველივით ტეავ-ტეუებში, არც მდიდრულად ჩაცმულია, ბაბორიან ჰალტოში, მდიდარი მატერიის ტანსაცმელში, ჩექმა-კალოშში.

ახალგაზრდა ქისტი ტეავს ჩასაცმელად ძვირად ხმარობს. მოხუცები სმარობენ „დურა“ ტეავს ზემოდან წამოსასხმელს, როცა გარეთ ან მეზობლისას გამოვა. ტეავს ჩასაცმელად თუ იხმარს ვინმე, ზემოდან მატერია გადაკრულს, რომელსაც ტეავ-ქათიბს ეძახიან.

ტეავ-ქათიბს ხმარობენ დედაკაცები, ზოგჯერ ქალ-რძლებიც, ხოლო ჩვილი ბატკნის ტეავს სიციკისათვის უფრო დაბამბულს ხმარობენ, ვიდრე ტეავს. არ იციან „ფუფაიკა“, დიფი, ქვედატანის კაბა და სხვა, რომელიც ბოჯავს და ავიწროებს ადამიანს. მისი ჩასაცმელი ქოჩა, სათბილობელი, დაბამბული ჩოხა-ახალუხი თავისუფლად ინახავს ტანს. ავიწროებს მარტო ქამარი, წელზე შემოჯერილი მატე-

---

[1] კოჩხა - ხის მოკლეტარიანი, ერთი ჯიქა ჩავა, ზოგმა კოჩხის მაგიერ „მათარა“ იცის, ის ძროხის კანჯის ტეაკისაგანაა.

რია ან ჰირსახოცი. არა სჯირდება: ქართული ჩიხტა-კოპი და ლეჩაქი, თბილი შალი, თავზე მოსახვევი თუშური შავი მანდილი, თავზე კოპი, გრძელი კავები, „ჰოლსაჰოშკები", ბატინკები, ტუფლები, კალოშები. შინ ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველიც დადის არხეინად.

ბავშვის ჩაცმულობა ოჯახის შემლებასთან არის შეთანხმებული. ბევრი ქოჩის ამარად დადის — თუ უფრო ჰატარაა.

სახლისა და ეზოს სისუფთავესთან შედარებით ქისტმა ადამიანმა არ იცის თავისი თავის შესაფერისი სისუფთავე, ჩვეულებად არა აქვს თბილი წყლითა და საპნით თავისა და ტანის დაბანვა, ტანისამოსისსაცვლების წესიერად, საპნით დარეცხვა.

კაცი მარტო ცივი წყლით მოიბანს მოჰარსულ თავს ჰირის ბანაში.

დედაკაცები, ქალები ძროხის ფსლით იბანენ თავს იმ აზრით, თითქოს თმას აკეთებსო, რისთვისაც, ქალს, რაც უნდა სუფთად და ლაზათიანად ეცვას, გაუგებარი სუნი ასდის.

მოზრდილი ბავშვები მდინარეში თუ იბანავებენ ზაფხულში, ისა ჰეოფნით. ჰატარები ამასაც მოკლებულები არიან. ამისთანა უსუფთაობას ტანისას თვითონვე გრძნობენ და ჩხუბში, ჯიბრით ლაპარაკით წააუვედრიან კიდეც: „მღედიშვუძინ ვა, მეძიშვუძინ"-ო — „შე ტილით საესეო."

ფიცრული სახლები ისე არა აქვთ მოთბუნებული, ზამთარში ცივა ეოველი მხრიდან. არც ლოგინი აქვთ თბილი და საკმარი, რომ ზამთარში ეველა ცალკე, თავისთვის დაწვეს. ხშირად ერთად წვებიან, რომ სითბო დაიცვან.

ზაფხულში კი თითქმის მთლად ტიტველები წვანან დერეფანში. ლოგინიც არა აქვთ სუფთა, საბანს ფეხის ჩითი ისე უნდა შემოაცვდეს, რომ ერთხელ გარეცხვა არ ეღირსება.

სხვაფრივ სიბინძურე ეჯავრებათ. ძაღლმა რომ ცარიელ ჯამში ჰირი ჩაუოს, ფურთხით აიკლებენ, ჯამი ნაცრით უნდა მოხეხონ და თაროში ცალკე შედგან ე. ი. გააუქმონ, სანამ არ გაუჯირდებათ. კაცი მოსაშარდად დედაკაციეით უნდა ჩაჯდეს, — შარდი მომეწუწება და გავმურდლდებიო. ცოლ-ქმარი რომ ერთმანეთს მიუდგეს, ორივემ ციე ზამთარშიც მდინარეში უნდა დაიბანოს და სხვ...

მათ ლოცვასაც ჰიგიენური ხასიათი აქვს. წინდაცვეთის გარდა, რომელსაც უსრულებენ მარტო მამრობითი სქესის ბავშვებს მეცხრე-მეათე წელს, ნამაზის წინ, მორწმუნემ უნდა დაიბანოს.

წინათ, ერთი-ორი ძროხა ზამთრობით თავიანთ სადგომ სახლში ჰყავდათ, დიასახლისი არა ღალატობდა ჩვეულებრივ ჰიგიენას: ძროხის განავალს მაშინვე გარეთ გამოიტანდა, შარდს ქოჩხაში იჭერდა თავის დასაბანად. ახლა, როცა ყველამ საქონელს თავისი სადგომი გაუჩინა, დედაკაცი ისევე სუფთად ინახავდა გომურს, როგორც წინათ.

მცხოვრებთა საქმიანობა და მათი უმთავრესი საქმე. ხამი, მუშაობას უჩვევი ხალხი, დუისელები, მანამ შეგნებით ან წახედულობით შრომა-მუშაობას მიეჩვევოდნენ, წმინდა ჰურის გემოს გაიგებდნენ, გადმოსახლების ჰირველ ხანს დროს თაღლითობაში ატარებდნენ. სარწმუნოების შებღალვის შიშით, ისინი ერიდებოდნენ კახეთის ხალხთან დაახლოებას, იქაურ მუშებთან კავშირს, მათთან დანათესავებას, რასაც რჯული უკრძალავდა მაშინაც და ახლაც (ვითომ დაათრობდნენ და ქრისტიანის დაკლულს ან ღორის ხორცს აჭმევდნენ ან შეურევდნენ). ამ მიზეზით, კაი ხანმა გასტანა, სანამ მინდორში მუშაობას მიეჩვეოდნენ, მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა: დრომ, ადგილმა, კუჭმა რჯულ-სარწმუნოებას დასჯაბნა.

კულტურულ ხალხთან სიახლოვემ გაიმარჯვა და ქისტები კახეთის ხალხს ნელ-ნელა დაუახლოვდნენ.

ქისტი კაცი შელოცვილივით გამოიცვალა. მინდვრის საქმისათვის, შრომისათვის მგელი გახდა. დაღლილ-დაქანცულსაც კი გრილოში ვეღარ ნახავდით დამჯდარს. სხვის ლაპარაკს, დაცინვას უურს აღარ უგდებდა, დღე-ღამეს ასწორებდა, თითქმის დედაკაცის საქმესაც წაეპოტინა და გაიძახოდა: „მეძახიან მელქოსაო, მაინც ისევ მერქოსაო". ე.ი. „გურჯს მეძახიან და მერქვასო".

თავიდან კახეთიდან ზოგმა ქირით, ფასით მოიტანა გუთანი, ფარცხი. მოხნა იქვე სოფლის ახლოს ერთი-ორი დღისა, დათესა სიმინდი, მერე ჰური, ქერი, ფეტვი. ქისტმა მალე შეისწავლა გუთნის ოსტატობა და ხვნა-თესვასთან დაკავშირებული სიტყვები, რომელიც მისთვის უცხო იყო: ზედა, დაუჯე, მიაყოლე, მიდი, შააბრუნე და სხვა. მამული აღარ ეყო, სხვაგან იქირავა. ალოს თუ სხვაგან ყიდულობდა, ახლა თვითონ ყიდდა. იგრძნო მამულის სივიწროვე, დააპირა მახლობელი სათიბის მამულად ყიდვა, მაგრამ სიღარიბემ ხელი შეუშალა და ოსებმა დაასწრეს. „შინ ემაწვილს შიოდა, ტაბლა კი სხვას დარჩაო — ისე მოხდა".

გასული საუკუნის დამლევს, ცხინვალის მაზრიდან, ალაზნის მარცხენა ნაპირზე, დიდძალი ოსობა გადმოსახლდა. მათ მამული, ტყე, მინდორი თითქმის ჩალის ფასად იყიდეს. ახლა დუისელები სახნავ მამულს 5-6 ვერსის სიშორეზე, სხვაგან ქირაობენ. ოსთა თითო კომლი მოსნავს და დათესავს 5-6 დღის ჰურსა და სიმინდს, ზოგი ქერსა და ფეტვს. მამულები დაბლა ჯალაში აქვთ სარწყავში და საშუალოდ 20-30 ფუთ სორბალს, 40-50 ფუთ სიმინდს იღებენ. ერთ წელს რომ სიმინდი დათესონ, მეორე წელს ჰურს სთესავენ, რადგან ნასიმინდარმა კარგი ყანა იცის.

აქ არ იციან ივლის-აგვისტოს ნახნავი, რომელსაც ზემო კახელები ანეულს ეძახიან.ისინი შემოდგომაზე თესავენ და ფარცხავენ. აქ შემოდგომაზე, ოქტომბერში მოხნავენ და კიდეც დათესავენ უფხო ჰურს, ხოლო სიმინდს თესავენ გაზაფხულზე და აპრილში — დაფარცხავენ. შემოდგომას დათესილი უფხო ჰური შემოდის იელისში და მკიან კიდეც. ეანამ ბალახი არ იცის, მაგრამ თუ აბალახდა, გამარგვლა წესად არა აქვთ. დათესილი ეანა ღვთის ამარად არის დარჩენილი, ხოლო საქონლისაგან დაცულია. საჯირო ადგილას ღობესაც შემოავლებენ, მეველეც იციან და რაკი ჯეჯილი თავს ამოუოფს, იქ საქონლის გატარება შეუძლებელია. საითაც ნათესობაა, იქით საქონლის საძოვარი არც არის, ცოტა-ცოტა კვლების მეტი.

ეანის დამუშავება. უფხო ეანა ისევ ოდოელერია, როცა მომკას თხოულობს. ივლისის ჰირველ დღეებში უკვე მზად არის მოსამკელად, ვისაც მუშის ღონე აქვს, მუშას ამკევინებს დღიურად 3 მანეთად ოქროზე. არადა, თვითონ ჰატრონი უნდა გაისარჯოს.

მომკილი წვრილი ძნებით, თითქმის ხელეურის ტოლი, აქა-იქ 15-16 ძნის ქუჩებს გააკეთებენ, უღელ ხარ-კამეჩს შეაბამენ სამნე ურემში (კახეთში სამნე ურემი არ იციან ჯერ), დაუდებენ, რაც დაეტევა და მოიტანენ კალოს ჰირზე, რომელიც სოფლის განაპირად აქვთ გამართული. ადგამენ მრგვლად მოზრდილ ძირებად. როცა სულ მოიტანენ კალოს, მოამზადებენ. კალო დიდი არ იციან, იქნება ასე 9-10 მეტრი დიამეტრის.

კალოს გადათხრის, მორწეავს და ამინდზე დილაადრიან ძნას ჩაუშლის. სალეწად ზოგი ხმარობს ჩვეულებრივ კევრს, ზოგი — არა, რადგან უფხო ეანა საქონლის ფეხით უფრო ადრე მოთავდება ხოლმე, ამიტომ ორ-სამ ცხენს, ხარებს, კამეჩებს შეურის გაშლილ კალოში და

ისე ატარებს. ზემოთ ჰირი რომ მოიბურდება, მოხდის, ახლოს გაუშლის. იქნება დღეში ახალი სამი ჰირიც გაუშალოს.

ამ დროს, კალოში ყველა მონაწილეა, დიდი და ჰატარა. ამიტომ მხიარულად აბოლოვებენ საქმეს.

შუადღეზე კალო გალეწილია. შეახვეტენ ბზე-ჰურს შუა კალოში გრძლად, ნიავის მხარეს, საითაც ხორბალი უნდა გადავიდეს. ადგილი მცირეა დარჩენილი, ხოლო ბზისათვის ადგილი ჯარბია დატოვებული, რომ ბზე მეტი არ გადასცდეს კალოს და მინდორში არ გადაიფანტოს.

ამ გეგმაზე შეჰგავენ და შედგებიან ზედ, ზოგი ანიავებს, ზოგი ასუფთავებს, ზოგი ჯეილი აცხავებს. როცა გაანიავებენ ე.ი. ხორბალს ბზისგან გაათავისუფლებენ, მერე გაახვავებენ ე.ი. ხორბალს მეტად დაწმენდავენ: გააცხავებენ და მზად არის — ხორბალს ჩაურიან კოდებში, ბზეს — საბზეში. ამათ ჯერ კახური ჰურის ბეღლები არა აქვთ. კოდები იციან ცაცხვისა, გულგამოთხრილი და ძირგაკეთებული. აქვთ წნული გოდრებიც, სასუქით გალესილი. ორივე ჯურჯელი ერთი ზომისაა, ჩავა 20-30 ფუთი ხორბალი, ზოგს ცალკე აქვს მოწნული, ზოგი ბოსლის მაღლა ინახავს.

სიმინდის დამუშავება. ქისტი ადამიანის საჯმელი სიმინდია, ამიტომ ერთგულად ექცევა მას. ყოველ წელს მას დაამუშავებს, რომელიც დაბლა სარწყაოში აქვს. სასიმინდეში ჩაურილივით ეგულება, ხოლო თუ მაღლა ფერდობზე უდგას, ცას უნდა შეჰყუროს და შეჰღაღადოს მოსავლის იმედი.

გადაურილი სიმინდის მარცვლები რომ თავს ამოუოფს, მაშინვე შეღობავს, თუ საქონლის სადგომშია. როცა სიმინდი დასამფოთოლავდება, თუ საჯიროა, ე.ი. თუ გორმახია, კბილებიანი ხის ფარცხით

(ხისაა, თავისი გაკეთებული) გააფხვიერებს მთელ დღიურს. მერე თოხნას შეუდგება. შეიძლება მუშაც დაიშველიოს, ან ხელისნაცვალს გაათოხნინებს.

მცირე ოჯახი, ერთი დღიურის ჰატრონი, თავის სიმინდს თვითონვე თოხნის, თუ ხელისნაცვალმა არაფერი უშველა.

დედაკაცი დაამზადებს საგზალს, თუ ჩვილი ბალღი ჰყავს, აიკიდებს აკვანს, თოხს გაიდებს მხარზე, მოზრდილ ბალღებს წინ გამოიერის, დახურავს სახლის კარებს და ადრიანად გასწევს სათოხნი მამულისაკენ. თუ ჰატრონი ჰყავს და მიეშველება, კარგია, თუ არა და ასეთ ტანჯვა-წამებაში უნდა დააღამოს რამდენიმე დღე.

უქმობენ ჰარასკევობით, თუმცა ბევრი კვირასაც უქმობს. ამ დღეებში იციან უძლურის მუქთად ხელის დახმარება, ხოლო ჰატრონი საკლავსა კლავს ამ მუშისათვის ადგილის დედის ჰარასკების გატეხისათვის. ნაკლები არც ეს უჯდება, მაგრამ დროზე საქმის გაკეთება მაინც სსვა არის.

სიმინდის თოხნა ერთმანეთის ხელის დახმარებით იციან ხშირად. ხომ ერთ დღეს არ არის ნათესი, დაიწყებენ ადრეულად და ნელა გადავლენ.

ამნაირი მუშაობისას ჰირის ჰატივი კარგი იციან. კაცი და ქალი შეიურება, 10-15 სული ამოუდგებიან ერთმანეთს მხარში. გააბმენ მწკრეს და ისე ერთბაშად მისდევენ სათოხნს. აქ ვაჟი და ქალი გაეჯიბრება თოხში და ერთმანეთს აღარც კი ასვენებენ.

ერთი გათოხნა არ კმარა. ერთს რომ მორჩება, მეორე მაშინ უნდა. ახლა მორწყვა, ყვავილში შესვლამდე გაფურჩვნა, თუ ხშირია, გათხელება, ბოლოს ძირზე მიწას შემოაყრის.

მარცვალს რომ ჩაურის, უნდა უყარაულოს, თუ ტყის ახლოს თესია, რადგან შემოსვლამდე ე.ი. ჯვინტობამდე ძალიან ეტანება ძაღლი,

ღორი, დათვი, მაჩვი. ამისათვის ძაღლებს წურთნიან და აჯერინებენ მაჩვებს, ან ხაფანგით იჭერენ. თუ შინაური ძაღლი შეეჩვია, იმას თოფით ჰკლავენ კიდეც.

ერთმა ქისტმა კამეჩები დახოცა ძაღლების, დათვების გონებაზე.

შემოსულ სიმინდს ზოგი ზედ ამტვრევს, ურემზე ერის და ჰირდაჰირ სასიმინდეში მიაქვს. ზოგი ტაროიანად ჭრის, შინ მიაქვს და არჩევს, ჩალას-ფუჩეჩს საქონლისათვის ინახავს.

სიმინდის მოსავლის აკრეფით მთავრდება ქისტი კაცის უმთავრესი სამუშაო და გარჯა, სხვა რაიმე თვალსაჩინო საქმე არც წინათ უკეთებია და არც ახლა აკეთებს.

შეიძლება ზოგმა საქმე რამე გამოიჩინოს: ეზო შეღობოს, შეშისათვის იზრუნოს, დედაკაცებს ქუდების შესაღებად მურუნის ქერქი მოუტანოს, სანადიროდ გაისეირნოს, თევზზე წავიდეს ან სოკოზე, თხილ-კაკალზე. ზოგი უფრო ნამეტანი მოუსვენარია, მუქთად არ გაჩერდება.

ნაბდის ქუდის დამუშავება. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, კაცმა დაისვენა მძიმე მუშაობისგან, ხოლო დედაკაცის საქმე და მუშაობა ისევ რთულია.

წლის მთელი მოსავლის აკრეფაში დედაკაცი მხარში ედგა კაცს, არც ერთი საქმე სახლისა თუ მინდვრისა მის ხელებს არ გასცდენია — მინდვრის საქმეს გადარჩა, ახლა რამდენი შინაური საქმე ელოდება.

დედაკაცის შინა სამრეწველო საქმე მატელია, ნაბადი და ნაბდის ქუდები, რომელიც შეადგენს მათი ცხოვრების ჰირველ დასაურდენს.

მატელის სამუშაოს აწარმოებს მარტო დედათა სქესი, 5-7 წლიდან მოკიდებული ღრმად მოხუცობამდე. საქუდე ნაბადი ირთვება კრაველისაც და მატელისაც. ჰირველი ხარისხის ნაბდის ქუდი გამოდის

ბატკნის მუცლიდან, შუბლიდან და უურებიდან აკრეჭილი ხუჭუჭა მატულისაგან, მეორე ხარისხის - კრაველისა და მესამე ხარისხის - მატულისა. ქუდის ხარისხი გამკეთებელზეც არის დამოკიდებული.

პირველად მნიშვნელობა აქვს მატულის არჩევასა და დაგებას. კრაველი ირჩევა მსხვილი და მოკლებეწვიანი.

ნაპარსს ეიდულობს ორმოც-ორმოცდაათ კაპიკ ოქროზე. იეიდის, მაგალითად, 50 ნაპარსს, მისცემს 20-25 მანეთს ოქროთი.

მატულს ჯერ კარგად გარეცხავს ცივ წყალში მდინარეზე, წინ უდევს ბრტყელი მოკლე ფიცარი, ხელში უჭირავს ნახევარი მეტრი სიგრძის ჯოხი, ნაპარსს შუაზე გაგლეჯს, დადებს ფიცარზე, ჯამით წყალს ასხამს, თან იმ ჯოხებს უტეპავენებს.

ასე, სანამ მატული კარგად არ გათეთრდება, ოდნავ გასწურავს და ცალკე გადასდებს. ამას „ტალაბს“ ეძახიან.

ასე მთელ მატულს გარეცხს. წამოიღებს შინ, გააშრობს, მზეზე დასჩეჩავს, ფთილებს ამოიღებს სიგრძეზე, შუა გასჭრის, თუ გრძელი ბეწვია, სამათაც გადასჭრის და ცალკე გადააწყობს. მერე დაპენტავს, გააბუებს კარგა საპენტელით (საპენტელი-შვილდი — უბრალო მოხრილ ჯოხზე გაბმული თასმაა, ან ცხვრის ნაწლავისაგან გაკეთებული ლარი გაგრეხილი), ოთახის სიგრძისა და ორმეტრა-ნახევარი სიგანის ტილოს გაშლის იატაკზე და იმ გაბუებულ მატულს ზედ გაშლის ან დააგებს სწორედ და თხლად.

ნაბადი ერთბაში რომ გამოვიდეს, ჯერ ერთ პირს დააგებს ბოლომდე, ახლა მეორეს, თან ხელში ასწორებს, ოდნავ ტკეპნის და ვარაუდს უწევს, ნაბადი სქელი ან თხელი არ გამოვიდეს.

ასე დაგებულ მატულს ასხურებს წმინდა ცხელ წყალს, ცალი მხრიდან მიიოლებით თან ხვევს ცხელ-ცხელს ასე ბოლომდე. მერე დაჩოქილი, დამკლავებული ნიდაყვებამდე მოუდგება, შეხვეულს, და-

სორსლილს ტილო-მატელს სთელავს მკლავებით წინ და უკან გორე-ბით, მანამ გაცივდება.

ამ დროს ორნი თელავენ, რადგან განიერია და ერთი ვერ წვდება. ნაბადი რომ შეგრილდება, გახსნის ერთ მხარეზე ნელ-ნელა. თან ისევ ცხელ წყალს ასხურებს და ისევ ისე ახვევს ბოლომდე. ისევ-ისე სთე-ლავს გაგრილებამდე. კიდევ გაიმეორებს, თუ საჭიროდ დაინახავს, თუ არა და გახსნის და მზეზე გაჰკიდებს.

ახლა სხვას შეუდგება ამავე წესით. დაამზადებს 4-5 ნაბადს. ჰირველი თუ გაშრა, ჩამოიღებს, დუქარდით ნაჰირებს დაუსწორებს, გაშლის იმავე ტილოზე, კიდევ ცხელი წყლით დანამავს და იმავე წე-სით სთელავს კარგად. ასე უველა სხვებს. მერე სათითაოდ შუაზე სჭრის სიგრძეზე შოლტებად და სთელავს ცალ-ცალკე უტილოდ.

შოლტი ნაბადი როცა საკმარისად მოითელება, მერე ღებავს შავად. მოიტანს მურუნის ახალ ქერქს, ჩააწყობს ამისათვის საგანგე-ბოდ მომზადებულ რკინის დიდ ქვაბში, ძირს ქერქი, მერე ნაბდები, ცოტად ბრტყელად დაკეცილი. ნაბდის შუა და შუა ისევ ქერქი. ქვაბის კვერდებზე ქერქი, რომ ქვაბმა ნაბადი არ დაწვას, ზევიდანაც ქერქი, რომ ნაბადი შეუღებავი არ გამოვიდეს ან ჯრელი არ დარჩეს. წყალს დაასხამს თავამდე. ასე გაავსებს 3-4 დიდრონ ქვაბს. გრძლად, ქვაბის სიგანედ გათხრის მიწას, ზედ დადგამს ორ-ორ ქვაბს, შეუკეთებს ცეცხლს და ხარშავს მთელი დღე და ღამე. თუ წყალი დააკლდება, დაასხამს.

მეორე დღეს ნასავს, თუ ნაბადი არ არის შეღებილი წესიერად, ქერქს გამოუცვლის და ისევ ისე ადუღებს. ნაბადი მუქ ყვითელ ან ყომ-რალ ფერს ღებულობს. ნაბდებს ამოურის ქვაბიდან, გარეცხავს მდი-ნარეზე და გააშრობს.

ნახარშ წვენში ძაღს ჩაურის, ნაბდებს კარგად ბრტყლად მოკეცავს, ჩააწყობს იმ წვენში და ისე ხარშავს. როცა ნაბადი კარგად გაშავდება, ამოიღებს, მდინარეზე გარეცხავს და გააშრობს მზეზე. შემდეგ სათითაოდ თელავს ფიცარზე.

საქუდე ნაბადი მზად არის. ახლა იწყებენ ქუდების გამოჭრასა და შეკერვას. ნაბადს შეკეცავს ორად 6-7 ვერშოკზე და გადასჭრის ერთი ქუდისათვის.

ამას მოკეცავს, კიდევ გაკეთდება ოთხკეცი, ნაკეცებზე ჩაჭრის სიგრძეზე ორ ვერშოკს, ააჭრის ირიბს ან სამკუთხედებს, გაუკეთდება თარგები, თარგებს გადაჰკერავს და გადააბრუნებს.

დაბლიდან შეუკეცავს ვერშოკზე ორჰირად უალამანს, გადაკერილს თარგებზე ზევიდან, გაავლებს ბაწრის ძაფით შიბს თავზე, დააკერებს ნაბდისავე მრგვალ ფოლაქს და ქუდი მზად იქნება.

კრაველის ქუდი თითოობით იყიდება 50-60 კაპიკ ოქროზე, ასობით — 25-50 მანეთად, მატელი 10-15 კაპიკად. თითო ოქროზე, ასობით 8-10.

ერთი გამრჯელი დედაკაცი წელიწადში დაამზადებს და გაყიდის ორივე ჯურა ქუდს 10-15 თუმან ოქროზე.

დედაკაცებმა ამ საქმეში იციან ხელის დახმარება ხელნაცვლივ. მატელის ჩეჩვაში, ქუდების კერვაში, დაშიბვაში, თელვაში და სხვა.

ყველა საქალეთი 7 წლიდანვე ამ საქმეში დახელოვნებულია. მცირეწლოვანის ნორჩი მკლავები ვერ იტანს თელვას. ამ სახეს სრული დედაკაცი ასრულებს. იმასაც თელვისაგან მკლავები ჯარხალსავით გაწითლებული აქვს და ტუავიც გადამძვრალი.

ღამით შეიურებიან 10-15 წლის ქალები და შუაღამემდე მუშაობენ. აქაც შეჯიბრი იციან, თუ ვინ რამდენ ტალამს დაჩეჩავს, ან გამოჭრილ

ქუდს რამდენს შეკერავს, დაშიბავს. შეიძლება, თითომ ღამეში 30 ქუდი შეკეროს და დაშიბოს.

სიჩქარისაგან ზოგი საჩეჩელს ჩამოაგებს ხელს, ზოგი ნემსს გაიერის, ზოგი თვალსაც იცუდებს. ამაზე იცინიან, ხარხარებენ, თან ლაპარაკით ჰირს არ აუენებენ.

ამ ქალთა კრებას გაიგებენ ჯეილი ბიჭები და ისინიც იქ მოიურიან თავს. დაიწყება ერთმანეთში კამათი, არშიყობა, ზოგის ქება, ზოგის — ძაგება. შეიძლება, ერთმა მეორეს სიტყვით აწყენინოს კიდეც, გაიმეტოს. ამ დროს მასპინძელი ჩაერევა მათ კამათში, ბიჭებს გააფრთხილებს, შეიძლება კიდეც დაითხოვოს ისინი.

ერთმა დედაკაცმა შეიძლება საქალაქოდ ერთდროულად 2-4 ასი ქუდი გაამზადოს და სადღეობოდ გაიტანონ გასაყიდად. მატულის ქუდებს ამზადებენ ფარჩაზე გადასაცვლელად და სასომხეს ეძახიან. თითო ქუდში აძლევენ არშინ ჩითს, ან როგორც მორიგდებიან.

ხუჭუჭა მატულისაგან ქუდი ბევრი არ მზადდება. ამ ქუდებს ამზადებენ დავალებით. გაეშმაკებული მეცხვარე ჰარსვაში ამ მატულს ცალკე ინახავს და სანახევროდ აძლევს კარგ ოსტატს. ზოგი აგროვებს და ჰყიდის.

ძალიან გულსაწყალებელი საკეთებელია ეს მატული. ხუჭუჭს საპნით რეცხავენ თბილ წყალში, თითოობით სჩეჩავენ ბწკილებით. სჩეჩავენ სუფთა ტილოზე, სუფთად აგებენ, რომ მურკლი არ შეეკვეს, ხორკლიანი არ გამოვიდეს ნაბადი. ერთი სიტყვით, ყველა საამისო ოპერაციებს აკეთებენ დიდი სიფრთხილით.

კარგ ოსტატ დედაკაცს ხუჭუჭი ნაბადი ისეთი გამოჰყავს, რომ წმინდა ვასტორში არ ირჩევა.

ქისტური ენა. თვით ენას რომ ვუწოდოთ ქისტური, სწორი არ იქნება, რადგანაც ქისტები იხსენიებიან მარტო XVIII საუკუნის ნახევრიდან. ჩაჩნური არ იქნება, რადგანაც ჩაჩნები იხსენიებიან XVIII საუკუნის დასაწყისში, არც ინგუშური, ეს სასელი ინგუშებს ხომ რუსებმა დაარქვეს XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ინგუშებმა მათ მორჩილება გამოუცხადეს. ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი კი უველაზე ადრე ცხოვრობდნენ მთებში. ისინი იუვნენ ღლიღვები — ღალღა-თერგალის უფროსი შვილის მოსახელენი.

მაშასადამე, ამ ენას უნდა ერქვას ღლიღური და არა ქისტური. ეს იქნება კუთვნილი სახელი ენისა, რაკი ჩვენ ჰირი გვაქვს შეჩვეული, უნდა დავუძახოთ „ქისტური", გავარჩიოთ ენა შემლებისდაგვარად.

ენა სმიანობით: ქისტური ენა ისეთი არ არის, როგორც თათრული. ძნელი ენაა, შინაარსით ღარიბი, ენის წვერითა და ტუჩებით გამოსათქმელი სიტუვები ცოტა აქვთ. ღრმად უელში სალაპარაკო და ძნელი გამოსათქმელია.

უელის უხმო ბგერები: ხ, უ, ღ, თუ უფრო ღრმად უელში არ გამოითქვა, თავის თავისებურებას კარგავს, უიმისოდ უცხოს შეეტეობა არა ქისტობა, თუ ეს ასოები სხვადასხვა სიტუვაში თავისებურად გამოითქვა, იცვლება სიტუვების მნიშვნელობა. მაგალითად ბეე — კვიცი, თუ ასო „ე" ღრმად თქვა უელში, აღნიშნავს რიცხვს 100; „ეეიგ" - კოვზი, ღრმად რომ გამოსთქვას „ეა" ნიშნავს ცოდო; უფრო ღრმად „ეეა" კი იქნება — შენ.

ენის სიღარიბე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი სიტუვა ორ-სამ რამეს აღნიშნავს, აზრის გაგება უჭირს მსმენელს. მაგალითად: ჭოკ ნიშნავს რიცხვს 3-ს და სასუქს, უსთ — ხარი, ცოლი, დედაკაცი. წე ცეცხლი, სახელი. დილხ ხორცი, დიიხ — ტირის ბალღი. შინარ მოზვერი, დეკეული, სამშაბათი. ჭიარ — ქვა.

ქისტური ენა არჩევს სქესს. მაგალითად, ტირის — მამრობითი ვიის, მდედრობით იის, დიის საშუალო. მოდის ვოოღ, იeოოღ, დოოღ. სუფიქსი უჩნდება თავში და არა ბოლოში, როგორც რუსულს.

საგანს ეველა ბრუნვა აქვს, როგორც რუსულს. ხოლო უღლებაში ზმნა უცვლელი რჩება, იცვლება ნაცვალსახელი ეველა დროში, მაგალითად მე ვაკეთებ — (შენ, ის) აასდო, ეადო, ცუადო. ჩვენ, თქვენ, ისინი — ოოხდო, ააშდო, ცაარდო. მომავალში: ადო ასდეირდა, ცარ დიარდა.

ჰატივსადები სიტყვები — მიბრძანდი, დაბრძანდი — ქისტურ ენაში არ არის. ქისტი ეველას ერთნაირად მიმართავს — დიდს, ჰატარას, უმცროსს, უფროსს. მიმართვის კილო თხოვნითია.

ადგილმა და ცხოვრებამ ქისტურ ენაში შეიტანა ცვლილება ჩაჩნური ენის, როგორც დაბლა-ბარად რუსებისა და სხვა ერებისა და მთაში დარჩენილი ქისტების ენას შორის.

ჩაჩნელთან ხამად შეხვედრილი ქისტი ლაპარაკში ბრკოლდება, ასევე, თუში ქისტთან ლაპარაკში. სიტყვის ძირი ენისა იგივეა, მოქცევა — გამოთქმა — ცოტა სხვანაირი. ზოგი სიტყვა გადასხვაფერებულია, ზოგი მთლად გამოცვლილი, ზოგი სხვა ენაში არეული. მაგალითად, ჩაჩნურად მზე არის მალხ, ქისტურად მაალხ, თუშურად მათხ. ჩეჩნურად ცხენი დინ, ქისტურად გოურ, თუშურად დოი, სიტყვის ძირი „დ“ უცვლელად რჩება.

თუშურად მათხ ლაფს დინ ნიშნავს მზემ დააშრო. ქისტურად — მაალხიმ ლოეაი — აქ ორივეგან ძირი „მ“ და „ლ“ უცვლელი რჩება. თუშურად ღმერთი — დაალ, ქისტურად დეელ. რომ დაიფიცოს, თუში იტყვის დააღემფარ, ქისტი — მოკლედ დეელერ.

ჩაჩანი ლაპარაკში ურევს ბევრ რუსულს, კალმიკურსა და სხვა ენებს, თუში — ქართულს. მაგალითად, მანდილოსანი კაცს სალამს

აძლევს – მაარჩვიოხოილ, კაცი უპასუხებს – დაალ გახარებად ვალაჰმ, დაალ – ღმერთი, მაგრამ გახარებად ვალაჰმ დამახინჯებული ქართულია.

თუშურ ლაპარაკში ქართული სიტყვებია: თუ, ხომ, მაგრამ, მითამ და სხვა. ასე, რომ ბოლო დროს, წმინდა თუშურს არავინ ლაპარაკობს.

წმინდა ქისტური შენახულია მთაში, ჯერჯერობით დუისელებშიც. რადგან დუისელებს არა ჰქონდათ დღემდე მისვლა-მოსვლა კახეთთან სარწმუნოების შეცვლის შიშით. თუმცა ქართულ სიტყვებს ესენიც ხმარობენ. მაგალითად, მეაზღარ – მოძღვარი, თუაფ – თოფი, ბაბათკვირა – ორშაბათი, ჰეერესკ – ჰარასკები.

ლაპარაკში სქესობრიობას თუშური ენაც არჩევს. თუშურად და ქისტურად თვლა ერთია, ხილოთ – ოთხი, ქისტურად – „დი", თუშურად – „ეთხ".

ერთ მოხუც წოვა თუშს ვკითხე: „ასი" და ვერ მითხრა დაფიქრების გარეშე. შემდეგ დაფიქრდა და თქვა: „ხუხა ფხომ ტეო" ე.ი. ხუთი ოცი. ქისტიც ასე იტყვის, თუმცა ასის საკუთარი სახელი ქისტურში არის.

ქისტი რომ თუშს დაელაპარაკოს, ის გამოვა, როგორც ხევსურმა შესჩივლოს ქართველ მაზრის უფროსს: „ნაჩალიკო, შენი კვნესამ, ხადილობაში ძროხან დამილივნება ხახთა". უფროსი ჩაფიქრდა და ეკითხება მოჩივარს – „რა არის, ბიჯო, „ხადილობა", „ხახთა"? ხევსურმა თავისებურად აუხსნა და უფროსი გააცინა კიდეც...

მწერლობა. ქისტებს, როგორც შენიშნავს *ლ. ზტერენბერგი*, არც ისტორია, არც ლიტერატურა და მწერლობა არ გააჩნიათ.

ამ საუკუნის 30-იან წლებში, ჰირიქით ქისტებში შემოუღიათ მწერლობა ქისტურ ენაზე, შეუქმნიათ ანბანი, გამოუციათ სახელმძღვანელო და გაზეთი.

ქისტს რომ ჰკითხო: — ვინა ხარ, სადაური ხარ? გიპასუხებს: ჰანკისელი, ჰირიქითელი, მაგრამ ჰირიქითელი საიდან გაჩნდა, ღრანტეებში? საიდან მოვიდა, რომელი მხრიდან, ვისია ენა, ვისი შთამომავალია, რა ტომს, რომელ მოდგმას ეკუთვნის, ვერაფერს გიპასუხებთ.

ასე, რომ ქისტი ადამიანი ციდან ჩამოვარდნილს ჰგავს.

არის ძალიან ცოტა ზეპირსიტყვიერება ქისტურად, რაც ავხსენით. მაგრამ განა ყველამ იცის და გეტყვის?! ერთმანეთში კი ერთობა აქვთ. რომ გაარჩიონ მარტო სახელწოდებით, ან სალხსა აქვს ადგილის სახელი, ან ადგილს — ხალხის სახელი.

ამ აზრმა, ერთ დროს, მრავალი დააფიქრა. მაგალითად, მაისტი მაისტელი, ჰანკისი ჰანკისელი, დუი დუისი, ჯოელა ჯოელო. თავი მოაქვთ გვარითა და შთამომავლობით.

მთხოვნელი, მაგალითად, მაისტელს ქალს არ მისცემს. თუ როგორმე გაბედა, უფრო მეტს ართმევს. ზოგი ქისტის სახელი მეტი ღირს, ზოგისა ნაკლები.

დიდი ხანია, რაც ეს თემი კავკასიის მთებს ახლო ბუდობენ. თუ მართლა ზღაპრული თერგალისაგან გაჩნდნენ, საიდან შექმნიდნენ წერა-კითხვას, ლიტერატურას?

თუ სხვა ადგილიდან მოვიდნენ და დასახლდნენ, ერთი მაინც როგორ არ მოჰყვათ ისეთი, რომ წერა-კითხვა გაეგრცელებინა ამათში?!

თუ არა და იმოდენა სიპ ლოდებზე მაინც არ გაჩსაპნა რაიმე, თუნდაც იეროგლიფურად, აღენიშნა თავისი ვინაობა, მოსვლა-დაბინავება და სხვა. იქნება მომავალი არ სწამდათ? უბრალო ნაკაწრიც არ არის, რომ ვიმედოვნოთ მწერლობაზე.

იუო ბევრი რამ ნიშნები და ეამთა ვითარებამ აღმოფხვრა?! ამის თქმა მნელია, რადგან იმ ბუნებრივ სიმაგრეებში ადვილად არაფერი დაიკარგება, არ წაიშლება. ჰირიქით არის სოფელი „წეენფჰა“ – ხატის სოფელი და იქ ეკლესია „ერდა“. როგორც *მაკალათია* გადმოგვცემს, ეს ეკლესია დათარიღებულია 830 წელს, მაგრამ არც ესა მჯერა.

სოფლებში კოშკები სიჰი ქვით ნაშენია, როგორც სვანეთში. შიშის დროს თავშესაფარი, აკლდამები ცოცხლებზე უსაეეარლესი მა-მა-ჰაჰათა ძვლებით, არც იქ მოიჰოვება რაიმე ნაშთი სიძველისა, ტიტველი ძვლების მეტი.

ქისტები ბუნებით ნიჭიერი ხალხია, მაგრამ მათი ნიჭი მწერლობის უქონლობით არა ჩანს.

მოლები ძალიან ეცადნენ არაბული მწერლობის გავრცელებას, მაგრამ დუისელებმა არ ინდომეს, ხოლო ზოგიერთმა ცოტა-ცოტა შეისწავლა და როცა ხელის მოწერა შესძლო, თავის თავს მოლა უწოდა.

მთელს სოფელში სუთ კაცს ეცოდინება ხელის მოწერა. ეს რომ ვინმეს უნდოდეს, თითს დაისველებს მელანში და სადაც უჩვენებენ, თითს იქ მიადებს და გასვრის. ეს არის მისი ხელის მოწერა.

წარსული საუკუნის დამდეგს, თათრის მოლამ გახსნა სკოლა დუისში, თათრის ბავშვები მორეკა, რომ მოეზიდა ქისტის ბავშვებიც. მათ ვითომ ასწავლიდა არაბულ წერა-კითხვას, მაგრამ ქისტის ბავშვებმა ვერ შეითვისეს.

არც მასწავლებელი იუო დიდი დახელოვნებული სწავლის საქმეში და სკოლაც ჩქარა დაიშალა, ხალხი იმ აზრისა იუო, რაში გამოგვადგება არაბული წერა-კითხვა, თუ ვისწავლით, ისევ ქართული ვისწავლოთო.

1891 წელს ქისტების სურვილს უურადღება მიაქცია კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ, რომელიც მეფის დროს არსებობდა ქ. თბილისში. 1000-ზე მეტი წევრის შემადგენლობაში *არქიმანდრიტ ლეონიდის* ინიციატივით გახსნეს სასოფლო სკოლა სოფელ ჯოელოში, სეობის შუა ადგილას.

სკოლის შენობა ჰირველში ფიცრული იყო. ვერც ერთი მხრით თავის დანიშნულებას წესიერად ვერ ასრულებდა.

ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ინსპექტორმა *ე. მამინეიშვილმა* გამოსთხოვა ხსენებულ საზოგადოებას თანხა, ზოგს ადგილობრივი მცხოვრებლები მიეშველნენ და 1899 წელს, მასწავლებელ *მ. ალბუთაშვილის* თავგამოდებული შრომით და გარჯით, აშენდა ხუთოთახიანი ქვითკირის სკოლა, რომელიც დღესაც გამართულად დგას და თავის დანიშნულებას ასრულებს.

ბავშვები სკოლაში დაიარებიან ეველა სოფლიდან, მაგრამ ზოგს მდინარე ალაზანი უშლიდა, ზოგს სიშორე, სიცივე, თოვლი, სწავლა ბრკოლდებოდა, თუმცა მასწავლებელ *მ. ალბუთაშვილის* ერთგულებით სწავლა არ წყდებოდა.

მაშინდელი ნამოწაფარნი ახლა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობენ. ზოგი სწავლას აგრძელებს, ზოგი აქვე მასწავლებლობს, ზოგი სხვა სამსახურშია. ერთი სკოლა მთელ ხეობას ვერა წვდებოდა, მერეღა მეფის მთავრობამ გახსნა კოშკებში ჰირველდაწყებითი სკოლა — 1913 წელს.

ჰანკისის ხეობა დიდ ბედში ჩავარდა. თითქმის ეველა სოფელში სკოლაა, აქამდე კერძო სახლში წარმოებდა სწავლა. სოფელ დუისში შენდება სკოლა.

აშკარაა, სწავლა და კულტურა მალე დაწინაურდება, ეველა დაბრკოლებას თავიდან ააცილებს. ნასწავლ ახალგაზრდობას ღანძილი-

ვით ამოშლის — ესაა მიზანი ჩვენი ხელისუფლებისაც. თუ აქამდე რჯულ-სარწმუნოების სწავლების შიშით და სალდათათ წაევანის გამო გაურბოდნენ სკოლას, ახლა სარწმუნოება განზეა და სალდათშიაც მიდიან.

ბავშვების ნიჯი, გონების სიდიადე იმედს გვაძლევს, რომ დუისი სწავლას ერთგულად დაეწაფება. ამას იქით მოზარდი თაობა, რომელიც სწავლობს, შემდეგ სელს შეუწეობს თავისი ერის დაწინაურებას სწავლა-განათლებით, კულტურით, შეაგრილებს მათ სარწმუნოებრივ ფანატიზმს და ძველებური მამაპაპურ ტრადიციებს.

რელიგია. დუისელები ამჟამად მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებენ. ქრისტიანულ ჩვეულებას, რომელიც გამაჰმადიანებამდე ჰქონდათ და უსრულებიათ. მაინც კიდე არა სთმობენ.

დღემდე დიდ დღესასწაულად აქვთ დარჩენილი: „ნიჯუაი", „ოოღუა" და „სინი", რომლებიც ეთანხმებიან ქრისტიანულ დღესასწაულებს: შობას, აღებასა და ახალ წელს, ნათლისღება-წეალკურთხევას.

მდინარე ალაზნის ჰირად აშენებული იუო ჰატარა სამლოცველო „ნიში". გადმოსახლების ჰირველ ხანაში დუისელებს იქ ხატი ჰქონდათ თან მოტანილი „მაისტალას" სახელწოდებით ე.ი. მაისტის ხატი, რომელიც სწამდათ ომის ღმერთად — წმინდა გიორგისაც ეძახდნენ.

ეს ხატი იუო ხის ქანდაკება მთელი კაცისა თუ ბალღისა, მთლად ვერცხლით შემოსილი, ხელში ხმალი ეჭირა. ლოცულობდნენ თავიანთ დღესასწაულებში. ბოლო ხანებში დაიკარგა ის ხატი (მე მგონი, ვერცხლის გულისათვის მოიპარეს). იქ ლოცვასაც თავი მიანებეს. შემდეგ ზოგი ბალთაგორში ლოცულობდა.

ასეთი ხატები ჰირიქითაც ჰქონდათ და ლოცულობდნენ კიდეც, როგორც იქიდან გადმოსახლებულები გვიამბობენ.

დიასახლისი, თავის სადღესასწაულო მომზადებულ სუფრას უსათუოდ ჯვარს გადასახავს, კერას – ასტამით, ქადას – დანით, სხვა საჯმელს – მარილით და მოიხსენებს მიცვალებულებს, ძველსა და ახალს.

ჯვრის გადასახვა დედაკაცებმა იციან სხვა დროსაც. დედა ბავშვს აკვანში რომ ჩააწვენს, აკვნის თავზე ან მის ხიდზე გაშლილი ხელით სამჯერ დასახავს ჯვარს. ქალს რომ თმა დაუწნას, აგრეთვე ჯვარს დასახავს – „ჯუარ დინო“. კაცები არ ასრულებენ ამას.

ჯოელოელი ქისტი ბედოკა მაქვანი იტუოდა, ოოღუას მერე ე.ი. აღებას მერე – ერთი მარხვა ვიცოდით, ჩიტი რომ მოგუეკლა, არ შევჭამდით, მანამ არ გახსნილდებოდა. დაკლულს მარილს წავაურიდით და მაღლა შევდებდით. მარხვას ახლაც ქართულად ასსენებენ „მაარს“.

წარსული საუკუნის გასულს დუისელებმა უფლება მიიღეს მეჩეთის აშენებისა. იმ ცოტა ხანში სარწმუნოების თავისუფლებაც გამოცხადდა მეფიდან. დუისელები სიხარულით ცას ეწივნენ. თან მოჰყვა ჰირიქით ქისტებიდან და ჯარ-ბელექნიდან სექტა „მიურიდიზმი“.

ამან ხელი შეუწყო მაჰმადიანობის გავრცელებას. სექტის მეთაური ჰირიქით ქისტებში იყო ქენთ-აჯი, ჯარ-ბელექანში ისა-ეფენდი. სექტა დღესაც მოქმედებს დუისში, მხოლოდ ფარულად.

„მიურიდი“ სპარსული სიტყვაა, ნიშნავს მოწაფეს, შეგირდს, აქედან მიურიდიზმი, სექტაა ანუ სკოლა, რომელიც ასწავლის რჯულს, ცდილობს სარწმუნოების განმტკიცება-გავრცელებას და სხვა, „გიურთა“ ანუ არამაჰმადიანურ რელიგიასთან შუღლს, მტრობას და ბრძოლას.

მატიანე გადმოგვცემს, რომ „მიურიდიზმი“, 1828 წელს, კავკასიაში მოლა მაჰმადს შემოუტანია ქრისტიანობასთან საბრძოლველად. მას აქეთ ეს სექტა მოქმედებს დაღისტანში (გროზნოს ოლქი), ხოლო ჰანკისის ხეობაში არ გაგონილა.

განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ, 1905 წელს, გროზნოდან დასტა მოლები მოვიდნენ და შეუდგნენ სექტის დაარსებას. 1908 წელს მოლებმა საქმის საწინააღმდეგოდ შემოიღეს „თუობა“ ე.ი. ფიცით შეთანხმება.

სექტების მრევლის მოწაფეთაგან შექმნეს სკოლა და სახელს ეძახდნენ „მიურიდებს“. სექტაში შედიოდა ადამიანი ველა ასაკისა — მოხუცი და ახალგაზრდა. მიურიდები, 15-20 კაცი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ფეხით თუ ცხენებით ჩადიოდნენ მთელს ხეობაზე და ეკიროდნენ ერთხმად: „ლა-ილაჰ-ილ-ალაჰ“. ვისაც უნდოდა ნამდვილი და მტკიცე მიურიდი ეოფილიეო, ის, მიურიდის თხოვნით, ჩაჩანში უნდა წასულიეო და იქ კურთხეულიეო.

კაცი-დედაკაცი, რამდენიმე წუებად მიდიოდნენ ჩაჩანში, ბლომა საჩუქრებით, შესაწირავით თუ სანოვაგით. იქ, სექტის უფროსი უმარჰაჯი მიურიდებს ჯერ თაუანს აცემინებდა საკურთხეველს თავის წინა, მოადგილის შეიხ-ქუნთ-აჯის დედის საფლავზე, მერე დალოცავდა, დაარიგებდა, დააფიცებდა ერთგულებაზე და ისე ისტუმრებდა მათ ჰანკისში სამიურდო ასჰარეზზე. [1]

მიურიდებს ჩქარა უფროსიც მოუვიდათ ზაქათლის ოლქიდან — ლეკი შეიხ-ისა-ეფენდი. თან ახლდნენ ახატლის მოლები. დეისელები

[1] ნამდვილი და წესიერი მიურიდის მოვალეობაა მუდამ დღე და ღამე, ზამთარ-ზაფხულ, შინ თუ კარში ერთგულად ასრულებდეს ხჯულის მოვალეობას. არაფრის გულისთვის არ უნდა გააცდინოს ლოცვა. უნდა მარხულობდეს და კითხულობდეს ყურანს. არ წარმოსდგეს მისკენ არავითარი ცუდი ქცევა. ეველაფერში უმადლოდეს ღმერთს, იმის იმედი ჰქონდეს, მისი შველა-შეწევნისა. თავისი კეთილი ცხოვრებისათვის არა დროს არ დაემეარეს კერძო საშუალებას, არამედ ჰქონდეს მხოლოდ იმედი ღვთისა, ავადმეოფი თუ კარეადმეოფი მუდამ ახსენებდეს და ეევარდეს.

და სხვა ქისტები აღტაცებით შეხვდნენ მათ, წვეულება გაუმართეს, მათ რჩევა-დარიგებას გრძნობით უსმენდნენ. [1]

ისა-ეფენდი დუისიდან სხვა სოფელში გაიწვიეს და მას მიურიდები უკან დასდევდნენ ლა-ილლახის სიმღერით.

ისა-ეფენდი, როგორც თვითონ გვიამბობს, მეცხვარე კაცი ეოფილა. ეს მიურიდების ბელადი, მეორედ რომ მოვიდა ჰანკისში, კიდეც მოკვდა და მკვდარი წაიღეს. სადაც ის მოკვდა, ხალხი ლოცულობდა. მიურიდები და სხვა ხალხი კაი ხნობამდე იქვე „ძიქარს“ მართავდნენ.

მიურიდები, გარდა იმისა, რომ სოფელში ჯგუფ-ჯგუფად ადი-ჩადიოდნენ, უანგარიშოდ ლა-ილახის ყვირილით მართავდნენ ცერემონიებს, ლოცვას სახლებში, მეჩეთში, გარეთ, მინდორში, რომელსაც „ძიქარს“ ეძახიან.

ისა-ეფენდის მოსვლით მიურდები ორად გაიყვნენ, ალბათ, უფროსის ახსნა-განმარტებით. ერთი ჯგუფი იეო ჩაჩანში ნაკურთხები, მეორე — ლეკებში. ე.ი. უმარ-აჯისტები და ისა ეფენდისტები.

უმარ-აჯისტები, როგორც ქუნთა აჯის დედის საფლავის თაყვანისმცემლები, თავიანთ თავს მეტად თვლიან, იერუსალიმში ნამეოფებად მოჰქონდათ თავი. ისა-ეფენდისტები რჯულის მოწინააღმდეგედ თვლიდნენ. ამას აყვედრიდნენ და სწამებდნენ სარწმუნოებრივ ღალატს.

უმარ-აჯისტებმა „ძიქარის“ შესრულების დღედ ხუთშაბათი საღამო და ჰარასკევი ამოირჩიეს. ისა-ეფენდისტებმა — კვირა საღამო და ორშაბათი.

---

[1] ისა-ეფენდი წარმოსადეკი, ახოვანი კაცი იეო 40-50 წლისა, კოხტად ჩაცმული, ლამაზი, ორი ცოლი ჰყავდა. მას სახწაულებს აწერდნენ. ეტლში რომ მჯდარიეო, თუ არ ეწადა, ოთხი ცხენიც ვერ დასძრაკდა და სხვა.

მიქარის შესრულების წესი ასეთია: უმარ-აჯისტი ქისტები 10-15 კაცი მეტნაკლებიც არის, უფრო ერთი კბილისა, წრეს შეჰკრავენ სახლში, მეჩეთში ან ეზოში, ფეხზე დგანან წელში მოხრილი, სცემენ ტაშს, თან წრეს ადგილზე მძიმედ ატრიალებენ, თან მძიმედ, მშვიდად დასძახიან ლა-ილახ, ლა-ილახ, მერე თანდათან ხმა მაღლდება და მძლავრდება.

მოკარნახე მოლა ან უფროსი მიურიდი წრის შუაში დგას და ისიც ტაშს უკრავს და თან კარნახობს ისეთი მწვავე სიტყვებით, რომელიც მათ გულს მოხვდება და ააღელვებს ურწმუნოთა ე. ი. ქრისტიანთა წინააღმდეგ.

მოკარნახისაგან, რამდენადაც გულზე მოსახვედრებელ სიტყვებს გაიგებენ, მიურიდები ბრაზით შეჰყვირებენ, ტაშს მაგრად შემოჰკრავენ, წიხლებს იქნევენ და ხტიან. როცა მოკარნახე დაუძახებს „დათუახ“ ე.ი. დაკაო — დამბაჩასაც გაისვრის იქვე, ფეხებში ერთს ან ორს. მეჩეთში წავლენ, ან შევლენ სახლში მილოცვის სახით.

მიურიდები მიდიან მწუობრით, მოკარნახე გვერდზე მისდევს მათ. შეიხი თუ ჰყავს (თუ არა და ჰაჯი), გამოვა, მიესალმება მიურიდებს, დალოცავს, უსურვებს გამარჯვებას და სარწმუნოებაში განმტკიცებას. მიურიდები ჰაჯის კარზე ან სახლში, თუ ისურვებს, ძიქარს შეასრულებენ და დაიშლებიან.

ისა-ეფენდისტი მიურიდები აკეთებენ წრეს სახლში ან მეჩეთში დაბლა დამსხდრები. ტაშს არ უკრავენ.

მოკარნახე თეთრ ტანისამოსშია ჩაცმული, თეთრი ფაფახით, შუაში ზის სკამზე. ის რომ თავისებურად დაიწყებს კარნახს, მიურიდები ლა-ილახს მღერიან ერთ ხმაზე, თავს იქეთ-იქით იქნევენ ჯერ მძიმედ, მერე ძლიერად, ჩქარ-ჩქარა. კარნახის გულსაწვავ სიტყვებზე „ილლაჰს“ მარდად, შეტევით ამბობენ.

ზოგი მიურიდი მთელი ტანით ფეხებამდე თევზივით ფართხალ-ებს, ხტის, თრთის და ბორგავს, ახტება და დაეცემა, მანამ გული არ შეუღონდება, ზოგი ტირის, სლუკუნებს.

რომელსაც გული შეუღონდება. იმას ამხანაგი მიეშველება და აბ-რუნებს. როცა ჩაოსდება, გაჩერდება, ერთ საათს, ან ნაკლებს, თით-ქოს მოკვდაო, მერე ნამძინინარევი წამოდგება, გაშლილ ხელს ჩამოის-ვამს, ჯიბიდან კრიალოსანს ამოიღებს, რომელსაც მიურიდი ყოველთ-ვის ატარებს, რამდენჯერმე ასთვლის. ამაზე იტყვიან „შაეყა“ მოუვი-დაო ე. ი. მაჰმადს შეუერთდაო.

მიურიდები ირწმუნებიან, რომ ის მიურიდი იმ დროს ვერაფერსა გრძნობსო, როგორც მკვდარი, რადგანაც სული ეურება ხორცს და დროებით გადადის საიქიოს. „შაეყა“ ყველას არ მოუვა. მათივე რწმე-ნით, იმას მოუვა, ვისაც ღმერთი ამოირჩევსო და სურს „შეიხი“ ე. ი. წმინდანი გახდესო. მეტი თავის ქნევით, ბორგვით, აქეთ-იქით ხეთქე-ბით კი მოსდით, ნამეტანად იმას, ვინც სუსტია და სისუსტნაკლული.

როგორც სპარსელები შახსეი-ვახსეის თვითგვემის ამბავზე, ისე უცხო ადამიანი გაოცდება მიურიდების „ძიქარზე“, თვალებს არ დაუ-ჯერებს და რომ მოისმენს, იტყვის: — „ახ, სად ხარ, ჯკუავ, ოხერო...“

რამ უნდა გაიტაცოს ადამიანი ამ სისულელემდე?! განა ერთხელ შეხტება და დაეცემა ფიცარზე? მანამ სიქა არ გამოეცლება. ბევრჯერ გახურებულ თავის ქნევაში თავებს ერთმანეთს დააჯახებენ გაზაფხუ-ლის ეოჩებივით.

სახლში, კარდახშულში, სადაც მიურიდები ძიქარს აკეთებენ, სა-შინელი ხმაური, ბრახა-ბრუხი, ღრიანცელი დგას. ადის: მტვერი, ბუქი, კორიანტელი, რომ აღარც კი სჩანან.

გამოვლენ გარეთ, დაღლილნი, დაწუვეტილნი, დაქანცულნი, გა-ფითრებულნი, როგორც მთელი წლის ნაავადმეოფები. ბევრი მიური-

დი დასნეულდა ფილტვებით, ზოგი დაქარიანდა, დაფუშიანდა, ზოგს ჭლექი გაუჩნდა.

პირველად მიურიდად ხნიერიც იო, მაგრამ შემდეგში თავი მიანება, ზოგმა ჯეილმაც, რაკი ვერ შეძლეს. გამოსულები ისევ მიურიდებად ითვლებიან, რაკი ავადმყოფობამ აიძულათ.

დედაკაცები მიეჩვივნენ „ძიქარის“ კეთებას. მათი საძიქარე სახლი წითელი ალმით იყო აღნიშნული, ქალები ზოგი უმარ-ჰაჯის მეთოდით აკეთებდა „ძიქარს“, ზოგი ისა-ეფენდის.

მიურიდები ამ „ილ-ალაჰს“ გაიძახიან ერთსმად მეჩეთში, სასაფლაოზე, მიცვალებულზე, სამუშაოზე, გზად მიმდინარი, ჯირში და ლხინში, მხოლოდ სხვადასხვა კილოზე.

უნდა ითქვას, რომ ამ სექტამ ძალიან ასწია დუისელების ფანტაზია. ჰატარა ბავშვებიც კი ძიქარს აწარმოებენ. მინდორში კრიალოსნები თითქმის უველა ქალს ეკიდა უელზე და გასძახოდნენ ერთი მეორეს: „დოულ, ღოვიეი სელხანაშ ხაუძვეი“ – „წავიდეთ კრიალოსნები ვათამაშოთო“.

ნაცნობი ერთი მეორეს რომ სამად შემოხვედროდა, მარჯვენა ხელით ხელს ჩამოართმევდა, მარცხენას ერთმანეთის ტანზე შემოხვევდნენ და ერთმანეთს გულზე მიიკრავდნენ, ეს იო მათი გულითადი სალამი, ხოლო ქრისტიანის დანახვაზე თავჩაღუნული გაივლიდა, ჩუმად ან გადააფურთხებდა. [1]

ამ სექტასთანაა დაკავშირებული „თუობაც“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქისტი ადამიანისთვის. „თუობა“ ქისტური სიტყვაა და ნიშნავს კაცის ფიცით შეკვრას, ანუ შეჯიბრს.

---

[1] ჯეილი ქალები „ლა ილაჰის“ სიმღერაში მიურიდებს ქებით იხსენებენ. „ჰეი ჰაჯინ მიურადშ, დელერ ბაშ დიქ უუნახაშ, ჰაჯინდ დიქელ, ვეინ დიქოლ დაალ ბითელბ ვეინ აზაშ“.

ჩვენ უკვე შევეხეთ ერთ ადგილს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფიცს. ცსადად თვალწინ ცხენი რომ ააცალო და მერე გინდა გიცნოს, თუ დაუფიცე, მე არ წამიყვანიაო, დაეჯერება. თუ დაგიფიცა, შეკაზმულ ბედაურ ცხენს გაჩუქებო, უარს აღარ გეტყვის, უსიკვდილოდ შეგისრულებს.

ამ ხასიათით სარგებლობენ მოლები. მიურიდებს მოჰყავდათ ისინი თითოობით, ზოგი ძალითაც და აძლევდნენ ფიცს — არ დაელია მათრობელი სასმელი, არ ეჭამა აკრძალული საჭმელი, წმინდად შეენახა თავისი რჯული, სდევნოს ურწმუნო ე.ი. ქრისტიანი, დაიცვას განწესებული ლოცვა, მარხულობა და იეოს ერთგული, მხნე და წმინდა მიურიდი, თუ უნდა შეიხი გახდეს. [1]

დაჰქროლა სოციალიზმის ქარიშხალმა და გაჩაღებულ მიურიდიზმს სეობაზე ფრთები შეჰკვეცა. ჯერ ქუხილით დაემუქრა მათ, ვინც რელიგიას დაემონებოდა. მიურიდებმა ეურები ჩამოეარეს, სადღაც მიიმალნენ, მიხვდნენ, რომ „თეობას" ტეუილად აკეთებდნენ, თავის ტვინს იწეალებდნენ. ისიც გაიგეს, ხეირი სად იეო, ახლა კომსომოლობა და კოლექტივია მათი „თეობა".

ჩვეულებრივი სხვა ლოცვები მათი: — საგანგებოდ და სადღესასწაულოდ გამოჩენილი რელიგიური წესი დეისელებისა, როგორც მაჰმადიანებისა, მათი ლოცვისა და ვედრებისა „ძიქარისა", ხოლო, ჩვეულებრივ, ლოცვა მათი კიდევ სხვა არის, თითქმის ეველა თუ არა, მეტი წილი კაცი, დედაკაცი, დღეში ხეთჯერ ლოცულობს ანუ რო-

---

[1] 1908 წლიდან, საერთოდ ჰანკისის მაჰმადიანების რელიგიურმა აღმაფრენამ ცას მიაღწია. მუსლიმანები თამამად ჰარჰაშებდნენ. ახლადმონათლულები გაწბილებული და თავჩაღუნულები დადიოდნენ და ნანობდნენ რჯულის გამოცვლას, ზოგი კი მიურიდობასაც ცდილობდა. ერთი სოფლიდან 15 კაცმა თხოვნაც კი გაგზავნა მაჰმადიანობაზე გადასვლისა. მაჰმად-მიურიდებმა არ იჰარჰაშეს დიდხანს.

ორც თვითონ იტუვიან, ნამაზს აკეთებენ – „ლაამაზადო“ დილით, მზის ამოსვლისას, ე.ი. დაახლოებით დილის 9-10 საათზე, შუადღისას, საღამოზე და შებინდებულზე – დაწოლის წინ.

ჰატარას, სავაქეთს წინადაცვეთას უსრულებს მოლა ან მისი მოადგილე. ეს უსრულდება მარტო მამათა სქესს, შობიდან მეცხრე-მეათე წელს.

„ნამაზის“ წინ, მორწმუნემ ყოველთვის უნდა დაიბანოს თავ-ჰირი და მკლავები იდაყვებამდე. თუ შეირია ე.ი. თუ მოშარდა, ან ფეხის ადგილს იყო, თუ ქრისტიანს ხელი ჩამოართვა და სხვა, ისევ უნდა დაიბანოს.

12-13 წლიდან, თუ ნათლია ჰყავს, ის ჩაიწვენს კალთაში ბიჯს, მოლას მზად აქვს წესის შესასრულებელი იარაღები: დანა, ჩხირი, ნაცარი. ჩხირს შეუყოფს მოსანათლს ჩუჩაში, იმას კარგად გადმოსწევს ჩხირზე და დანას შემოუსვამს, ზედ კი ნაცარს დააყრის. ამით მორჩა წესი.

ამ დროდან ისიც მოვალეა „ნამაზი“ აკეთოს. სიცივეში ლოცულობს სახლში, თუ არა ცივა, მდინარე ალაზნის ჰირად ან წისქვილის რუვზე ჰატარა ადგილია მოწყობილი სიჰი ქვით, საკუთარი ან საგვარეულო, რომელზედაც დადგება და ილოცებს.

მორწმუნე კაცი ფეხთ გაიხდის და დაიბანს, ქვეშაც გამოიბანს, დაიმკლავებს იდაყვებამდე. ჩამოცუცქდება წელის ჰირზე, დაიბანს ჰირსა და მკლავებს, შემდეგ დადგება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ფეხებს კოსტად შეატეუჰებს, წელში გაიჯიმება, გაშლის ხელებს, ჯერ ყურებზე მოიფარებს, მერე გულზე დაიწყობს და მერე ლოცვას დაიწყებს: „ბიისმიილაჰირაჰმანი რაჰიმიდ და ბისმილააჰირაჯმანი რაჯიმ“ და „ბისმილარი რაჰმანი რაჰიმ“ სხვა. თან მუხლს მოიყრის და იტუვის – „ალლაჰ აქბარ“ სამჯერ დააყოლებს. ამას გაიმეორებს რამდენჯერმე.

ლოცვას რომ რჩება, დაჩოქილია, ამოიღებს კრიალოსანს, დასთვლის რამდენჯერმე, აკოცებს და ჩაიდებს ჯიბეში, ჩაიცმევს ფეხზე და ადგება. ლოცვაც ორნაირი აქვთ — დიდი და ჰატარა. ახალი მოსწავლე ასრულებს ჰატარა ლოცვას, დიდი — დიდს. მოლის ლოცვის დროს თუ ვინმემ გაუარა, ნამეტანად ქრისტიანმა, ლოცვა გამიფუჭდაო, ისევ თავიდან უნდა დაიწყოს, თუნდ ეს რამდენჯერმე მოუხდეს.

ავადმეოფი. მიურიდებმა დუისში მიცვალებულის დამარხვის წესი ძლიერ გაართულეს.

თუ ოჯახში ვინმე გახდა ავად, ავადმეოფისათვის არავინ ზრუნავს, არცა სცდილობს ექიმ-წამალს, მორჩენას. ასეა, მანამ მოკვდება.

ზოგი ლაპარაკობს, ეკვირის, ახველებს. კაცები „მახორკას“ სწევენ, სახლში ნისლი სდგას ბოლის. იმდენად□დამძიმებულია ჰაერი, რომ კარგა მეოფები ვეღარა სძლებენ და რიგ-რიგით გარეთ გამოდიან სუფთა ჰაერზე.

ავადმეოფი სწუხდება, კვნესის, ახველებს, აქეთ-იქით ბრუნდება, ვერაფერი გაუწყვია. არავინ არის, მის გარემოებაში რომ ჩაერიოს. ჩოჩქოლი მისთვის უფრო მომაკვდინებელია.

ერთი მოხუცი დედაკაცი მისჯდომია სნეულს ეანერატოში და შესცქერის მას. ძველი ხელსახოცი უჭირავს და ადლს უზომავს, თან რაღაცას დუდუნებს, ამთქნარებს. ხელსახოცით აზმანებს და ხან მოკლე გამოჰეავს და ხან გრძელი.

მოხუცს უნდა, ხატის მიზეზი რამე გამოჰგვაროს ავადმეოფს და მით — ორივე ფილტვის ანთებით ლოგინში ჩავარდნილი სნეული, სიკვდილს გადაარჩინოს. ამასაც არ აჯერებენ.

ერთი მოვიდა, სჰილენძის ვებერთელა ქვაბი, რომელშიც ავად-მეოფი შიგ ჩატეოდა, თავზე შემოავლო და შეინახა; იმის საფასურად მერე ცხვარს იეიდდა და ხატში დაჰკლავდა, ან საეუას [1] გააკეთებდა (გასცემდა). მეორემ თეთრი ფული შემოავლო და შეუნახა. მესამემ ზედვე შეაბა მაჯაზე ჯკდე. [2] სხვამ ისევ წამალი რამე ურჩია, თანაც აქეთ-იქიდან დაილაპარაკეს: „დითალაშ, თოო, დეელ იაზდინერგ მეჰუმა ხიარგდააც!" თავი დაანებეთ, ღვთის წერის მეტი არაფერი იქ-ნებაო!

ბოლოს, ექიმის მაგივრად, ისევ მიურიდებს შეატეობინეს, რომ მისულიეკნენ და სნეულისთვის საევდრებელი „ძიქარი" შეესრულები-ნათ. მიურიდები ჩქარა შეიკრიბნენ, სნეულის გარს წრე შეკრეს და იწეეს ძიქარი: ღრიანცელი, ხტუნვა, მტვერი. სნეულსაც მეტი აღარ შეეძლო და გადარჩა წამებას.

ასე განაგებენ დეისელები სნეულის ბედ-იღბალს, მანამ ის სულს დალევდეს. მერე გაციებასაც აღარ დააცდიან, დამარხვას შეუდგებიან.

მიცვალებულის დამარხვა. მზემ თუ ჩასვლა მიცვალებულს არ და-ასწრო, დილით გარდაცვალებული, შუადღემდის მზად არის დასამარ-ხავად.

გამიწებული გვამი, საცვლების ამარა, მთლად გახვეულია თეთრ სუდარაში. წელზე, თავსა და ბოლოს შეკრულია უბრალო ჩანახევით და ასეა დასვენებული დაბლა, დედამიწაზე.

ადრიანად ცხენით კაცია გაგზავნილი ნათესავთა და სხვათა შესატეობინებლად. იმ დღეს მთელი სოფელი მუშაობაზე ხელს იღებს.

---

[1] საეუას ეძახიან რასაც სამადლოდ გასცემს ან მთელს ან ნაწილს.
[2] ჯკდე ანუ ნიშანი ხატში წასაეუანი.

ხალხი — კაცი, დედაკაცი, ქალი, — დაუყოვნებლივ იწყებს მოდენას, როგორც სკაში ფუტკარი.

დედაკაცები, ყველა მოტირალია. რომ მიუახლოვდებიან მიცვალებულის სახლს, შორიდანვე იწყებენ ზარით ტირილს. ერთი მოთქვამს და სხვები გრძლად და მძიმედ ბანს ეტყვიან, ზოგი თავში იცემს, ზოგი ჰირს იღადრის და ჩამოსდის სისხლი.

ეზოს კარებთან ამათ შინაურები შეხვდებიან ისევ ტირილით. იქ ტირილის კილო შეიცვლება. აქედან ერთი ისევ მოსთქვამს, ზოგიერთი ორივე მუშტებს გულზე ირტყამენ და თან ერთხმად დასძახებენ „ვადადაო“ — ვაიმეო.

ასე, შინაურები უკუღმა-ზურგით, მოსულები ჰირდაჰირ ნელის ნაბიჯით უახლოვდებიან სახლის კარებს. აქ ყველანი — 15-20 დედაკაცი — შეკრავენ წრედს, მთქმელი-მოკარნახე — წრის გარეთ რჩება, თან მოსთქვამს და თან თვითონაც გულზე მუშტებს იცემს. სხვები ნელის ნაბიჯით წრეს უვლიან, გულზე მუშტებს იცემენ და დასძახიან — „ვადადაი!“

როცა მოიღლებიან, შევლენ სახლში და ისევ ზარით იწყებენ ტირილს. [1]

დედაკაცებს ტირილს არც კი აცლიან მიურიდები, შემოეხვევიან მიცვალებულს და გასვენების „ძიქარს“ გაუმართავენ.

ამდენს ხანს არც სხვა ხალხია მუქთად. დილიდანვე ზოგი შეშაზე წავიდა ურმით, ზოგი მინდორში საკლავებისთვის, დედაკაცები ჰურის საცხობად, 3-4 კაცი ტეეში წავიდა მუხის ფიცრებზე და 7-8 კაცი - სამარის გასათხრელად.

---

[1] ასეთი ტირილის წესი მიცვალებულზე ამ ბოლო დროს მიივიწყეს. ქმარსა და ჰატარა შვილს-ძუძუთას, დედაკაცი ხმით არ დაიტირებს, სცხვენია!...

ქისტები ასე მარჯვობენ — სამარის გაჯრაში კაცს ღმერთი ხელს არ უმართავს და ამიტომ ამ საქმეს ბევრი ხალხი უნდა.

შეშა მოიტანეს, გრძლად ცეცხლი დაანთეს, თავსა და ბოლოს ორეამაზი ბოძები დასჯრეს, ზედ მომცრო ძროხა გადასდვეს, ერთი საარეე დიდი ქვაბი მთლად მოუკალავი, სხვა მოზრდილი ქვაბები წულით შემოავლეს, 9-10 სული ცხვარი და ძროხა მოიუვანეს დასახოცად.

რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭს დათითოებული უჭირავთ ხელში ცხვარი და ძროხები, ელოდებიან დამკვლელს. აქ უფროსი ხალხი ერევა საქმეში და ცდილობს რამდენიმე სული გააშვებინონ, არ დახოცოვო. ცდილობა მათაც ხან უსრულდებათ და ხან არა.

ხელათ დაღადრეს ეელები 10 სულ ცხვარს, ერთ ძროხას, ასოასო აკუწეს, ძროხა ჩაეარეს საარეე ქვაბში, ცხვარი მომცროებში, მთელი გაურეცხავი ხორცი, ცოტ-ცოტა ქაფი მოხადეს და ისე ადუღეს.

ცხვრის თავ-ფეხი იქვე დატოვეს, შიგნეული დედაკაცებმა მდინარეზე გარეცხეს და ეველა ერთად — ხაში და თავფეხი — ჩაეარეს მოსასარშად.

9 საათი იქნებოდა, მესაფლავეებს სადილი წაუღეს. იქიდამ ამბავი მოიტანეს — სამარე მზად არისო. ორ გრძელს სარზე საბელი გაბ-გამოაბეს, ზედ წამოსასხამი ნაბადი გადააფინეს და ასეთ საკაცეზე მიცვალებული დაასვენეს.

წინათ ერთად მოდიოდა წინამძღოლით, ათიოდე კაცი (დედაკაცები არ მისდევენ) მიცვალებულს, ჩუმად გაარბენინებდა, ჩუმად დამარხავდა და ისევ ჩუმად დაბრუნდებოდა, ეხლა, 20-30 მიურიდი ლა-

ილაჰის ორწუებად ძახილით მიაჩქარებენ მიცვალებულს იმ რწმენით, რომ სამარეში ანგელოზი ელოდებაო! [1]

გვამი ჩაუშვეს სამარეში, ქვეშ თეთრი ლეიბი გაუშალეს, იმაზე დააწვინეს გვერდზე, ჰირშექცევით — ერთი მხრიდან, ფიცრები ააფარეს და მიწა მიაყარეს.

მიცვალებულს მიწა არც კი დაჰყრია. თავთანაც ფიცარი დაატანეს სამარის მაღლა ამოცილებით, თეთრი ლეიბის ჩანახევი ზედ შემოახვიეს, სამარეს წყალი გადაასხეს და უკან დაბრუნდნენ.

სანამ ესენი მოვიდოდნენ, მზარეულები თავისას ეცადნენ. კირკაკად მოხარშული უმარილო ხორცი ჩანგლებით ამოეარეს, წვრილად მაშინ დაკუწეს. ხუთ-ხუთი კაცის წილობად დაანაწილეს და გარეთ ეზოში დაწეობილ ფიცრებზე დაამწკრივეს, ჰურიც მიაყოლეს. თითო წილობას თითო ჯამი მარილიანი ძროხის წვენი დაუდგეს — ამას „ბიერჰუმას“ ეძახიან.

ხალხი რომ მოვიდა, მოქუჩდა, ზედამდეგლებმა (მაქალათებმა) — დაიძახეს: „ეო სოუ ვეი ვანას“ (დასსედით!)

ხალხი დასხდა — თავში უფროსები, მიყოლებით — უმცროსები. თითო წილობას ხალხი ყველა თითო ლუკმას ხორცს იმ თავიანთ ჯამში აწებს და ისე მიირთმევს.

დასაფლავებაზე დედაკაცები აქ ჰურს არა სჯამენ — არა აქვთ ჩვეულება — თავიანთი წილი კალათით შინ მიაქვთ. შემდეგს რიგშივე სჯამენ, თუმცა თავიანთ ნარჩომი მაშინაც კალათით შინ მიაქვთ.

---

[1] შუადღისას გარდაცვლილსაც იმავე დღეს დამარხავენ, არ დატოვებენ. ვითომ სულთამხუთავი აწვალებს მას — ჯერ ჰირველად სულის ამოსვლაზე, ახლა შიგ, სამარეში და ღამეც რომ სახლში დარჩეს, უფრო გასტანჯავენ... ნათესავები მანეთს ან მეტნაკლებს მიუტანენ მიცვალებულის ჰატრონს.

ქისტების მკვდარს მარტო ეს არა ჰეოფნის. გარდაცვალების წლისთავზე ან შემოდგომაზე იციან ზოგი, თუ სახელიანი ვინმეა და შეძლებული ოჯახისა, იმას დოღს უმართავენ... მიცვალებულზე დოღი საერთო ჩვეულებაა მთის ხალხისა, ქისტისა, ხევსურისა, ოსისა და სხვა. აგრეთვე, სამგლოვიარო თმის მოშვება.

დოღი. მიცვალებულზე დოღი შემოდგომას იციან, მთლად სშირად არა. ვისაც შეძლება აქვს, ან ვისაც თავის მიცვალებულზე ძალიან გული შესტკივა. დედაკაცზე დოღი არ იციან.

მეცხედრე ერთის თვით ადრე ემზადება ამ საქმისთვის. ჯერ ცხენები უნდა აღირიცხოს კენტად 9-11-13 და სხვა. ვისაცა სურს ცხენი გაურთოს დოღში, ის სთხოვს ან ატყობინებს ამაზე ჯირისუფალს; ჯერ ნათესავსა აქვს ამის უფლება.

ნათესავის ცხენი თუ საკმარი არ იქნება, გარეშესაც შეუძლიან ჩააყენოს, თუმცა მჯობი ცხენი თუ ვისიმეა, ნათესავები ზოგჯერ მალავენ ცხენს ჯობნის შიშით.

ქისტს განა დოღში აღებული ჰონორარი აინტერესებს — სახელი! ჩაყენებული ცხენი ჰატრონმა უნდა დაბაბას, მთელი თვე კარგად უნდა აჯამოს თივა-ქერი, დილა-საღამოს აბანოს, ზილოს, წმინდოს და ავარჯიშოს. ამ დროს დოღის ჰატრონიც სამზადისის თადარიგშია: 20-25 ვედრო ჰურს დაფქვავს, დოღის დღის ერთი კვირით ადრე ჰურის ცხობას დაიწყებს სხვადასხვა თონე-ფურნეებში, ძროხები და ცხვარი მინდორში მზათ არის უკან მწყემსით, სასმელს — ღვინოს ყიდულობს ორ საპალნეს მაინც, სახლში გამოხდის 9-10 ქვაბს ლუდს და არაყს, იქონიებს 2-3 ფუთს, ყიდვის გარეშე, უცხო სტუმრისთვის ქათამი, ერბო, კვერცხი და სხვა.

დოღის დღე ადგილის მხრივ უკვე იციან, ამათ ჰატიჟი არ უნდათ, ხოლო გარეშე ხალხს, სხვა სოფელში ნაცნობ-ნათესავებს ატეობინებენ ერთი კვირით ადრე. ატეობინებენ იმ დაჰირებით, რომ მათ, ვინც სურთ, ის წამოიყვანონ.

ქისტი კაცი სტუმრისთვის თავდადებულია. მასპინძლის კარმიდამოში ორი კვირა არის, რაც ხალხი — მეზობელი, ნათესავი — ბუზივით ირევა საქმისთვის. შეშა, სასმელი, საჭმელი — ნამცხვარი მოზიდეს. მოიტანეს: ღვინო, არაკი, ლუდი. ჰატრონმა ყველას მკვიდრი ადგილი გაუჩინა, თავ-თავისი ყარაული მიუჩინა, რომ არ გაუბარაქოებულიყო.

წინა დღეს საკლავებიც დახოცეს: სამი დიდი ხარი, ექვსი ძროხა და ოცდაათი ცხვარი. ხორცი ზოგი მოხარშეს და მზად დაიჭირეს, ზოგიც მოსახარში შეინახეს მარაგად.

გათენდა დანიშნული დღე, დაჰკრეს დაფი და ხალხმა იწყო მოდენა ოთხივე კუთხით ადგილობრივ და გარეშე სოფლებიდამ ვინ ფეხით, ცხენით, ჩასაჯდომით, კაცი, დედაკაცი, ბალღი.

უმალვე მიხვდები, ხალხის სიმრავლით, რომელ ოჯახსა აქვს დოღი. მიხვდები მარტო იმით, რომ სახლის ეზოში ნახავ სამზარეულოს. ჯერ ხალხი ტეუილა მიდ-მოდის, დაეიალობს, სანახავს რასმე ელის.

სოფლის განაპირას, სადაც გამოქცეული დოღის ცხენები უნდა მივიდეს, ალმებს ამზადებენ ფერადი ხელსახოცებით. აქაც ბლომად ხალხია თავმოყრილი. დაამწკრიეს წვრილ სარებზე ჩამოკიდული ფერადი ხელსახოცების 17 ალამი 17 ცხენისთვის.

პირველი ალამი წითელი დიდი ხელსახოცით — ზოგჯერ ბაღდადიც — სულ ზემოთ თავში არჭვია, ის არის პირველად მისული ცხენისა, ხოლო სხვები — ჯერჯერით მისულებისა. ყველას თავ-თავისი ჯამაგირი აქვს განწესებული.

ჯირისუფალმა თავისი სახლის წინ ეზოში გამოიტანა დიდი ფარდაგი, დაფინა და ზედ გაშალა მიცვალებულის მთელი ტანისამოსი ორი ხელი — ნახმარი და სრულებით ახალი. შევერცხლილი ქამარხანჯალი, ქუდი, ფეხსაცმელი და ცალი ფეხთით ადგილი ცხენებისათვის დატოვებული, დანარჩენი სამი მხარე მოტირალი დედაკაცების შავ გუნდს უჭირავთ და ტირიან.

დაწუობილი ცხენის ჯოგიც მოვიდა, ზედ დაწუობილი მხედრებით და მწკრივად დადგნენ თავის ადგილას. ცხენები ამ დროს ისე ჯკვიანად დგანან ადგილობრივ, თითქოს ისინიც თანაუგრძნობენ ამ მწუხარებას, ამიტომაც ვერ იმსახურებენ შეკრებილი ხალხის მთელ ყურადღებას.

დედაკაცებმა შესწყვიტეს მკვდარზე ტირილი (აქ თუ თუში მხედრები ურევიან, „დალაის“ იმღერიან), მხედრებმა მიაწოდეს თითო ჭიქა შესანდობარი, ყველამ დალია და წასასვლელად გამოაბრუნეს უკან ცხენები, რომ დაწალიკდნენ და გაემართნენ. მაოი შეხედვა მაშინ იყო სასიამოვნო.

ყველა ცხენს და მის მხედარს მორთულობა და სამკაული შესაფერი აქვს და კიდეც შვენის: ტიტველა ცხენს შუბლზე ქოჩორი, ფერად ბაწრებით შერეული, კოხტად შაკრული, როგორც თაიგული, თავზე აზის. ქეჩო-ფაფარი ფერად ბაწრებჩატანებული, წვრილ ნაწნავებად გვერდზედ დაწნული, ძუა ზედ რიკზე დახვეული, ფერად ბაწრებით მაგრად შეკრული, ცხენს კუდი, როგორც ჯოხი, ისე გაიშვერს. ეს ქალების ოსტატობაა.

თვით საქონელს, სუფთად მოვლილს, მთელი ტანი უბზინავს, ლაღობს და თრთის. მასზედ მხედარი თხლად ჩაცმული, ფეხშიშველი, შალვარში ჩამჯდარი, ხელსახოცით თავშეკრული, ხელში მათრახით,

ტიტველა ცხენით, ზედა ზის როგორც ჩიტი, თითქმის თავის ტანს ცხენის ზურგს არც კი აკარებს.

ველა მხედარს ცხენის აღვირი მოკლედ, მაგრად უჭირავს.

ცხენი თითქოს მიდის თამაშობით, ფეხებს იქვე სდგამს, თავი მხედარზე მაღლა უჭირავს. ხან მიბრუნდება, მიტრიალდება, თითქოს გაჯავრებული ლაგამს ღრღნის, თან ფრუტუნებს, გაფრენა უნდა, მაგრამ ჯერ მხედარი მას ნებას არ აძლევს.

ხალხის ეურებით ცხენები და მათი მხედრები წუთში ქვევითკენ თვალს მიეფარნენ. უკან მათ მებარგულე დაედევნა.

მანძილი ჰქონდათ დადებული მხედრებს 15 ვერსი. იქ რომ მივიდნენ და ჩამოხტნენ, მებარგულეც ჩქარა მივიდა. თითო-ოროლა შესანდობარი ჯიქა-ღვინო გადაჰკრეს, ჰურიც ასტეხეს, მერე ველა ფიცხლავ ცხენებზე შესხდნენ.

საათი დრო არ იქნებოდა გასული, რაც მხედრები და ცხენები ქვევით დაეშვნენ. მთელი ხალხი სოფლის ჰირად ალმებს მიაწყდა. ველას თვალი და ეურადღება მიქცეული ქვეითკენ ჰქონდა, ბალღები კიდე საეურებლად მაღალ ხეებზე აფოფხილიეკნენ.

ცოტა ხნის უკან დაიძახეს — „დოოღ, დოოღ“ — მოდიანო! უფრო მჯიდროდ მოგროვდა ხალხი. ეჰე, გამოჩნდა ჰირველი ცხენი, მოდის როგორც მთლად დაეღლელი, მეორეც იმას ასლოვე მისდევს, სხვები — ცოტა-ცოტა მოშორებით, ქვემოთ. [1]

მხედარი ცხენს მათრახს სცემს აქეთ და იქით, თან უკან უმზერს თავის მეტოქეს, ხომ არ მასწრებსო.

---

[1] ხალხის ტალღაც ალმებს მიაწვა, იძახიან: უკან, უკან, ცხენებს არავინ გაესრესინოთ!

ამ დროს, ხალხიდან მიაძახეს – „თოოხ, მა უთხ“ – ქმარა, ნუღა სცემ, ნუ გეშინიან შენი არისო!

მივარდა კიდეც და პირველს ალამს ხელი დასტაცა. სხვებმაც აგრეთვე თავ-თავისად, ვინც ვერ მიასწრო, ველამ ალმები დაითითოვეს.

ეს იუო და მთელი დოღი ამით გათავდა.

ხალხი გაბრუნდა მასლაათით მასპინძლისაკენ. სუფრა სასმელ-საჭმელით მზად იუო.

ველა ჭამას შეუდგა. იმ დღეს, მეორეს და მესამეს დღესაც იქ სტუმრობა, სმა-ჭამა არ შეწყვეტილა!. [1]

თავისი თავის დამარხვა. თუ რომელიმე მოხუცებულს, კაცს, თუ დედაკაცს, არავინ რჩება იმისთანა – ქმარი, შვილი ან ნათესავი, რომ სიკვდილის შემდეგ მას შეუსრულოს დამარხვის წესი, თვითონვე სცდილობს თავის სიცოცხლით მოიშოროს საერთო ვალი.

ის ადრევე მოიმზადებს ველაფერს – ჰურს, საკლავს, სასმელს.

---

[1] პირველი ჰურის ჭამის შემდეგ, მსურველოაკან უაბახში თოფის ხროლა იწყება. *უაბახი,* ხოფლის კანაპირად მოხერხებულ და უშიშარ ადგილას მოხაზული ბრტყელი ფიცარია დადგმული. ფიცარს შუაში ჰატარა ლურსმით მრგვლად მოჭრილი თეთრი ქაღალდია აქვს მიმაგრებული, შაურიანის ტოლა. მანამ იმ ქაღალდში ან ლურსმანში არ გაარტეამენ, უაბახი აღებულად არ ითვლება. უაბახში ხროლა სხვა დროსაც იციან, მიცვალებულის რიგში, მაგრამ დოღის უაბახზე სხვა პირობებია. დოღის ჰატრონი ზოკი უაბახს კრძელ მანძილზე უდგავს, მაგ. 100 ნაბიჯზე, რომ უაბახი მოკლე იუოს, აიღონ. ზოკი მოკლე მანძილს აძლევს, რომ ჩქარა აიღონ. კრძელ მანძილიან უაბახს შეტი ბაკი აქვს, მაგ. ხარის ტეკვი, ჭედილა, თოხლი, მიცვალებულის ტანსაცმლიდან ერთი ან ორი ნაჭერი. ბოლოს, უფასოდ არც ერთი არ რჩება.ხან უაბახს მთელი კვირის კანმაკლობაში ესვრიან თოფებს და ვერ იღებენ. მაშინ იტეკვიან ხოლმე – შელოცვილიაო. უაბახთან სასმელის მიტანა იციან. პირველად შინაური ვინმე შესანდობარს დალევს და ესვრის, მერე სხვებს შეუძლიათ ესროლონ.

შემდეგ დაუძახებს სოფლის ხალხს, ნათესავებს და გაუმართავს ტაბლას, როგორც წლის რიგის მათი წესია. ასმევს-აჭმევს და გაისტუმრებს.

ამნაირად ის სიცოცხლით უკვე თავდამარხულია. თუ დარჩა რამე, ის სიკვდილის ქამს — თავზე — გამოადგება. მას აღარ სჭირდება ჩვეულებით აღარაფერი — მხოლოდ შემოდგომის, ან წლის რიგი და წესი.

მაჰმადიანებში მიცვალებულზე თუ მარხვა დაემთხვა, მაინც ისევ საკლავს დაჰკლავენ, ხოლოთ რჯულის დაცვისათვის არ მოხარშავენ და არც სჭამენ, თუმცა უველა არ ინახავს.

იმ ღამით უმხსნილდებათ, უმს გაიუოფენ და იმ ღამისთვის შეინახავენ. თუ დასაფლავებას უმარხულო ხალხი დაესწრო, იმათთვისვე მოხარშავენ და ჰურს აჭმევენ...

ქალის გათხოვება. რელიგიური წესების დარგს ეკუთვნის როგორც მიცვალებულის დასაფლავება, აგრეთვე ცოცხლის გასტუმრება, გათხოვება — ნიშნობა და ქორწილი — „მაზარდარ ჰოოლჩოღ."

ქისტის ქორწილი მოსახერხებლად ძნელია და შინაარსით კი არაფერი ბევრი, მაგრამ მაინც კი რაც არის, აღსანიშნავია.

ქორწილს ნიშნობა ჩვეულებრივ წინ უძღვის.

ნიშნობა და ქორწილი ქისტებში არა ხდება ვაჟისა და ქალის სურვილით და წადილით. ესა სრულდება მარტო მშობლებისა და ნათესავების ნებაუოფლობით.

ამ საქმეში ქალ-ვაჟის სურვილი და სიუვარული ფუჭია. ქალი აფასებს და არჩევს სიკეთეს, კარგობას. მშობლები — ოჯახს. საქმე ეს არ არის — ვისაც ვინ მოეწონოს, ან მოესურვოს, ითხოვოს, დანიშნოს. უველამ კარგად იცის, ვის ვინ ეკუთვნის და ვისზედ ხელი მიუწვ-

დება მათ. საფერი საფერს რომ არ შეეცილოს, მიცემაც ძნელი გამოვა და უარის თქმაც.

ქალის მთხოვნელმა უნდა გაითვალისწინოს მისი შთამომაელობა — გვარიშვილობა. უამისოდ ქალი რომ ითხოვოს, შთამომავლობამ კი ნება არ მისცეს, მთხოვნელს ეს სირცხვილი აქ სირცხვილად ეეოფა და სამარეშიც თან ჩაჰყვება.

ქალი ვაჟს სიყვარულს ვერ გამოუცხადებს, წერილს ვერ მისწერს, განცხადებულად არშიყობას ვერ დაუწყებს. შეიძლება თავმომწონე ბიჭი მარტო უჩინარი ეოფაქცევით მოაჯადოოს და სიყვარული გულში ჩაუდოს.

ამისთვის ქალს ალღო აქვს აღებული — დროის დახედულად ტანს ჩაიცმევს და ქცევა აქვს გრძნობური და მორჩილი, ისე რომ ყველა შეატყობს, რაც აქვს გულში.

მისი მიხვრა-მოხვრა, გამოხედვა, ღიმილი, ფეხის გადადგმა იმგვარია თითქო რამესა სთხოვს. ახალგაზრდა ბიჭი თუ ვერა, უცხო შეატყობს მის ჯადოსნურ გულის წადილს.

სიტყვით, ლაპარაკით არშიყობა არ შეუძლია, შიშით-სირცხვილით, თუ უენობით, ხოლო თილისმა მისი ხელობაა. თუ სურვილმა ან სიყვარულმა ხელი დაჰრია, თუნდა ვაჟი სჯობდეს ყველაფრით, მაინც მას თილისმით მოაჯადოებს. ამაზე იტყვიან ხოლმე, სიყვარულის წამალი აჯამაო.[1]

ამ დროს, ქალს ბიჭთან ამაჟი და თავისუფალი ქცევა არა აქვს, არამედ მშვიდი, მოკრძალებით ლაპარაკი და სიტყვა-პასუხი. ერთი

---

[1] ამ დროს ლექსიც იციან ქალებმა: დოდ, დოდ, ვეიში ნახს ნაძრეხბოელალიე, ჯალიებ დაარ დაითინა, გოერამ ჩუეხქალიე გავიქცეთ, გავიქცეთ ჩვენ, როცა ხალხი დაიძინებს, ძაღლებს საჯმელს მისცემენ, ცხენებს ბაგაზე დაბამენ.

თამამად ბიჭს ჰირში ვერ შეხედავს, თვალს ვერ გაუერის და მუდამ ცდილობს მორჩილობა და წრფელი გული აჩვენოს.

ამასთანავე, ქალი სცდილობს, რომ ბიჭის დედ-მამას და ნათესავებს უმცროსობით სადმე – რამეში ასიამოვნოს და მათაც სიყვარული გულში ჩაუგდოს.

თუ ბიჭს ქალი უყვარს და იმ ქალს კი არა სურს, მაშინ ქალი ბიჭს ჩალად არ აგდებს, თავსაც ამეტებს, რამე კითხვაზე ქალი სწორ ჰასუხს არ აძლევს და ბოლოს კიდეც დასცინებს.

ქალი თუ ამ დროს ცუდ შედეგს – გატაცებას – უფრთხის, თუ ბუნებით ლამაზიც არის, სულ სადად იცვამს, ქცევაც სადა აქვს, რომ უფერო არავინ შესვდეს, სელი არ ახლოს გასატაცებლად და მათში სიხსლი არ ჩამოვარდეს.

მაინც კიდევ მოსდება ხოლმე უბედურებაც: ბიჭი ჯიბრით, თუ გაჯავრებული, ან ქალის უძლეველი სიყვარულით, ზოგჯერ იტაცებს, რაც უნდა ძვირად დაუჯდეს, არც ტრადიციას უღალატებს.[1]

ნიშნობა. სიხსლის ჩამოვარდნა ყველას ეჯავრება და უფრთხის. ამიტომ ქალის გატაცებას ერიდებიან და ცდილობენ მშვიდობიანად დამოყვრდნენ. ამ მიზნით იციან მაჯანკალი დამოყვრების საქმეში.

იმის შიშით, ვინიცობაა მოყვრობა ვერ შესდგეს და საქმემ შეუმჩნევლად გაიაროს, მაჯანკალი კაცი, ან დედაკაცი, დიდი საიდუმლოებით ატყობინებს ქალის მშობლებს, თუ ნათესავებს: "ცაარ შუც ძახალუა დოო" – იმათ თქვენთან მოყვრობა სწადიათო.

---

[1] უმცროსი ქალი უფროსზე ადრე ძნელად გაითხოვდება, აგრეთვე ვაჟი... ვაჟის ერთი შეხედვა და ამ დროს ქალის ხაჰასუხო გამოხედვა, შეყვარებულთა მთელი საათის ლაპარაკზე მეტია.

შუა კაცი თამაშად შეატეობთ მათ – ქალის მიცემა სწადიათ, თუ არა. მაშინ სახლის უფროსი – ბიჭის მამა, ან ნათესავი – ერთი ჩარექა არაუით ხელში და ორიოდე სხვა კაცით ეწვევა ღამით ქალიაანთ. იქ კაცი თუ არ ეგულება, დედაკაცს ძნელად ენდობა.

ქისტი კაცი ამ სახით, სხვასთან სახლში მისული, რისიმე თხოვნის ნიშანია. მასპინძელიც მიხვდება სათხოვარს და ისე შეხვდება სტუმარს, რომ წინადვე აგრძნობინებს – ჰო, თუ არა. ქალს თუ ალღო აქვს აღებული, ან წინათვე გავა მეზობლისას – ვითომ საქმისთვის, ან მათხოვართა შემოსვლაზე.

ქალს თუ არა სურს, სახლიდამ ფეხს არ მოიცვლის და მას ეველანი ანგარიშს უწევენ. ჰირველს მისვლაზე „ჰოს“ თქმა იშვიათია, ერთი სამჯერ მაინც მიიეკანს სათხოვნელად. ბოლოს, როცა ქალის მამა მოლბება, კეთილი საქმის სადღეგრძელოდ არაყს დალევენ, უზმოზე მოილაპარაკებენ, ორ-სამ მანეთს „მაჰარს“ დაურჩენენ და ვადას დასდებენ ქალის წაყვანისას. ამითი თავდება ქალის ნიშნობა...

დანიშნული ქალი საქმროს და მის ნათესავებს – უფროსს ემალება, ჰირს არ აჩვენებს, არ დაელაპარაკება წაყვანამდე და მის შემდეგ, მანამ ჰირის სანახავს თითო მანეთს და მეტს არ მისცემენ.

მამამთილთან ლაპარაკი რომ დასჭირდეს, თარჯიმანი უნდა მოიწვიოს. მამამთილსაც სწადიან, რომ მასთან რძალი ეგრე მოკრძალებით იეოს და ამიტომ დალაპარაკებას არ აძალებს, თუმცა ჰირის სანახავი უკვე გადახდილი აქვს, 5 მანეთი და მეტიც.

ზოგი დანიშნული ქალი – წუნია – ამაეობს, ჩვეულებას არ ემორჩილება, საქმროს თავს ამეტებს, არავის – ქმარს და ქმარეულთ არ ემალება. მათ დასანახად ეველგან დადის და სხვა.

ამისთანა დანიშნულს მოახელებს ბიჭი და ბერაში გაატარებს, სცემს – ერთხელ, ორჯერ. თუ არ მოიშალა ჯიუტობა, თავს გაანებებს.

ასე თავდანებებულს ქალს ნება არა აქვს გათხოვდეს, მანამ საქმროსაგან თავს არ გამოისყიდის. ვერავინ ითხოვს, ვერც წაიყვანს, თუ წაიყვანს ვინმე, სისხლით ჰასუხს აგებს. უნდა შინ იჯდეს და დაბერდეს გასათხოვარი.

თუ თავი გამოისყიდა, უნდა მისცეს ბიჯს, რაც დაუხარჯია მის თაობაზე და სისხლის ფასი 700 მანეთი ოქროთი. მაშინ ქალს ნება ეძლევა სხვაზე გათხოვებისა. მაშინ ბიჯსაც ნება აქვს სხვა ცოლი მოიყვანოს.

ურბეთი (ურდუშ). ვისაც გვარ-ჩამომავლობით თავი მოაქვს, იმან ურბეთიც მეტი იცის, თხოვნა. მაგალითად, მთხოვნელები ურბეთს იღებენ 80 მანეთს ქალში, მაისტელები — მის ნახევარს. ძროხა არის დაფასებული 5 მანეთად, თუ ძროხას აიღებდნენ და სხვა. ეხლაც იციან ასე ქალის გაყიდვა, მორიგებით.

ურბეთის მიცემა ეს ქართულ ჩვეულებას — მზითევის გატანებას — ემსგავსება, ხოლოთ იმ განსხვავებით, რომ აქ ნეფე კისრულობს და ქალის სყიდვა-გაყიდვა გამოდის.

ურბეთს მშობლები თავისასაც დაუმატებენ და შესაფერ მზითევს უმზადებენ ქალს: ლოგინს, ფარდაგს, სკივრს, ტანისამოსს, ფეხსაცმელს და სხვ.

ადრე ჩვეულებად ჰქონიათ წყვილების დანიშვნა აკვანში. თუ იცოცხლებდნენ, შეუღლება უსათუოდ სრულდებოდა ჩვეულებრივ.

ქორწილის წესი. როცა დრო მოვა ქალის წამოყვანის, ვაჟი შეუთვლის: მოდით, წაიღეთ თქვენი კუთვნილი, ქალი უნდა წამოვიყვანოთო. თუ დაეთანხმნენ, ისინიც შეატყობინებენ ნათესავებს და ერთ-ორს

დარბაისელ კაცს, დანარჩენს ათიოდე ჯეილ-ბიჭებს გააგზავნიან ურბეთის ასაღებად.

მივლენ ღამე ვაჟიანთსა, იქ საკლავს დაკლავენ, ვახშამს გაუმართავენ, ქამარ შემოხსნილებს დასხამენ ჰურის საჭმელად, რომ კარგა, თავისუფლად ივახშმონ. საჭმელია: ხორცი, გალანა და ჰურები, არაყი ბლომად.

ზოგი არაესაც არა სვამს. იმ ღამეს ასე სმა-ჭამაში და ლაუბობაში გაატარებენ. თუ მგლოვიარედ არ არიან, ჩონგურსაც უკრავენ (ჩონგური გრძელია და ორ-ლარიანი) ლხინობენ, ნეფე-დედოფალი არსად არის.

მეორე დღეს ვაჟის ნათესაობაც მივა ძღვენით: თითო მსუქანი დედლით. იმ დღეს ქალის მაურები ახლა დედლის ხორცს შეექცევიან! საღამოზე ჩაიბარებენ ურბეთს და წაელენ...ურბეთიდამ ზოგი ფულისა, საქონლისა დაბრუნებაც იციან.

ვაჟიანი, როცა იდროვებენ, ქალს გაამზადებდნენო, ახლა ისინი გაგზანიან მაურებს — „ძე მიეშ“ — ქალის წამოსაყვანად, სულ ჯეილ ბიჭებს.[1] ქალიანიც მათ ერთ საკლავს დაუკლავენ, გალანას მოუხარშავენ და ამით დაუხვდებიან.

აქ ჯეილი ქალები ბლომად იურიან თავს: ზოგი ჰატარძალს უბრუნდება ბნელს კუთხეში, ზოგიც საქმეში ეხმარება დიასახლისს, წყალი მოაქვს, მჯადსა ზელს, გალანას ხარშავს და სხვა.

მაურები ატეობენ მასპინძელს სისუსტეს ჰურადობაში, მაგრამ არას დასდევენ — ჰატარძალი უსარიათ. სხვა ჯეილი ქალების სიმღე-

---

[1] რამდენიც ვაჟიანთას იყო მაკარი — იმდენს ქალიანთას აზანიან მაურებს. რაც ქალის მაურებმა ვაჟიანთას მოიმოქმედეს, იმის უარესს ქალიანთას ჩაიდენენ — კასტეხავენ, თუ გააფუჭებენ.

რას — ილალას— მუსიკის დაკვრასა და თამაშობაში ერთობიან. [1] თუ ზამთარია, დამხრჩალ-გაყინულს გალანებს ერთმანეთს ესვრიან და ასე ათენებენ ღამეს.

მეორე დღეს, დილით, ცოტა გაშინაურდებიან, დაიხსნიან ჰატარძალს, ე. ი. ვინც მოამზადა — ჩააცვა — იმას ფულს აჩუქებენ და წამოვლენ.

ჰატარძალი მთლად თეთრებშია შესვეული, ჯეილ ქალებში შუაში ჩამდგარი მოდის, მაურები წინ მიუძღვიან, ისვრიან თოფებს, დამბაჩებს და ლაილაჰს დასძახიან.

მივლენ შინ, სახლის უფროსი კარებში შეხვდება ჰატარძალს თაფლს ან სხვა სატკბილობელს რამეს მიართმევს, დალოცავს — ტკბილათ გამეოფოს და გაცხოვროს ამ ოჯახშიო.

მერე მიიყვანენ ქალები ჰატარძალს ერთს ბნელ კუთხეში, თვითონაც გვერდს მიუჯდებიან, იქ აჭმევენ და სიმღერა-ლაჰარაკში ართობენ საღამომდე. [2] ნეფე არსადა სჩანს, ის დამალულია.

ქალიანთას დამშეული მაურები კარგად სვამენ და ჭამენ, ილხინებენ, ითამაშებენ და საღამოსთვის ნელ-ნელა დაიშლებიან და წავლენ თავთავისად.

ჰატარძალს ქალები წაიყვანენ და ცალკე გომურში დააწვენენ. ნეფე მაშინ მივა უჩუმრა და ჰატარძალთან მოისვენებს. მეორე დილით ადგება და ისე წავა, რომ არავინ დაინახოს — სირცხვილია!

---

[1] ვაეებს დასაკრავი აქვთ ქისტური ფანდური-ჩონგური, გრძელი ორ-ლარიანი, ლარები ცხენის ძუისა იციან; ორ თითს სალოკავს და შუას, რომ ჩამოჰკრავს, ლეკურს მოხდენილად გამოდის და კარგაც თამაშობს ბევრი.

[2] ნეფეს ქალები-მაურები და დედოფალი გაესაუბრებიან ნეფე-დედოფლის ხოტბაში სიმღერით „ილალათი“.

ზოგჯერ ნეფე შინ არ არის და სახლში ჰატარძალი ისე მოჰ-ყავთ!...[1]

სურვილით და ნებაყოფლობით დანიშნული ქალის წაყვანა ზოგ-ჯერ უგემურად ჩაიყლის ხოლმე.

ავისქნით, ჯიბრით, ან სხვაფრივ წყენით ჰატრონები ქალს არ ანებებენ, ვაჟიანი უთვლიან — მოდით, წაიღეთ თქვენი წასაღები, ჩვენ სახლში კაცი გვჭამს, ქალი უნდა წამოვიყვანოთო.

უპასუხებენ — დრო არა გვაქვსო. თუ ვაქმა მათ ეშმაკობა გაუგო, ქალს უდარაჯებს, სტაცებს ხელს და სახლში შეიყვანს. ამას გატაცებას დაუძახებენ. იმ დროს, თუ ქალის ნათესავი ვინმე შეემთხვა, ხმა გატე-დება, ჩხუბი ატეადება, იქნება კაცი დაიჭრას ან მოკვდეს კიდეც. თუ გა-უგებრივ შინ შეიყვანა, გაწევ-გამოწევა და ალიაქოთი იქნება, მაგრამ ბევრი არაფერი დაშავდება რა...

ქალის მშობლებს დიდ საწყინოდ რჩებათ სიძის ასეთი ქცევა: სი-ძემ ჩვენ სასაცილოდ აგვიგდო, უპატრონოდ ჩაგვთვალაო და სხვა ამისთანები. ხანი მიდის, ბიჭს შერიგება უნდა, გზავნის შუაკაცებს, მაგრამ მოციქულები, შუაკაცები გაწბილებული ბრუნდებიან. ცოლის თხოვნაზედაც არ მიუღია იმდენი უარი.

მოციქულებმა დიდის ხვეწნით, ბიჭის თხოვნით ძლივს დაითანს-მეს ქალის მშობლები და მიაღებინეს მიტანილი სასმელ-საჭმელი — ცხვარი და არაყი. ცხვარი დაკლეს, ჰური სჭამეს და შეითანხმეს შერი-გებას ანუ დაჯარიმებას ფულში... დააკისრეს ვაეს წინააღმდეგობი-

---

[1] ქორწილში, როცა ნეფე უნდა სუფრიდამ ადგეს და გარეთ გავიდეს, ქალის მაყრები უდარიელებენ და ცემით ისტუმრებენ კარში მილოცვის ნაცვლად. ეს ჩვეულება მოუნათლავ ქისტებში არ იციან, რადგან ნეფე იმალება, ქორწილში არ არის. შემ-დგომშიც, კაი ხნობამდე, ცოლ-ქმარს, ახალ შეუღლებულს ერთად ვერავინ ნახავს შეურილს, დალაპარაკებულს და სახელს ხომ ერთმანეთის სიკვდილამდე არ დაუძახებენ.

სათვის ოცი თუმანი ჯარიმა, ხოლოთ ათი თუმნის ზევით უნდა მიეღოთ უველაფერი, რასაც მოიმსობდა ვაჟი.

შემდეგ მივიდა სიძესთან რამდენიმე კაცი — მაურებივით. მათ სვეს, ჭამეს, ჩაიბარეს დაკისრებული ჯარიმა და წავიდნენ.

ცოტა რამის დაბრუნება აქაც იციან, როგორც საჩუქარი. თუ ფულში ძროხა ან ცხენი წაიუვანეს, ცოტა ხნის შემდეგ უბრუნებენ სიძეს. თუნდაც არაფერი დაუბრუნონ, წინააღმდეგი და საძრახისი არ არის.

ესეც უხეირო ჩვეულების ბრალია: დანიშნულ ბიჭს ტოლ-აშსანაგი აუვედრის, დასცინის: შენ რა კაცი ხარ, დანიშნული ვერ მოგიუვანიაო. იგი, მსუნაგი კატასავით, შორიდამ შეჰუურებს და სხვა. გაიტაცა დანიშნული და რომ არ შერიგდეს ცოლეულებს, ახლა შინ ცოლი აღარ მოასვენებს საუვედურით — ეშობლებს დამაკვეთეო. თუ დიდი ხანი დარჩა შეურიგებული, მაშინ ცოლეულები ფორმალურად მოიკვეთენ ქალსაც და სიძესაც.

ფორმალურად მოკვეთა ასეთია: სოფლის შეურილობაში თუ მივა ცოლის მამა ან ძმა, თოფს გაირჭობს ხალხის საუურადღებოდ და დაიძახებს: მავანი ჩემგან მოკვეთილია, ჩემი აღარ არი და ნურც ჩემი ნათესავი მიიღებს, რომელსაც ჩემი თავი სურსო. ეს მათთვის ძნელი საქმეა და დიდი სირცხვილი...

ქალის გატაცება. გატაცებულ ქალს თუმცა თავიც მოაქვს, მაგრამ საქმე იაფად არა თავდება, უფრო მაშინ, თუ ქალიც წინააღმდეგია თავის ბედისა. ამიტომ, ქალის გასტუმრების საქმე ხშირად მშვიდობიანად ხდება, ვიდრე გატაცებით. ნათესაობის მეტად შორიდამ ანგარიშს ბევრი შეუვარებული წუვილი ქისტი დაუშორებია ერთმანეთს.

ქალმა თუ კუთვნილ ნახევართან სურვილი და შეერთება ისურვა — მაშინ მისი გატაცებაც ადვილად ხდება, სამართალი და შერიგება. თუ არადა, სამართალი და მერიგებაც ძნელდება და იშვიათად, ქალი არცა რჩება უნებურ გამტაცებელთან.

ამ შემთხვევაში ორი მხარის ხალხის შერიგება და დაზავება დიდხანს გრძელდება, სისხლიც თუ არ ჩამოვარდა, ხარჯი და ტანჯი, ის მოაგონდება.

გასიტაცებელ ქალს წინათვე ალღო აქვს აღებული, ჩასმენილიცა აქვს, ვინც უპირებს გატაცებას. თუ ბიჭი არა სურს, ძალიან ფრთხილობს, დედ-მამაც აფრთხილებს. არავის — ქალს, თუ კაცს, თავისასაც არ ენდობა, არსად გაპეკვება არც დღე, არც ღამე, ხოლო თუ ბიჭი გულში აქვს ჩავარდნილი, საჭიროა, ქალს უთხრას ვინმემ, გავიაროთო — ბიჭი კიდე ჩაუსაფრდეს სადმე. ქალი გაპეკვება, გაატარებს იქითკენ, ბიჭი სტაცებს ხელს და ცოტა უარის მერე სირბილით გაპეკვება...

ქალის უნებურად გატაცებას ძალით ბიჭი მარტო ვერც გაბედავს, უამხანაგოდ. ოთხი-ხუთი შეიარაღებული, თავმდები ბიჭი მაინც უნდა ჰყავდეს. ამათ უნდა მოისყიდონ ქალის ვინმე ნათესავი, რომელიც ქალს სრულებით აზრაუღებლივ მისცემს მათ ხელში ისეთ ადგილას, რომ ხმა ადვილად არ გატეედეს, ხალხმა ჩქარა ვერ მოასწროს და სისხლი არ ჩამოვარდეს.

ჩაუსაფრდებიან ადგილას ქვეითად, თუ ცხენებით და ქალს ელიან გულის ფანცქალით. ქალი ნახეს მურუნის ქერქზე სხვებთან წასული სოფლის მოშორებით, უღრან ჯალაში.

გადასტა ბიჭი და ქალს დაასცხრა როგორც ქორი. ქალმა იკივლა, გაიწია, თითქმის ეშვება ბიჭს კლანჭებიდამ, მიეშველნენ ამხანაგები, ხელსახოცით აუხვიეს პირი, გაუკრეს ხელები და შედვეს ცხენზე, როგორც მკვდარი. ბიჭიც ზედ შეჯდა, სხვებიც შესხდნენ მარდად ცხენებზე

და გასწიეს ფეხაკრეფით საფარისაკენ. რაინდები თუ ხალვათად არიან და ქალი არ მისდევთ, მაშინ ცემით მიჰყავთ ან მიათრევენ ჰირახვეულს, რომ არ დაიყვიროს.

წოტოაანთ ქალი რომ გაიტაცეს, შინაურები იმის გამგე არავინ სჩანდა. ქალის მამას 6 ქალი ჰყავდა შინ, სულ გასათხოვრები. ვერც ერთი ვერ გაეთხოვებინა ნებაყოფლობით. გატაცებულ ქალს ბიჯი ეველაფრით სჯობდა. ქალი გაეტაცნათ წინა საღამოს, ხალხმა გაიგო მეორეს დილით. სოფელში მაშინვე დიდი ჩოჩქოლი შესდგა.

ქალის ნათესაობა — დიდი-ჰატარა, კაცი და ქალი, თოფ-იარაღით დაეცნენ ბიჯის სახლს ჯექა-ქუხილით. კაცების ლანძღვა-გინება და ეკვირილი, დედაკაცების წეველა-კრულვა და ჯყივილი, ბალღების ღრიანცელი და ტირილი ცას ეწეოდა. რაც ვის რა ხელში მოხვდებოდა — ქვა, ხე, აგური — უშენდნენ სახლს მაღლა კრამიტს, კედლებს, საჩესს. უცხო კაცი გაჰკვირდებოდა.

სახლიდამ მთლად გახიზნულიყვნენ, კარები დაეკეტნათ. ხალხს როცა სახლ-კარის მტვრევა მოსწყინდა, შევიდნენ მეზობლად მათი ნათესავის სასლში და იქიდამ მხევალივით სხვა ქალი გამოიტაცეს და წაიყვანეს თრევით. ქალს გზაში გული შეჰღონებოდა და ისევ უკან გამოაბრუნეს.

ბიჯის გატაცებული ქალი ეძებეს 3-4 დღეს ტყეში, სოფლებში და ვერ იპოვეს. ერთი კვირის შემდეგ, ცოტა რომ დაშოშმინდა ხალხი, ქალი და ბიჯი ღამე სახლში მივიდნენ, თოფი გაისროლეს და მით მშვიდობით მოსვლა ანიშნეს სოფელ-ნათესავებს. შეიკრიბნენ და ქორწილი გადაიხადეს.

ამის შემდეგ შერიგებაც ჩვეულებრივად, ძალისძალად ძლივს მოახდინეს.[1]

მეორე დღეს, ჰატარძალს ქალები მიუვიდნენ ისევ გასართობად. ქადა გამოაცხვეს. საღამოს ჰატარძალმა აიღო ხელში ლიტრა წყლისათვის და წავიდა ქალების თანხლებით წყალზე. ამ დროს, ჰატარძალს შინიდან ცეცხლიანი მუგზური ესროლეს, ავი სული არ აედევნოსო. ორიოდე ახალგაზრდა ბიჭიც გაჰყვა და მისვლა-მოსვლაში ჰატარძალს დამბაჩები ზედ გადააცალეს ავი სულის გასაფთხობლად. ორი ქადა წყლის ჰირზე გაჯრეს, ნეფე-დედოფალი დალოცეს და ქადა იქვე შეჭამეს... ჰატარძალი ლიტრით წყალს აავსებს და წამოვლენ სახლში ყველანი. ჰატარძალი თავის მოტანილ წყალს ყველას დაალევინებს. ეს ნიშანია ყველას მორჩილებისა და სამსახურისა. გატაცებული ჰატარძლის ქორწილი და მისი ცერემონიალი სულ ამით თავდება.

სამართალი. ქალზე ძალმომრეობა, გატაცება, ჩხუბი, დაჯრა და სხვა წინააღმდეგობა, მართალია, მუდამ თავის დროზე ეცნობება სასამართლოს, ჰოლიციას, მაგრამ ტუილად. სამართალ-ადათი ხელთ აქვთ და დამნაშავესაც თვითონვე ასამართლებენ. რუსის კანონი მათ ტრადიციასთან სუსტი გამოდგა.

მოსამართლე ქალს შეეკითხება: "ბიჭი არა გსურს?" ამ დროს, ქალი დუმს და ფიქრობს: თქვას — არა მსურს, არ იქნება, მთელი კვირა ტუეში დღე-ღამე ბიჭთან იყო. ამას შეეძლოს და უარი სთქვას, უფრო ცუდია.

---

[1] გატაცებული ქალს, ზოგჯერ ჰოლიციის დახმარებით და მთავრობის მორჩილების ნიშნად, ჰატრონს უბრუნებენ, მაგრამ თავს კი არ დაანებებენ. შერიგდებიან ჩვეულებრივ და იხე წამოიყვანენ.

ძალმომრეობაზე სამართალი ბიჭს დასჯის, მაგრამ ჯერ ექიმმა ქალი რომ უნდა გასინჯოს?! ცოცხალის თავით ამას ქალი არა კისრულობს. ქალმა ესაც იკისროს, სამართალმა ბიჭი დასაჯოს, ამით მაინც ქალი ფონს ვერ გადის, შვებას ვერ ჰპოვებს. უნდა სახლში იჯდეს, დაბერდეს გასაოხოვარი, სხვისი ცოლობის ნება არა აქვს. თუ გათხოვდა, სხვამ წაიყვანა, ჰასუხს სისხლით წამყვანი აგებს.

ჩანს, ქალმა უნდა უპასუხოს მოსამართლეს: მსურდა, ჩემის ნებით გავყეო. მოსამართლეც ამით კანონს ემორჩილება. გამტაცებლისათვის ძნელი ეს არის, საზღაური და ხარჯები ბევრი სჭირდება, თუმცა ხარჯიც, გასავალიც ქალის მარჯვენამ უნდა აანაზღაუროს...[1]

საერთოდ, ქისტი ქალის ბედი ვერა ბედობს! მისი ბედ-იღბლის ჩარხი სუსტად ტრიალებს და ესა სდებს მის გარეგნობას განსაკუთრებულ ნიშანს.

ქალის ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობა შინ ხომ ასეთია, არც გარეთ არის მისი უკეთესი. შინ საქმის მონაა და მორჩილი დიდ-ჰატარის, ბედითაც ხომ მათი კითხულია, არც გარეთ ეტყობა მას თავისუფლება.

ქმართან ქალს ვერავინ შეატყობს, თუ მისი ცოლია. უმცროსებთან გართობა, ლაპარაკი მისთვის რომც მოახერხოს, დედამთილ-მამამთილს ხმას მაინც არა სცემს. დღესასწაულები, გასართობები, შეკრილობა, ლხინი, თამაში, ადგილობრივ ნაკლებად არის, ვერც სხვა-

---

[1] ქალის გატაცებაში შერიგების წესი ისევ ისეთია, როგორც სხვა დროს. უფროსი ხალხით თხოვნა, ქალიანსა მისვლა-მოსვლა, ხარჯი, ფულით გადაწყვეტა ნეფისა არის. გატაცებაში ვინც მონაწილეობდნენ, ისინიც ჯარიმდებიან ხუთ-ხუთი თუმნით. ესეც ბიჭის კისერზეა. ბიჭის გადასახდელია ურბეთის აღებამდე, გატაცებაში შერიგების დროს მიტანილი ხარჯიც – საკლავი, რამდენიმე ჩაფი არაყი. შუაკაცები აქ არაფერს სჭამენ. ვაჟიანთან დაბრუნდებიან, იქ სჭამენ, რაც იქნება... შერიგება თუ არ მოხდა, შეიძლება სისხლი ჩამოვარდეს...

გან – გარე მხარის დღეობებში გავლა-გამოვლას, გართობას ბევრს ის ვერ დაიქადნის, ზოგი თავის სოფელს არც გასცილებია. თუ წავა სადმე დღეობაში ან ქუდის სავაჭროდ, მთელი მისი გაელა, ხალხში გასვლა მარტო ეს არის.

ქისტის ქალი, გარეთ გასული, ჩაცმული სადღეობოდ თავის გემოზე, მოხდენილია კიდეც, მართალია, მაგრამ ჩაცმულობას, სილამაზეს და მშვენებას როდი ამკობს გულის სილაღეც.

იგი მოღრუბლული და შუბლშეკრული დაიარება, ეტყობა, რომ ბედს უმდურის გული ჩაგრული აქვს.

ქალს არაფერი არ აკვირვებს, არც ხალხი, არც სხვადასხვა სანასაობა. ბევრს ეგონება – მოწყვეტილი აქვს მას ეს ყველაფერი. დღეობაში თუ მაინც სადმე რამემ მიიქცია მისი ყურადღება, მიუბრუნდება თავის ამხანაგს და ასე ეტყვის:"ვადადაი აზ გუიხუან" – ვაიმე იმასა ხედავ?!...

ადგილობრივი დღესასწაულები. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ქისტებმა ძველი რჯული – ქრისტიანობა – ახალზე – მაჰმადიანობაზე – გადაცვალეს, მაგრამ ქრისტიანულ წესებს ისევ ასრულებენ.

არ დაუვიწყნიათ როგორც გარეგანი ნიშნები ქრისტიანობისა, როგორც ზემოთ ავხსენით, – ჯვარის დასახვა, მკვდრების მოხსენება, სამების ხსენება, აგრეთვე ქრისტიანული წესებიც. წინანდელი, ანუ ძველი რჯულის წესები აქვთ შენახული და ასრულებენ: ნიჯუა, ოოღუა და სინი.

ესენი მოსვლის დროთი და წესის ჩატარებით სრულებით ეთანხმებიან ქრისტიანულს დღესასწაულებს – შობას, აღებას და ნათლისღება-წყალკურთხევას.

ახალი რჯულის ანუ მაჰმადიანობის დღესასწაული აქვთ მარხვის გახსნა — რამაზანი — ანუ აღდგომა. ეს დღეობა წელიწადში ერთხელ მოსდით სხვადასხვა დროს მარხვის გახსნაზე.[1] ქრისტიანული თვისების დღესასწაულები — ნიჯუა მოსდით აუცილებლად 21 ნოემბრის შემდეგ დამთხვეულს შაბათს, თითონაც არ იციან — საიდან და როგორ ანგარიშობენ.

წინა დღით საკლავს იუიდიან (ეველა კი არა), დილით დაჰკლავენ, ხორცს მოხარშავენ, ხინკალს, მწვადს დაამზადებენ, ერბო-კვერცხს „ჯაბალგი" და სხვა. ასე გამზადებულს სუფრაზე დიასახლისი უსათუოდ მოიხსენიებს ეველა მიცვალებულს ჩვეულებრივად. შემდეგ მეზობელს მოიპატიეებს, ის ამას გაიპატიეებს. ასე მიდი-მოდიან მთელი დღე ერთმანეთში და დროს ატარებენ.

შესვლისას სტუმარი იტეეის: „ეზირამ დოოღოლდ შუნ" — მრავალს დაესწარითო. ამ უქმე დღის წინა ღამეს ოჯახის რაიმე ნივთს, რაც იქ იუო, სხვისას არ დასტოვებენ.

სინის დღესასწაულობენ 14 იანვარს მახლობელს შაბათს. ეს დროც, ალბათ, ვარაუდით აქვთ დახსომებული. ამ უქმეს უფრო მომეტებული ცერემონიებით ასრულებენ.

წინა საღამოს, კარგა შებინდებულზე, ვახშმობის ხანს — ჯეილი ქალები, ბიჭები ცალ-ცალკე გავლენ განზე, ავლენ მაღლა ხეებზე, შენობებზე და იქიდამ სოფელს ათვალიერებენ და მკითხაობენ: რომელი

---

[1] ამ დროს ძველ-ახალი მკვდრის ჰატრონები ტაბლას ამზადებენ, სასაფლაოზე გადიან და იქ მკვდრებს იხსენიებენ. შინ რომ მობრუნდებიან, ჰატიეილობა და დროსტარება აქვთ, როგორც დღესასწაულის წესია. ეს არის დუისელების ჰირველი და უკანასკნელი დიდი დღესასწაული. იმ დღეს და სხვა დროსაც ჯამბაზი თოკს გაბამს და ზედ ითამაშებს. ეს იქნება ქალებისა და ვაეების დიდი გართობა ადგილობრივ. ერთი ზურნას უკრავს და მეორე — დაფს. ორივე თავიანთი ნოსტატარია, ჯამბაზიც თავიანთი კაცია.

სახლიდან რას გაიგონებენ ან დაინახავენ, იმის დახედულად დასკვნას აკეთებენ. მაგალითად, თუ კარის რახუნი გაიგონეს, წლამდე მოუკვდებათ ვინმე, თუ სინათლე და სიმღერის ხმა მოდის, ქორწილი იქნება, თუ ცეცხლის წინწკალი ავიდა, ქალი გათხოვდება და სხვ.

წინა ღამეს დიასახლისი ამზადებს ხონჩას, ზედ აწყვია: ჰური, ჯამით ხორბალი, თაფლ-ერბო, ცოტა რამ ხილი და სხვა.

დილაადრიან სახლის უფროსი, ან უმცროსი ადგება, აიღებს იმ ხონჩას, ჯერ სახლს შემოუვლის, მერე ბოსელში შევა, საქონელს მიუკვლევს, იმ ხორბალს ზედ გადააშლის – ასე გამრავლდითო, შემდეგ სახლში შევა, დაილოცება. ხონჩას დასდგამს, თაფლში ჰურს ამოაწებს, შესჭამს და იტყვის: ასე ტკბილად გაიაროს ჩვენმა ყოფა-ცხოვრებამო. სხვებიც ადგებიან, მივლენ ხონჩასთან და მეკვლე ამათაც მიულოცავს და თაფლ-ერბოიან ლუკმას შეაჭმევს.

ამ დროს, დედაკაცი უკვე წყალზეა კოკით წასული. ამოავსებს თითო კოკას და ნაპირზე დაღვრის თითო მკვდრისთვის და შენდობას ეტყვის, ძველსა და ახალს არ დაარჩენს მოუხსენებელს და შინ ისე წამოვა.

სახლში მამაკაცი, როგორც ნიჯუობას, საკლავს დაჰკლავს – უფრო ახალი მკვდრის ჰატრონი – ხორცს მოხარშავს, ხინკალს, მწვადს მოამზადებს.

ამას დიასახლისი დაუმატებს ერბო-კვერცხს, ერბო-ხაჭოს, რძის ფლავს და სხვა. გააწყობს სუფრას, ზედ ხელით მარილს მოატარებს და ძველ-ახალ მკვდრებს მოიხსენიებს, მეზობლებს დაუძახებს, სვამენ, სჭამენ და ასე ერთმანეთის ჰატიჟილობაში დროს გაატარებენ.

ოოღუას წესის ჩატარება იციან მუდამ წელს ნიჯუასა და სინის შუა ხანს და მის მერეც. ქისტებს ეს ჩვეულება და მისი ჩატარება სრუ-

ლებით ემსგავსება ქრისტიანულს აღებას ე.ი. სმა-ჭამის მომატებას. თვითონ სიტყვის წარმოებითაც კი ემსგავსება. ოოღუა — აღება.

ბევრს, უფრო შეძლებულს, ერთი-ორი, თუ უფრო მეტი ცხვარი ჰყავს ქოსმენად შენახული, ძროხა, ან უმუშევარი სარი ამ დროს დასაკლავად და ხორცის მოსამარაგებლად.

იგი ამ საქონელს დაჰკლავს, ძვალ-რბილს ჩაამარილებს, ჯიგარს მაშინვე მოიხმარს, თავ-ფეხს დასტუსავს, ფაშვ-ნაწლავებს დარეცხს და ხაშად მოხარშავს. შემდეგ დამარილებული ხორცის ძვლებს ამოიღებს, მზე-ნიავზე გაჰკიდებს, გააშრობს და ისე გამოიზოგავს — რბილს მწვადად, ხინკლად, ქადის გულად ნელ-ნელა შეაყოლებს.

ერთმანეთის დაჰატიჟება ამ დროს არ იციან. ზოგნი საძმოდ იყიდიან და გაიყოფენ. ასლა ეს „ოოღუა" — აღება ქისტებისთვის, როგორც რჯულგამოცვლილებისათვის ჩვეულების სიმტკიცეა სხვა არაფერი. თუმცა არც უშლის რამეს,მხოლოდ მუცელს ასარგებლებს.

ქველმოქმედება. ეს ქრისტიანული ხასიათის დღესასწაულები — ნიჯუა და სინი — იმისთვის უყვართ ქისტებს და არ ივიწყებენ — უფრო დედაკაცები — რაკი თავიანთ მკვდრებს, რომლებიც მათთვის დაუვიწყარნია, ძველსა და ახალს იხსენიებენ. ახალი რჯული კი ამას არ ავალებს.

დედაკაცი მოხსენიებას არა სჯერდება. მიცვალებულის სახელობაზე მომზადებულს სუფრას სამადლოდ გასცემს, ბეჩავს, დავრდომილს, ავადმეოფს მოიმადლიერებს.

ეს სამოწყალეო, სამადლო საქმე არც კაცს ეჯავრება, სრულებით თანაუგრძნობს დედაკაცის ასეთ ქველმოქმედებას.

უბრალოთ ლაპარაკში, როცა სათხოვნელი აქვთ რამე, კაცმა, დედაკაცმა, სიტყვის თავად იცის: „დეელ დუჰ, მეელდუჰ" — ღვთის გუ-

ლისათვის, მადლის გულისთვის; თან მკედრების საფლავს აფიცავს: „სენ ველეჩ ქოშუა ვარ!“

დედაკაცმა გაჭირვებული რომ ნახოს და ხელი ვერ მიუწვდებოდეს, სიბრალულით დაიღრიჯება, გულზე მუშტს შემოიკრავს და იტეგის: „ვაი, მისქინ“ – ვაი, საწყალიო.

ქისტ კაცს მოსისხლეზე ძალიან არავინ მტერი არ ეჯავრება. მტრისგან გამოხვეწილი მისი მოსისხლე რომ მას სახლში შემოეფაროს, მადლის გულისთვის მას შეიფარებს, მდევარს არ დაანებებს მოსაკლავად, გადაარჩენს და მერე ისე თავის სახლიდამ მშვიდობიანად გააცილებს და შემდგომისთვის კიდეც გააფრთხილებს, მაგრამ შემდეგ, როგორც მოსისხლეს, მოუკლავს არ გაუშვებს, სადაც შეხვდება.

ეოველნაირი სამადლო საქმე: სკოლა, ეკლესია, მეჩეთი, ხელის დახმარება და სხვა უეკართ და არცა ზოგავენ შემლების კვალად. მიცვალებულის სასელობაზე შეკერილი ტანისამოსის სამადლოდ გაცემა არა შურთ. სოფელში შეუძლებელი, ღარიბი ოჯახი დიდ გაჭირვებას არ განიცდის ხალხის ქველმოქმედებით.

გარდა ამ დღესასწაულებისა, სხვადასხვაც იციან - საკლავის დაკვლა და მთლად სამადლოდ გაცემა, ან მშიერთა შინ მიწვევა. ზოგი წმინდა ფქვილის კვერებს, ხაჭო ჩადგმულს ერბოში მორწყავს, ზედაც ბლომად ერბოს დაასხავს და შეუძლებელ ოჯახებს დაურიგებს. ამას „სააკას“ ეძახიან.

ბევრჯერ, ქრისტიან ბერებს, მონაზვნებს ჩამოუვლიათ სოფელზე და შეწირულების სახით კარგა უშოვნიათ ხორბალი და სხვა.

ერთი ქისტი – *კებიშა მაქვიანი* – წავიდა ქაბაში. სოფლის ხალხმა იმდენი შეწირულობა გაატანა, რომ საგზაოდ თავისი ფული არც კი დაეხარჯებოდა.

პირველი სკოლის დაწყება-აშენებაზე მთელი ხეობის მცხოვრებთა შეკრებილობაზე ქისტებმა პირველმა გამოაცხადეს სურვილი და შეწირულობაც გამოიღეს. ზოგიერთი, შარიათის თანახმად, ათეულს თავის შემოსავლიდამ მოლასაც აძლევს, ქვრივ-ობლების სასარგებლოდ. თავიანთ პარასკევს და კვირასაც უქმობენ, ხოლო ამ დღეებში სამადლოდ შველიან ხელმოკლე.

შვილების აღზრდა. შვილების აღზრდის საქმე, მათი განვითარება და ცხოვრების გაუმჯობესება ქისტ ადამიანს მადლად და ქველმოქმედებად არ მიაჩნია, არცა ჰგონია.

ასე ფიქრობენ და მსჯელობენ: თუ კაცს თავისი ბედი და ეისმათი არა სწყალობს და თუ იმან — როგორც ხარი სახარე ბაგაზე მიგდებული — თვითონ არ შეჰყარა ყოველ კეთილს, საკუთარის ცდით და გარჯილობით არაფერი იქნებაო.

ამნაირი აზრით გამსჭვალული ხალხი სტოვებს თავის შვილებს, მომავალ თაობას ბედის ამარად, მინდორში, საქონლის უკან! [1]

მწყემსი ველად, ხანაც ტყეში რას ისწავლის? საქონელს ხისხლი მოუვა, კვდომას დაიწყებს, ეური უნდა გაუჯრას, სისხლი გამოუშვას, ხორცი მოუნდება, პირუტყვი დაკლას. ხორცი იშოვოს — ჯამოს, თავისას ვერ გაიმეტებს, სხვისა მოიპაროს, მოიტაცოს. საქონელს ნადირი დაეტანა, თოფი ესროლოს მოკლას ან გააფთხოს, ქურდი შემოეპარა, ისიც მოკლას, ან დასჯრას, მოიშოროს და სხვ.

ბალღმა თავის მეზობელს იქით გზა არ იცის, სხვა ადამიანი თვალით არ უნახავს, თავის ტყე-მინდორს იქით ფეხი არ გაუდგამს,

---

[1] ამ ანდაზითვე თვითონვე იმეორებს: ცა ხოე ჩუა მალხეე დინარგ, ხოუჩუა ეანდუეღიე ვიეან ეოლოშ დენე — უცოდინარის მზეში ნაკეთები მცოდნემ გრილოს ქვეშ ჯამაო...

სხვა სოფლის, ქალაქის კაცი რომ ნახოს, უკვირს, უფრთხის, მაღლა ციდამ ჩამოვარდნილი ჰგონია. განათლებულს ადგილს, ხალხში, სახლში რომ შეიყვანოთ, იქ არ ედგომება, ეჩოთირება. როგორც მგელი ტეისაკენ, ისე თავის სოფლისკენ იყურება ისევ.

ასე თავგანებებული მოზარდი თაობა, კულტურულად და სწავლა-განათლებით უკან ჩამორჩენილი, რას უნდა წარმოადგენდეს თავის ცხოვრებისა და საზოგადოებისთვის? — სრულ არარაობას.

ცხოვრებისთვის უნდა შეიქმნეს ის, რაც ეოფილა მისი მამა-ბაბა ამ ასი წლის წინათ — ველური, უბადრუკი, ბედოვლათი, გამოვიდეს უსარგებლო ელემენტი ქვეყნისათვის, მტერი კულტურისა და ეურ-მოჯრილი ყმა ტრადიციისა.

ადმინისტრაციული მხარე. ეოველი სამოსამართლო შემთხვევა, რომელიც კი შეიძლება მოხდეს ქისტის ხალხის ცხოვრების ფარგლებში — კაცის კვლა, დაჯრა, ქურდობა, დაცემა, ძალმომრეობა, ქალის გატაცება, შერიგება, ქორწილი, დაძმობილება და სხვა, წყდება და ირჩევა თავიანთის მამა-ბაბის კანონით, ანუ ჩვეულებით, ტრადიციით. თუმცა ფორმალურად ემორჩილებოდნენ და ახლაც ემორჩილებიან საერთო სამოქალაქო კანონებს, მაგრამ ეასიდად, ძალაუნებურად.

ეს მათი ტრადიციის კანონები არცა ეოფილა და არც არის კოდექსად აღწერილი და ჩაწერილი მწერლობის უქონლობით. მარტო სიტყვა-სიტყვით, ზეპირ გადმოცემით, როგორც უბრალო ზღაბარი, შერჩა ხალხის თხრობას და ისე სარგებლობენ.

აქამომდე ეს ძველისძველი კანონები მტკიცედ ჩაწერილი აქვს მოხუცებულებს გონების დავთარში და ეს კანონები ძველი, ახალი, მათი გამოგონებულია. დააკლეს, მოუმატეს თუ არა, მაინც როგორც

უნდა იყოს, მათი სიტყვა და გადაწყვეტილება ღვთიური მცნებაა ხალხისთვის.

ეს კანონები გარდუვალია მათთვის და გარეშე ხალხზედაც ავრცელებენ ზოგიერთს. მაგალითად, ქართველს, კერძოდ, ფშაველს, თუშს ან ხევსურს, ქისტის სისხლი რომ დაედოს, სისხლი უნდა აზღვევინოს. თუ არადა, საუკუნემ რომ გაიაროს, არ დაავიწყდება მის ჩამომავლობას.

რუსის კანონებს, როგორც მაგალითად, „ინორროდცებთან" ცოტაოდენი შეთანხმება რომ ჰქონდეს, არა უშავდა რა. ამის მიზეზით ბევრი ისჯება ორნაირად და ტყუილადაც.

ქისტმა იჩივლა მაზრის უფროსთან: ჩვენ მავანი სისხლს გვედავება, ჩვენს წესზედ არ გვირიგდება და გკდევნის. უფროსი *მესხიშვილი* თავისებურად მივიდა მოპასუხის ოჯახში, ზეკუციის სახით კარგა დაარბია, ჩამოართვა ყველა იარაღი, ცელიც კი აღარ შეარჩინა. ზოგი იქვე დაამტვრია, ზოგი თან წაიღო და შემდგომისთვისაც უარესად დაემუქრა.

საქმე უფრო გამწვავდა. ორიოდე კვირის მერე კაცი მაინც მოკლეს და მერე მოახდინეს შერიგება.

უფროსი რომ სხვანაირად ჩარეულიყო საქმეში და მათებურად მისდგომოდა სამართალს, კიდეც შერიგდებოდნენ და არც კაცი მოკვდებოდა.

სასამართლოში მოსამართლემ თუ ამათ ჩვეულებასაც ანგარიში არ გაუწია და ისე მშრალად გადაწყვიტა, სწორი არ გამოვა.

მაგალითად, სასამართლომ ქისტი კაცის მკვლელს კატორღა მიუსაჯა. მკვლელმა გაათავა სასჯელის ვადა. შინ რომ მივიდა, მოსისხლემ თოფი მოარტყა და მოკლა. მსაჯულს რომ მკვლელისთვის გადასახლება მიესაჯა, კაცი ცოცხალი გადარჩებოდა.

ქისტს მეზობელმა ქურდობაზე უჩივლა სასამართლოში. მოსამართლემ ქურდს სამი თვე ციხე დააკისრა. შინ რომ მოვიდა, დამკარგავემა, ტრადიციით, დანაკარგი ერთი შვიდად აზღვევინა, დამნაშავე ორნაირად დაისაჯა.

ბიჯმა ქალი გაიტაცა. ქალი ბიჯს, როგორც იუო, წაართვეს და უჩივლეს სასამართლოში. სამართალმა ბიჯს მიაკუთნა ქალი, მაგრამ ქალმა უარი განაცხადა. არც ექიმის გასინჯვა იკისრა.

მაშინ სამართალმა ბიჯს მიუსაჯა შეურაცხუოფაზე ერთი წელიწადი ციხე. დამნაშავემ ციხე გაათავა, მაგრამ ქალის ჰატრონს კაცი დაეკისრა, ჰატრონმა კაცი ვერ უზღო და ქალი გასათხოვარი შინ დაბერდა.

ბიჯმა სხვა უკეთესი ცოლი შეირთო. ქალის უარი დედის ბრალი იუო. ეგონა, შეურაცხუოფისთვის ბიჯი დაისჯებოდა, შემდეგ კარგა ახვეწნინებდა, ტრადიცია ფულსაც მეტს დააკისრებდა, მაგრამ უკუღმა გამოვიდა.

მოსამართლეს რომ გრძელი ჯაჭვი აეხსნა და კოდექსი გვერდზე გადაედო, ქალისთვის მიესაჯნა დამორჩილება ბიჯისა, ქალი უარს ვერ იტეოდა და ბიჯს ერთი სასჯელი გადაეხდებოდა. თუმცა შერიგებაში ფულს წაართმევდნენ, სამაგიეროდ, ქალი ბიჯს და ბიჯი ქალს დარჩებოდა. გასათხოვარი ქალი შინ აღარ დაბერდებოდა.

საქართველოს გასაბჭოებამდე, მეფის განკარგულებით, ხეობა საერო ურილობაზე აღმასრულებელ ორგანოს — მამასახლისს ირჩევდა წინათ. ომის შემდეგ — ერთს ე.ი. მთელი ხეობა ორ სამამასახლისოდ იუოფოდა, სამის წლობით კანდიდატით, დამხმარეთი, ანუ თანაშემწით, რომელსაც ნაცვალს უსმობდნენ, ამასაც კანდიდატით და გზირით.

მამასახლისს ერთი დღე მუშაობა ჰქონდა კომლზე წელიწადში, ან ერთი მანეთი ფულად, ცოტაოდენ მუშას თავის ნაცვალსაც სთავაზობდა. ეს ორგანო ასრულებდა მთავრობის ყოველ დავალებას და იცავდა სოფლებში მშვიდობიანობას და წესიერებას.

ერილობა ირჩევდა აგრეთვე სამის წლობით მსაჯულებად სამ დარბაისელ კაცს კანდიდატებით ცალკე ქისტებისთვის, ცალკე — სხვა დანარჩენი სალხისთვის. მსაჯულები არჩევდნენ სოფელში მომხდარს ინციდენტს და საჩივრებს, რომელიც არ აღემატებოდა 300 მანეთს.

ქისტების მსაჯულები არ უყურებდნენ სამოქალაქო კანონებს, დებულებას უსწავლელობით. ხელმძღვანელობდნენ მარტო თავიანთი ადათით და მით ათავებდნენ ყოველ საქმეს და საჩივარს. საქმის საძიებლად, დასამტკიცებლად მოწმე არა სჭირდებოდათ, მარტო ფიცი იყო საჭირო და სამართალიც სწყდებოდა.

მსაჯულებთან ერთი ქისტი უჩიოდა მეორეს დანაკარგს. მოჩივარი ეუბნება მსაჯულებს: მაგან დაიფიცოს — მე არ მომიპარნია და არც ვიცი, ვინ მოიპარა და თავს დავანებებო. მოპასუხემ უთხრა: შენ დაიფიცე თუ მე მოვიპარე და გიზღამო. ვერც ერთმა ვერ დაიფიცა და საჩივარი მოსპეს.

ერთმა ქისტმა მეორეს სთხოვა, საჩივარზე მიმოწმეო. იმან კი - ოღონდ ნუ დამაფიცებ და შენ არჩეულს ერთ ცხვარს მოგცემო, — უპასუხა.

ქისტს საზღაურისა არ ეშინიან, როგორც ფიცისა. ძნელად იქნება, ქისტმა კაცმა ტყუილად დაიფიცოს.

ტყუილ ფიცზე ერთი ლეგენდა არის ხალხში დამრჩალი, რომელსაც შიშით და ძრწოლით მოუვებიან ხოლმე.

სადღაც, მთელი სოფელი კომლზე ერთი, ანუ ორი კაცი ჰფიცავდა ერთს ძნელს საქმეზე.

მამამ, რომელმაც კარგა იცოდა იმ საქმის თავი და ბოლო, უთხრა თავის შვილს, არ დაეფიცა, ხოლო თუ იურჩებდა და დაიფიცავდა, წამოსვლისას გზაში თვალ-ყური ფხიზლად ჰქონოდა – რას გაიგონებდა ან შენიშნავდა.

ეველამ დაიფიცა. განზრახული შვილი სახლში რომ დაბრუნდა, მამამ ჰკითხა:

– რომ მოდიოდი, ხომ არაფერი შენიშნე გზაში?

– არაფერი, უპასუხა შვილმა, მაგრამ ორ მთას რომ გამოვცდით, მესამესთან რაღაც ძახილი მომესმა.

– ეგ ის არის შვილო, უთხრა მამამ, რომ ტეუილი ფიცისთვის შენ და შენს შვილს არაფერი გევნებათ, ხოლო შვილიშვილს კი მიეწევაო. მართლაც, ვითომ, მისი შვილიშვილი სულ ამოწყვეტილა!...

ოფიციალურად დედაკაცს არ აფიცებენ, არც ენდობიან მის ფიცს. თუ ბრალდება რამე, კაცმა უნდა დაუფიცოს. არაქისტმა ქრისტიანმა რომ დაუფიცოს ქისტს სიმართლეზე, იმასაც არ ენდობა და მნელად ღებულობს.

ფიცი. ფიცში დიდ-ჰატარა იციან, მაგრამ ზოგისთვის დიდი, ჰატარა, ბედენა არ არის. რაკი დაიფიცა, სულ ერთია მისთვის.

დიდი ფიცი ხდება დიდ საქმეზე – დაფარულის კაცის კვლაზე, ქურდობაზე, ქალის შეურაცხყოფაზე – „ფჰხა ბალ ბოულ", სახლის გატეხვაზე და სხვა. ამისთანა საქმეზე დამნაშავეს თითქმის არც კი აფიცებენ, მას უნდა დაუფიცოს საგვარეულოდან 8-16 რჩეულმა და დარბაისელმა კაცმა.

ამდენ მოფიცარ ხალხში ერთს ჰკიდია ზურგზე კალანჩხა, სადაც აწყვია სამუშაო იარაღები: ბარი, თოხი, ნამგალი. სასაფლაოზე კალანჩხიანი ზედ სამარეზე დგას, სხვები კი გარს ახვევიან. იქვე მოლა

დგას ეურანით ხელში, სულ დაბლა ჩამოჰყავთ ღმერთი, ხატი, მაჰმადი და სხვა.[1]

ბოლოს, სათითაოდ ფიცს ეველა ასე ათავებს: ეს ეურანი გამიწყრეს, ამ მკვდრების ცოდო მქონდეს, ჩემობა გათავდეს, თუ მე მაგ ბრალში წილი მედოს, ან ვიცოდე და არა ვსთქო.

ამ დროს, მთელი სოფელი, თითქმის, იქ არის თავმოყრილი.

ბევრსა სზარავს ასეთი ფიცი, დედაკაცებს ზოგს ტირილიც მოსდის და სწეევლის უშვერის ჰირით იმას, ვისგანაც არის გამოწვეული ესეთი ძრიელი ფიცი.

ჰატარა, ანუ მცირე ფიცი — შეკრებილს ხალხში საკმარია, მოლის წინ და ეურანთან სთქვას: "ამ ეურანის მადლმა, მაღალი მზის მადლმა, ამ ოქრო-ვერცხლის მადლმა — შევერცხლილს ხანჯალზე ხელს დაიდებს — მე არ ურევივარ მაგ საქმეში და არც ვიცი დამნაშავე!"

მცირე ფიცი აქვთ ზოგჯერ მარტო ეურანზე. მოლა ერთს თითს ააშვერინებს მაღლა დამფიცავს და უკარნახებს: „ვალლააჰ ბალაა-ჰეაზიგ, ვა დეელ, იერ ეოოლ მუეს დეგრ დერ აას ეოოლ მაც დინა აას დერგ დოლოშ ვიცარ სო" — არც მომიჰარავს, არც მდომნია მოპარვა და არც ვიცი მომპარავი — და სხვა. თუ ძალდატანებით, ან უწადინოთ ჰფიცავს, მაშინ გულში სხვანაირად გამოსახავს და შეიძლება სხვის გასაგონადაცა სთქვას.

1905 წელს, საქართველოში ჰირველი რევოლუციის წელს, როცა მთელი ხეობის ხალხი — ქისტი, ოსი, თუში, ფშაველი ერთმანეთს უფიცავდა სიმართლეზე, მაშინ იქ ერთმა ქისტმა ფიცი რომ გაათავა ბოლოს დაატანა — ჰირიი ცა ლოორეშ — ოსების ჩაუთვლელადო.

---

[1] ამ დროს დაზარალებულის ნათესავები მათ აქეთ-იქიდამ თოფებს უცლიან იმის ნიშნად, რომ თუ ვინმე მათგანი მაინც ღირსეულია, შეეწიოს მოკლულს და საიქიოს წეალი უზიდოს, ემსახუროს.

დუისში მოხდა ერთი ასეთი უმაგალითო ამბავი: ერთმა ცოლშვილიანმა ქისტმა, მადაი მაქვიანმა, დღეობიდამ თავისი მეზობელი ქალი წაიყვანა სახლში ცხენს უკან შემოსმული.

გზა ტყეზე იყო. მადაიმ ცხენი გზას გადააცილა, ქალი ჩამოსო ცხენიდამ, ქალის ამბავის კითხვაზე მადაი ქალს, ანუ მას, მეორე ცოლობის წინადადებას აძლევს.

დიდი კამათის შემდეგ მადაიმ ქალს ფიცი ჩამოართო ცოლობის პირობაზე და ისე მოიყვანა სახლში.

გავიდა 3-4 წელი. ქალი ზის სახლში, არც თხოვდება არც ამხელს თავის ბედს და წარსულ ამბავს.

ერთხელაც ქალი მოლამ დანიშნა. ეს მადაიმ გაიგო, მიუვარდა ქალს და აუტეხა აურზაური.

მაშინ ყველამ გაიგო, რაც მომხდარიყო. ჩავარდა ჩხუბი, გაწევ-გამოწევა და ორ საგვარეულოს შორის ჩამოვარდა სისხლი.

მადაიმ ქალთან უდანაშაულობაზე, ანუ სიწმინდეზე ფიცი იკისრა, მაგრამ საგვარეულოდან მოსთხოვეს 8 კაცის ფიცი, რომელიც ვერ შესდგა.

თუ 8 კაცი მადაის დაუფიცავდა, რომ მან ქალი უვნებლად მიიყვანა სასლში, მადაი თავისუფალი იყო, ხოლო ქალის მიცემა შეობლების ნება იქნებოდა, თუ არა, მადაის ეკისრებოდა სისხლი. ამ პირობაზე ვერ შერიგდნენ და მტერობა გაგრძელდა.

ერთ დღეს, ორი მისისხლე — მადაი და ქალის ძმა — შეხვდნენ სოფლის ახლოს გზაში, იძრეს ხანჯლები და დაუშინეს ერთმანეთს; მადაიმ სძლია და მოკლა კიდეც. მადაის დაემართა ორი სისხლი და სამუდამოდ შეურიგებელიც დარჩა.

15 წელი მადაი იჯდა სახლში გამომწყვდეული, მზეთ უნახავი. ორჯერ შიგ სახლში თოფეს, მაგრამ ვერ მოკლეს. ბნელში ჯდომით

დაბრმავდა და ისე მოკვდა. სისხლი შვილებზე გადავიდა. არც შვილებს შერიგდნენ. ერთი მათგანი კიდეც თოფეს გუთანზე მომუშავე, ის კინაღამ მოკვდა. ბოლოს, ძალისძალით, 25 წლის მერე შეარიგეს. ორიეე საგვარეულო ფიცით შეკრეს ე. ი. დააძმობილეს უშიშროებისთვის.

სახალხოდ და საქმის გულისთვისაც არა, ეგრე უბრალოდ ლაპარაკში, კაცმა, თუ დედაკაცმა, სიტყვის თავად ფიცი იცის ტყეილსა და მართალზე – დეელ ყურნაურ, ოჭ ლეეთოვარ, ოც მაალხუარ – ყურანის მადლმა, მზის მადლმა, დედამიწის მადლმა.

სიმინდი რომ გულს ჩაიდებს, ჩამოივლის სოფლის გზირი, კომლიდამ თითო გირაოს გამოიტანს და ერთგან შეინახავს.

სიმინდი როცა შემოვა, მოიჭრება და შინ შემოიტანება, ვინც მივა და დაიფიცავს – მე სხვისა სიმინდი არც მომიპარნია და მოპარული ჩემს ოჯახში შემოტანილიაო – გირაოთ წაიღებს, თუ არა და გირაო ეკარგება და თუ ბალღს შემთხვევით მოუტეხნია და მიუტანია, ერთი შვიდად უნდა ზღოს.

არავინ დაგვაბრალოსო, ბიჭები ამის შიშით, ვერც თავისას ვერც სხვისას, ნედლს სიმინდს ვერ მიიტანენ სახლში.[1]

ჩემის რწმენით, ფიცი და მისი ასეთი სიმტკიცე ისევ ქრისტიანობის დროიდამ უნდა იყოს ქისტებში შემორჩენილი. სხვა მაჰმადიანებში არა სჩანს ამგვარი ფიცის მოთხოვნილება და სიმტკიცე.

მოსისხლეობა. როგორც ისტორიამ იცის, ადრევე მოსისხლეობა ყველა ხალხში ყოფილა – ევროპაში, რუსეთში და აქაც.

---

[1] ფიცი დუისელებს რჯულსაც მტკიცედ უნახავს. თუ ქისტმა მოლას დაუფიცა რჯულის სიმტკიცეზე, კიდეც შეასრულებს და თუ არ შეასრულა, სოფლის სალაპარაკო და აბუჩი ხდება. ამისთანა კაცზე იტყვიან – „ეადახან“ ანუ ცოდვილიანი.

სადაც კულტურა და სწავლა-განათლება შევიდა, იქ, დიდი ხანია, მოისპო და ისპობა, ხოლო ჩვენი ქისტები, როგორც ამ ბედნიერებას მოკლებულნი, დღეისნამდე ისევ განაგრძობენ ამ უკეთურ ჩვეულებას.

მოსისსლეობა ანუ სისხლის აღება, სისხლის საზღაური (მათებურად „დოუ") ასე უცვლელად ათა-ჰაჰიდამ ჩვეულებაშია.

ამ უხეში ჩვეულების წინააღმდეგ ჰოლიციამ ბევრი სასტიკი ზომები ისმარა – ოქმები, სამართალში მიცემა, იარაღის ჩამორთმევა, დარბევა, დატუსაღება, ციმბირის კატორღა და სხვადასხვა, მაგრამ სულ ამაოდ.

ამ ზომებმა ბევრჯერ საქმე უფრო გაამწვავა, სისხლი მაინც ისევ სისხლმა ჩაბანა დიდისა და ჰატარის გაურჩევლად. მკვლელობა ფათერაკით და მტრობით ერთნაირად გადახდა, მოკლულს მკვლელიც თან გაჰყვა, მკვლელი სიკვდილს ვერ გადარჩა ვერც ფულით, ვერც სამართალით, ვერც თავდებობით, ვერც გასვლა-გარიდებით და სხვა.

სისხლი სისხლს თხოულობს ერთში – ერთს და არ არჩევს დიდია თუ ჰატარა. ფული ისსნის მარტო მკვლელის ნათესავს, გვარეულობას და არა დამნაშავეს. სისხლის მაძიებელი ყველას უპასუხებს: „რაკი სამართალმა, კანონმა გაამართლა, მე აღარაფერს ვედავებიო, მაგრამ დამნაშავის მოსვენება კი არა აქვთ დღე და ღამე, მის ნათესავებს, მთელს საგვარეულოს, მანამ თავიანთი წესით არ დაკმაყოფილდებიან.

მკვლელი ხომ მაინცდამაინც შეწირულია. იმას, როცა იქნება, უნდა ქურდი მელასავით მარტყან თოფი და მოკლან. მკვლელს რომ ერთთანა ჰქონდეს საქმე, არაფერი, როგორც იქნება ან ჰასუხს გასცემს, ან მოერიდება, მაგრამ ქისტებმა შორიდამ იციან ნათესაობა მამის-დედის მხრით. რომელს ერთს დაემალოს, მოერიდოს. წავიდეს, შორს გაერიდოს, არც იმის ნება აქვს! ბევრი კვდება უჩუმრივ-

დანდობილად გზაში, თუ მინდორში სამუშაოზე. უნდა იყოს ადგილობრივ, დაბმულივით!...[1]

სისხლის საზღაური. სისხლი ორნაირად საზღაურშია. მკვლელი ზღავს თავის სისხლით, ხოლო მისი ნათესაობა — ფულით, საქონლით, ავეჯით და ზოგჯერ სისხლითაც. სისხლი წინათ სხვა ღირდა. ამ ბოლო დროს დაფასდა 700 მანეთი ოქროთი. ამ ფულს იხდის მკვლელის გარდა სხვა ყველა მისი საგვარეულო. მამა, ძმები იხდიან ყველაზე მეტს, შემდეგ გაურილი ძმა, მერე მიყოლებით ბიძა, ბიძაშვილები, ძმისწულები და სხვა. შორეულს, ანუ ბოლო ნათესავს ხვდება 1 მანეთი. ასე ინაწილებს მთელი ნათესაობა და იხდის სისხლის საზღაურს 700 მანეთს, შერიგებაში გაწეულს ხარჯებს — შუაკაცებს სასმელ-საჭმელს მკვლელის ოჯახი იხდის. შვიდ წლამდე ბალღი, ღრმად მოხუცი და დიაცი საზღაურიდამ თავისუფალია, ხოლო მორიდება კი ამათიც ვალია.

თოფით დაჭრილი თუნდა მორჩეს, დამნაშავე მოვალე სდება სისხლისა, ხოლოთ მათი ხელით სიკვდილისა კი არ ეშინია![2]

---

[1] თუ მკვლელი უკაცო ოჯახში შეიხიზნა და იმას იქ მაინც შეუცვივდნენ და მოკლეს, სახლის ჰატრონი კი შინ არაა, მკვლელები სიხლის ჰასუხისგებაში ცვივიან სახლის ჰატრონთან, ხოლო თუ სახლის ჰატრონი შინ დახვდა არ მოაკვლევინებს, თუნდა შეხიზნული თავის მოსისხლეც იყოს, როცა გაუვლის და თავის სახლიდამ უნებლად გააცილებს, გააფრთხილებს ეს აღარ გაიმეოროს.

[2] მტრობით მკვლელობის დროს დამსწრე მკვლელის არა ნათესავი, ნახევარს სისხლის საზღაურში ვარდება, თუ დაბრალებულს ვერ დაუფიცა, რომ მას მოკლულზე ცუდი განზრახვა არა ჰქონდა და არც იცოდა მკვლელის ბოროტი აზრები მოკლულზე, აგრეთვე თოფი თუ სხვისა არ აღმოჩნდა, თოფის ჰატრონმა უნდა დაუფიცოს, რომ თოფი იმ საქმისთვის არ უთხოვებია და არც იცოდა თუ მას მისი მოკვლის განზრახვა ჰქონდა. თუ მკვლელობა მკვლელის არა ნათესავის სახლში მოხდა, სახლის ჰატრონი იფიცავს, რომ ის მკვლელობის საქმეში არაფრით არ გარეულა, არ იცოდა მათი შურისძიება და კიდეც ეცადა მათ დაზავებას...

თითო ხანჯალ დაკრული ღირს 5 ძროხა, ხანჯლის წვერ წაკრული ღირს 10 ძროხა. ძროხა დაფასებულია 5 მანეთად. საქონელზე ღირს 10 ცხვარი. თითო ძროხაზე თითო ცხვარი ექიმისაა, რომელიც დაჭრილს მოარჩენს. ეს ფასები ეხლა შეიცვალა და რიგდებიან შეფასებით.

ნათესავისაგან მკვიდრ ფულის გადახდაზე უარის თქმა შეუძლებელია. ეველა სცდილობს დროზე შერიგდნენ, რომ ნება ექნათ თავისუფლად სიარულისა, მუშაობისა.

ნათესავმა თუ საზღაურზე უარი სთქვა, ნათესაობიდამ ჩამოიშორებენ ოფიციალურად, როგორც ზემოთ ავხსენით. ასე ჩამოშორებული ნათესავი თავისუფალია საზღაურიდამ და სისხლის მაძიებელიდამაც.

ეს შემთხვევა იშვიათია, ძნელად ხდება, რადგანაც უნათესაოდ დარჩენა დიდ უბედურებად მიაჩნიათ.

თუ სისხლი მტერობით არის ჩამოვარდნილი, მოკლულის ნათესავები შერიგებას ძალიან აგვიანებენ, უნდათ რომ მოსისხლეს ნათესავებმა მეტი ტანჯვა, გაჭირვება და ზარალი განიცადონ.

მართლაც, ისინი დიდ შეწუხებაში ცვივიან, თუ ერთი სოფლისანი არიან, გაზაფხულის ხვლიკებივით თავიანთი სახლის წინ მეუდროზე გამოსულებსაც არ ასვენებენ.

მთელი საქმე შინ და კარში, სამართალი დედაკაცს აწვება კისერზე. ეველა მოკლებულია სოფლის ერილობას, ჭამასა და ლხინს, ხვაგან მგზავრობას, ღამით სიფრთხილით თუ არა, გარეთ ვერ გამოვლენ, თვით მკვლელი ხომ დამწყევდეულია ტუსაღივით.

უხანჯლოდ ქისტი კაცი ძნელად გაივლის, რომელსაც გინდა უცბად შემოხვდეს, მაშინ თუ ხანჯლით დაეტანება, მუდამ თვალი მოსისხლეზე უჭირავს.

არავის ნება არა აქვს სამუშაოდ მინდვრად გავიდეს, ნამუშევარი რომ მთლად იღუპებოდეს. თუ არ დაიშლის და გავა მინდორში, სულ აქეთ-იქით უნდა იუურებოდეს მტრის მოლოდინში. იქნება მტერი კიდეც წამოეპაროს, ესროლოს თოფი და გააგოროს. ასეთი შემთხვევები ბევრი ეოფილა, ამიტომ ღამე მოსისსლეთა გარედ გამოსულა საფიქრებელია. შეიძლება ჩასაფრებული იეოს ვინმე. ჯერ დედაკაცი გამოვა, ეზოს დაზვერავს და მერე კაცს შეუძლიან გამოვიდეს.

მადაიმ და მის შვილებმა რაც სატანჯველი გამოიარეს, ის ოთხი სისსლის ფასი იეო.

ქისტ კაცს უნდა რომ მოსისსლემ მეტად იწვალოს და სისსლიცა ზღოს, რომ ამით მან გული კარგად მოიფხანოს.

ქისტს რომ ჰკითხო, ჰატარის სისსლში დედისას რად ემებო, გიპასუხებს: ჰატარას ტანში განა წეალი უდგაო...

საქონელმა რომ შემთხვევით ბავშვს წიხლი მიარტეას და მოკლას, ან მთაში ცხვრის ფეხით გამოგორებულმა ქვამ იქ მთიბაეი, ან მოარული ვინმე მოკლას, საქონლის ჰატრონი სისსლის საზღაურშია, ჯერ მწეემსი უფრო.

ამ შემთხვევაში შერიგებას არ აძნელებენ და შემწეობას ნათესაობა ცხვრის ჰატრონისა თავიანთი ნებით ზღოობენ და არა ძალაუნებურად.

შერიგებიდამ წლის დამლევამდე თუ სისხლის მართებელთ მკვლელი მოკლეს, საზღაური ფული და შერიგებაში მისული ხარჯიც ისევ უკან უნდა დაუბრუნდეს მოსისსლეს, ხოლო თუ წლის ფარგლებში მოუხდათ მისი მოკვლა, მაშინ აღარაფერი უბრუნდებათ.

ხისხლის მაძიებელნი სცდილობენ — მანამ მოკლულის სამარეზე მიწა გაშრებოდეს, მკვლელიც ზედვე დააკლან, რადგანაც შეურიგებლობა არ იქნება იმდენი ტანჯული ხალხისა, ხოლო შერიგებაში

აღებული ფული მათთვის თვალში ეკალივითაა. ამიტომ სცდილობენ ბადალი ჩქარა მოკლან და ისე შერიგდნენ. თუ ბადალი ჩქარა მოკლეს, შერიგება ჩქარა ხდება და არც არა იხარჯება.

შერიგებას აძნელებენ არა ფულის გულისთვის, არამედ გულის მეტად მოსაფხანად.

როცა შერიგდებიან, საზღაურს ჩაიბარებენ, ერთმანეთში მივლენ-მოვლენ მკვლელის გარდა, ნათესავებში ორ ახალგაზრდას დააძმობილებენ მეტი დანდობისათვის.

ხანი გაივლის, გული დაშოშმინდება, სისხლი დაწუნარდება, მკვლელი ფრთხილობს, ერიდება და იქნება მადიასავით მათგან სიკვდილსაც გადარჩეს.

ამისთანა დროს დედაკაცები მეტის-მეტნი არიან. კაცებს, ახალგაზრდებს მათგან მოსვენება არა აქვთ ლაპარაკით და წუწუნით: თქვენი მტერი თქვენი სისხლითა ძღება, თქვენ კი უურდაგდებულები სხედხართ. თქვენი მკვდრის სამარეზე მიწა არ გამშრალა და თქვენ გარიგებას ფიქრობთ და სხვადასხვა.

ასე წაქეზების მეტი კი არ უნდა ჯეილ ქისტს. მოავლებს თოფს ხელს, წავა და ერთხელაც იქნება, მოახელებს მკვლელს ან დღე ან ღამე, ნამეტანი თუ ერთი სოფლისანი არიან.

მოსისხლეს დევნა განცხადებულად არ იციან, მათ უნდათ საქმე საპოლიციოდ გახდეს, ან იქნება ჰირდაპირ შებმით ისევ მან სძლიოს, როგორც მადაიმ.

მართალია, მკვლელის ჰატრონები არ იჩივლებენ, რადგანაც შეიძლება საქმე გამწვავდეს, ხოლო თუ შემთხვევით ჰოლიციელს ეურში ჩაუვარდა და მკვლელის მკვლელი ციხეში ჩასვეს, ციმბირს გაგზავნეს და იქ მოკვდა, ან დაიკარგა, მაშინ ორი სისხლი ხდება საზღაური. თუ შინ მოვიდა კი — არა უშავს რა.

ერთი სიტუვით, ქისტი კაცის სისხლი ხათაბალაა — მკვლელი დასაკლავ ხარივით შინ უნდა ებას.

შერიგებაში ჰირობას უდებენ — თუ ერთი სოფლისანი არიან, მკვლელი მახლობელ სოფელს არსად გასცდეს, თუ სხვა სოფლისა და, თავის სოფელს არ გასცდეს.

შორს თუ წავიდა საქმისთვის, ერთი თვის მეტი არ უნდა დაგვიანდეს, შორს არ ეცხოვრება, ვერ იმუშავებს დიდის ხნობით და სხვა. თუ წავა და სულაც აღარ დაბრუნდება, დევნას იქ კი არ დაუწყებენ, მის ნათესავში, საგვარეულოში, რომელიც კარგი და სახელიანი ვაეკაცია, ბადლად იმას არჩევენ. ამ არჩეულსა და ჰირველსაც ე.ი. მკვლელს „მეერის" ეძახიან.

ინვალიდი მკვლელი ქისტებშიც გარანტიით ცხოვრობს.

თუ მკვლელი ბუნებით მახინჯია, ან ერთმანეთთან ჩხუბში, მტერობაში დამახინჯდა თვალით, ხელ-ფეხით, მადლად იმას აღარ მოჰკლავენ, ეგ მოსაკლავად აღარა ღირსო.

ამ შემთხვევაში, თუ შერიგდნენ, მახინჯი მკვლელი მორიდებით იქნება, მანამ ცოცხალია.

სისხლის მაძიებელნი უცდიან — თუ იმ დროს ღირსეული არავინ არის — მკვლელის ახლო ნათესავი, ან გვარში ვინ გამოჩნდება სახელიანი „მეერის", შვილი, შვილიშვილი, ძმა-ძმისწული და სხვა.

ზოგს, რომელიც მეტი სახელიანია, სოფლის სასარგებლო, იმას „მეერიდ" არ ირჩევენ. მკვლელს ნება არა აქვს გაერიდოს სისხლის მაძიებლებს, მაგრამ ნათესავებს კი ნება აქვთ გაერიდნენ შერიგებამდე, გადასახლდნენ შორს, ხოლო მხვედრი საზღაურის გადახდით. ასე ბევრი კომლებია გადასახლებული...

შერიგების წესი. ქისტებში მკვლელობა მტრობით ძალიან იშვიათად ხდება. მკვლელობა უფრო შემთხვევით ხდება, ჩხუბში და შერიგებაც აუცილებელია, უფრო ჩქარა შემთხვევიდან.

ქისტებში როგორც მოსისხლეთა შორის შერიგებაა ძნელი, ისე რომ კაცის კვლა იყოს ძნელი, ერთი ქისტიც არ მოკვდებოდა მეორის ხელით.

შერიგება იციან დიდის ამბით და ცერემონიით.

მთელი ხეობის თავ-თავი, დარბაისელი 10-12 კაცის მოწვევა რამდენჯერმე, მათი ხარჯი და ჰატივისცემა აწვება ოჯახს.

სარჯიც იმდენად დიდია, რამდენადაც სისხლის მაძიებელი სხვადასხვა მიზეზებით აძნელებს და უკან აყენებს შერიგების საქმეს.

შუაკაცებიც ბევრი ხვეწნით, თავის მოხრით და თხოვნით მობეზრებულები არიან, მანამ დაიყოლიებენ და დაითანხმებენ.

დანიშნულს დროზე შუაკაცები ჩვეულებრივის სამზადისით: ოთხი ცხვარი, ერთი ხარი — ყაახარმერჩი — ნამცხვარი ჰური, ყველი, არაყი 5-6 ჩარექი, დარაია და სხვა. ამაზე წინ საზღაური გადაწყვეტილია. საკლავს დაჰკლავენ, ჰურსა ჯამენ და შუაკაცები ასე მინ დაბრუნდებიან...

მეორე დღეს, საღამოზე ახლა ისინი მოვლენ მოსისხლეს ოჯახში ფულის მისაღებად, ამათში მოკლულის მმობელი, ან თავუფროსი არ ურევია.

შევლენ სახლში, დასხდებიან ცალ მხარეს ესენი, 9-10 კაცი, მეორე მხარეს — შუაკაცები. დერეფანში და გარეთ, ეზოში — მკვლელის ნათესაობა, მეზობლები ირევიან საქმისთვის.

შემოვლენ მკვლელის მამა-ძმები და სხვა ახლო ნათესავები 7-8 კაცი და ამათ წინ დაიჩოქებენ ქუდმოხდილი და სთხოვენ: ღმერთსაც

ვაწყინეთ, თქვენც გაზარალეთ, გთხოვთ, ღვთის გულისათვის, შეგვიბრალოთ და სისხლი გვაპატიოთ.

მოსულთაგანი ერთი მივა, უფროსს ქუდს დაახურავს, ააყენებს და ეტუვის: ადექით, გვიპატიებიაო და სხვებიც ფესზე ადგებიან, მადლობის მოხდით თავს დაუკრავენ და გავლენ.

შემდეგ შემოიტანენ ფულს-ავეჯს-სპილენძეულს და გადასცემენ შუაკაცებს. ისინი, კუთვნილებისამებრ, მათ გადასცემენ. ვახშამი მზად იქნება და ბურს ჯამენ.

ამ დროს, მოპირდაპირეთა ორ ჯეილს დააძმობილებენ ჩვეულებრივად, მეტი დანდობის გულისთვის, და წავლენ თავთავისად. ამ დროიდან მოსისხლეს ნათესაობა თავისუფალია მათგან სიკვდილის შიშისაგან, სოლო მკვლელი, ვინ იცის, როდემდე გადარჩება მათი ხელით სიკვდილს?! [1]

სისხლის პატივება. მოსისხლეთა შერიგებაში ზოგჯერ, მაგრამ ძალიან იშვიათადაც, ოჯახის უფროსი სისხლს აპატივებს მკვლელს თუ შემთხვევით, ფათერაკად მოუვიდა, ან მცირეწლოვანია და თან შორეული ნათესავი. ოღონდ აკისრებენ სამუდამო ბეგარას, ე. ი. სანამ მკვლელის შთამომავალი სავაჟეთი ხსენდება ქვეყანაზე უფროსობით, უნდა იხადოს სისხლის მაძიებელთა სასარგებლოდ წლიური გადასახადი 3-4 თუ მეტი მანეთი ოქროთი, რომ მითი ახსოვდეთ თავიანთი დანაშაული და იყვნენ სინანულში.

მკვლელს საზღაურშიაც წილი აქვს და მორიდებითაც უნდა იყოს თავისი მსხვერპლის ახალ ნათესავებთან, მანამ ცოცხალია.

---

[1] საძმო ფულის (ვოშოლა) გადახდის მერე თუ ვინიცობაა შემთხვევით ისევ ბადალი მოკლეს, მთელ ფულსაც ისევ უკან აბრუნებენ და ხისსლსაც ზღავენ.

ერთხელ, ბოქაულმა ი. მ-მა ფათურაკით მკვლელის მცირეწლოვანის ამნაირად დაბეგვრის შესახებ საჩივარზე ქისტს, როცა უველაფერი კარგა გამოჰკითხა, ასე უთხრა: „მუსა, მე როგორც მესმის და მეუურება, შენი გადმოცემული ისტორიიდან ჩანს, რომ თქვენ, ქისტები რუსის სახელმწიფოში არა ჩვეულხართ, სახელმწიფო კანონები თქვენთვის არა ეოფილა დაწერილი.

თქვენ ეოფილხართ აღვირაურილი ცხენივით თავნება ხალხი, თქვენს ნებაზე გიცხოვრიათ, თქვენი მოკლე ჯკუით გისამართლებიათ სხვაცა, თქვენი თავიც, მაგრამ ბრალიანი და უბრალო კი ვერ გაგირჩევიათ, დიდი, ჰატარა ვერ აგიწონიათ.

თქვენს ნებაზე თქვენი კანონები კიდეც შეგიცვლიათ, კიდეც გამოგიცვლიათ. თქვენთვის ადამიანის მკვლელი კაცი და საქონელი ერთი ეოფილა. თქვენი სამართლის კოდექსში მარტო სისხლი და ფული ეოფილა ჩაწერილი.

მე მარტო ნადირები ვიცი სისხლით სისხლის ამნაზღაურებელი, სხვა არავინ.

უსწავლელობას იმიზეზებთ, მაგრამ სათქვენო სწავლა ჯერ სად არის, თქვენ სწავლას ვერც შეიშნოვებთ. სწავლა კი არა, თქვენ მათრახები გინდათ და სხვა არაფერი.“

მუსამ შემცოდესავით თავი ჩაღუნა და დადგა...

დამმობილების წეს-რიგი. მოსისხლეთა შერიგებაში ორივე მხრიდან თითო ჰირის დამმობილება აუცილებელია.

ქისტ კაცს ფიცი ძალიან სწამს და მისი გატეხვის ეშინია.

დაუფიცებლად მოსისხლეთა შორის ნდობა ძნელია სრულ მშვიდობიანობაზე. ამიტომ, დამმობილება ძალაუნებურს ჰგავს.

დამმობილება სხვა დროსაც იციან და ის ურთიერთშორის კეთილი განწყობილებისა და სიყვარულისაა.

ერთს ვაქკაცს როცა მეორე მოეწონება ბიჯობით, ყოჩაღობით და შეუყვარდება, სთხოვს ძმობილობას. თუ არ დაეთანხმება, მოიწვევს სახლში ერთ საღამოს, სწორებს დაპატიჟებს, სალხინოდ ქალებს მოუწვევს (ამ დროს ქალებიც ისინჯება ჯეილებისგან), საკლავს დაჭკლავს, სასმელს გააჩენს და იმ ღამეს კაი დროებას გაატარებენ.

მეორე დღეს სუფრას გააასლებენ და მსურველი სასმელიანს ჯიქაში ვერცხლს ჩაფსეკს, ან ვერცხლის ფულს ჰირდაჰირ შიგ ჩააგდებს, დაილოცება და იტყვის: შენ უფროსი ჩემი ღვიძლი ძმა, მე უმცროსი, შენი დედა-მამა — ჩემიც, შენი და-ძმანი ჩემიც, შენი კეთილის მდომი სათესავი — ჩემიც ის არი, შენი მტერი ჩემიც მტერია, შენს მომკლავს მოვკლავ, კბილით დავგლეჯავ, იმის სისხლს შევსვამ, როგორც ამ ჯიქით სასმელს. შენს მოღალატეს შუა წყალში ხიდი ჩაუტეხეს, ცხენი კლდეს გადუვარდეს და თან გადაჰყვეს. დღეის იქით ჩემი ძმა ხარ, თუ გიღალატო, ძმობა არ გაგიწიო, ფიცი გავტეხო, მე უარესი მომივიდეს და ეს ფიცი ჩემზე არამი იყოს.

დალევს ნახევრად და მიაწვდის ძმობილს. ისიც თითქმის ამასვე გაიმეორებს და გადასცლის ჯიქას. ადგებიან ორივენი ფეხზე, ხელიხელში ერთმანეთს მაგრა გადაჰკოცნიან და ისე ერთად დასხდებიან სუფრაზე.

ორ-სამ დღემდის ძმობილი ეხვეწება დარჩეს, დროება გაატაროს. ის შინ იწევს წასასვლელად, ეს არ უშვებს. რაკი ვეღარ დააკავებს, რაც კარგი რამე ეგულება ოჯახში — იარაღი, სახლის ავეჯი, ტანსაცმელი, დასახური, მოიტანენ და სუფველას წინ დაუწყობს ძმობილს. გარეთ შეკაზმული ცხენი დგას ისიც იმისთვის, რომელიცა სურს, იმას აიღებს და ეველას ჰირზე კოცნით გამოეშვიდობება.

შინაურები გზას კარგა გააცილებენ, თუ იმ სოფლელია, თუ სხვა სოფლელი და ქვეითად მოსულა, ცხენით გაგზანიან უსათუოდ.

ახლა ის გაუმართავს მოკლედვე წვეულებას, ეცდება უკეთესად გაუმასპინძლდეს და მეტადაც დააჯილდოვოს. თუ ცხენი სხვა ჰყავს, იმით გამოგზანის, თუ არადა, ისევ თავის ცხენზე შესვამს და გამოისტუმრებს.

ასე დამმობილებულები თითქმის ძმაზე მეტად ხათრით და თავაზით ეპყრობიან ერთმანეთს და სისხლის ზღვასა და მის მეობაშიც ნამდვილს ნათესაურს მონაწილეობას იღებენ და ერთგულებას იჩენენ.

ასეთივე ძმა-დობილობა ქალ-ვაჟთაც იციან, ხოლოთ დასაჩუქრება მცირედ. ერთად წოლა — ხევსურ-ფშავურად. არ იციან ქალის ქალთან დადობილება, ხდება უბრალოდ, თიოქმის უჩუმრად.

ძმობილობის მნიშვნელობა. ეს ჩვეულობა ხალხისა, ანუ ძმობილობა არ არის ურიგო, უსარგებლო ჩვეულება, ბოროტებაზე აშენებული, ან დიდი მაზარალებელი, არამედ სასარგებლო და გამოსადეგი. მოსახლეთა შორის აჩერებს მტრობას და იწვევს ერთმანეთში მტკიცე დანდობას.

ვინმე უცხო, შორით მისული, დაკარგული, თუ მოსისხლეობას გამოსვეწილი, გამორიდებული, უნათესაოდ დარჩენილი, უცხო სოფელ-ქვეყანას შემოხიზნული ნათესავს გაიჩენს ამ საშუალებით, ე. ი. დამმობილებით და იცხოვრებს არხეინათ და უშიშრად.

ძმობილი და მთელი მისი საგვარეულო ანუ ნათესაობა, რომელსაც ქისტები შორიდამ ეკიდებიან, ყველა ისე უყურებს და მიღებული ჰყავთ, როგორც სხვა თავიანთი სისხლის ნათესავი.

ზოგი, მართალია, ძმობილდება რაიმე ინტერესის გულისთვის. თუ რამე შენიშნა სამმობილეს ტანზე, ან მის ოჯახში, თავის მოსაწო-

ნი, არ შეიძლება, რომ არ დასცინცქლოს, თუმცა არც ეს არის დიდი თვალთმაქცობა. შეიძლება სამადლოდ, თუ ნივთი არა აქვს რა, სიკეთე მეტიც გაუწიოს, როგორც ძმას.

სსვა რომ ქისტს დაძმობილდეს, ეს გამორჩენის ინტერესით იქნება, რადგანაც ამ დროს ჰირველი არაფერს აძლევს, რადგანაც მათ ჩვეულებაში არ არის, სოლო მეორე აუცილებლად ასაჩუქრებს ჰირველს.

ზემოთ როგორც ვთქვით, ჰანკისის მთელს სეობაზე 5 სოფელია — 2 ჰატარა და 3 მოზრდილი წმინდა ქისტებით დასახლებული. ამათი ზნე-ჩვეულებანი და ადათი ყველასი ერთი და იგივეა, ცოტა რამ უმნიშვნელო გარჩევით.

დასახლება სეობისა — ჯოყოლოს სოფლისა — არის სსვა დროს და სხვა მიზეზით.

დანათვლა. ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ჯოყოლოს სოფელი წარმოადგენდა ჰანკისის ხეობაზე წერტილივით ერთ ჰატარა, მწირ სოფელს.

აქა სცხოვრობდა 15-20 კომლი ქისტი. ეს ქისტები, 1845-1859 წლებში ჰირიქით ქისტეთიდან გადმოსახლებული ემიგრანტი მაჰმადიანები, 1866 წელს, რუსის მთავრობამ ძალად დანათლა.

რომელიმე მონათლულისთვის რომ გეკითხა დანათვლის ამბავი, ვეტყოდა: „რა დაგვნათლეს — სტრაჟნიკებით ძალად დაგვაქუჩეს, ჩაგვწერეს დავთარში. მდინარე ალაზანზე დააგუბეს წყალი, მიგვრეკეს, დაგვატიტვლეს კაცი, დედაკაცი, ნიფხვების ამარად, ჩაგვყარეს წყალში, კარგა დაგვწუწეს დასიცხული კამეჩებივით, ამოგვრეკეს თითოობით, შუბლზე რაღაც ზეთი წაგვისვეს და თან გვეუბნებოდნენ: — შენ ჰეტრე გქვიან, შენ — ივანე, ჰავლე, მიხა და სხვ. დანათლულები

ხართ, წადით ესლა, იარეთ ეკლესიაში, ჰირჯვარი დაიწერეთ, მარხვა შეინახეთ, ილოცეთ, როგორც მღვდელმა დაგარიგათ, ეზიარენით და სცხონდებითო!"

სხვა გეტეოდა: „ხელებზე წეალი დაგვასხეს, დაგვაბანინეს და გვითხრეს – წადით, მონათლულები ხართო. ქვას რომ წეალი გადაავლო, ქვა დარჩება, განა აგური გახდებაო."

ეს მართალიც იეო, არა სტეუოდნენ! მაშინ შეშინებული, ტეეში გაქცეული, დამალული ბევრი დარჩა ფორმალურად მოუნათლავი, ხოლოთ დავთარში ჩაწერილი იეო და მონათლულს ეძახდნენ.

არცერთმა – დიდმა თუ ჰატარამ, ჰირჯვრის წერა, ზიარება რა იეო, არ იცოდა. ეკლესიაში რომ ქუდი შეეეგდო, გამოსატანად იქ არ შევიდოდა, მღვდელს კი ეწერა დავთარში აღნიშვნით: „თქვა აღსარება და ეზიარაო."

ეს გახლდათ ჰანკისში ახლად ნაქადაგები სარწმუნოება ქრისტესი ახლად ნათელღებული ქისტების მიმართ.

მთის ბელადი ჯოეოლას ამბავი, ხალხური გადმოცემა. იმის წინა დრო, შამილობის ხანა იეო. მეკობრეობა გახშირებული იეო მთა-ბარში.

ერთი სახელიანი, ჰირიქითელი ქისტი ჯოეოლა მაქვიანი, მუდამ ზაფხულობით, 10-12 თავზეხელაღებული ქისტის ჯეილი ბიჭებით გადმოდიოდა ჰირაქეთ მთებზე. ის დაეცემოდა თუშების, ფშავლების ცხვარ-ძროსა-ცხენების ჯოგს, მოსხლეტავდა საკმარის ნაწილს, წინ ბიჭებს გაატანდა, თვითონ უკან შორიახლო გაჰყვებოდა. თუ მდევარს ნახავდა, ჩაუჯდებოდა გზაში და რომელსაც სასიკვდილოდ ჰქონდა თავი გადადებული, არ შეეცდებოდა მის შებრძოლებას.

ჯოელა ქართულ, კვესიან თოფსა ხმარობდა, მაგრამ ისე სწრაფად, რომ წინა ნასროლი თოფის ბოლოს მეორისას მოსდევდა.

ამისთანა მუდმივი მტაცებლობით ჯოელამ ცხვარ-ძროხის ჰატრონი ხალხი ერთობ შეაწუხა, თავი მოაბეზრა. ძალით ვერა გააწყო რა ვერც სალხმა, ვერც მთავრობამ.

მაზრის უფროსმა *ლევან ჩოლოყაშვილმა* ისევ მშვიდობიანის გზით დაიყოლია მთის ბელადი ჯოელა.

ლევანმა ქისტი შუაკაცებით — წოვა-თუშებით და სხვა, დაიახლოვა ჯოელა და ასე უთხრა: „ჯოელა, რად გინდა, უაჩაღობით და ავკაცობით ცხოვრება და ლუკმა ჰურის ჯამა? რასა ზიხარ იმ ჯოჯოხეთში?

გადმოდით, გადმოსახლდით, რამდენიც იყვნეთ, ჰირაქეთ, ამ სამოთხეში. სადაც მოგეწონოთ, იქ დასახლდით. წმინდა ჰური, სასმელ-საჭმელი ბევრი გექნებათ, სულ ეურძენსა სჯამთ, მეტი რა გინდათ?

ჯანი კარგი გაქვთ, ნიჯიერი ხალხი ხართ. რამდენიც გინდათ, მამულს მოგცემთ — მთას, ტყეს, სახნავ-სათესს. მოხნავთ, მოთესავთ, გაირჯებით და იცხოვრებთ ტკბილად, არხეინად. თქვენს კარზე მზეწვიმის მეტი არავინ მოვა — არც ხარჯისთვის, არც ბეგარისთვის და არც სხვა რამისთვის.

ტკბილი და მოქარგულის ენით დათათბირებული ჯოელა იმავე მოკლე ხანში გადმოსახლდა თითონ და 9-10 კომლი სხვა ქისტი ჰანკისის ხეობაზე დასახლდა იმ ადგილზე, რომელიც მაშინ თუშებს ეკავათ. სოფელსაც სახელი ბელადისა დაერქო.

ახალშენებმა დაიწყეს ცოტ-ცოტად მოხიჟიავება. გაიჩინეს ეზო, წნული სახლებით. დაიწყეს სიმინდის თესვა. როცა მოეწყვნენ თავი-

ანთ ბეჩაობაზე, ლუკმა ჰური გაიჩინეს, დამკვიდრდნენ, ბელადი ჯოელა — გარდაეცვალათ.

დაობლებულ მეკომურებს მთავრობამ გამოუცხადა — ან დაინათლენით და, ან ისევ აიყარენით და წადითო. ქისტებმა დანათვლას წასვლა არჩიეს და კიდეც აიყარნენ, მაგრამ ისევ დაამშვიდეს, დააბრუნეს და ისე ძალად დანათლეს...

იმ ხანად, მთელ ჯოელოს სოფელში მარტო ერთი სახლი იყო ფიცრული *მაქვიანი* ქისტისა.

მეორე ფიცრული იყო ეკლესია, ახალშენთა დანათვლის წელს აშენებული.

ფიცრული ეკლესია იმოდენა იყო, რაც ათიოდე ადამიანი ფეხზე დგომით დაეტეოდა, უჯერო უიატაკო, ღარიბი, მოუწყობელი. თავზე ჰქონდა სხივებიანი რკინის ჰატარა ჯვარი დასმული, რომელიც, ახალი რჯულის და ეკლესიის შეუჩვევარი ქისტის ბალღებისაგან ქვების სროლით, გვერდზე გადაბრეცილი, გადმოვარდნაზე იდგა.

ეკლესიის წინ გულაბი მსხალივით ჰატარა ზარი ჰკიდია, ჰატარა ენაზე ბაწარი ჰქონდა შებმული, რომლითაც ეკლესიისა და მისი მოწყობილობასავით ბეჩავი და უბადრუკი მღვდელი ხანდახან — მოგონებაზე — ნიმუშად ჩამოაწკარუნებდა ხოლმე.

საეკლესიო კანონით ზარის ხმა მრევლის დამახება-მოწოდებაა წირვასა და ლოცვაზე, მაგრამ იმ ზარის წკარუნზე ქისტის ბალღები ჭეიგილ-კიგილს გააბამდნენ, ჯეილები ეურებში თითს იკეთებდნენ, დედაკაცები კიდე ცხრანაირად დაიღმანჭებოდნენ — „ვადადაიო“. სოფლის ძაღლები, როგორც ტურების ჩხავილზე, ღავღავს და ემუილს ასტეხავდნენ.

ახლადშექმნილი მრევლის მღვდელიც არ იყო დიდი ვინმე. ისიც ნაძალადევი რჯულ-სარწმუნოების, მისი მაღიარებელი ხალხის და ტაძრის შესაფერი იყო.

ცალი ფეხი სამარეში ედგა, სუცურის კითხვა კარგა იცოდა, ხოლო ხელს ძლივს მოაწერდა. ერთი ჯურა წირვა იცოდა და სახარების კითხვა მძიმედ და სასოებით, გულის საკენწრი სიტყვა მოუდიოდა და კითხვა-ჰასუხი...

ახლად ჩამოსასლებული მთის ქისტი ხალხი, ჯოყოლელები, მაშინ 9-10 კომლი, დღეს 60 კომლამდეა.

როგორც დუისელები, ესენიც ჰირველად არაფრის მცოდნენი არ იყვნენ.

ხელობის მცოდნე მათ მარტო ერთი ოსტატი ოქრომჭედელი ჰყავდათ *ცეზია მაქვიანი*, რომელიც ვერცხლით მოსავდა ქამარხანჯლებს, აშზადებდა ქალების სამკაულებს, ბეჭდებს და სხვას.

ჰირველად ესენიც ხვნა-თესვით კახეთიდამ გადიოდნენ იოლად. მეტ ნაწილად სურსათის ფულზე ყიდვით იყვნენ, ფული დედაკაცების ნაწარმოები ნაბდის ქუდებით ჰქონდათ ნაშოვნი.

საცხოვრებელი სახლი, შინამოწყობილობა, ხალხის ფიზიკური და ზნეობრივი მხარე, ცხოვრება, მატერიალური მდგომარეობა, ჰიგიენა და სანიტარული მხარე, მოქმედება, მუშაობა, ხასიათი, ენა, ზნეჩვეულება და ადათი როგორც დუისის ქისტებს, ისე ჯოყოლელებსა, ომალოელებსა, ჩხათანა-ხორაჯნელებისა ერთი და იგივე იყო და ახლაც არის.

ეკლესია იყო ჰანკისში ჰირველი ქვითკირის შენობა, რომელიც მოთხოვილი, მოკრეფილი ფულით აშენდა 1887 წელს სოფელ ჯოყოლოში.

გაუქმებული ფიცრული ეკლესია, რომელიც აშენებული იყო ქისტების დანათვლის პირველს, 1866 წელს, დიაკვანმა *ნ. ოქრომჭედლოვმა* სკოლად გადააკეთა. ეს მცირე, მაგრამ პირველი ნობათი მთელს ხეობაზე სკოლების საძირკვლად და თავკიდედ შეიქმნა.

ეს პირველი ნობათი სკოლებისა 25 წლის მერე, *არხიმანდრიტი ლეონიდის* (ოქროპირიძე) მეცადინეობით გაიზარდა, გაფართოვდა შენობით, მოსწავლეთა რიცხვით, ჯამაგირიანი მასწავლებლებით (300 მანეთი წელიწადში) და სამოსწავლო ინვენტარით, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების თანხიდამ.

ეს საზოგადოება დაწესებული იყო 1877 წელს, ქ. თბილისში, რუსის ეგზარხოსების თავმჯდომარეობით. 1000 შეტი წევრი ჰყავდა, 1 1/2 მილიონ მანეთის თანხას ატრიალებდა. ქისტებისას მარტო ერთ მოწაფეს, *მ. ალბუთაშვილს* ზრდიდა ნახევარ ხარჯზე თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ლეონიდისეული ფიცრული სკოლა თავისი სიფრიფანა ფიცრული კედლებით ვერ აკმაყოფილებდა სკოლის სრულ მოთხოვნილებას.

1899 წელს მთის სკოლები ინსპექტორმა, აკადემისტმა *ე. მამინაიშვილმა* გამოსთხოვა ხსენებულს საზოგადოებას თანხა, ზოგს ხეობის ხალხი შეეშველა და ფიცრული სკოლა გადაკეთდა ქვითკირისაზე, რომელიც თბილისის გუბერნატორმა — *სვეჩინმა* — 3000 მანეთად შეაფასა და, რომელიც ეხლაც გმირულად ემსახურება თავის დანიშნულებას.

ამ დროს, მასწავლებლობდა ხსენებული საზოგადოების ნამოწაფარი *მ. ალბუთაშვილი*, რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის იმ ქვიტკირის შენობის აშენების საქმეში.

შენობა ორპირია 5 ოთახად — დერეფნით. არის საკლასო ოთახი 60 მოწაფისთვის, 2 ოთახი სამზარეულოთი — მასწავლებლისათვის და ღამის გასათევი ოთახი შორიდან მოსული შვილებისათვის.

ამ სკოლამ 20 წლის განმავლობაში გამოიცვალა 20-ზე მეტი მასწავლებელი, ქალი და მამაკაცი: *ოქრომჭედლოვი, მთვარელოვი, ალბუთაშვილი, ზედგინიძე, ნათაძე, კურდღელოვი,* ქალი: *სომიტოვი, არისტოვი, ორი სუკაშვილი, რამაზაშვილი, ქააძე* და სხვ.

მხოლოდ ერთი მასწავლებელი და გამგე *მ. ალბუთაშვილი* შერჩა სკოლას სრული 30 წელი, როგორც ქისტი და შეჩვეული ადგილობრივ პირობებს. სხვა მასწავლებლების ჩქარ-ჩქარა გადასვლა-გადმოსვლაში *მ. ალბუთაშვილს* უხდებოდა სკოლაში მეცადინეობის ჩატარება ყველა საგანში. მაშინდელი ნამოწაფრები, ახლა, ზოგი სამსასურშია: მასწავლებლად, მდივნად, სატეეო განეოფილებაში და ა. შ. ერთი — მღვდელია, ზოგიც მთავრობის დახმარებით სწავლას აგრძელებს.

მ. ალბუთაშვილმა, საზოგადოების თანხიდან, თავისი პირადი მეცადინობით სოფელ ჯოყოლოში ააშენა საკრებულო სახლი, ქვითკირისა, ორპირი, 5 ოთახად. იქ ამჟამად საექიმო პუნქტია მოთავსებული. ახლა იქ ამბულატორია იხსნება.

სოფელ ჯოყოლოს სკოლა ასლა ოთხ-ჯგუფიანია.

მთის კალთებზე გაშენებული პატარ-პატარა სოფლების გარდა, თითქმის ყველა სოფელში სკოლაა გამართული საკმარი მოწაფეების რიცხვით და შესაფერი მასწავლებლებით.

ეტეობა, ახლო მომავალში სწავლა-განათლების ზაჰესი პანკისის ხეობაშიც შეანათებს და გააბნევს ხალხის ეოველნაირს ჩამორჩენილობას.

მე მწამს, რომ სოციალურ კილოზე აღზრდილი ქისტების ასალი თაობა, რომელიც იმედია, ჩქარა მოესწრება და მოციქულებად (დამკვ-

რელებად) მოეკლინება თავის ერს, გაფანტავს ფანატიზმის შავ ღრუ-ბლებს, ხალხზე გადაფარებულს და შეიტანს მათ ცხოვრებაში სინათ-ლეს, კულტურას, შრომისუნარიანობას და ცხოვრების გასაადვი-ლებლად შექმნის ხალხში კოლექტიურ ძალას ამხანაგ იოსებ სტალი-ნის მეთოდებით!...

სტუმართმოყვარეობა. კავკასია ჰურის ქვეყანაა და ხალხიც ჰუ-რადი არის საერთოდ. ჰოეტისა არ იყოს, ჰურადობა არც ქართველს ეძრახვის, მაგრამ ქისტის ჰურადობა-სტუმართმოყვარეობა განსაკუ-თრებულია.

თუშს ვერ ვაქებ, — ნომადია. ფშაველმა თქვა: სტუმარო, შენი სტუმრობა, მე არა მგონია ხუმრობაო. სევსური სტუმარს — მაზრის უფროსს ასე დაუხვდა: „ქონ-კალტის კვერა არა, მაჩალიკო, ჩემ დიაცმ გიქნა. სახოუნო კი არაირა, მიჯედი მა ეურეჩდ მიღმიჯე!“

ქისტი აგრე არ დაუხვდება სტუმარს. სტუმარი (ჰააშ) ქისტის სახლში ბატონია! ის წევს, ზის, დგას თუ მიდი-მოდის. მასპინძელი, უფროს-უმცროსი, მას ჰირში შეჰყურებს, თვალს არ აშორებს, რას მო-ითხოვს, რას უბრძანებს, ან დაავალებს. ასე ჰყავს მთელ ოჯახს თვა-ლში აღებული სამს დღეს და, თუ გაგრძელდა, ერთი კვირაც. თუ მეტ ხანს დარჩა, ჩვეულებრივი წევრივით იქნება ოჯახში, მისი დათხოვნა არ შეიძლება.

მოვიდა სტუმარი. ტკბილი სალმით, მოკითხვით, სახლის უფ-როსი მიეგებება, ორის ხელით ხელს ჩამოართმევს, უმცროსი ცხენის აღვირს მიუტანს. დიასახლისი შინ დატრიალდება, თუ დროს დაატ-ეობს, ჯერ ლოგინს გაუშლის, სტუმარს მოასვენებს, მერე მუცლის საქმეს შეუდგება. სხვა თუ ვერაფერი ვერ მოასერხა, ცხელ-ცხელი მჭა-დი, ერბო-კვერცხი, ხავიწი, ერბო-ხაჭო ხომ მზად იქნება.

სტუმარი ადგება, უმცროსი ხელზე წყალს მიართმევს, ჰირსახოცს და სასუსნავი, ყველაფერი ხონჩაზე დაწყობილი, ერთად წინ მიერთმევა... სახლობისთვის კი ბევრს არ დაღონდება. სახლის უფროსი იქვე თავს ადგა და ეხვეწება – ჯამე, მიირთვი.

უმცროსები კარებში დგანან და ბრძანებას ელოდებიან. მანამ სტუმარი ჯამას მორჩება, ასე დგანან და შეჰყურებან. სტუმარი რომ ეხვეწოს, ზედ შეელიოს, მასთან არავინ არ დაჯდება და ჰურს არ შეჯამს.[1] სტუმარი თუ თავისი კაცია, იმასთანვე შეიძლება დაჯდეს როგორმე და მაშინაც ერთმანეთის თავაზობაში არიან.

დიდი სტუმრისთვის საკლავი – ცხვარი, ბატკანი – უეჭველია... ჰურის ჯამაზე, ან სხვა დროს ერთმა წყალი რომ მოითხოვოს, მერმე ყველა უფროსს უნდა ჩამოურიგოს – ხომ არ მიირთმევთო და, მერე თვითონ დალევს.

ხამი, უცხო სტუმარი რომ ეწვიოს, შემთხვევით, ჩვეულებრივად დაუხვდება, თუ ისურვა ღამეს გაათევინებს და მეორე დღეს მშვიდობიანად გააცილებს.

თუ მას იმ სოფლის საწვდომში დაუშავდა რამე, ჰასუხს მოსთხოვს დამნაშავეს.

სოფელ ომალოდამ ჩოფანაშვილის სტუმრები – სპეკულანტები – დაეძარცვათ გზაში. ჩოფანაშვილმა დამნაშავეები იპოვნა და გადაახდევინა ერთი შვიდად, ჩაბარა თავის სტუმრებს, მაგრამ იმათ შიშით თავიანთი მეტი არ მიიღეს და ისე წავიდნენ. ძარცვაში რომ იქ

---

[1] სტუმარი თუ შეკვიანდა, მახჰინძელი მას როგორმე დაუახლოებდა, ლაპარაკს გაუბამს. როგორც ცნობისმოყვარე ხალხი, აინტერესებთ, გაიგონ – ვინ არის, რა მოხედვა შეუძლიან, რამე შველა, შემწეობა, რომ უამბონ თავიანთი გაჭირვება, ჩაგრულობა და სთხოვონ შინ მველა, შემწეობა, ან შუამავლობა. თუ იმედიანი ჰასუხი მიიღეს, ხომ ისე დაუწყებენ მას ეურებას, როგორც ცით მონაბერს ვისმე...

კაცი მომკვდარიყო შემთხვევით, ჩოფანაშვილი თავიანთი კანონით სტუმრის სისხლს მოსთხოვდა დამნაშავეს...

ჩემმა მეზობელმა მთხოვა მე თავის მოსისხლესთან შერიგების შუაკაცობა. მე გავიყოლე ერთი გარეშე კაცი – ლეკი და მივედი. ისიც მეზობელი იყო, ყოველდღე ვხედავდით ერთმანეთს, მხოლოდ სახლში არ ვეოფილიყავ იმათსას.

პირველი ღამეა, შინაურები რაღაც ფაცი-ფუცშია. ჩვენ წინ თოხლი შემოიყვანეს დასაკლავად. იმ ლეკმა წამიჩურჩულა, თორემ მე კიდეც მავიწყდებოდა. მე ვუთხარი: „თუ ჩემს თხოვნას შეასრულებთ, ეგეც დაკალით, თუ არა და, მე უნდა წავიდე-მეოქი!“

დიდი იმედი მომცეს, თოხლი დაკლეს. ჩემი თხოვნა გამოვუცხადე, მაგრამ მაინც იეშმაკეს. საქმე ე.ი. შერიგება გაურილს ძმაზე მიაგდეს და ის კიდევ შინ არ აღმოჩნდა, რომ მოლაპარაკებას დასწრებოდა. შერიგება ვერ მოხერხდა, მეც აღარაფერი მეთქმოდა. შერიგება ვეღარც მერე მოხდა და ბადალიც მოკლეს...

შორი სოფლიდან სტუმრად მოსული, თავიანთი ნათესავი თუ უცხო კაცი, ზოგი ხშირად კვირა, მეტი რჩება ხოლმე ერთ ოჯახში.

ასეთ შეგვიანებულს სტუმარს, მასპინძლის ნათესავები გაიპატიჟებენ ხოლმე, სტუმრისაც და ნათესავისაც შეღავათად და პატივსაცემად. აგეთი სტუმარი ხან ერთი თვე და მეტიც რჩება. ამ საშუალებით ის სპილენძად არ იქცეს?!

ნათესაობა (გერგერიშ). ნათესაობას ქისტი ადამიანი ძალიან შორიდამ ეკიდება დედით, მამით – ნევნხუაი-დეენხუაი – დედეულ-მამეული; შიჩი, მეეჩხი – ბიძაშვილი, დედიძმისწული; შიშიჩი, ში მეეჩხი – ბიძაშვილის შვილი, დედიძმის შვილის შვილი და სხვა. რომ იტუვიან – ყვავი ჩხიკვის მამიდაო – ამათშია!

მამით კი გვაროვნობენ ხშირად – გაქარ ბიჭი-გაქარ შვილი ვარო, დაქარი-დაქარიო და სხვა.

თავის გვარის ქალს ქისტი არც თვითონ ითხოვს, არც იმას მიათხოვებს არაფრის შემთხვევაში. ამ ნათესაურმა სიმტკიცემ ბევრი ერთი საგვარეულოს შეუვარებული ქალი და ვაჟი დააშორა ერთმანეთს.

რძალი, ჩქარა დაქვრივებული, მამის სახლში ბრუნდება, თუმცა რჯულ-დებულებით შეიძლება მაზლმა არ გაუშვას, ნამეტანი თუ საანქებო ქალია, მაგრამ ეს ჩვეულება ცხოვრებაში იშვიათად არის გატარებული და კიდეც ეჯავრებათ საერთოდ. მთელს ხეობაზე ერთი თითით საჩვენებელია ამის მაგალითი – ბარინგიშვილი.

რძალი ქმრის ოჯახის საკუთრებად ითვლება. ოჯახი მას გასათხოვებლად არ იმეტებს, ის ძალაუნებურად მამის სახლში უნდა დაბრუნდეს და იქიდამ გათხოვდეს. ამისთანა შემთხვევაში რძალი თავის ახალი ქმრით, საკლავით ურიგდება წინა ქმრის ოჯახს. რძალი თუ ორსულად დარჩა-დაქვრივდა, ძნელად გათხოვდება, თავსა სდებს იმ ერის შვილზე, ქალი იქნება ის, თუ ვაჟი.

მშობიარე აწმინდავებს სახლს, შინ არ მოილოგინებს. ბავშვი რომ დაიბადება, უმცროსები მაშინვე მთელს სოფელს-ნათესავებს მოირბენენ მახარობლად. ყველანი მოუვლიან მშობიარეს მოსალოცად. ვაჟიანს ქათმით მოულოცავენ, ქალიანს – რძის ფაფით. ზოგნი აკვნით მოულოცავენ, საჰერანგით და სხვა.

ვაჟის მამა საკლავს დაჰკლავს, ნათესავებს, მეზობლებს დაპატიჟებს, ამასაც ქორწილს (ჰოლჩოღას) ეძახიან.

რძალ-მაზლის შეუღლებაზე ჰანკისში კი არა, ჰირიქით მთა-ქისტეთში მოხდა ადრე ერთი უხეირო ამბავი: სახელოვანი მამის შვილი – *წუწა სახალაშვილი* ქისტებმა მოკლეს. *წუწას* ცოლმა – უშვილოდ

დაქვრივებულმა თქვა: ვინც ჩემი ქმრის მკვლელს მოჰკლავს, მე იმის მეტს არავის შევირთამო.

ცოტა ხანმა გაიარა. სახალას მთხრობელი მოუვიდა — შენი მოსისხლე მავან დროს აქა და აქ მოდის და აბა შენ იციო! სახალას სხვა უმცროსი შვილიც ჰყავდა — თათასა. მამა და შვილი ღამიან წავიდნენ და გზა შეუკრეს მოსისხლეს. ნახეს — ცხენებით მოდიან — ერთი წუწას მკვლელი, მეორე ნათესავის მოსისხლე.

სახალამ უთხრა შვილს — მე წუწას მკვლელს ვესვრი და შენ მეორეს ესროლეო. თათასა დაემორჩილა მამას. ორივემ ერთად ამოიღეს ნიშანში. თათასას თოფი გავარდა, კაცი გადმოვარდა ცხენიდან. სახალას თოფმა მოუცდინა, მოსისხლე გაიქცა, მაგრამ თათასამ მოასწრო და იმასაც ბარკალი მოსწყვიტა და ცხენიდან ჩამოაგდო.

თათასას რძალმა აღთქმას არ უღალატა. სახალას ეს არ მოსწონდა, ხშირად ეჩხუბებოდა შვილს და ერთხელ კიდეც სცემა. მობეზრებულმა შვილმა მამას დამბაჩა დაჰკრა და მოკლა. ნათესავებს ეწადათ თათასა მოეკლათ, მაგრამ მომაკვდავმა მამამ დაუშალა, არ გაიმეტა შვილი.

ექიმობა (ლოარ). საქართველოს გასაბჭოებამდე ჰანკისის მცხოვრებნი დიდი გაჭირვებით სარგებლობდნენ 18-25 კილომეტრის სიშორეზე, სოფელ ასმეტაში ახლად გახსნილი საექიმო ჰუნქტით. იქიდან ექიმის მოწვევა, წამლების მოტანა, ან სნეულის იქ წაყვანა ერთობ აძნელებდა საექიმო საქმეს. ზოგს მოტეუებით გამოჰქონდა წამალი, ზოგი გამოტანილ წამალს უწესოდ ხმარობდა, ზოგიც შინაური ექიმით იოლად მიდიოდა და სხვა.

ერთი ქისტი, რომელსაც სახლში ქალიშვილი ავადა ჰყავდა, რადგანაც ავადმყოფის წაყვანა საექიმო ჰუნქტში ძნელი იყო, ექიმის

ზედ მოუვანა ძვირი ჯდებოდა, ადგა, წავიდა — ექიმს რომ შვილისთვის წამლები დასტეუოს. გზაში მეავე მაჟალო ჭამა და ექიმს ისე ეჩვენა. ექიმმა ვასინჯა, ენა გამოაუოფინა და ისე წამლები მისცა.

მეორემ გამოწერილი წამლები ავადმეოფს სულ ერთბაშად დაალევინა და სულ სამუდამოდ მოარჩინა!

ქისტი *ღანიშა ზეროშვილი* შირიმით იეო ავად. შინაურმა ექიმმა *მორეკა ლამურიშვილმა,* ღანიშა დააწვინა გარეთ კაკლის გრილოში, ჯიბის დანით გაუჭრა მუცელი, ბუშტი ამოუღო, გასჭრა, შარდი და ქვები ამოუღო და ისე გაუკერა ბუშტიც და მუცელიც. მანამ ექიმი ოპერაციას აწარმოებდა ღანიშა ჰაჰიროსს ეწოდა. შემდეგ ადგა და თავის ფეხით სახლში შევიდა. ღანიშა მერე თოფით მოჰკლეს...

ქისტი ადამიანი, როგორც ვთქვი, ბალღივით ძალიან ადვილი მოსატეუებელია, ნამეტან თავისი რჯულის კაცისაგან. ისეთ რამეზე დააჯერებს ფიცით, რაც წარმოუდგენელია.

მსოფლიო ომის ხანა უნდა ეოფილიეო. დუისში ერთი ლეკი მოვიდა ჭარ-ბელექნიდან. სოფელში სტუმარმა ხალხის ჩვეულებაზე ერთ კაი ოჯასში მაიკალათა და თავისი თავი თვალის ექიმად გამოაცხადა. წუალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, თვალით სნეულები, ეკავილისაგან, სხვავე სენისაგან დაშავებულები, ლიბრ გადაკრულები მაშინვე მოგროვდნენ ექიმთან, რომელმაც ყველას დიდი იმედები დაუდო.

ექიმმა ფული ყველას გამოართო, ზოგს 70 მანეთი, სხვას მეტნაკლები. ოპერაციები გააკეთა და უბრძანა შვიდ დღემდე მსხდარიეკნენ ბნელში, ნათელზე არ გამოსულიეკნენ და შემდეგ, მითომ — სხვა წამლობა იქნებოდა.

დანიშნულს ვადაზე ექიმმა კარგა ფულები მოაქუჩა და კიდეც გაქრა. დარჩნენ ჩვენი ბრუციანები ისევ ისე და ზოგიც უარესად დაბრმავდა...

მკითხაობა (ხიათურგ). ეშმაკები, ავისულები, ჯადო და სხვა უფრო კულტურასთან ხალხის მაღალ წოდებასა სწამს, ეშინიან კიდეც და ქისტ ადამიანს რომ სწამდეს რა გასაკვირია?!

ერთი მონათლული ქისტი მივიდა მოძღვართან (მღვდელს ქისტები მოძღვარს ეძახდნენ) და ეუბნება: წუხელ ძილში ეშმაკებმა დამიჭირეს, აქა-იქა მატარეს, მაწვალეს, ცუდად გავხდი და უნდა შამილოცოვო. ჯერ მკითხავისთვის ემკითხვინებინა და იმას მოძღვართან მიესწაულებინა.

— შეგილოცავ, მართალია — უთხრა მოძღვარმა, — მაგრამ „თუობა“ უნდა გააკეთოო.

— რის თუაბ? — ეკითხება ის.

— იმისა, რომ სასმელი აღარ დალიო, ამაზე დამიფიცო, — მიუგო მოძღვარმა.

მოძღვრის წინადადება იმას ჯკუაში არ მოუვიდა, მაგრამ ეშმაკების წვალებას, ალბად, ისევ სასმელის დათმობა არჩია და მოძღვარს დაეთანხმა.

— შენ რომ სასმელს თავი დაანებო, ეშმაკი კი არა დევიც ვერ მოგერევაო, — ბოლოს ასე დაარიგა მოძღვარმა.

თავისი უვიცობით შეწუხებული ადამიანი ან მკითხავს მიმართავს გაჭირვებაში, ან სხვა მარჩიელს, ვისგანაც რასმეს გამოელის, ან იმედი აქვს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჰირიქითელი სამი ქისტი — მუსა, მექი და სადულა — მივიდნენ სტუმრად სოფელ ომალოში. იმათ — ჩვეულებრივ — მოიკალათეს *ბაბო ზურაბეილის* ოჯახში.

სიმართლე ვთქვა, ბაბო, ერთ დროს, მანამ ძმას გაეურებოდა, კარგი შეძლების ჰატრონი იყო. მერე ცოლი მოუკვდა, ვაჟიშვილი ხე-

ხერა გამოუვიდა, ქალი ავადმეოფი სახლში დარჩა, სარჩო გაუთავდა, თვითონ ბაბო ლოთი იეო და უფრო გალოთდა.

თავისი წინანდელი დრო და შემდგომი დაბეჩავება, ბაბომ თავის სტუმრებს შესჩივლა. იმათ ძალიან გაიკვირვეს ბაბოს ესეთი ჩამორჩენა და არწმუნეს მასპინძელი, რომ მის სახლში ჯადოა, რომლის ამოუღებლობა დაღუპვას უქადის მთელ ოჯახს.

სტუმრები ჯადოს ჰოვნა-ამოღებას თვითონ შეჰპირდნენ, გასამრჯელოზე მორიგდნენ და ამოღების დროც დანიშნეს.

სოფლის ხალხი ვადაზე შეგროვდა ბაბოს კარ-მიდამოსთან. გლეხი კაცის სადილობა იქნებოდა.

მუსა გამოვიდა, იქვე ხალხის წინ ნამაზი გააკეთა (ილოცა). მეორე წამოდგა, თითქოს გაჯავრებული, უკან ქამარში გარჭობილი ქისტური დამბაჩა გაიძრო და ბაბოს სახლს სამჯერ შემოურბინა ცოტა აჩქარებით, რაღაც უცნაური სიტყვების ჩმახვით.

მესამე შემოვლაზე სახლს უკან დამბაჩაც დაახალა. თითქოს ეშმაკებს სახელსაც ახსენებდა, ხან ეხვეწებოდა, თან ემუქრებოდა, თუ არ მაჰოვნინებო. როცა მოიქანცა, დაუმახა ერთ მაუურებელს, მეორეს, მესამეს. ვერავინ მიბედა — თითონვე აშინებდა მათ. ბარი მიატანინა. დაუმახა თავის ამხანაგს და სახლის უკან დირეს ქვეშ მიუთითა — აქ დამიდგა ეშმაკმა ფეხი, აბა ამოთხარეო.

ამოთხარეს. მაუურებლები მიეხვივნენ. ერთ ბარის ჰირზე რომ ამოთხარეს, ერთი ჰატარა შუშა ამოიღეს ჰირდაცული. გატეხეს და შიგ აღმოჩნდა, ვინ მოსთვლის, რა ვინდა რა ფერადი ძაფები, ბაწრები, ნაკუწები, მატელი, ქალის თმა, კაცისა, ბალანი უველა შინაური ცხოველისა, ცხენის ძუა, ფრჩხილები, ნაცარი, ნამცეცები ჰურისა, მჭადისა, უველისა და რამდენი რამ კიდე სხვა. უველა ერთმანეთში არეული, აჩონჩხილი, აწეწილი.

მთელი ხალხი განცვიფრებული გაიძახოდა: ეს რა ამბავია ამ კაცის თავსო.

ჯადოს სინჯვაში მუსა უცბად შეხტა და ჯავრობა დაიწყო, მიუბრუნდა ბაბოს და ეუბნება: „უუურე, ეშმაკი ეხლა შენ სულს მთხოვს!“

ბაბოს ახლა სულის შეეშინდა და უთხრა მას: „ოღონდ თავიდან მომაშორე და ერთ ნაოჩარსაც მოგცემო!“

მუსასაც სწორედ ეს უნდოდა. გაიძრო შავხალი (ქისტურ ხანჯალს შავხალს ეძახიან) და გაქანდა ზევით, ტეისკენ, ვითომ ეშმაკს გამოეკიდა. კაი მანძილი ირბინა და მერე დაბრუნდა.

ბაბოს ახარა — უარარაოდ გავაგდე, მაგრამ რა გაიგება ეშმაკისა. შენ ამაღამ ერთი კარგი მამალი ბატკანი უნდა დაკლა, იმის ნაღველს შევულოცავ და ცეცხლში დავსწვავ, ეშმაკი სამუდამოდ მოშორდება შენს სასლ-კარს და აღარც მოგიბრუნდებაო.

ბაბომ ესეც შეასრულა.

იმ ღამეს ჯადოს ოსტატებმა დაკლეს ბატკანი (ქისტები ქრისტიანის დაკლულს არ ჭამენ), ნაღველა ცეცხლში ჩააგდეს, ხორცი შეჭამეს. მეორე დღეს, დილით, სამი ნაოჩარი წინ გაიგდეს და გასწიეს.

მკითხაობა თითო-ოროლა მოხუცმა დედაკაცმაც იცის — ადლის გაზომვით.

სამკუთხედ შეკეცილი ხელსახოცი, ხოლო ერთ კუთხე გამონასკვული, მკითხავ დედაკაცს მარჯვენა ხელში უჭირავს შეკუმშული და ისე მიჯდომია სნეულს უანერატოში.

ხელსახოცი მას ავადმეოფის ჰირთან მიუტანია, თითქოს სული უნდა ამოხადოს, ჩუმად რაღაცას მოსთვლის, თავს აკანტურებს და თან ძალზე ამთქნარებს.

მერე იმ ხელსახოცს გაშლის, გამონასკულს კუთხეს მუხლზე დაიდებს, ზედ მარჯვენა იდაყვის წვერს მაგრა დააჭერს, მარცხენა ხე-

ლით ხელსახოცის სხვა წვერს ასწევს და ზედ მკლავს დააზმანებს, სადაც უკანასკნელი თითის წვერი დასწვდება, იმ ადგილს დაიკავებს, შეკუმშავს ხელსახოცს და ისევ ისე გაიმეორებს-გაიმესამებს.

შემდეგ, რაიმე მიზეზს გამოუყვანს ავადმყოფს და გირაოს (სახლის რაიმე ავეჯს) თავზე შემოავლებს და შეანახვინებს ან ჯკდეს შეაბმევინებს მაჯაზე იმის ნიშნად, რომ ხატში უნდა წაიყვანონ სალოცავად.

ხატები, მაგალითად, თეთრი გიორგი, დიდბატონი — ძალიან სწამთ.

მე კარგად მასსოვს, ბელადი ჯოყოლას და — მძივებით მკითხაობდა, ხოლო ვერ მაგონდება, როგორ.

ჯეილი ქალები და ვაჟებიც მკითხაობენ წელიწადში ერთსელ სხვადასხვა ნიშნებით, როგორც ავხსენით, თავიანთი დღესასწაულს — სინის წინა საღამოს.

ცრუმორწმუნეობა. ეს ნაკლი ყველგან და ყველა ერში ცნობილია და მით უფრო ქისტებში.

ხალხის რწმენით, ყოველი ბოროტება ხდება ეშმაკისაგან — ავი ანგელოზისაგან, რომლის წინააღმდეგ ხმარობენ სხვადასხვა საშუალებას.

ეშმაკისა არ ვიცი, ხოლო ადამიანის ავი თვალის, მისი ბევრნაირი თილისმის კერძო ადამიანზე გავლენას ბევრი მაგალითებით ამტკიცებენ.

ჰატარძალს ჰირს უბურავენ ავი თვალის შიშით — ყველა მას შეჰყურებს და ჰატარძალი, ვითომ ცუდად ხდება. ჰატარძალს ჰირველად წყალზე რომ გაიყვანენ, ავი ანგელოზი არ გაჰყვეს-მოჰყვესო, შინი-

დან ცეცხლიან მუგზურს ესერიან უკნიდან ფეხებში და მისვლა-მოსვლაში თავზე თოფ-დამბაჩებს გადაახლიან.

ქორწილში დაკლული ცხვრის ნაწლავს ფხიზლად ათვალიერებენ, არავინ გამონასკვოს და ისე არ გადამალოს. სანამ ის ნაწლავი გამონასკვულია, ნეფე-დედოფალიც შეკრულია, ე. ი. მიდგომა არ შეუძლიათ.

ნეფესა და დედოფლის უკანიდან რომ კლიტე დაკეტოს ვინმემ და ისე შეინახოს, ან იმათ საწოლ სახლზე ჩირჩვალი რამე გადისროლონ, ანდა გამოკვანძული ბაწარი-ძონძი მათ ჯიბეში ჩუმად ჩაუდოს, სანამ ის ნივთები არ გაიხსნება, ნეფე-დედოფალიც შეკრულია.

ამნაირი თილისმებისაგან შეშინებულ ნეფეს წინასწარ დაკეტილი კლიტე უდევს ჯიბეში, ვითომ ეს თილისმები მასზედ ვეღარ იმოქმედებს!

თვალის შიშით, ბალღის ქუდზე სათვალ-ღვინჭილა აკერია, მის აკვანს უღელზე აბია სათვალ-ღვინჭილიანი მძივების, ორაგულის ან ლოქოს ხერხემლის ძვლების ასხმულა. ავი ანგელოზის შიშით, აკვანს ჩვენეულიც რამე აქვს ჩატანებული ან თავთ შავტარიანი დანა უდევს. სადღობელს შელოცვილი ნიშანი რამე აბია, კარაქს ზემოდან ნახშირი ადევს, გარეთ გატანილს ჩუმაშიაც ნახშირი გდია და სხვ.

ამიხთანავე, თუკი ჰირუტევი ღამე გარეთ რჩებათ, დანას და საკარცხელს ერთად ძაფს დაახვევენ, შეულოცავენ და მაღლა შედებენ, ვითომ მგელს ჰირი შეუკრეს და ის საქონელს ვეღარ შეჯამს! [1]

---

[1] ცოტა რამ ასტრონომიიდანაც იციან: მთვარე განახლებისას, სამ დღემდე თავის დედასთან იძინებს. ოჯახში რომ ცხენი, ან სხვა საქონელი არ რჩებოდეთ — დიასახლისი ხორცის ხინკალს გააკეთებს და ერთ ხინკალში ცხენის ლურსმანს ჩააყოლებს, ვისაც ჯამაში ის ხინკალი შეხვდება, იმის ბედობაზე საქონელს იეიდიან და რომ ის შერჩეთ, ვის ბედობაზეც ნაეიდია, იმან არაფერი, საქონლის თავ-ფეხიც არ უნდა შეჯამოს, რომ საქონელი შერჩეთ და კიდეც ინაშენოს...

შელოცვით ვითომ არჩენენ სხვადასხვა სნეულებას, მაგალითად, თავის ტკივილს, ჭვალს, ტეირჰს და სხვ.

ევავილი-წითელათი ავადმყოფობის დროს, უქმობენ, თან ფანდურსაც უკრავენ ანგელოზების ვითომდა სასიამოვნოდ.

სნეულს თავზე გირაოს (სახლის ავეჯს რამეს) შემოავლებენ, მაჯაზე ჭკდეს შეაბამენ. ვითომ, რაკი ნიშანი დასდეს, სნეული ხატში სალოცავად წაევანისას, უსათუოდ მორჩება.

შავ ქათამს, ან მამალს, ზოგნი თსასაც დაჰკლავენ, იმის სისხლს სნეულს წაუსვამენ შუბლზე, ლოყაზე, იმ იმედით, რომ მორჩება უსათუოდ. ზოგი ავადმყოფს სისხლს კიდეც დაალევინებს ხოლმე რგების იმედით!...[1]

ოჩხარი. ქისტ კაცს წილი უდევს მთხოვარობაშიც. სათხოვნელად ეგრე უბრალოდ ხელს კი არ გამოგიშვერს, არამედ მოგონილი აქვს ამისთვის სხვა ხერხი და ოსტატობა: როცა სათხოვარი საქმე ერთ

---

[1] დედაკაცი ავი, გაიგება და მწეევარი თვალში ჰეავთ ამოღებული. თუ მის ოჯახში როგორმე ორი ან მეტი მიცვალებული დაემთხვა ერთმანეთზე ან ის წინ მოკვდა და შემდეგ მალევე სხვები, მისი ოჯახის წევრები დაიხოცნენ, მისი კიდეც ეშინიათ, იტეევიან: ეგ კუდიანი მთელ ოჯახს სულ კაათავებს და შემდეგ სოფელს გადაეკიდებაო!...

ერთ ოჯახში გარდაიცვალა დედაკაცი შუახნისა. მას მალევე მიჰყვნენ ოჯახის სხვა წევრებიც. იმ დროს, სოფელში ეპიდემია მძვინვარებდა და დიდი სიკვდილიანობა იმ დედაკაცს დააბრალეს. სასაფლაოდანაც ვითომ ძახილიც გაიგონეს. ერთ დამეს, იმ დედაკაცის მაზლი მივიდა, ამოთხარა თავისი რძალი, უბაში ერთი კრძელი ლურსმანი გაუჩარა და ისევ დამარხა.

კაცთანა აქვს, მაშინ ერთი ჩარექა სასმელიც საკმარია, ხოლო მეტ ხალხთან, რა თქმა უნდა, მეტი დასჭირდება.[1]

ერთ ჩაფს ან ცოტა მეტ-ნაკლებ ხელადას არაყს ან ღვინოს წაიღებს. თუ მთაში, ცხვარ-ძროხის ბინებში მიდის, ჰურსაც გაიყოლებს, თუ სოფელში, მაშინ ჰური საჭირო არ არის.

მივა ერთ ნაცნობის ბინაში, თავის მისვლას შეატყობინებს ყველა ასლომახლო ბინებს, შეიკრიბებიან ვახშმად.

აღა მწყემსები დალევენ სასმელს, იქნება საკლავიც დაუკლან, თუ კაცის თავზე არა, ბინაზე მაინც ერთი კვერი ყველი, ან ცხვარი-ბატკანი, გადადებულია საჩუქრად. ამ ჩვეულებას ოჩხარს უწოდებენ.

ეს წესი თუშებში ძალიან მიღებულია და ბევრს თუშს ამ საშუალებით ცხვარი გაუჩენია.

ოჩხარი თუ სოფელში მიიტანა, შეატყობინებს კომლეურად, ყველანი შეიკრიბებიან ერთს სახლში და სასმელს დალევენ. ზოგი არც დალევს, არც წავა, მაგრამ სათხოვარს კი მისცემს, ხოლო გაიგებენ, რას თხოულობს: სიმინდს, ჰურს, თუ სხვა რამეს.

თუ მეტი არა, კაცის თავზე ლიტრა ჰური, ორი ლიტრა სიმინდი აუცილებელია მეოჩხარის ჰატივსაცემად. ზოგი ხუთ ლიტრსაც გაიმეტებს. მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ თხოვნა მარტო სასმელზე არის დამყარებულიო.

---

[1] ქისტ ალბარტას მაღრანში თუთის ხე ედგა. იმის სოფელში ქართველ ქალებს აბრეშუმის ჭია ჰყავდათ ცოტაოდენი. ალბარტის ქალებმა თუთის ხე სთხოვეს და მან ციცი უარი გამოუცხადა. მე ვასწავლე მათ ხერხი. ერთ დილას, ალბარტასთან მიეიდნენ ქალები ერთი ბოთლი არაყით და სთხოვეს თუთის ხე. ალბარტამ უთხრა: მაკდენს რათა სწუხდებით, ღვთის გულისათვის, თუნდა ძირიანად მოთხარეთ ან მოჭერით და წაიღეთო!...

ოჩხარს კი ვერ დაუძასებთ, მაგრამ თხოვნაში კაცის ქუდსა და დედაკაცის მანდილს დიდად აფასებენ და მნიშვნელობას აძლევენ ქისტები და თუშებიც.

დიდი სისხლის ან სხვა სადაო საქმის შერიგებაში უფროსი 10-12 დარბაისელი კაცი რომ ქუდს მოიხდის, მოთხოვილს წინ დაუწყობს და ეტყვის: აი ეს ქუდები, ან თავზე დაგვხურამ ან ფეხით დასრისე და გადაუარეო — აქ უარის თქმა შეუძლებელია.

ორი მოწინააღმდეგე ხალხის გახურებულს ჩხუბში რომ სისხლიც მოსალოდნელი იყოს, დედაკაცი რომ მანდილს მოიხდის თავიდამ და ხალხის შუა გადააგდებს, როგორც წეალგადაგდებული წისქვილი, ასე დაზავდებიან. ამ საშუალებამ ჰანკისში ბევრი სისხლისღვრა შეაჩერა თუშებსა და ქისტებს შორის.

თვით ქისტებში დიდი და ძნელი საქმის მორიგებაში ქუდს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ერთმანეთის ჩხუბში და ხანჯლების ტრიალში დედაკაცის მანდილს დიდად აფასებენ.

ეთნოგრაფიული ერთობა. ქისტებისა და ჩაღმა-წოვა თუშების ერთობა შესამჩნევია უმთავრეს ჩვეულებათა, სასმელ-საჭმლისა, ტანსაცმლისა, ხელობასა და ცრუმორწმუნეობათა მიხედვით.

ენის გარდა, ცოტა რამ გარჩევით, ბევრი სხვადასხვა ჩვეულებანი, რომლებიც დღემდე ხალხს, ზოგი ჰირდაჰირ უცვლელად შერჩენია, ზოგი ბარად ქართველი ხალხის ზეგავლენით გადაუცვლია-გადაუსხვაფერებია და ზოგიც მიუვიწყებია, ან სრულებით მოუსპია, ამტკიცებენ ქისტებისა და ჩაღმა-წოვა თუშების ჩამომავლობით მტკიცე ერთობას.

ბევრი ესეთივე ჩვეულებანი სხვა, ამათ მეზობელ, მთის ხალხსაცა აქვთ მიღებული, მაგრამ სუსტად, ან მიმსგავსებით. ავიღოთ მაგალითად:

1) დოღი. ეს ჩვეულება მიცვალებულზე ხევსურებსა და ოსებსაცა აქვთ, მაგრამ ქისტ-თუშების დოღთან დიდის განსხვავებით — ხარჯით, ცხენების რიცხვით და სხვა ბევრი ცერემონიებით.

ხევსურები დოღში სამიოდე ცხენს არბენენ უბრალოდ, ოსები — ორს, ხოლო ქისტები და თუშები — 9-21, იმ რთული წეს-ცერემონიებით, რომლებიც ავხსენით.

2) მოსისხლეობა. ეს ჩვეულება თითქმის ყველა მთიელ ხალხს აქვს, მაგრამ ბევრის გარჩევით. ხევსურები ზოგჯერ მკვლელს ჰპატიობენ სისხლს და ირიგებენ, ეს ქისტებში ყოვლად შეუძლებელია.

ნახევარი საუკუნე იქნება, რაც თუშებმა მოსისხლეობა მიიკიწყეს. წინათ ამათშიაც სისხლი სისხლით იზღვებოდა აუცილებლივ.

ოსებში მკვლელი ქელეხს უმართავს თავის მსხვერპლს და მითი ურიგდება სისხლის მაძიებლებს.

3) ჰატარწყვილება. აკვანში დანიშვნა ჰანკისის ქისტებში და თუშებში თითქმის მთლად მივიწყებულია.

4) ნათესაობის შორიდან ანგარიში და ქალის გვარში არ გათხოვება. ორივე ხალხში მტკიცედ დაცულია დღემდის.

5) ჰატარძლის მიყვანა, ჰირის დაბურვა, მისი მიღება სასლში, კერას შემოტარება, საკიდლის, ან დედაბოძის ხანჯლებით ქექნა, ნეფე-დედოფლის წინ სუფრაზე ჯვარი ზედ ვაშლებით, დედოფლის წყალზე გაყვანა, ნეფის ცემა, ზოგიერთ შინაურებთან ჰატარძლის უმძრახობა, შეუღლებულთა ერთურთის სახელის არ დაძახება. ეს ჩვეულებანი ადრევე დანათლულს ქისტებში სოფელ ომალოდამ და თუშებში ისევ ჰრიმიტიულად სწარმოებს, ხოლო ნელად დანათ-

ლულებში და მაჰმადიანობაში დამრჩალს ქისტებში მოლიანად არა სრულდება, რადგანაც ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის ერთად ეოფნა წესად არა აქვთ.

6) ცოლის ღალატი. ქისტ-თუშ ხალხში ეს იშვიათი შემთხვევაა და თუ მოხდა, სასტიკი სასჯელი მოღალატისთვის აუცილებელია. ქისტებში ამას არ შევსწრებივარ, ხოლო თუშებში მახსოვს.

ეროი დედაკაცი კაკანტელა მოჯრილს ცხვირზე მანდილის ეურს წვერწაკრული დაიარებოდა. ჩემს შეკითხვაზე ბევრმა მითხრა: ღალატისთვის ქმარმა მოაჯრა ცხვირიო. ცოლის მეორედ დაწუნებით დათხოვნა და საწუნარის — ერთი ძროხის — მიცემა და მისი აღარ დაბრუნება საერთო ჩვეულებაა ამ ხალხში.

7) ქმრისა და ძუძუთა შვილის დედისაგან ხმით არ დატირება. — ეს თუშ მანდილოსანთა განსაკუთრებული ჩვეულებაა, რომელიც ახასიათებს მათ სიკერპეს ამ შემთხვევაში, ხოლო მიცვალებულზე მამაკაცების ტირილი, რომელიც ამჟამადაც მივიწუების სიაშია, ესეც მოქცეული, მაჩვენებელია ხალხის დიდი თანაგრძნობისა მიცვალებულის ვაჟკაცისადმი.

მიცვალებულზე სამგლოვიარო თმის გამოშვება, რომელიც ამჟამად მივიწუების გზასეა დამდგარი და მიცვალებულის უკუბოოდ დამარხვა ქისტებში ისევ მოდაშია, ხოლო თუშებში, მგონი, ზოგმა შემოიღო კუბოს ხმარება.

8) უცხო სტუმრის სამს დღემდის კარგი ჰატივი, ერთ ხმაზე სიმღერა — ქალებისა და კაცებისა — ქუდ-მანდილის ჰატივი, ძმობილობა, რძალისაგან მამამთილის ფეხების დაბანა. ეს ორივე თემის ჩვეულებაა ძველისძველთაგანი, თუმცა ძმობილობა მთისა და ბარის ხალხში უველამ იცის, მაგრამ ქისტებსა და თუშებში ეს სწარმოებს განსაკუთრებულის ჩვეულებით და ცერემონიებით.

9) სიმართლის აღსადგენად დამნაშავის დაფიცება, ნაქურდლის ერთი შვიდად გადახდევინება. ორივე თემში ეხლაც ძალაშია, თუმცა თუშებში ცოტა მოიკოჭლებს.

10) ცრუმორწმუნეობა. ამაში ორივენი ერთმანეთს ერთნაირად აჭარბებენ.

ქორწილში ცხვრის ნაწლავის გამონასკვა, მითომ შეუღლებულთა შესაკრავად, ანუ შეერთების უნარის მოსასპობად, ამაკე მიზნით, თუ ეკლესიაში ჯვარს იწერენ, საკედარზე არა და მათ საწოლის სახლზედ ჩირჩვალის გადაგდება, ნეფესთვის ჯიბეში კლიტის ჩადება, ჰატარძლისთვის ცეცხლიანი მუგზურის უკანიდამ სროლა ჰირველ ღამეს წყალზე გაყვანისას, ამ დროს მის თავზე დამბაჩების გადახლა, მითომ ავი სულის გასაფრთხობად, შალოცვა თვალისა, მჭვლისა, სირსველასი, ტეიხპირას მგლის ჰირის შეკვრისა, ავი თვალის ასაცილებლად შელოცვილი ნიშნის შებმა სადღობლისა, ამაკე მიზნით გარედ გაცემულის დო-ჩუმაში ნახშირის ჩაგდება, კარაქზედ და რამდენი კიდე სხვა, სულ ორივე ხალხის დედაბერთა გონების ნაწარმოებია, შეთხზული უვიცობის ნიშნად და სპეკულაციის მიზნით.

ტანსაცმელი თუ არჩევს, უნდა კიდეც აერთებდეს ერთ ხალხს მეორესთან. ქისტის დედაკაცის ქოჩა ანუ ჰერანგი და თუშისა ჯუბა ჯრილობით და დანიშნულებით ერთი და იგივეა იმ გარჩევით, რომ ჰირველისა ჩითია და მეორისა — შალი. საველო ცალკე ნაკერი და შიგ ჩატანებული, ვერცხლის სამკაული, თავზე შავი მანდილი, რომელიც თავზე გაწეობილებით ქართულს ლეჩაქს მოგაგონებთ.

ბარის ხალხის ჩაცმულობის ზეგავლენით თუშის ჰატარძლისა კაბებია, ლეჩაქის მაგვარი მანდილი და მანდილის ქვეშ თავზე თავიანთებური კოჰი ჩიხტას ბადალი.

ორივე მამაკაცთა ჩასაცმელია: შალის ჩოხა-შარვალი, შალის განიერი ჰაჭიჭები, გრძელბეწვიანი ფაფახი ქუდი, წამოსასხამი ნაბადი, მოხუცებულების დურაცუავის წამოსასხამი...

სასლში ჯამ-ჭურჭელიც კი ერთნაირია, მაგალითად: ქისტებში, თუშებში და სხვა.

სასმელ-საჭმელი, ანუ ჰირის ჰატივი ადამიანისა, ხალხისა, — დრომ, ადგილმა და შეძლებამ იცის. საჭმელიც ასე თუ ისე ახასიათებს და ხატავს ხალხის ერთობლიობა-ერთგვაროვნობას, უფრო ძველთაგან მითვისებული, საკუთრად დამრჩალი საჭმელი.

ამ ხალხის განსაკუთრებული, დროის და ადგილის შესაფერი საჭმელია ხალთა, ანუ ქუმელი. ამას ორივენი „ცუს“ ეძახიან.[1] ეს საერთო საჭმელი ამათი იმდენად შესაფერია, რამდენადაც მათი ცხოვრება რთულია — სამთაბარო.

მთაში, სამწყემსოში, ცხვარ-ძროხის უკან ჰურის ცხობა ძნელია, ქუმელი კი ადვილი მოსახმარი. სადღვები და სხვა ჩვეულებრივი საჭმელები: ერთისა — ქადა, მეორისა — კოტორი, ჭამალგი, მ̣აჭკიტი, გალენა, გორდილა-ღურღუჯა, ნიხი, მუსთხუდარა, მაცვეფლავა და სხვ.

ცხელი სულ საერთოა მათი, ერთნაირად მზადდება მათგან, გარჩევა სახელებშია.

ძველებური დამრჩალი ხელობა — ციხეების შენება — ორივე ხალხის კუთვნილებაა. დანარჩენ ხელობას ვერც ერთი ვერ დაიკვეხებს: დურგლობას, მეურნეობას, კალატოზობას, მეგუთნეობას და სხვადასხვას.

---

[1] აქ ჰროფესორი ალბოროკი „ცუს“ (ცუ ქუმელს) თუშების ღმერთად ასახელებს. ეშტო - ალბათ, ქეშტო (ქისტურია), ნიშნავს საფლავის ქვას, მკვდრების ღმერთი (მისი წერილი).

რელიგიური ხასიათის ლეგენდარული თქმულებანი. რომ უფრო მომეტებულად დაამცირონ ქრისტიანული რჯული-სარწმუნოება, თავიანთი მაღლა დააყენონ და მით მოიზიდონ სხვა რჯულის ხალხი, უფრო ახლად მონათლულები და ისევ თავისკენ გადმოიბირონ, ჩვენს ქისტებს შემდგარი აქვთ სხვადასხვა რელიგიური ეპიზოდები რელიგიური ხასიათისა.

რჯულის გულისთვის ქისტ კაცს ტყუილად ფიცი ცოდვად, დანაშაულად მიაჩნია — თითონ მახმადმა ეგრე სთქვაო — ამიტომ ამ ლეგენდარულს ეპიზოდებს ფიცით უმტკიცებენ და აჯერებენ მსმენელებს.

ისინი ასე ამბობენ: ქრისტე და მაჰმადი ძმები იყვნენ მხოლოდ მამით, დედით თავთავადნი; ქრისტე აბრაამის ცოლის — სარას — მხრით, ხოლო მაჰმადი აბრაამის ხასის — აგარის — და მისი შვილის იზმაილის მხრით.

ქრისტე იყო ბოლოდამ მეორე წინასწარმეტყველი, მან ვერ დასდო წესიერი რჯული და მოკლეს, მაჰმადი იყო ბოლოდან ჰირველი და უკანასკნელი წინასწარმეტყველი (ფეიხამურ), თავი და ბოლო ნამდვილი რჯული და ზეცად ამაღლდა ცოცხალი.

მაჰმადმა უთხრა ღმერთს: მთლად მოვსპოთ ქრისტიანიო! ღმერთმა უპასუხა: ქრისტიანი რომ მოვსპო, ჯოჯოხეთი ცარიელი დარჩება და ეშმაკები აჯანუდებიანო!

მაჰმადიანების სამოთხეს შვიდი ბრწყინვალე მზე ანათებს, სამი შუაში და ოთხი კუთხეებში, ქრისტიანებისას — ერთი ბუნდი მთვარე. ქრისტიანებს მიტომ აქვთ სანთელი მოგონილი.

ქრისტიანი, რომ ლოცულობს, სულ იმას ამბობს, ცოდვილი ვარო და ჯოჯოხეთი იმიტომ არის საკუთრივ იმათთვის გაჩენილი.

მაჰმადს უთქვამს — რასაც ერთი კარგა აკიდებული ვირი ნახევარი დღის მანძილს გაივლის, იმდენი თუ ქრისტიანის სოფელზე გასავლელი გზა გაქვთ, მარხვას ნუ შეინახავთ, არა უშავს.

ვითომ ქრისტიანებმა არ იციან მარხულობა, რადგანაც ლობიოთი და ზეთით, კართოფილით ძღებიან.

მაჰმადმა დილით გაიარა ქალაქის ბაზარზე. ხალხი ჩაის სვამს, მშვიდად მუსაიფობს, ზოგი ტკბილი სალმით, ჰირზე კოცნით ერთმანეთს ეშმვიდობება. მაჰმადმა სთქვა — ჩაი ჩემი რჯულის კაცისთვის დამილოცია, ალალი იქნასო.

სადილობისას გამოიარა და ნახა — ხალხი ჩხუბით, ლანძღვაგინებით, მუშტით, ჯოხით და ხანჯლებითაც კი ერთმანეთს ეტანებიან, ზოგი თავგატეხილი სისხლში ბანაობს. მაშინ მაჰმადმა სთქვა — ღვინო ჩემი რჯულის კაცისთვის დამიწეევლია — არაფი იქნასო.

მაჰმადის დედის სახლის დერეფანზე, უცბად, შემთხვევით, მელოგინე დედაკაცმა გაირბინა — ზოგის თქმით, შვიდი წლის გაუბანელმა.

მაჰმადის დედა წამოხტა მაშინვე, ხელი მოავლო ასტამს, ცოცხს და იმ დედაკაცის ნაფეხურიდამ მიწა აფხიკა, ცოცხით ასტამზე მოაქუჩა და გაიტანა გარეთ ეზოში გადასაერელად.

ეზოში ხალხმა მიაძახა — არ ქნა, შენი ჯირიმე, მე ნუ დამაერიო, შეეხვეწა. იქიდამ წაიღო წეალში გადასაერელად.

წეალმა შემოიძახა გაჯავრებით: შენი შვილის გულისთვის მე არ დამაეაროო. იქიდამ გააქცია და კლდეში გადაუძახა.

იქა წოლილა ღორი, რომელსაც ზედ დაჰერია ის მურდალი მიწა. იმის სიმძიმით ეხლა ღორი მუდამ ჯუმუტუნებს და ღრუცუნებს. იმ მიწის სიმურდლით ბალანი წელიდამ მთლად გასცვივდა და თეთრი ბალანი მოუვიდა. რომ ვიცოდეთო იციან რომელ გვერდზე დაეეარა ის მურდალი მიწა, მეორე გვერდი გვეჯმებოდაო და კიდეც ვსჯამდითო.

ძველი შენობები და სალოცავები. ჰანკისის მთელს ხეობაში რაც ძველი ქვითკირის შენობებია, თუმცა ყველა ერთი ფორმისანი არ არის, მაგრამ თვით ნაკეთობანი ღაღადებენ თავიანთ ერთ საუკუნეებს. მათ შორის მხოლოდ ერთი ნიში იყო, ნაშენი მდინარე ალაზნის ნავალს ჯალაზე მდინარის ჰირად, სოფელ დუისის აღმოსავლეთით, რომელსაც ქისტები მაისტალას ხატს ეძახდნენ, რადგანაც მაისტიდან იყო გადმოტანილი.

გადმოცემით ვიცი, ამ შენობაში იყო ხისაგან გამოქანდაკებული ბავშვის სახე, მთლად ვერცხლში ჩასმული, ხელში ხმლით და ითვლებოდა ომის ღმერთად. ამ ხატს დუისელები, ამ ბოლო ხანამდე, წმ. გიორგის სახელობით ლოცულობდნენ ყოველ გიორგობას.

XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში მაისტალა დაიკარგა. ზოგი ამბობდა, ისევ ჰირიქით ქისტებმა მალვით წაიღესო, ზოგი — ვერცხლის გულისთვის მოიჰარესო. თვით შენობას შუბლის ქვაზე ჰქონდა შემდეგი წარწერა: „მე ჰანკისის მოურავმა... აღვაშენე ნიში ესე... წმ. ნი...ზის სახ... ჩემის და ჩემის მეუღლის... საოხად“.

მატიანე როგორც გადმოგვცემს, კახეთში მოურაობა იყო XV საუკუნეში და ამავე ჯერ-შენობანიც უნდა იყოს ამ საუკუნისა.

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ ეს ნიში შეაკეთა იმ აზრით, რომ დუისის ახლად მონათლულს ქისტებს ევლოთ იქ, ელოცნათ და ზიარებულიყვნენ, მაგრამ მდინარე ალაზანმა წაიღო შენობა 1903 წელს და იქ ეოფილი სასაფლაოც.

მდინარე ალაზნის ნავალს ჯალაზე, „მაისტალას“ გარდა სხვა მსგავსი ძველი შენობა არა ყოფილა და არც არის ხეობაში, ხოლო ჯალის აქეთ-იქით ფერდობებზე და მაღლობებზე არის სხვა შენობები, რომლებიც შეხედულობით მეტყველებენ მაისტალას ხნიერებას.

ერთია დუისოფლის ჰირდაჰირ გორაზე „ღვიმეში“ ნახევრად დანგრეული, ეროი – კუწასტის ჯალაში, დასავლეთით, კუწასტის ღვთისმშობლის სახელწოდებით. ეს შენობა ჰატარაა – ათიოდე კაცი ძლივს დაეტევა. ჰიტალო ქვითაა ნაშენი, თაღი და სასურავიც ქვისა აქვს, ერთი კარი აქვს დასავლეთით და ერთი ჰატარა სარკმელი აღმოსავლეთით.

სოფელ კოშკების ქვემოთ მამულებშია მოზრდილი შენობა ნანგრევებად ნაქცევი. იქ კოშკელები უოველწლივ ლოცულობენ კვირაცხოვლობას.

სოფელ კაკლიანის ქვემოთ, ბალთაგორის ბოლოში, საძოს ნაგომურალის ახლოს, ძველი, ჰატარა ეკლესიაა, რომელსაც ბალთაგორის ღვთისმშობელს უხმობენ. კუწასტის ღვთისმშობლის ტოლია, ისეთივე ნაშენობით.

მის მახლობლად მაღლობზე მრგვალი შენობაა შაქრის თავის მსგავსი, წმინდა ქვით ნაშენი. მაღლა თავი შეკრული აქვს, შუა წილთან სამხრეთისაკენ დატანებული აქვს სარკმელი. მის მეტი სხვა არც კარი აქვს და შენობა იმ სარკმელამდე ქვით არის სავსე, ალბათ ბალღებისგან გადაურილი. შენობის სარკმელი ხეობას შესავალ კარს გამოჰუურებს. მე მგონია, შენობის დანიშნულება მტრის დაზვერვა უნდა უოფილიუოს თავის დროს.

ამ შენობის დაბლა არის მილის წუარო, დაკარგული, მიტოვებული, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ადგილას ეონავს და ჯუანტობს აკეთებს.

აქაც არის აკლდამები სიპი ქვით ნაშენი და დახურული. ჯოუოლოს სოფლის დასავლეთით, ჯობიოს მაღლა, ტეეში ერთი ძველი შენობაა დანგრეული. აღარ ეტუობა, ეკლესიაა თუ სხვა რამე შენობა,

ხოლო როგორც გადმოცემიდან ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

მოხუცი მედავითნე *ს. ბერძენოვი* იტყოდა: „იმ შენობაში, როცა მთელი იყო, ფარულად ინახებოდაო ერთი მოზრდილი თასი ვერცხლისა, ზედ წარწერით: ვერცხლის თასი ესე შევსწირე მე მანგლისის მცხოვრებმა სოლომონ ფიცხელაურმა ჯობიოს თავის წმ. გიორგის ეკლესიას. დიდებით აღმატებულ არს სახელი მისი.“

ეს თასი შემდეგ დაიკარგა. ეხლა, თუმცა აქ აღარ ლოცულობენ, მაგრამ სხვაგან კი მიდიან სალოცავად კახეთის სოფლებიდამ.

კოშკის მსგავსი ერთი მრგვალი შენობა არის ცქვიტაძეში ტეის პირად. ერთი შესავალი კარი აქვს, სიმაღლით 6 მეტრი იქნება, თავი მოშლილი აქვს. არა აქვს არც საოფურები, არც სხვა რამე ნიშნები. ციხე მთლად ჰიტალო ქვით არის ნაშენი, მხოლოდ დაბლა შიგადაშიგ ჩაყოლილი აქვს შირიმის ქვა.

აქ არის წყარო და სხვა დიდი ნანგრევები. ეტეობა, დიდი ნაშენობა უნდა ყოფილიყო.

სოფელ ომალოს თავში ჰატარა ეკლესიაა აღნიშნული ეკლესიების მსგავსი. გვერდით კოშკი აქვს მიშენებული. ამაში სოფლელები ღვთისმშობელს ლოცულობენ აღდგომის დღეს.

აქვე, მახლობლად, სატეეო გზის პირად არის ძველი, დიდი შენობის ნანგრევები. მოსჩანს დიდი და მაღალი თაღი ოთხი მეტრი სიმაღლით, რომელიც საკურთხეველს ეკუთნის. წინა მხარეს, ეტეობა სამხრეები ძველებურ ეკლესიების უაიდაზე. ეტეობა ჰქონიათ სხვა შენობებიც, ხოლოთ მთლად მინგრეულ-მონგრეულები.

ჩხათან-ხორეჯის წულის და მდინარე ალაზნის შესართავთან, ცოტად მაღალ გორაზე, არის შენობა კი არა, უბრალო, სიპი ქვებით აღნიშნული ადგილი, პირდაპირ დასავლეთით, მიუვალ, მაღალ, ტეი-

ან მთის წვერზე. ვითომ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის და ჩრდილოეთისკენ სჰეროზის წმ. გიორგის ნიშად თუ ნიშნად.

აქ, გიორგობას, მლოცავი მოდის ცხენით კახეთის სოფლებიდან. ამ ნიშის ცოტა ქვემოთ, მდინარე ალაზნის პირად, საცალფეხო გზაზე, მაღალ, ციცაბო კლდეზე ერთ ადგილს „ჯორის ნაფეხურს“ ეძახიან. ამ ადგილის შესახებ არის ხალხში შემორჩენილი შემდეგი ლეგენდარული თქმულება:

„უფალი იესო ქრისტე ქვეყნად რომ დაიარებოდა, ერთხელ მთიდან დაბრუნებული შარად მოდიოდა, ჯორზე იჯდა, ხელში ჩონგური ეჭირა და უკრავდა.

იმ ადგილას ეშმაკი შეხვდა, სალამი მისცა და უთხრა: „რა მშვენიერი ხმოვანი დასაკრავია, თუ ვერ მაჩუქებ, სახელი მაინც მასწავლე, გავაკეთებინებ ვისმეო...“

იესო ქრისტემ ხმაც არ გასცა.

ეშმაკი წამოვიდა, გზა უეცლა, “ჯორის ფეხასთან“ კლდეს ამოეფარა და იქ ქრისტეს ჯორი დაუფრთხო.

ქრისტემ გაჯავრებულმა უცბად ჯორს შესძახა: „წუნარად, შე წყეულო, რა ეშმაკი შეგიჩნდა, ეს ჩონგური არ გამატეხინოო!“

ამნაირად, ეშმაკმა ათქმევინა ქრისტეს ჩონგურის სახელი. ჯორი რომ დაფრთხა, კლდეს მისი ნაფეხური აღებეჭდა, რომელიც ახლა ხალხს სალოცავად აქვს მიღებული.

კახეთის ხალხი, ბევრი კი არა, ზოგიერთი, გიორგობას აქ ცხენით მოსული, ჯერ იმ ნიშთან ილოცებს ღამისთევით, საკლავს დაჰკლავს, ქადას გასჭრის, საწირავს დასდებს.

მგზავრი ჩამოივლისას ჯორის ნაფეხურთანაც დაილოცება (კლდეა ამოღრუტნული, სადაც ერთი ჭიქა სითხე ჩავა), თასს ღვი-

ნით აავსებს, დაილოცება, მოსვამს, ისევ აავსებს, ზედ ერთ შოთ ჰურს დასდებს სეფისკვერად და ისე გზას განაგრძობს შინისკენ.

ამბობენ — ნამდვილი „ჯორის ნაფეხური“ მაღლაა, ეს მხოლოდ იმისი ნიშიაო, თუმცა მე კი არ მინახავსო ის.

რევოლუციების შედეგები ჰანკისის ხეობაში. 1905 წლის რევოლუციის სისხლიანმა კვირამ თბილისში მეფისნაცვალსაც (მოადგილეს) ცოტა ფარაცი მისცა.

სხვათა შორის, ჰანკისის მცხოვრებთაც მოუვიდა ბრძანება — ელესკაცობას ვისაც რა გიჯირთ, უველაფერი ქაღალდით მომახსენეთო. ეს წესი მეფის დამქაშების საერთო, ჩვეულებრივი მშვიდობის მიქსტურა იყო.

სანამ საწყალი გლესი ქაღალდს და მის დამწერს იშოვნიდა, ახლა მიართმევდა, განკარგულების გასაგებად რამდენი წადი-მიდი დასჯირდებოდა. ბოლოს — წადით და ჰასუხი მოგიყათო — იქნებოდა. ქაღალდი კანცელარიაში მოისვენებდა, საწყალი გლესი კაცი ჰასუხის ლოდინში დაბერდებოდა, კიდეც დაავიწყდებოდა.

მეფისნაცვლის ამ ბრძანებას თუშები სხვანაირად შესვდნენ.

ხსენებული წლის 26 ნოემბერს, ქურდებისაგან შეწუხებული სოფელ ალვანის თუშები შეიკრიბნენ 100 კაცამდე. მაშინ ვინც გამოიწვიეს და არ გამოვიდნენ, 10-15 მანეთამდე დააჯარიმეს.

ისინი მოვიდნენ ჰანკისს ცხენებით, შეიარაღებულები. ბირკიანში დაატუსაღეს შენიშნული თუში ა. *არინდაული-თამროშვილი.*

თუშებმა სოფელ ომალოს წრე შემოავლეს, დასინჯეს საეჯვო სახლები, ერთი შენიშნული სოფელ მატნელი ქართველიც იქ დაატუსაღეს (შერე ისევ გაჰჰარვიათ). მათ სოფელი ჯოელო გაჩხრიკეს, მაგ-

რამ ვერაფერი აღმოაჩინეს, აგრეთვე დუისოფელი. ჩავლისას გზაში შეხვდათ ცნობილი ქურდების უსტაბაში *ა. ქელეხიძე*, ის იქ მოკლეს.

მეორე დღეს, მთელი ხეობის ურილობა მოახდინეს. შეიკრიბა ქისტი, ოსი, თუში, ფშაველი, ხევსური, – 500 კაცამდე, ყველა შეიარაღებული. ყველანი დააფიცეს ძმობა, ერთობა და ერთგულებაზე.

მეფისნაცვლის მისართმევი თავიანთი ჯირ-ვარამის ჰატივი და მოღალატის დასასჯელი კანონი 8 მუხლად შეიმუშავეს ურილობაზე. მეორე ურილობა დანიშნეს სოფელ მატანში 2 დეკემბრისთვის. იმ დღეს შეიკრიბა 8 სოფლის ხალხი, აუშვეს წითელი ბაირაღები. გაიმართა მიტინგი, აგიტატორებმა ილაჰარაკეს დროს გაჯირვებაზე. ამოირჩიეს ათისა და ასის თავები. ამორჩეულებს კრება დაუნიშნეს სოფელ ალვანში 4 დეკემბრისთვის. აქ მოიყვანეს ის გაჰარსული მატნელი ქურდი ბირკიანელები და მოკლეს. ამ დღესვე მოკლეს შეუპოვარი ქურდი და ყაჩაღი *კ. ჯამარიშვილი.*

ქურდებმა ყურები ძალიან ჩამოყარეს. კარგად მიხვდნენ, რომ ხალხის ძალა მეტი გამოდგა, ვიდრე ჰოლიციისა.

მსოფლიო ომის დროს, სადაც სამას-ვერსიან ფრონტზე ბეჩავი ხალხი მუმლივითა წედებოდა, ყველას ზარაგდა და ყველა გაურბოდა იქ წასვლას. ასალგაზრდობა ზოგი ფულით, ზოგიც სხვაფრივ ემალებოდა გამუდმებულს მობილიზაციას.

ასე იყო, თუ ისე, იმ დროს, ხუთიოდე ჯეილი მორიგე სალდათი ქისტი, გასული იყო იქვე, ტყეში და ერიდებოდა ჰოლიციას. მათი ბოროტმოქმედების ხმები არაფერი იყო, არც არავისთვის რა დაუშავებიათ, მაგრამ 1916 წელს, მშვიდობისას, ქისტებს კიდევ ეწვიათ განსაცდელი.

10 ოქტომბერს სოფელ ალვანის თუშებმა ისევ გამოილაშქრეს ჰანკისის ხეობაზე. 200-მდე კაცი, უფრო შუახნის ხალხი, შეიარაღე-

ბული, ცხენებზე ამხედრებული შემოიჯრა ხეობაში. მათ ჩვეულებრივ დაჩხრიკეს ყველა სოფელი ქისტებისა.

სოფელ ომალოში დაიჭირეს ცნობილი ქისტი *ი. ხუტიშვილი,* დაატუსაღეს 5-6 მოხუცი თავი კაცები, სროლაც იყო ცოტა.

სოფელ ჯოყოლოში დათოფეს ბირკიანელი ჩაღმა თუში *არ. ქელეხიძე,* მაგრამ გადარჩა დედაკაცების მეოხებით. მინდვრიდან გაირეკეს ჯოყოლოს სოფლის მთელი ნახირი ძროხისა.

დუისოფლის ბოლოში მინდორზე შეჯგუფდა ხალხი. ატუდა სროლა, ერთი კაცი და მოზრდილი ქალი ქისტებისა მოკვდა და ერთი ცხენი თუშებისა.

ამ დროს, შენიშნეს, რომ ქისტის ახალგაზრდობა გზის შეკვრას აპირებდა ხეობის ბოლოში, რამაც თუშები შეაფიქრიანა. საქმეში ჩაერივნენ შუაკაცები და ხალხი დამშვიდდა. საქონელი დააბრუნეს, დაჭერილი ხალხი გაანთავისუფლეს *ი. ხუტიშვილის* გარდა, რომელიც ადრევე გაეცილებინათ და ხეობის ბოლოში გზად მოეკლათ.

ამ შეტაკების გამოსაძიებლად, თუ იმ გასული ბიჭების დასაჭერად, გუბერნატორისაგან თბილისიდან საგანგებოდ იყო დანიშნული მოსელე *ა. მათურელი.* ის მოვიდა 11 ნოემბერს, ზეკუციის სახით, 40-მდე შეიარაღებული ცხენოსანი სტრაჟნიკით, დაბინავდა ჯოყოლოს კანცელარიაში, სადაც დარჩა 18 დღე.

თუშების გალაშქრებაზე მას ხმა არ ამოუღია, ხოლო მცხოვრებლებს იბარებდა და ეუბნებოდა — ის გასული ბიჭები მომიყვანეთო.

სტრაჟნიკებისთვის და მათი ცხენებისთვის კაცები ურმით თივაშეშას ეზიდებოდნენ, დედაკაცები - ზურგით სიმინდს და ნამცხვარს.

საგანგებო მოსელემ გასულების ერთი ამხანაგი *ჩიღა ციხკარიძეკილი* — დატეუებით (სამსახურს დაჰპირდა) მოიყვანა, სხვები ვერ მოატეუა.

გუბერნატორის განკარგულებით, გადაასახლეს 5 კაცი — მოტეუებული *ჩ. ციხკარაშვილი, ბათო ცათიაშვილი, ფოცო ციიშვილი, მაზი თურქოშვილი და მიტო წინწალაშვილი.*[1]

ის გასული ბიჯები, 1917 წლის თებერვალში, ისევ ჰოლიციამ ღალატით დახოცა, სწორედ იმ წინა დღეებში, როცა მათი წარჩინების მოლოდინში შემდეგი დეპეშა მიიღო: მეფე გადადგა.

მამასახლისის მაგივრად გამოცხადდა რევოლუციური კომიტეტი, შემოვიდნენ მათი წარმომადგენლები, სოფლებში იმართებოდა მიტინგები, ხალხი იკრიბებოდა, ესწრებოდა მიტინგებს და სიხარულით ისმენდა.

ადგენდნენ სახალხო გვარდიას, რომლის დროსაც ერთი აგიტატორი სოფელ ასმეტიდამ დიმიტრა — კიდეც მოკლეს თითონვე.

დუისოფელში შესდგა სახალხო გვარდია, თავიანთი ვინტოვკებით ვარჯიშობდნენ. იმხანად მეტი არაფერი გაკეთებულა...

ერთ ზაფხულს, ქართული სალდათის რაზმი სოფელ ჯოელოში იდგა სკოლის შენობაში და სწავლობდა, მეცადინეობდა. ეს რაზმიც ჩქარა მოხსნეს, რის შემდეგ ხმები გავრცელდა ბოლშევიკების შემოსვლაზე. იმ ნელა ხანში, ტელეფონით დაიძახეს — ჩვენ ვდევნით, გურჯაანს გავაცილეთო. წინა დღეს დაბარებით წასული ცხენოსანი ჯარი მეორე დღეს ისევ დაბრუნდა და ამბავი მოგვიტანა — ჩვენ თელავის ბოლოზე ჰოზიცია გვეჭირა და თელავში ბოლშევიკების ჯარი უკვე შემოსულიეოო...

მენშევიკების სამი წლის უფლობის შემდეგ, ხეობაზე ბოლშევიკებმა გამოაცხადეს თავიანთი უფლობა.

---

[1] მიტო წინწალაშვილი სიბერემდე ცხოვრობდა ჰანკისის ხეობაში, სოფელ ომალოში. *კამომცემელთა შენიშვნა.*

ახალი ხელისუფლების მიღწევები ჰანკისის ხეობაში. მეფის მთავრობის საკულტურო-საამშენებლო აპარატი ჰანკისის ქისტებისათვის მარტო მათრახებში ისახებოდა. მათრახი იყო ხალხის შემქმნელი, აღმზრდელი და ჩამგონებელი.

ზოგჯერ მათრახიც კარგია, კრილოვის არ იყოს, მაგრამ ბევრ ოო-ჰო-ჰოს ხარი გაუგიჟებია, არ კი გაუწურთნია!

ხეობის ეს ერთი მუჭა ხალხი ძველი რუსის მთავრობისათვის არაფერს არ წარმოადგენდა.

ჰანკისის ხეობა და მასში მცხოვრები ქისტების საქმე არც ამჟამად არის ყურადღების ქვეშ, მაგრამ მაშინაც და ესლაც ეს საკითხი განსაკუთრებულია. როგორც ზემოთ ვთქვი, ქისტების ამ ხეობაში დასახლება სტრატეგიულად მიზანშეწონილი იყო, მაგრამ მიზანს კი ვერ მიაღწია, რადგანაც მთავრობა მათ საქმეს სხვა მხრივ მიუდგა.

იმ დღიდან მოკიდებული, საქართველოს გასაბჭოებამდე, მეკობრობა და მტაცებლობა ჰირიქითელ ქისტებისა არ შეწყვეტილა მახლობელს მთა-იალაღებზე.

მეცხრამეტეკების უფლობის მესამე წლის თავზედაც ჰირიქითელმა ქისტებმა გაიტაცეს ჰირაქეთ მთებიდამ 800 სული ცხვარი თუშებისა.

მათრახი არ გამოდგა, სწავლა-განათლებისთვის კიდევ ძველი მთავრობა ბევრს არას იხარჯებოდა.

სკოლების დიდი ქსელი არც კახეთში იყო გაბმული, ჰანკისელი ქისტებისთვის ხომ სკოლა უცხო-საოცრება რამ იყო. მაშინ ქოხ-სამკითხველო, კინო-თეატრი, ტელეფონი, რადიო და სხვ. ქალაქ თელავშიც ახალ ამბად ხსენდებოდა.

მთავრობას რომ ქისტებისთვის, როგორც ნიჭიერი ხალხისთვის, სულ უბრალო, ელემენტარული შეგნებით ხელი შეეწყო, ამით კიდევ მშვიდობიანი კაეშირი და ზრდილობიანი მისვლა-მოსვლა ექნე-

ბოდათ ჰირიქით თავის ხალხთან და თუ განათლებას რამეს ვერ შეიტანდნენ, ურიგო ქცევას მაინც დააშლევინებდნენ, ალალ შრომა-მუშაობას მიაჩვევდნენ და მით მოიქცეოდა მთა-ქისტეთს ხალხი.

ეს კარგად იცოდა მეფის რუსეთის მთავრობამ და ამიტომ, ესენი კი არა, ქისტები სადაც იუვნენ, იქაც ეჯავრებოდათ და არც უსვენებდათ მათ. ეს საშუალება თვით ამ ერთი ბეწვა ხალხს ისე გასთქვეფავდა მახლობელი კახეთის ხალხში, რომ ეს არაადამიანური ჩვეულება ამათი — მოსისხლეობა კი არა, თავიანთი მშობლიური ენაც დაავიწყებოდათ!...

ახალი ხელისუფლების კანონები სულ სხვა მხრით შეხვდა ამ ჩვენი ქისტების ბედ-იღბალს, სულ სხვა მხრივ მიუდგა ამათ ეოფაცხოვრებას.

მცირე ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა მთელი ხეობის მცხოვრებთა და განსაკუთრებით ქისტების წრეში. დიდი ეურადღება მიაქციეს სწავლის საქმეს. 18 დიდ-ჰატარა სოფელში თითო და ზოგან ორიც სკოლები გაიხსნა შვიდწლედიანი შეგირდების სრული კომპლექტით, ქისტი მასწავლებლებით.

ხეობის შუა სოფელში გაიხსნა საექიმო ჰუნქტი ექიმით, ბებიაქალით. ომალოში — ამბულატორია, ტელეფონი, რადიო, აეროდრომი. დაწესდა ხალხის მისვლა-მოსვლა ავტოთი მახლობელ ქალაქ-სოფლების „იარმუკებზე" სავაჭროდ. გაიმართა ფიცრულის მაგივრად ქვითკირის სახლები, შიგთავ ევროპულად მოწეობილი. სახლებში — მაგიდები თეთრ სუფრაგადაფარებული, ვენური სკამებით, შკაფები, შიფონები, ფანჯრები „ზანავესკებით" და სხვა.

თავშიშველა მანდილოსნის გავლა უწინ დიდი სირცხვილი იყო. ახლა ქალები კოსას იკეთებენ! აქამდის ხმაამოუღებელი დედაკაცები ახლა საბჭოს წევრებადაც შედიან და სხვ.

ასე რომ, რაც ხანი მეფის ხელში ჩვენმა ქისტებმა დრო განელეს, იმის ნაათალ ხანს ახალის მთავრობის ხელში თუ მშვიდობაა, ჩვენი ქისტები კულტურულად და სწავლა-განათლების მხრით ჰირველ ადგილს თუ არა მეორეს მაინც დაიკავებენ.

შედგინება. უისტორიოდ, ძველის-ძველი დროიდან სად ნამეოფი, საიდან მოსული ხალხი, ოდესღაც კავკასიონის უდაბურს მთებს, მის კლდე-ღრეებს შეჰხიზვნია-შეჰფარებია.

ამ უხიაგი ხალხის ერთი ჰატარა ჯგუფი ქისტებად წოდებული, თავიანთი ველური ზნე-ჩვეულებებით კახეთს — ჰანკისის ხეობაზედაც გადმოვარდნილა ამ ნელა ხანში...

ეს ხალხი აქამდე, ცხოვრობდა განმარტოებით, ურუდ, როგორც განდეგილი. ისინი ვერა სწვდებოდნენ კულტურასთან ხალხს, ქვეყანას და კიდეც უფრთხოდნენ მათ რჯულ-სარწმუნოების გამოისობით. საშიში ხალხიაო და ამათაც ეველა ერიდებოდა; ცნობისმოეყარე, მოგზაური, დამწერი ვინმე ვერა ბედავდა ამათ ნახვას.

თვითონ მწერლობა არა ჰქონდათ, ქაღალდზე არაფერი ეწერებოდათ. ცხოვრების მიერ წამოეენებულ სხვადასხვა შემთხვევებისა და მოვლენებისაგან (ქურდობა, კაცის კვლა, მტრობა, მესისხლეობა, ქალის გატაცება, შერიგება, გაერილობა და სხვ.) კანონებს ხალხი თვითონვე იმუშავებდა, აკანონებდა და ცხოვრებაში ატარებდა მამა-ჰაჰის წესით. მწერლობის უქონლობით ეს კანონები ზეპირად, ჰირადად გადადიოდა მოხუცთაგან შთამომავლობაზე და ასე ინახებოდა მათში აქამდე. მეფის კანონები ვერ მოქმედებდა მათზე, კანონის აღმასრულებელნიც ძალიან თავს არ იტკიებდნენ მათთვის, არ ზრუნავდნენ ამათ საკეთილდღეოდ.

ასე ლევდა სულს უმეცრებისა და უზრდელობის სიღრმეში ეს ჰატარა ერი კახეთში — კულტურულ ქვეყანაში, თითქმის მთელი საუკუნე. იყვნენ ნათელში და ნათელი მათ ვერ ეწვია!...

რევოლუციამ წიხლი ჰკრა მეფის ტახტს და უბედურთა ბედის საყინულეზე ელსხიკოსანი დროშა ააფრიალა. ყინულის თანგი ნელ-ნელა დნება, ილევა. მეფის მოხელეების აშენებული უმეცრებისა და უკეთურობის გოდოლიც ინგრევა-იფუშება.

ჰანკისის ხეობის მოსახლეობის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდება. სწავლა-განათლებას მიეცა გზა ფართო, მართვა-გამგეობა განმტკიცდა.

სრული უფლება დედაკაცისა აღსდგა. იმასაც ხმა მიეცა, აქამდე სმაამოუღებელი, ახლა კრების წევრიც გახდა.

იმედია, ხელისუფლება შემდეგშიც ეცდება ამ ხალხის სიკეთისათვის. ხალხიც გაიღვიძებს, შეიგნებს და თავისთავად მოისპობა ამათში ის უგვანი ჩვეულება — მოსისხლეობა, რომელიც დღეს მათ დიდ ჩირქს სცხებს.

მათე ალბუთაშვილი

1934 წლის ოქტომბერი, ქალაქი თელავი

შინაარსი

შესავალი *(გიორგი და ნიკო ჯავახიშვილები)*..... 5

მათე ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-
ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა)..... 39

ფოტო-მასალები დაამუშავა — *ალექსანდრე ჯიქურიძემ*

წიგნის გარეკანზე გამოყენებულია "კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში "კავკასიის ხალხებისა და საზოგადოებების ეკლესიებისა და სკოლების ალბომი" გამოქვეყნებული ფოტო *"ქისტები"*.